

# ეკონომიკა და ბიზნესი ECONOMICS AND BUSINESS

---

---



ტომი XVIII VOLUME

№ 1, 2026



ISSN 1987 – 5789  
ESSN 2587- 5426  
doi.org/10.52340/eab



INDEX  COPERNICUS  
I N T E R N A T I O N A L

**ERIH PLUS**  
EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE  
HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES



**EBSCO**

ეკონომიკა და ბიზნესი  
**ECONOMICS and BUSINESS**

**1**

**ტომი XVIII Volume**

**2026**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი  
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ, 2015  
წლიდან – კვარტალურად  
Publish since January 2008 once in two months,  
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N19  
თსუ-ს მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317  
ტელ. **+995 32 2 25 04 84**

მთ.რედაქტორი: ტელ – 599794949, მოადგილე – ტელ: 599103816,  
პ/მდ. – ტელ: 599218384, მთ.სპეც. – ტელ: 577970280.

Address: Tbilisi University str. #2. Tel: **+995 32 2 25 04 84** – 9781, 9763, 9724.

Chief editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,

Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280

www.eb.tsu.ge e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოეტები: **იუხი ანანიაშვილი**, **გივი ბუღიაშვილი**, **თეიმურაზ ბეჟიძე**, **სიმონ გელაშვილი**, **ივანე გვედესიანი**, **ივანე გოგობია** (ხედაქტოხის მოადგიდე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზახ თოღუა**, **იხაკი კოვზანაძე**, **მუხთაზ მალხაძე**, **ედგუა მუქვაბიშვილი** (მთავარი ხედაქტოხი), **მანან ღობუანიძე**, **დავით ნახმანია**, **ნუგზახ პაიჭაძე**, **დევან საბაუხი**, **დემურ სიჭინავა**, **მიხიან ტუხაშვილი**, **გიორგი ლალანიძე**, **თეიმურაზ შენგელია**, **ეთეხ ხაჩიშვილი**, **იოსებ ხელაშვილი**, **მეხაბ ხოხობაია**; პოეტები: **ანზო აბხაღვა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კოხესპონდენტი; **იოსებ აჩვაძე** – ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თუქია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მეხაბ კაკულია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხმან კვაჩახელია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **შადვა მაჭავახიანი** – ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმერ პაპავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **დადი სენიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სიღაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმერ ღლონტი** – ბათუმის შოთა ხუსთავდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩიხაძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **მიხეილ ჯიბუტი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

**მიხეილ აღმანი** – ჩხიდიოეთ კახილნას უნივერსიტეტის პოეტსოხი (აშშ); **ოლენა ბაჟენოვა** – კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (უკრაინა); **გოხლონ ბეჟილი** – სამხეეთ ფლოხიდას კოლექის თავისუფალი მეწახმოობის ცენტრის უფოხი მკვლევარი (აშშ); **ჯუბეჟე დე ღუკა** – მიღანის უნივერსიტეტის პოეტსოხი (იტალია); **ვოლფგანგ ვენგი** – ბეჟინის ტექნიკური უნივერსიტეტის პოეტსოხი (გეჟმანია); **იოსვიტა მ. კინგი** – ოსტოლოდის უნივერსიტეტის პოეტსოხი (ნოხვეგია); **დმიტრო ღუკიანენკო** – კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის პოეტსოხი (უკრაინა); **გეგოხი ნ. მენქიუ** – ჰახვადის უნივერსიტეტის პოეტსოხი (აშშ); **იან მიხაღეკი** – ვაჟიავის უნივერსიტეტის პოეტსოხი (პოლონეთი); **ღახი ნილი** – იღინოისის უნივერსიტეტის ემეჟეტუს-პოეტსოხი (აშშ); **ამეზიან ფეჟუინი** – გენობდის ადპების უნივერსიტეტის პოეტსოხი (საფხანგეთი); **ელიზაბეთ ჩაკო** – ჯოხვ ჯაშინგლონის უნივერსიტეტის პოეტსოხი (აშშ); **ლომას ჰადღმა** – გახტუს უნივერსიტეტის პოეტსოხი (ესტონეთი).

## EDITORIAL BOARD

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professors: **Ananiashvili Iuri, Bedianashvili Givi, Beridze Teimuraz, Gaganidze George, Gelashvili Simon, Gvelesiani Revaz, Gogokhia Revaz** (Deputy Redactor), **Kharaishvili Eter, Khelashvili Ioseb, Kovzanadze Irakli, Khokhobaia Merab, Lobzhanidze Manana, Maghradze Murtaz, Mekvabishvili Elguja** (Editor-in-Chief), **Narmania Davit, Paichadze Nugzar, Sabauri Levan, Shengelia Temur, Sichinava Demur, Todua Nugzar, Tukhashvili Mirian, Zubiashvili Tamaz** (Executive Secretary); Professors: **Abzalava Anzor** – Georgian Technical University, Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences, **Archvadze Ioseb** – Kutaisi University, **Chikhladze Nikoloz** – Akaki Tsereteli State University, **Glonti Vladimer** – Batumi Shota Rustaveli State University, **Jibuti Mikheil** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Kakulia Merab** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA), **Kvaratskhelia Murman** – Sukhumi State University, **Machavariani Shalva** – European University, **Vladimer Papava** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Sekhniashvili Dali** – Georgian Technical University, **Silagadze Avtandil** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Turkia George** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA).*

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

***Altman Michael A.** – Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University, professor (USA); **Bazhenova Olena** – Professor of Economic Cybernetics Department, Taras Shevchenko Kyiv National University (Ukraine); **Brady Gordon** – Senior Research Fellow at the Center of Free Enterprise at Southern Florida College (USA); **Ferguène Ameziane** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Chaco Elizabeth** – Professor of Geography and International Relations, George Washington University (USA); **Haldma Toomas** – Professor of Tartu University (Estonia); **King Roswitha M.** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College, professor (Norway); **Giuseppe De Luca** – Professor of Milan University (Italy); **Lukianenko Dmytro** – Rector of Vadym Hetman Kyiv National Economic University, Professor (Ukraine); **Mankiw Gregory N.** – Professor of Harvard University (USA); **Mikhalek Jan** – Professor of Warsaw University, (Poland); **Neal Larry** – Emeritus Professor of Illinois University (USA); **Weng Wolfgang** – Professor of Berlin Technical University (Germany).*

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
მისი უწმინდესობა ილია II**



**„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“  
მაღლიერებით ვემშვიდობებით!**



## ს ა რ ჩ ე ვ ი

### ეკონომიკური თეორია ო ეკონომიკური პოლიტიკა

<b>ვლადიმერ პაპავა, ედგუა მექვაბიშვილი</b> - მსოფლიო სავალუტო წესრიგის გენეზისი „პარიზიდან“ „პოსტიამაიკამდე“ (ისტორიულ-ლოგიკური ანალიზი) .....	11
<b>მუხმან ცახციძე, იხმა ცყემადაძე, შოთა გაბადაძე</b> - ღირსეული შრომის კონცეფციის განხორციელების თავისებურებები საქართველოში: გამონვევები, პერსპექტივები.....	37
<b>მაჩინა ჩავდელიშვილი</b> - უმაღლესი განათლების სისტემა - ანალიზი, პრობლემები, გამონვევები და მათი გადაწყვეტის გზები.....	55
<b>გულშენ ზაიდ იუზბაშიევა, გუნაჰ ჯაფაჰ ქადიხოვა</b> - ინოვაციური პოლიტიკა და სახელმწიფო მხარდაჭერა აზერბაიჯანში .....	74
<b>ედენე კობახიძე</b> - ნარჩენების მართვა, როგორც მწვანე ეკონომიკის განვითარების წინაპირობა საქართველოში.....	95
<b>ჩაქიფ ხანბადა გასიმოვი, გუნაი ფაშა პაპახოვა</b> - აზერბაიჯანში ადგილობრივი მმართველობის სისტემაში ადამიანური რესურსების დაგეგმვა: ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის მაგალითზე .....	111

### ციფრული ეკონომიკა

<b>გუნაზ ეჩქომანიშვილი</b> - ხელოვნური ინტელექტი - მენარმეობის განვითარების ინოვაციური ინსტრუმენტი.....	131
<b>თეა მუნჯიშვილი, შოთა შაბუხიშვილი, დავით სიხაჩუდიძე, დეიდა ქადაგიშვილი, იხაკვი გაზდელიანი, ზვიად სიგუა</b> - გაციფრულების გავლენა საგარეო ვაჭრობაზე გეოპოლიტიკური შოკების პირობებში.....	147

### სექტორული ეკონომიკა

<b>სიმონ გელაშვილი, მაჩინე მინდოხაშვილი, ნინო აბესაძე, დია ძეგისაუხი</b> - საქართველოში სტუდენტთა მიერ ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა .....	170
<b>თენგიზ ვეჟუღავა</b> - საპენსიო სისტემების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შედარებითი ანალიზი.....	196

## **ფინანსები და საბანკო საქმე 0 აღრიცხვა აუდიტი**

**მაია გოგობია** - ფასიან ქალაქებში ინვესტირების ეფექტიანობის  
საკითხისათვის.....218

**ბექა დახახველიძე** - მოდიფიცირებული CAPM შეფასების მეთოდოლოგიური  
ჩარჩო .....232

### **იუბილარები**

**პროფესორი იური ანანიაშვილი** - 75 .....252

**პროფესორი იოსებ არჩვაძე** - 70 .....255

### **ხსოვნა ნათელი**

**პროფესორი რამაზ აბესაძე** .....259

## CONTENTS

---

### ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

<b>Vladimer Papava, Elguja Mekvabishvili</b> - The Evolution of the World Monetary Order from “Paris” to “Post-Jamaica” (Historical-Logical Analysis).....	11
<b>Murman Tsartsidze, Irma Tkemaladze, Shota Gabadadze</b> - Peculiarities in Implementing the Concept of Decent Work in Georgia: Challenges and Prospects.....	37
<b>Marina Chavleishvili</b> - Higher Education System – Analysis, Problems, Challenges, and Solutions.....	55
<b>Gulshen Zaid Yuzbashieva, Gulnar Jafar Qadirova</b> - Innovative Policy and State Support in Azerbaijan .....	74
<b>Elene Kobakhidze</b> - Waste Management as a Prerequisite for the Development of the Green Economy in Georgia .....	95
<b>Raqif X. Gasimov, Raqif X. Gasimov</b> – Human Resources Planning in Local Governments in Azerbaijan: A Study in the Horthwestern Region .....	111

### DIGITAL ECONOMY

<b>Gulnaz Erkomaishvili</b> - Artificial Intelligence - An Innovative Tool for Entrepreneurship Development.....	131
<b>Tea Munjishvili, Shota Shaburishvili, Davit Sikharulidze, Leila kadagishvili, Irakli Gazdeliani, Zviadi Sigua</b> - Digitalization and Foreign Trade Resilience under Geopolitical Shocks: The Case of Georgia .....	147

### SECTORAL ECONOMICS

<b>Simon Gelashvili, Marine Mindorashvili, Nino Abesadze, Lia Dzebisauri</b> - Economic and Statistical Study of Alcoholic Beverage Consumption among Students in Georgia.....	170
<b>Tengiz Verulava</b> - Transformation of Pension Systems in the South Caucasus: A Comparative Analysis of Georgia, Armenia, and Azerbaijan .....	196

### FINANCE and BANKING ◊ ACCAUNTING and AUDIT

<b>Maya Gogokhia</b> - On the Issue of Investment Efficiency in Securities .....	218
<b>Beka Darakhvelidze</b> - A Methodological Framework for Modified CAPM Estimation .....	232

### ANNIVERSARIES

<b>Professor Yuri Ananiashvili - 75</b> .....	252
<b>Professor Ioseb Archvadze - 70</b> .....	255

### BRIGHT MEMORY

<b>Professor Ramaz Abesadze</b> .....	259
---------------------------------------	-----



ეკონომიკური თეორია ♦ ეკონომიკური პოლიტიკა  
ECONOMIC THEORY ♦ ECONOMIC POLICY

---

**მსოფლიო სავალუტო წესრიგის გენეზისი „პარიზიდან“  
„პოსტიამიკამდე“  
(ისტორიულ-ლოგიკური ანალიზი)**

**ვლადიმერ პაპავა**

პროფესორი, აკადემიკოსი  
ივ.ჭავჭავაძის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
vladimer.papava@tsu.ge

**ელგუჯა მექვაბიშვილი**

პროფესორი  
ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Elguja.mekvabishvili@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.01.

სტატიაში განხილულია მსოფლიო წესრიგის, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის, მსოფლიო სავალუტო წესრიგის კატეგორიათა უხილვითა და უხილვით განპირობებულობა. დახასიათებულია მსოფლიო სავალუტო წესრიგის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპები. ნაჩვენებია სხვადასხვა ეპოქის მსოფლიო სავალუტო წესრიგებს შორის ახსებები, როგორც წინააღმდეგობები, ასევე მემკვიდრეობითი კავშირები. გაანალიზებულია სავალუტო გლობალიზაციის, სავალუტო გეოპოლიტიკის და მსოფლიო სავალუტო წესრიგის ერთმანეთთან დაკავშირებადობა. დასაბუთებულია თეზისი, რომ ისინი კი ახ უწინააღმდეგობიან, ახამედ, ავსებენ ერთმანეთს. თუმცა, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, როგორც წესი, უპირატესობა ან სავალუტო გლობალიზაციას, ან მსოფლიო სავალუტო წესრიგს აქვს. მათი უხილვით დამოკიდებულების ხასიათი კი – განპირობებს მსოფლიო სავალუტო წესრიგის სპეციფიკას. გაკეთებულია პირობები, მომავალი მსოფლიო სავალუტო წესრიგის კონფიგურაციის და მასში მსოფლიო სავალუტო პოლიტიკის დომინანტური როლის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლიო წესრიგი, ეკონომიკური წესრიგი, მსოფლიო სავალუტო წესრიგი, სავალუტო გლობალიზაცია, სავალუტო გეოპოლიტიკა, ჰიპოთეზობა, კონფიგურაციული გლობალიზაცია.

## შესავალი

დღეს, მსოფლიო ისეთ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში ცხოვრობს, რასაც ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი „ღერძულ დროს“ უწოდებს. ეს არის ცივილაზიციის განვითარების ძირეული მომენტი, ანუ ე.წ. ბიფურკაციის „ნერტილი“, როცა „ყველაფერი მორევში ექცევა“ (Iaspers, 2023) და მიმდინარეობს რადიკალური ცვლილებები ეკონომიკაში, პოლიტიკურ სფეროში, ქცევასა და აზროვნებაში. „ეპოქა, გამორჩეული სიმშვიდით და ნაგულისხმევი წესრიგით, დასასრულს მიუახლოვდა“ (Todd, 2023).

ჩვენი პლანეტის, თითქმის უკლებლივ ყველა ნერტილში, ექსტრაორდინალური პროცესები მიმდინარეობს, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლანდშაფტზე. საერთაშორისო ურთიერთობებში, პოლიტიკასთან ერთად, სულ უფრო, წინა პლანზე გამოდის გეოეკონომიკა და ყალიბდება ახალი სიმბიოზი, რომელსაც გეოპოლიტიკეკონომია შეიძლება ეწოდოს. მისი საკვანძო ელემენტი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგია, რაც სავაჭრო, საფინანსო და სავალუტო წესრიგების დიალექტიკური ერთიანობაა. ამასთანავე, სავალუტო წესრიგი მეგასისტემის ავტონომიური ელემენტი კი არ არის, არამედ, საერთაშორისო მასშტაბით, წარმოებასა და გაცვლას ემსახურება.

მსოფლიო სავალუტო წესრიგის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი, ისტორიული პროცესია, რამაც რამდენიმე ეტაპი გაიარა, ვიდრე დღევანდელ მდგომარეობამდე მოვიდოდა.

ამ პროცესის შესწავლას, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ეტაპზე მსოფლიო სავალუტო წესრიგებს შორის არსებული მემკვიდრეობითი კავშირების ანალიზის კუთხით, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც არსებული წესრიგის რაობის დასადგენად, ასევე, პერსპექტიული განვითარების ტრაექტორიის განსაზღვრის თვალსაზრისით.

## მსოფლიო სავალუტო წესრიგი – მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შემადგენელი ნაწილი

სახელმწიფოთა თანამშრომლობა ერთმანეთთან, როგორც წესი, არ არის ნაკარნახევი ალტრუისტული მიზნებით. პირიქით, ამ თანამშრომლობისგან ისინი საკუთარი მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობენ, რაც ხშირად, საერთაშორისო მასშტაბით, კონფლიქტებს წარმოშობს. გლობალიზაციამ ეს მოცემულობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა. გლობალიზაციით მიღწეული ეკონომიკური ზრდის ხელშესახები შედეგები, უკიდურესად უთანაბროდაა განაწილებული (Milanovich, 2016; Piketty, 2014; Stiglitz, 2012). „ტორტის ყვე-

ლაზე დიდი ნაჭრები“ ერგო „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებს და სოციალური კიბის მაღალ საფეხურზე მდგომთ, დაქირავებული მუშაკების ხელფასები კი სტაგნაციას განიცდიდა ან შეფარდებითად მცირდებოდა, „საერთაშორისო ვაჭრობის წესები ასიმეტრიულად სრულდებოდა“ (Carney, 2026). „კოლექტიურ დასავლეთსა“ და „კოლექტიურ სამხრეთს“ შორის კონვერგენციის ნაცვლად, რასაც გლობალიზაციის დასაწყისში ვარაუდობდნენ – „დიდ დივერგენციას“ აქვს ადგილი.

მსოფლიოში მოჭარბებული ეგოისტური ინტერესების შესაბამისად და დასაბალანსებლად აუცილებელია საერთო პრინციპების, კანონების, ნორმების, მათი დამცავ-აღმასრულებელი ინსტიტუტების ერთობლიობა, რაც მსოფლიო წესრიგის შინაარსს განსაზღვრავს.

„მსოფლიო წესრიგის“ ცნება პირველმა – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა გამოიყენა, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ცნება კი – აშშ-ის პრეზიდენტ ჯ. ბუშს (უფროსი) ეკუთვნის (მექვაბიშვილი, 2025). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად მსოფლიო წესრიგის ფენომენი, გაცილებით, ადრე გაჩნდა, ვიდრე მისი აღმნიშვნელი ცნება. კერძოდ, ის უკავშირდება ვესტფალიის 1648 წლის ისტორიულ ზავს, რომელმაც დაასრულა ოცდაათწლიანი სისხლისმღვრელი ომი ევროპის კონტინენტზე და დასაბამი მისცა ერი-სახელმწიფოების წარმოშობას და მათ შორის ურთიერთობებს, ანუ საერთაშორისო ურთიერთობებს. მსოფლიო (საერთაშორისო) წესრიგამდე იმჟამინდელი მსოფლიო ცხოვრობდა საყოველთაო უწესრიგობაში, სადაც „ყველა იბრძოდა ყველას წინააღმდეგ“. თუმცა, ასეთ პირობებშიც კი, ცივილიზაციის განვითარების პროცესი არ შეწყვეტილა, მაგრამ მას სტიქიურ-ქაოტური ფორმა ჰქონდა, რაც მიმდინარეობდა ძველის განადგურების და ახლის წარმოშობის დიქტომიით: აუტანელი უწესრიგობიდან იბადებოდა ახალი საზოგადოებრივი კავშირები და ყალიბდებოდა მდგრადი საზოგადოებრივი მდგომარეობა. რაც შეეხება „სისტემურ წესრიგს“ და „საზოგადოებრივ ორგანიზაციას“, ისინი შესაძლებელია არსებობდნენ მხოლოდ ერი - სახელმწიფოს ფარგლებში.

მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი, რომლის ღერძი იყო აშშ-ის და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება „ცივი ომის“ რეჟიმით.

1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირისა და მასთან ერთად, მთელი სოციალისტური ბანაკის დაშლით დასრულდა ორპოლუსიანი წესრიგის ეპოქა და დაიწყო ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი აშშ-ის სრული დომინირებით, რომელიც ცნობილია – “Pax-Americana”-ს („მსოფლიო ამერიკულად“, ანუ „ამერიკული მსოფლიო“) სახელწოდებით. ეს იყო მსოფლიო წესრიგის ნეოლიბერალური მოდელი, რასაც ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ფ. ფუკუამა, კაცობრიობის საუკეთესო ფორმად მიიჩნევდა და „ისტორიის დასას-

რულს“ უწოდებდა (Fukuama, 1992, 2002). ეს ნეოლიბერალური მოდელი, ამჟამად, ღრმა კრიზისს განიცდის, აქტუალური ამოცანაა მისი ძირეული შეცვლის საკითხი და ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

მსოფლიო წესრიგის ორგანული შემადგენელი ნაწილი და ქვაკუთხედი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგია. ამ ორ კატეგორიას შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირი არსებობს: ერთი მხრივ, მსოფლიო წესრიგს საფუძვლად უდევს შესაბამისი ეკონომიკური წესრიგი, მეორე მხრივ კი - მსოფლიო წესრიგი აყალიბებს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონსტრუქციას და განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების მთავარ პარამეტრებს.

გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ეს დიალექტიკა, დღეს მსოფლიო განვითარების მაგისტრალური მიმართულების განმსაზღვრელია.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი შეიძლება განიმარტოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოების, ტრანსნაციონალური კომპანიების ქცევის, მათ შორის დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი პრინციპების, კანონების, ნორმებისა და შესაბამისი ზენაციონალური ინსტიტუტების (სტრუქტურების) ერთობლიობა.

არსებული მსოფლიო ეკონომიკური (ნეოლიბერალური) წესრიგი ე.წ. Wallstreet-ის მოდელის ჩარჩოში უნდა განვიხილოთ, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავისუფალი ვაჭრობა, ფინანსური რესურსის (კაპიტალის), საქონლის და მომსახურების, სამუშაო ძალის დაუბრკოლებელი ტრანსსაზღვრითი გადაადგილება, მიწოდების გლობალური ჯაჭვების შეუფერხებელი ფუნქციონირება, ტრანსნაციონალური კორპორაციების გიგანტური გავლენა მაკრო და მეგა დონეზე მიმდინარე პროცესებზე.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის პოზიციების უკიდურესი დასუსტება, მსოფლიოში განაპირობებს ლიბერალური წესრიგის რღვევას, რაც ხაზგასმით აღინიშნება ბოლო პერიოდის მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების პრობლემებისადმი მიძღვნილ ფორუმებზე. მაგალითად, 2026 წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე (დავოსი, შვეიცარია). მიუნხენის უსაფრთხოების 62-ე კონფერენციის არაფორმალური სახელწოდება - „მიმდინარეობს ნგრევა“ (realpolitika, 2026), ამ თვალსაზრისით უაღრესად სიმპტომატურია.

დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე აღინიშნა, რომ, ჯერ ერთი, რღვევის პროცესი უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს და მეორე - „ჩვენ რღვევის მოწმენი ვართ და არა გარდამავალი ეტაპისა“ (Carney, 2026).

მაშასადამე, ძველი ეკონომიკური წესრიგის დანგრევა და ახლის ჩამოყალიბება გარდაუვალია. თუმცა, პროცესი ეს-ეს არის დაიწყო და შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრა, თუ როგორ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს ახალი

ეკონომიკური წესრიგი. თუმცა, სახეზეა პროცესები, რასაც მსოფლიო (გლობალური) ეკონომიკა ახალ მდგომარეობამდე მიჰყავს, რისი ადეკვატურიც იქნება ახალი წესრიგიც. კერძოდ:

1. ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის არქიტექტურა ორ მთავარ გლობალურ აქტორს - აშშ-სა და ჩინეთს შორის მწვავე სტრუქტურული კონკურენციის პირობებში ყალიბდება (Papava, 2025). კონკურენციაში წინა პლანზე გადმოდის ტექნოლოგიები, ეკონომიკა და სტრატეგიულ რესურსებზე (გაზი, ნავთობი, იშვიათი ლითონები და სხვ.) კონტროლი. თითოეულ კონკურენტს გააჩნია, როგორც უპირატესობები, ასევე, სისუსტეები. განსაკუთრებით, აშშ-ის მთავარი უპირატესობა მაღალი ტექნოლოგიებია, თუმცა, ჩინეთი, ბოლო პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით თვალსაჩინო შედეგებს აღწევს, განსაკუთრებით, ხელოვნური ინტელექტით და „ჰუმანოიდური რობოტების“ წარმოებაში, რითაც ის თანდათან ამცირებს აშშ-თან ჩამორჩენას.

აშშ-სთვის სერიოზული პრობლემაა ნაწილობრივი დეინდუსტრიალიზაცია, რაც სისტემატურად აღინიშნება თავად ამ ქვეყნის მაღალი დონის წარმომდგენელთა მხრიდან. აშშ-ის პოლიტიკურმა და ბიზნესელიტამ, თავის დროზე, სერიოზული შეცდომა დაუშვა ინდუსტრიის დიდი ნაწილის ჩინეთში გადატანით, რაც ამ უკანასკნელისთვის ორმაგი სარგებლის მომტანი აღმოჩნდა. პირველი – ჩინეთში შევიდა მოწინავე ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ და ა.შ. და მეორე – გაიზარდა დასაქმება, შემოსავლები, რამაც ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება გამოიწვია და ხელი შეუწყო, ჩინეთის ეკონომიკაში მოთხოვნის მხრიდან წარმოქმნილი პრობლემის შერბილებას, თუმცა, ეს პრობლემა ქვეყნისთვის ჯერ კიდევ დღის წესრიგში რჩება. მოდუნებული საშინაო მოთხოვნის ჩანაცვლებას ჩინეთი ცდილობს საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის გაძლიერებით.

2. ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაზე უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენს „ეკონომიკური ნაციონალიზმის“ (რასაც ზოგჯერ „ნეომერკანტილიზმსაც“ უწოდებენ) აღზევება აშშ-ში. სახელმწიფოში, რომელიც განვლილი ათწლეულების განმავლობაში ლიბერალიზმთან შერწყმული გლობალიზმის ბირთვი და მთავარი მედროშე იყო.

„ახალი ეკონომიკური ნაციონალიზმი“ აშშ-ში MAGA-ს ჩარჩოში განიხილება. აშშ-ის ვაჭრობის მინისტრმა ჰოვარდ ლუტნიკმა, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა, როგორც ამ დოქტრინის აღორძინების მიზეზები, ასევე, მისი მთავარი შინაარსი (Lutnick, 2026).

ლუტნიკი და მასთან ერთად აშშ-ის მთელი ამჟამინდელი ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ „გლობალიზაციამ დასავლეთს და, განსაკუთრებით, აშშ-ს არ გაუმართლა. ეს იყო წარუმატებელი პოლიტიკა, რამაც ამერიკა და ამერიკელი მუშები უკანა პლანზე დატოვა“. მიზეზი იყო „მრავალი წლის განმავლობაში არსებული სისტემა, სადაც ამერიკის ეკონომიკური ძალა დანარჩენ მსოფ-

ლიოს გადაეცემოდა, რის გამოც, ამერიკელი მოქალაქეები ზარალდებოდნენ“ (იგივე წყარო).

ახალი ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინა პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას გულისხმობს: „არცერთ ქვეყანას არ უნდა, ჰქონდეს დამოკიდებულება სხვა ქვეყანაზე კრიტიკულად მნიშვნელოვან სექტორებში“ და აქედან გამომდინარე „აშშ-ის პირდაპირი მიზანია ეროვნული ინდუსტრიის, ეკონომიკური სუვერენიტეტის და ამერიკელი მუშების ინტერესების დაცვა, იმ გლობალური წესრიგის შეცვლა (ჩვენი ხაზგასმა – პაპავა, მექვაბიშვილი), რამაც დასავლეთის ქვეყნები ეროვნული წარმოების და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გარეშე დატოვა“ (Lutnick, 2026).

ახალი ეკონომიკური ნაციონალიზმის („ნეომერკანტილიზმის“) დოქტრინა დღეს მწვავე დისკუსიის საგანია. ბევრი მისი კრიტიკოსი მასში ხედავს 1930-იანი წლების პროტექციონიზმის და ავტარკიის განმეორების საფრთხეს, რაც, მაშინ მსოფლიოში დიდი კატაკლიზმების მთავარი დეტონატორი გახდა. ამასთან ერთად, ახალი ეკონომიკური ნაციონალიზმი მთავარი წყალგამყოფია ეროვნული სახელმწიფოს მომხრეებსა და გლობალიზმის იდეოლოგიებს შორის, რადგან ის ეკონომიკურ პრობლემებს ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების პოზიციიდან განიხილავს და მიიჩნევს, რომ ეკონომიკა ერს უნდა ემსახურებოდეს, სახელმწიფო კი – ერის ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს.

ახალი ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინას აშშ-ში საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს, ტრადიციების მიმდევარი და დამცველი, ამერიკელ მოქალაქეთა დიდი ნაწილის სახით.

3. ახალი ეკონომიკური ნაციონალიზმის გაძლიერების ფონზე სერიოზულ კრიზისს განიცდის თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინა, რაც ლიბერალური მსოფლიო წესრიგის ფუნდამენტი იყო. „ყველასთვის სასარგებლო ვაჭრობის“ პრაქტიკას ანაცვლებს აგრესიული სატარიფო პოლიტიკა და „სატარიფო ომები“, ჭარბად გამოიყენება სატარიფო ინსტრუმენტები საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

4. ახალი ეკონომიკური წესრიგის ძირულ ცვლილებაზე მიანიშნებს საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების მხრიდან პროცესების მართვის ეფექტიანობის საგრძნობი დაქვეითება, რაც თავის მხრივ, მათ მიმართ აშშ-ის დამოკიდებულების შეცვლის პირდაპირი შედეგია. აშშ-ის ადმინისტრაცია და ბიზნესელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო დონეზე „ყველაფერი ზედმეტადაა დარეგულირებული, რაც ხელშემშლელია ცოცხალი პროცესისთვის“. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას რეგულირების არეალისა და მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციათა შეზღუდვის აუცილებლობა.

მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, როგორც მსოფლიო წესრიგის მეგასისტემის მდგენელი, თავის მხრივ, სავაჭრო, საფინანსო და სავალუტო წესრიგის ერთიანობაა. ამ ტრიადაში წამყვანი ადგილი სავაჭრო წესრიგს უკავია, თუმცა, ეკონომიკურ წესრიგზე დანარჩენი ორის გავლენა<sup>1</sup> ასევე, მნიშვნელოვანია. აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 1970-იანი წლების დასაწყისიდან ეკონომიკის მზარდი ფინანსიზაციის შედეგად, საფინანსო და სავალუტო ბაზრები საერთაშორისო ვაჭრობისგან დამოუკიდებელი რეჟიმით ვითარდებიან. ამ სფეროში განხორციელებულ გარიგებათა მოცულობა დიდად აღემატება საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას, რაც სავალუტო წესრიგის დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას იძლევა.

სტატიის მომდევნო ნაწილი, ისტორიული კონტექსტით, საერთაშორისო სავალუტო წესრიგის შესწავლას ეძღვნება. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა სწორად გავიგოთ მისი ახლანდელი მდგომარეობა და ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ მის პერსპექტივაზე.

### **მსოფლიო სავალუტო წესრიგის ჩამოყალიბების ეტაპები**

პირველი სავალუტო წესრიგი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა სამრეწველო რევოლუციის შემდეგ და 1867 წლის პარიზის კონფერენციაზე იურიდიულად გაფორმდა, რის გამოც, პირობითად, მას შეიძლება ეწოდოს პარიზის სავალუტო წესრიგი, ანუ ოქროს (ოქრომონეტური) სტანდარტი. ის ეფუძნებოდა შემდეგ სტრუქტურულ პრინციპებს:

- ოქრო აღიარებულ იქნა მსოფლიო ფულის ერთადერთ სახეობად;
- ფულის გარკვეული ერთეული უთანაბრდებოდა გარკვეული წონის ოქროს, ანუ ყოველ ეროვნულ ვალუტას ოქროს შინაარსი გააჩნდა;<sup>2</sup>
- ოქროს შემცველობიდან გამომდინარე მყარდებოდა სავალუტო პარიტეტი და ხდებოდა ოქროში ვალუტების თავისუფალი კონვერტაცია;
- ე.წ. „ოქროს წერტილების“ („gold points“) ფარგლებში, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე, მყარდებოდა თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმი;

1 ასეთ უკუკავშირზე ისტორიული გამოცდილებაც მოწმობს: 1930-იან წლებში მსოფლიოში მომხდარმა ვალუტების ქაოტურმა დევალვაციამ ხელი შეუწყო ვაჭრობის კატასტროფულ შემცირებას და ზოგადად, ეკონომიკის დაცემას, რასაც შედეგად მოჰყვა ავტარკიის გაძლიერება, ნაციონალიზმის აღზევა და მეორე მსოფლიო ომი. ომის შემდგომ პერიოდში პირიქით მოხდა: ახალი მსოფლიო (ბრეტონ-ვუდის) წესრიგის შექმნამ საერთაშორისო ვაჭრობის და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის ტემპების მაღალ ზრდას შეუწყო ხელი, თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში.

2 ოქროს შინაარსი 1816 წლიდან გააჩნდა ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს, 1837 წლიდან – ამერიკულ დოლარს, 1875 წლიდან – გერმანულ მარკას, 1878 წლიდან – ფრანგულ ფრანკს და ა.შ. (Eapp, 1995)

- კერძო პირებს შეეძლოთ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, როგორც ბანკოტების ოქროზე გაცვლა, ასევე ოქროს შეძენა;

- თავისუფალი იყო ქვეყნიდან ოქროს გატანა და შემოტანა.

ოქრომონეტური სტანდარტი ეფექტიანად ფუნქციონირებდა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, უზრუნველყოფდა რა საგადამხდელო ბალანსის შენარჩუნებას, ახალი წონასწორობის წერტილების ჩამოყალიბებას და ეროვნული ვალუტების სტაბილურობას. თუმცა, თანდათან მან ამოწურა საკუთარი თავი, ვინაიდან ის აღარ შეესაბამებოდა გართულებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს და რეგულირებადი ეკონომიკის მოთხოვნებს. პარიზის სავალუტო წესრიგის დაშლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა პირველმა მსოფლიო ომმა. მეომარი ქვეყნები, ომის დაფინანსებისთვის იძულებული გახდნენ საკუთარი ცენტრალური ბანკებიდან უზარმაზარი კრედიტები აეღოთ და შეეჩერებინათ თავიანთი ვალუტის ოქროში კონვერტირება. ომის დამთავრების შემდეგ, ევროპის ქვეყნებში დრამატულად შეიცვალა თანაფარდობა ფულის მასასა და ოქროს რეზერვებს შორის, აღმოცენდა ჰიპერინფლაცია, რამაც, მაგალითად, გერმანიაში კატასტროფული ხასიათი მიიღო და 1923 წელს ფულის შეცვლა გამოიწვია. ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, პარიზის საერთაშორისო სავალუტო წესრიგი დაინგრა და გაჩნდა ახალი სავალუტო წესრიგის ფორმირების აუცილებლობა.

1922 წელს, გენუის საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ოქრო-დევიზურ სტანდარტზე დაფუძნებული მსოფლიო სავალუტო წესრიგი (გენუის სავალუტო წესრიგი), რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო შემდეგი ნიშნები:

- სავალუტო წესრიგის საფუძველს წარმოადგენდა ოქრო და დევიზები, ანუ უცხოური ვალუტები;

- საერთაშორისო სავალუტო წესრიგი აერთიანებდა 30 სახელმწიფოს. მთავარი საერთაშორისო ვალუტა იყო ბრიტანული გირვანქა სტერლინგი და აშშ დოლარი;

- შენარჩუნებულ იქნა ოქროს პარიტეტები;

- აღდგენილ იქნა, ომის დროს დანგრეული ეკონომიკის პირობებში უარყოფილი, თავისუფლად მერყევი სავალუტო კურსი;

- საერთაშორისო დონეზე დაიწყო სავალუტო რეგულირება აქტიური სავალუტო პოლიტიკის გატარებით, რომლის მთავარი პრინციპები მუშავდებოდა სხვადასხვა კონფერენციასა და თათბირზე.

ახალმა საერთაშორისო სავალუტო წესრიგმა 1922-1938 წლებში ეფექტიანად იფუნქციონირა და მსოფლიო ეკონომიკაში ხელი შეუწყო შედარებით სტაბილური სიტუაციის შექმნას. ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა მსოფლიო საფინანსო და სავალუტო ცენტრების გადანაცვლებას დიდი ბრიტანეთის დე-

დაქალაქ ლონდონიდან – აშშ-ის ქალაქ ნიუ-იორკში. გადანაწილდა ოქროს რეზერვების.

1914-1921 წლებში ოქროს წმინდა შედინებამ (ძირითადად ევროპიდან) აშშ-ში – 2,3 მლრდ-ის ეკვივალენტი შეადგინა. 1924 წელს აშშ-ში თავმოყრილი აღმოჩნდა დასავლეთის ქვეყნების ოქროს მარაგის თითქმის – 46%, 1914 წლის – 23%-ის ნაცვლად. სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი აშშ-ის საფინანსო და მისგან გამომდინარე დოლარის ჰეგემონიას (Gilbert, 1998).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოქრო-დევიზური სტანდარტის ეფექტიანად ფუნქციონირების მიუხედავად, მოცემულ პერიოდში, ეპიზოდურად, ადგილი ჰქონდა ოქროსტანდარტზე დაბრუნების მცდელობას. პირველად ეს დიდმა ბრიტანეთმა გააკეთა 1925 წელს, საფრანგეთმა და აშშ-მ კი -1928 წელს. თუმცა, ასეთი პრაქტიკა დიდხანს არ გაგრძელებულა და დიდმა ბრიტანეთმა მასზე უარი თქვა 1933 წელს, საფრანგეთმა და აშშ-მ – 1935 წელს, ბელგიამ, ჰოლანდიამ და შვეიცარიამ – 1936 წელს. ამის მიზეზი იყო 1929 წელს აშშ-ში დაწყებული „დიდი დეპრესია“, რომელმაც მძიმე დარტყმა მიაყენა დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკას და დაანგრია „გენუის სავალუტო წესრიგის“ საფუძველზე არსებული სავალუტო სტაბილურობა. ქვეყნებს შორის არსებული გარკვეული სავალუტო წინააღმდეგობები კი ნამდვილ სავალუტო ომებში გადაიზარდა.

შესაძლებელია გამოვყოთ „დიდი დეპრესიის“ პერიოდის სავალუტო კრიზისის რამდენიმე ეტაპი:

სავალუტო კრიზისის პირველი ეტაპი (1929-1930წწ.) – უპირველეს ყოვლისა, ხასიათდებოდა კოლონიურ ქვეყნებში ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურებით. მეორე ეტაპზე (1931 წლის შუა პერიოდი) – მსოფლიო სავალუტო სისტემის ყველაზე სუსტი რგოლი აღმოჩნდა გერმანია და ავსტრალია. გერმანია სხვა ქვეყნებისგან ვეღარ იღებდა კრედიტებს. პირიქით, ადგილი ჰქონდა უცხოური კაპიტალის მასობრივ გადინებას, ოფიციალური ოქროს რეზერვის მკვეთრ შემცირებასა და მწვავე საბანკო კრიზისს. ყოველივე აღნიშნულის გამო, შემოღებულ იქნა მკაცრი სავალუტო შეზღუდვები, შეწყდა რაიხსმარკის ოქროზე კონვერტირება. გერმანიამ უარი თქვა საგარეო ვალუტის გადახდაზე და ავტარკიის გზას დაადგა. ეროვნული ვალუტის ოქროში კონვერტირებაზე ასევე, უარი თქვა დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ, რამაც გამოიწვია გირვანქა სტერლინგის 30%-იანი და დოლარის 50%-იანი გაუფასურება. ამავე პერიოდში კრახი განიცადა ე.წ. „ოქროს ბლოკმა“, რაც საფრანგეთს, შვეიცარიას და ბელუქსის ქვეყნებს აერთიანებდა. მესამე ეტაპზე (1931 წლის შემოდგომიდან – 1933 წლის გაზაფხულამდე პერიოდი) ოქროს კონვერტირება შეწყდა დიდ ბრიტანეთის თანამეგობრობისა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებსაც დიდ ბრიტანეთთან, განსაკუთრებით მჭიდრო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ და ასევე, განიცადეს ეროვნული ვალუტის მასობ-

რივი დევალვაცია. მეოთხე ეტაპზე (1933 წლის გაზაფხული) – ოქრომონეტური სტანდარტი გაუქმდა აშშ-შიც. ნაციონალური კომპანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამალღების მიზნით, აშშ, ოქროს მასობრივი შესყიდვის გზით, ხელოვნურად ამცირებდა დოლარის კურსს, რამაც 1934 წლის იანვარში, ოქროსთან მიმართებით, დოლარი 40%-ით გააუფასურა 1929 წლის, ანუ დიდი დეპრესიის დაწყების პერიოდთან შედარებით (Spence, 2024). უნცია ოქროს ოფიციალური ფასი კი 20,67-დან – 35 დოლარამდე გაიზარდა. აქვე, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საგრძნობ დანაკარგებთან ერთად, აშშ-მ ამ კრიზისიდან მისთვის სასარგებლო შედეგებიც მიიღო. კერძოდ, აღნიშნული ფასით (1უნც.ოქრო – 35დოლ.) მან უცხოეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკებისთვის დოლარის ოქროზე გაცვლის ვალდებულება აიღო, რითაც ხელი შეუწყო საკუთარი ვალუტის საერთაშორისო პოზიციის გაძლიერებას.

ამრიგად, დიდი დეპრესიის ზეგავლენით გენუის საერთაშორისო სავალუტო წესრიგმა, არსებითად, დაკარგა ეფექტიანობა, სტაბილურობა და ელასტიკურობა, თუმცა, მისი კრახი მხოლოდ ამ ფაქტორით არ შემოიფარგლება. ასევე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომმა და ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილმა ვითარებამ, კერძოდ, მისმა ასიმეტრულმა ხასიათმა. ერთ მხარეს არსებობდა აშშ-ის ეკონომიკა, რაც იარაღის წარმოებისა და ევროპის ქვეყნებისთვის მიწოდების ნიადაგზე, სწრაფად იზრდებოდა და მეორე მხარეს იყვნენ ომისგან დანგრეული და ძალაგამოცლილი ევროპის ქვეყნები, რომლებიც კრედიტორებიდან – მოვალეებად გადაიქცნენ და ინფლაციის მარწეხებში მოექცნენ. საერთაშორისო სავალუტო წესრიგი ამ რელობას უნდა მორგებოდა, რაც განხორციელდა ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების ფორმით.

ბრეტონ-ვუდსის, რიგით მესამე, მსოფლიო სავალუტო წესრიგის შექმნის შესახებ გადანყვეტილება 1943 წელს, ჯერ კიდევ, ომის მიმდინარეობისას იქნა მიღებული. წარდგენილი იყო ორი პროექტი: ბრიტანული – ჯ.მ. კეინზის და ამერიკული – აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს სავალუტო კვლევების განყოფილების უფროსის ჰ. დ. ვაითის ავტორობით. კეინზის პროექტით, უნდა შექმნილიყო საერთაშორისო ბანკი და გამოშვებულიყო საერთაშორისო ვალუტა „ბანკორი“, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის მიმდინარე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოახდენდა ფულადი სახსრების შეკუმშვას ან გაფართოებას, რითაც ერთგვარი ბუფერის როლს შეასრულებდა ინფლაციურ ან დეფლაციურ პროცესებში. ვაითის პროექტი კი - ითვალისწინებდა მოდიფიცირებული ფორმით ოქროსსავალუტო სტანდარტზე დაბრუნებას. ასევე, ის გულისხმობდა საერთაშორისო ბანკის შექმნას, რაც შეასრულებდა „საერთაშორისო საკომპენსაციო პალატის“ როლს (Bapp, 1995). საბოლოოდ, მოხერხდა ამ ორ პროექტს შორის

კომპრომისის მიღწევა, რადგან ორივე შეიცავდა რიგ ფუნდამენტურ საერთო იდეას. კერძოდ:

- საერთაშორისო ვაჭრობის და ფინანსების თავისუფლება;
- საერთაშორისო სავალუტო წონასწორობის დაცვა სტაბილური სავალუტო კურსების საფუძველზე;
- სავალუტო სფეროში საერთო წესების შემუშავება, პარტნიორთა შორის გაფორმებული, შეთანხმებების საფუძველზე;
- ოქროსტანდარტის შეცვლა ოქროსავალუტო სტანდარტით;
- საერთაშორისო კლირინგის მექანიზმის შექმნა, რაც უზრუნველყოფდა საერთაშორისო გადახდების სტრუქტურული დეფიციტის დაფინანსებას;

ბრეტონ-ვუდის შეთანხმებით შეიქმნა მსოფლიო სავალუტო წესრიგის ორგანიზაციული სტრუქტურა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) სახით, განისაზღვრა მისი მთავარი ამოცანები, რაც მას ავალდებდა საერთაშორისო ვაჭრობის მაქსიმალურ ხელშეწყობასა და ეროვნული ვალუტების დევალვაციის წინააღმდეგ ქმედებებს. სსფ-ის რეზერვის მოცულობა იყო 7,7 მლრდ აშშ დოლარი, რაც სრულად შეესაბამებოდა იმ დროის საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბებს.

თავდაპირველად, ძირითადი სარეზერვო ვალუტა იყო დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი და აშშ დოლარი. მოგვიანებით ეს ფუნქცია მთლიანად დოლარს დაეკისრა. შეაბამისად, ლოგიკურია, რომ სამი ათეული წლის განმავლობაში ბრეტონ-ვუდის მსოფლიო სავალუტო წესრიგის ბედ-იღბალი, მთლიანად დოლარზე იყო „მიბმული“.

დოლარის გაძლიერება და წამყვან მსოფლიო ვალუტად გადაქცევა დიდი დეპრესიის შემდეგ დაიწყო და მას ობიექტური საფუძველიც ჰქონდა აშშ-ის ეკონომიკის გაძლიერების და მსხვილ საერთაშორისო კრედიტორად გადაქცევის სახით.

1920-1930 წლებში დოლარი ერთადერთი იყო დასავლეთის ქვეყნების ვალუტებს შორის, რაც თავისუფლად იცვლებოდა ოქროზე. დიდი დეპრესიის დასრულების შემდეგ დოლარის ოქროსთან ახალი პარიტეტის დაწესებამ (1 უნცია ოქრო – 35 აშშ დოლარი), აშშ-ში უზარმაზარი ფინანსური ნაკადები შეადგინა, არნახულად გაიზარდა ოქროს მარაგი, რამაც აბსოლუტურ სიდიდეში 22 მლრდ დოლარი, ანუ მსოფლიო მარაგის 3/4 შეადგინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის ეკონომიკა ნანგრევებში იმყოფებოდა, აშშ-ის ეკონომიკა კი – აღმავლობას განიცდიდა, რომელსაც კოლოსალური დანაზოგები გააჩნდა, საწარმოო სიმძლავრეები მაქსიმალურად იყო დატვირთული და დიდი მოცულობის მონყობილობა-დანადგარებს, მასობრივი მოხმარების საგნებს აწარმოებდა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიას დოლარში მიეწოდებოდა. შესაბა-

მისად, მათი მხრიდან დიდი მოთხოვნა იყო დოლარზე. ასევე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აშშ-ის ევროპისთვის კაპიტალის მიწოდებამ, რაც თავდაპირველად, სახელმწიფო კაპიტალის („მარშალის გეგმის“ ფარგლებში – წელიწადში 2-3 მლრდ დოლარი), ხოლო შემდეგ, კერძო კაპიტალის, ანუ ამერიკის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ აქტივების შექმნის, ფორმით განხორციელდა. შესაბამისად, დოლარი სულ უფრო მეტი მოცულობით აკუმულირდებოდა სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტსა და სახელმწიფო ცენტრალურ ბანკებში, როგორც ყველაზე საიმედო ინსტრუმენტი. მაშასადამე, დოლარის დომინაცია და მისი, როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების, ასევე, სავალუტო რეზერვის მთავარ ინსტრუმენტად გადაქცევა კანონზომიერი მოვლეა იყო, რასაც განაპირობებდა:

ა) ვალუტის ემიტენტი ქვეყნის წამყვანი როლი საერთაშორისო ეკონომიკურ, საფინანსო-სავალუტო ურთიერთობებში და ბ) სავალუტო ბაზრის განვითარების მაღალი დონე, რაც უცხოეთის ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს ამ ბაზარზე საკუთარი მოკლევადიანი დაბანდებების განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა.

მთლიანად 1950-იანი წლები, დოლარის „მეფობის“ პერიოდი, რადგან ამ დროს, სწორედ დოლარია ოქროში კონვერტირებადი ერთადერთი ვალუტა და ოქროს მარაგების უდიდესი ნაწილი აშშ-ია თავმოყრილი, მაშინ როდესაც, სხვა ქვეყნები თავიანთი ვალუტების მხოლოდ ნაწილობრივ კონვერტაციას ახერხებენ და ისიც, სავალუტო ბაზრებზე დოლარის ინტერვენციის საშუალებით. „ძლიერი“ დოლარის საფუძველზე ეფექტიანად ფუნქციონირებს ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო წესრიგი, რაც ხელს უწყობდა მსოფლიო ეკონომიკის მაღალი ტემპებით მყარ ზრდას სამი ათეული წლის განმავლობაში.

1960-იანი წლებიდან იწყება „სუსტი“ დოლარის ეპოქა, რაც 1970-იანი წლების შუახანებამდე გაგრძელდა. ამის სხვადასხვა მიზეზთა შორის, აღსანიშნავია აშშ-ის საგადამხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, ორმა ფაქტორმა განაპირობა: კეინზიანური მოდელის ჩარჩოში ბიუჯეტის ხარჯების სისტემატურმა ზრდამ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ დოქტრინის რეალიზებისთვის და ვიეტნამში გაჭიანურებულმა ომმა. აშშ-ის ოქროს მარაგები სწრაფად მცირდებოდა<sup>1</sup>, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, დასავლეთ ევროპის ბანკები ცდილობდნენ სიტუაცია არ გაემწვავებინათ, დოლარის პრობლემები მსოფლიო ეკონომიკაში სერიოზული ინფლაციის მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა. დოლარის მწვავე კრიტიკით, პირველად, გამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი, რომელმაც აღნიშნა, რომ დოლარზე დაფუძნე-

1 მაგალითად, აშშ-ის ოფიციალური ოქროს მარაგები 1940წ. შეადგენდა 25 მლრდ დოლარის ეკვივალენტს, 1960 წ. -17 მლრდ, ხოლო 1970წ. მხოლოდ 11 მლრდ-ის ეკვივალენტს.

ბული სავალუტო წესრიგის ფუნდამენტი საგრძნობლად შეირყა და ის ვეღარ პასუხობდა მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილ სიტუაციას, რაც გამოიხატებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ვალუტების განმტკიცებაში - აშშ-ის ვალუტის შესუსტების ფონზე. ამერიკა ამ ქვეყნებს აიძულებდა აშშ-ის საგადასახადო ბალანსის დეფიციტის მნიშვნელოვანი ნაწილის შევსებას. მანვე წამოაყენა ოქროს სტანდარტზე დაბრუნების წინადადება, რაც არ იქნა მხარდაჭერილი, რადგან ეს ნიშნავდა ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო წესრიგის დაუყო-ნებლივ ლიკვიდაციას, რისი დროც ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი.

1970-იანი წლების დასაწყისში ეს დროც დადგა. მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა პრეზიდენტ რ. ნიქსონის მიერ 1971 წლის 15 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება, რითაც შეწყდა ოქროში დოლარის კონვერტირება და მოხდა ვალუტის მცურავ კურსზე გადაყვანა. იგივე გააკეთა დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულმა სხვა ქვეყნებმაც. სიტუაცია გაამწვავა აშშ-ის მიერ 10%-იანი საბაჟო გადასახადის დაწესებამ, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებთან.

1970-იანი წლების შუა პერიოდში ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო წესრიგის კრახი აშკარა გახდა და გამოვლენის შემდეგი ფორმები მიიღო:

- „სავალუტო ციებ-ცხელება“, ანუ ე.წ. „ცხელი ფულის“ მასის და მოძრაობის სიჩქარის სწრაფი გაზრდა; ეკონომიკურ აგენტებში უარყოფითი მოლოდინის გაღრმავება, რაც იწვევდა გაუფასურების საფრთხეში მყოფი ვალუტების მასობრივ გაყიდვას და გამყარების მოლოდინში მყოფი ვალუტების ასევე, მასობრივ შესყიდვას;
- „ოქროს ციებ-ცხელება“: არასტაბილური ვალუტების ოქროში კონვერტირების მასობრივი მცდელობა, რაც ოქროს ფასის განუხრელ ზრდას განაპირობებდა;
- საფონდო ბირჟებზე განვითარებული პანიკა და ვალუტების კურსის მკვეთრი ცვლილების მოლოდინში, ფასიანი ქაღალდების ფასები დაცემა;
- საერთაშორისო სავალუტო ლიკვიდობის პრობლემის გამწვავება;
- ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო წესრიგის სტრუქტურული პრინციპების დარღვევა.

ბუნებრივია, აშშ და სხვა ინდუსტრიული ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობდნენ არსებული პრობლემებიდან თავის დაღწევას, რამაც ისინი პალიატურ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა და შედეგად, - 1971 წლის დეკემბერში გაფორმდა სმიტსონის ხელშეკრულება. ეს იყო „სულის მოთქმის“ მცდელობა, რათა სათანადოდ მომზადებულიყვნენ ახალი მსოფლიო სავალუტო წესრიგის შესაქმნელად.

შეთანხმების ფარგლებში გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაუქმდა აშშ-ის მიერ დაწესებული საიმპორტო-საბაჟო გადასახადი;

- განხორციელდა დასავლეთის ქვეყნების ეროვნული ვალუტების დე-ვალვაცია-რევალვაციის პროცესი: აშშ-ის დოლარი დევალვირდა – 7,9%-ით, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი – 5,3%-ით. იაპონიის იენა რევალვირდა – 7,7%-ით, დასავლეთ გერმანიის მარკა – 4,6%-ით, ჰოლანდიური გულდენი და ფრანგული ფრანკი – 2,8%-ით (Bapp, 1995);

- ფრანგული ფრანკის პარიტეტი არ შეცვლილა, მაგრამ უნცია ოქროს ფასი – 35-დან – 38 დოლარამდე გაიზარდა, რაც 1934 წლიდან უცვლელი იყო. თუმცა, არ მომხდარა ოქრომონეტურ სტანდარტზე დაბრუნება და დოლარის ოქროზე თავისუფალი გაცვლის აღდგენა.

სმიტსონის ხელშეკრულება, ფაქტობრივად, დოლარს დაეხმარა „სახის შენარჩუნებაში“, რათა მას არ დაეკარგა თავისი წამყვანი როლი მსოფლიო სავალუტო ბაზარზე.

1971 წლიდან – 1976 წლამდე პერიოდი, მსოფლიო სავალუტო წესრიგის ისტორიაში, შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ „გარდამავალ ეტაპად“, როდესაც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის სავალუტო ურთიერთობების ჩარჩო-პირობების შეთანხმების რთული პროცესი მიმდინარეობდა, ინტენსიურად განიხილებოდა ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო წესრიგის „პირმ-შოს“ – საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი და პერსპექტივა, ყალიბდებოდა ახალი მსოფლიო სავალუტო წესრიგის პირველი კონტურები.

ამრიგად, ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო წესრიგის კრახმა წარმოშვა ახალი საერთაშორისო სავალუტო წესრიგის აუცილებლობა, რასაც საფუძველი ჩაეყარა იამაიკის ქ. კინგსტონში – 1976 წელს გამართულ კონფერენციაზე, ანუ ჩამოყალიბება დაიწყო რიგით მეოთხე – იამაიკის მსოფლიო სავალუტო წესრიგმა, რომლის თეორიულ – მეთოდოლოგიური საფუძველი იყო ნეოკლასიკური მოძღვრება, როგორც ერთგვარი რეაქცია კეინზიანური თეორიის კრიზისზე, რასაც ბრეტონ-ვუდსის წესრიგის ჩარჩოში სავალუტო რეგულირების პრაქტიკა ეფუძნებოდა.

საერთაშორისო სავალუტო წესრიგის ფარგლებში ნეოკლასიკოსები მოითხოვდნენ ოქროს როლის გაზრდას. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად რუეფი, რომელიც ფრანგული ნეომეტალიზმის ფუძემდებელია, ოქროს სტანდარტზე დაბრუნების აუცილებლობასაც ქადაგებდა. მის მოსაზრებას, გარკვეული მოდიფიცირებით, იზიარებდნენ ფრიდმანი, მაჰლუპი და სხვები. ისინი მხარს უჭერდნენ სავალუტო ბაზრის თვითრეგულირებას, ილაშქრებდნენ სავალუტო სფეროს ნებისმიერი რეგულირების წინააღმდეგ და უპირატესობას ანიჭებდნენ მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმს. იამაიკის კონფერენციის წინა პერიოდში, დისკუსიებმა აკადემიური წრეებიდან, ბიზნესმენთა და პოლიტიკოსთა წრეებში გადაინაცვლა.

იამაიკის მსოფლიო სავალუტო წესრიგის ფუნქციონირება დაეფუძნა შემდეგ პოსტულატებს:

- საბოლოოდ, უარყოფილ იქნა ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო წესრიგის ფუნდამენტური პრინციპი – ფიქსირებული პარიტეტები და მოხდა მცურავ სავალუტო კურსზე გადასვლა;

- სავალუტო წესრიგში მონაწილე ქვეყნებს, სავალუტო რეჟიმების დაფიქსირების თავისუფლება მიეცათ, სსფ-ის მიერ დადგენილი, შემდეგი სამი პრინციპის გათვალისწინებით:

- სავალუტო კურსის მანიპულირების აკრძალვა;

- საშინაო სავალუტო ბაზარზე ნებისმიერი ვალუტის მოკლევადიანი მკვეთრი რყევების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ინტერვენციების განხორციელების ვალდებულება;

- სავალუტო წესრიგის მონაწილე ქვეყნებს შორის პარტნიორული ვალდებულების უპირობო დაცვა.

- ოქროდევოზური სტანდარტის ნაცვლად შემოღებულ იქნა SDR-ის სტანდარტი, როგორც მთავარი საერთაშორისო საანგარიშსწორებო ვალუტა;

- იურიდიულად დასრულდა ოქროს დემონეტოზაცია: გაუქმდა მისი ოფიციალური ფასი და ოქროს პარიტეტი, შეწყდა დოლარის ოქროზე გაცვლა. ოქრო უკვე აღარ წარმოადგენდა ღირებულების საზომს და სავალუტო კურსის ათვლის წერტილს;

- დაფიქსირდა საერთაშორისო სავალუტო წესრიგის რეგულირებაში სსფ-ის გაზრდილი როლი, რაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის განმტკიცებისთვის, განსაკუთრებით, აშშ-სა და დასავლეთის სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ე.წ. „სანავთობე შოკების“ ზეგავლენით განვითარებულ მწვავე პრობლემების ფონზე.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ამ პრობლემებს ხშირად ადარებენ 1930-იანი წლების კრიზისს, რომელმაც იმ დროს საერთაშორისო ვაჭრობის და საერთაშორისო სავალუტო წესრიგის დანგრევა გამოიწვია.

იამაიკის მსოფლიო წესრიგს გარკვეული მემკვიდრეობითი კავშირი გააჩნია წინა სავალუტო წესრიგთან, რაც იმით გამოიხატება, რომ – SDR ფაქტობრივად არის აშშ დოლარის მოდიფიცირებული (შენიღბული) ფორმა. ამასთანავე, იამაიკის მსოფლიო წესრიგი, ბრეტონ-ვუდსის წესრიგთან შედარებით, უფრო მოქნილად და ეფექტიანად ფუნქციონირებდა, თუმცა, სერიოზული ხარვეზები ჰქონდა. მაგალითად, SDR-ს ოქროსგან განსხვავებით, საკუთარი ღირებულება არ გააჩნია და პერიოდულად, დღის წესრიგში დგებოდა მისი სირთულეების უზრუნველყოფა.

1974 წელს, მცურავ სავალუტო კურსზე გადასვლიდან გამომდინარე, გაუქმდა SDR-ის ოქროს შინაარსი, რის გამოც, ის ვერ გახდა საერთაშორისო საან-

გარიშხორებო და დაგროვების სრულფასოვანი ინსტრუმენტი. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ დღეს სულ უფრო ხშირად მსჯელობენ მსოფლიო სავალუტო წესრიგში ოქროს როლის აღდგენაზე და როგორც SDR-ის, ასევე დოლარის ოქროთი ჩანაცვლებაზე. ამ საკითხს ჩვენ უფრო დაწვრილებით სტატიის მომდევნო თავში შევხებით.

### **ჰოსტიამიკის მსოფლიო სავალუტო წესრიგი: სავალუტო გლობალიზაციიდან – სავალუტო გეოპოლიტიკამდე**

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის დაიწყების შემდეგ, დასავლეთმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუნესა (BBC, 2024), რამაც მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი რადიკალურად შეცვალა. გლობალური ეკონომიკის არქიტექტურასთან ერთად (Papava, 2022a), იცვლება გლობალური სავალუტო სისტემაც.

ჯერ კიდევ COVID-19 პანდემიის დაწყებამდე, ერთპოლუსიანმა მსოფლიო წესრიგმა, რომელსაც აშშ ედგა სათავეში, დააჩქარა ჰიპერგლობალიზაციის პროცესი (Rodrik, 2011, 2022). ჰიპერგლობალიზაციამ კი – დიდწილად ხელი შეუწყო ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებას, რაც ნათლად ადასტურებს გლობალიზაციისა და მსოფლიო წესრიგის ურთიერთკავშირს (მაგალითად, Amadi, 2020; Ardalani, 2012).

ერთპოლუსიანმა მსოფლიო წესრიგმა და ჰიპერგლობალიზაციამ დიდწილად განსაზღვრა მსოფლიო სავალუტო წესრიგი, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობაში ლიდერობა გლობალურ სარეზერვო ვალუტას – აშშ დოლარს ეკუთვნოდა. კერძოდ, 2000 წლისთვის, ყველა სავალუტო რეზერვის 70%-ზე მეტი აშშ დოლარზე მოდიოდა, და მისი დომინირება საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს უფრო და უფრო მეტი დოლარის სესხებისკენ უბიძგებდა (Fofack, 2024b). აქედან გამომდინარე, აშშ დოლარი, როგორც მსოფლიოს მთავარი სარეზერვო ვალუტა, აშშ-ის ინტერესების გასაძლიერებლად გამოიყენებოდა (Fofack, 2024a). აშშ დოლარის აშკარა დომინირება, როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე, მსოფლიო სავალუტო რეზერვებში შეიძლება დახასიათდეს, როგორც სავალუტო გლობალიზაცია.

დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა აშშ დოლარის გლობალურ დომინირებაზე ზეგავლენა იქონია. უკრაინაში ომის დაწყებამდე, რუსეთის სავალუტო რეზერვების ერთი მეხუთედი დოლარში იყო, რისი მნიშვნელოვანი ნაწილი განთავსებული იყო გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში, რომლებიც ამჟამად, დასავლეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, მოსკოვის გლობალური ფინანსური სისტემისგან იზოლირებას ახორციელებენ (Wheatley, Smith, 2022). აშშ დოლა-

რის, როგორც დომინანტური გლობალური ვალუტის პოზიციის შესუსტების კონტექსტით, განსაკუთრებულ როლს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ მფლობელობაში არსებული რუსეთის თითქმის 300 მლრდ დოლარის გაყინული აქტივების გამოყენების შესაძლებლობის ფართოდ განხილვა წარმოადგენს (Booker, Conner, Wessel, 2024).

აღსანიშნავია, რომ დოლარის, როგორც გლობალური სარეზერვო ვალუტის სტატუსი მცირდება, არამხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორების, არამედ აშშ-ის ფისკალური პოლიტიკის გამოც, რის შედეგადაც ჩინეთის, ჰონგ კონგის, ტაილანდის და არაბთა გაერთიანებულ საამიროების ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს აშშ დოლარი სულ უფრო ნაკლებად სჭირდებათ (Bleicher, Lipsky, 2024). საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში აშშ დოლარის სხვა ვალუტებით ჩანაცვლება, რაც გეოპოლიტიკითაა განპირობებული, ამცირებს დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის როლს, თუმცა, პრინციპში – ეს უკანასკნელი ნულამდე მაინც ვერ იქნება დაყვანილი (Weiss, 2022).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ დოლარის დომინირება ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაშიც მერყეობდა. კერძოდ, თუ 1970 წელს ამ ვალუტის წილი მსოფლიო რეზერვებში 80% იყო, 1980 წლისთვის ეს მაჩვენებელი 58%-მდე, ხოლო 1990 წლისთვის კი 47%-მდე დაეცა, თუმცა 2000 წლისთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლავ გაიზარდა 70%-მდე; ამის შემდეგ, აშშ დოლარის წილმა მსოფლიო სავალუტო რეზერვებში კვლავ დაიწყო კლება და 2020 წლისთვის 59% შეადგინა (Graham, Tran, 2024). მსოფლიო სავალუტო რეზერვებში აშშ დოლარის წილის შემცირებას თან ახლდა არა ისეთი ვალუტების წილების ზრდა, როგორიცაა ევრო, იენი და ფუნტი სტერლინგი, არამედ დარეზერვებისთვის არატრადიციული ისეთი ვალუტების წილების ზრდა, როგორიცაა ავსტრალიური და კანადური დოლარი, ჩინური იუანი, სამხრეთ კორეული ვონი, სინგაპურის დოლარი და სკანდინავიური ვალუტები (Arslanalp, Eichengreen, Simpson-Bell, 2024).

უკრაინაში, რუსეთის ომის დაწყებისთანავე, გლობალიზაციის პროცესი კონფრონტაციული გლობალიზაციის ეტაპზე გადავიდა (Papava, 2022b), როდესაც მსოფლიოს ქვეყნები დაიყო სამ ჯგუფად: დასავლეთის სანქციების მხარდამჭერ, რუსეთის მხარდამჭერ და ნეიტრალურ ქვეყნებად (Papava, 2022a). შედეგად, ერთპოლუსიანმა მსოფლიო წესრიგმა მრავალპოლუსიან მსოფლიო წესრიგად დაიწყო ტრანსფორმირება (Sachs, 2024). როდესაც გეოპოლიტიკური ფაქტორი ხელს უშლის სავალუტო გლობალიზაციის პროცესს (Koosakul, Zhang, Zia, 2024), შეუძლებელია, ამას, შესაბამისი გავლენა არ ჰქონდეს მსოფლიო სავალუტო წესრიგზე, რაც ჰიპერგლობალიზაციის პროცესად განვითარდა.

სავალუტო გეოპოლიტიკა, ახალი არ არის, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობაში ვალუტების განსაზღვრაში, ასევე სავალუტო რეზერვების ფორმირე-

ბაში – გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენა იზრდება. კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გეოპოლიტიკურმა მოტივებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო ვალუტის არჩევაში, მისი სავალუტო რეზერვებისთვის გამოყენების მიზნით (Eichengreen, Mehl, Chitu, 2017). აღსანიშნავია, რომ გეოპოლიტიკურ ფაქტორს, სავალუტო გლობალიზაციის პროცესშიც, აქვს ადგილი (Cohen, 2003), თუმცა, მას უპირატესი მნიშვნელობა არ გააჩნია. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ სავალუტო გლობალიზაცია და სავალუტო გეოპოლიტიკა კი არ გამოირიცხავენ, არამედ, ერთმანეთს ავსებენ. იმავდროულად, როგორც წესი, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, ერთ-ერთი მათგანი ხდება დომინირებადი (Papava, 2024).

- ტყემალაძე ი. (2023). საქართველოს თანამედროვე შრომის ბაზარი - გამოწვევები და გადაჭრის გზები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. 15 (3). გვ. 74-91.

- ჩიქობავა მ., კაკულია ნ., ლობჯანიძე მ., ლაზარაშვილი თ., ტყემალაძე ი. (2026). ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების შესაძლებლობები MMT-ის (თანამედროვე მონეტარული თეორიის) გარანტირებული დასაქმების (JG) კონცეფციის გათვალისწინებით. ჟურნალი „ეკონომისტი“, N1. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ცარციძე მ. (2025). სიღარიბის დაძლევის პერსპექტივები საქართველოში მიმდინარე გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში. ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა. ISBN 978-9941-525-21-6 Economic science and the economy of Georgia. გამომცემლობა „უნივერსალი“. <https://www.researchgate.net/publication/396975486>.
- ცარციძე მ. (2025). ღირსეული შრომა (DW)-მდგრადი, სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის სტრატეგიული მიზანი საქართველოში. თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალათა კრებული.
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, №200/42, 27 ივნისი 2014 წელი. <https://matsne.gov.ge/>
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ.თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი. გვ. 4 ([matsne.gov.ge](https://matsne.gov.ge/));
- Decent Work and the 2030 Agenda for Sustainable Development (ILO, 2016). <https://future-of-work-labourafterlaudatosi.net/2017/10/13/decent-work-and-the-2030-agenda-for-sustainable-development-ilo-2016/>; [https://www.trudcontrol.ru/files/editor/files/wcms\\_554824.pdf](https://www.trudcontrol.ru/files/editor/files/wcms_554824.pdf);
- Decent Work Country Programme Georgia 2024-2025. International Labour Organization. DWCP-Georgia-EN-10-06-2024-proof.pdf;
- Decent Work. <https://www.ilo.org/topics-and-sectors/decent-work/>;
- Employment and Decent Work. European Commission. [https://international-partnerships.ec.europa.eu/policies/sustainable-growth-and-jobs/employment-and-decent-work\\_en](https://international-partnerships.ec.europa.eu/policies/sustainable-growth-and-jobs/employment-and-decent-work_en);
- ILO-Declaration-2008. ILO Declaration on Social Justice for a Fair Globalization. Adopted by the International Labour Conference at its Ninety-seventh Session, Geneva, 10 June 2008. [https://www.ilo.org/sites/default/files/2024-12/ILO-Declaration-2008\\_En.pdf](https://www.ilo.org/sites/default/files/2024-12/ILO-Declaration-2008_En.pdf).
- ILO (1999). Report of the Director-General: Decent Work. International Labour Conference, 87th Session, Geneva. <https://www.ilo.org/global/lang-en/index.htm>.
- Opening Remarks by the Director-General to the International Labour Conference Decent Work for Sustainable Development ILO 96-2007/Report I (A. <https://www.ilo.org> › media › download.
- Report 2025, UNSD. Promote Inclusive and Sustainable Economic Growth, Employment and Decent Work for All. Goal 8: Economic Growth - United Nations Sustainable Development. The Sustainable Development Goals Report 2025. <https://unstats.un.org/sdgs/report/2025/>;
- Bedianashvili G., Tsartsidze M., Mikeladze N., Gabroshvili Z. (2024). Human Capital and Economic Growth under Modern Globalization, Entrepreneurship and Sustainability Issues 12(1): 268-289. [https://doi.org/10.9770/jesi.2024.12.1\(19\)](https://doi.org/10.9770/jesi.2024.12.1(19)).
- Kakulia N., Tkemaladze I. (2023). Macroeconomic Effects of Labor Market Regulation in Geor-

- gia. Journal „Innovative Economics and Management“. 10 (3) pp. 6-13. DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.6-13>.
- Shelia M. Tukhashvili M. (2020). Exspecdet Emigration of Students from Georgia. Ecoforum. Volume 9, Issue 2(22). <https://www.researchgate.net>;
  - Tsartsidze m., Kereselidze L., Gabadadze Sh. (2025). Peculiarities of Labor Market Development in Georgia under the Conditions of Digital Transformation of the Economy and European Integration. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 19, n.4. [science.org.ge/bnas/vol-19-4.html](https://science.org.ge/bnas/vol-19-4.html);
  - Tsartsidze M. (2025). Employment Change Trends in Georgia in the Context of Digital Transformation of the Economy and Ongoing European Integration. 8th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC). Latvia, Jurmala. <https://irissymposium.wixsite.com/economics/our-support>.
  - Tukhashvili M., Shelia M., Taktakishvili G., Zubiashvili T., Chelidze N. (2012). Socio-economic Problems of Return Migration in Georgia. Publishing House “Universali. Tbilisi.
  - Tukhashvili M., Tsartsidze M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M. (2018). Emigration Intentions of Students of Higher Education Institutions of Georgia (Examples from Ivane Javakhishvili Tbilisi State University). European Journal of Humanities and Social Sciences N3. :139-14718.

## References:

- Lobzhanidze M. (2022). Umushvoba akhlagzrdebshi da profesiuli orientaciis mniSvneloba. [Youth Unemployment and Importance of Professional Orientation. The 4th International Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, “Challenges of Globalization in Economics and Business.” Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press]. <https://dSPACE.tsu.ge/items/f4c-cfb0b-af6f-4723-905b-47b063816534>. in Georgian
- Tkemaladze I. (2023). Sakartvelos tanamedrove shromis bazari – gamowvevebi da gadawris gzebi [Modern Labor Market in Georgia – Challeges and Solutions. Journal “Economics and Business”. 15(3), pp.74-91. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press]. in Georgian
- Chikobava M., Kakulia N., Lobzhanidze M., Lazarashvili T., Tkemaladze I. (2026). Girseuli samushao adgilebis shekmnisa da ekonomikuri zrdis dachkarebis shesazleblobebi MMT-is (tanamedrove monetaruli teoriis) garantirebuli dasakmebis (JG) koncefciiis gatvaliswinebit. [Creating Decent Jobs and Accelerating Economic Growth Considering the Guaranteed Employment (JG) Concept of MMT (Modern Monetary Theory). Journal “Economisti” No. 1. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, P. Gugushvili Institute of Economics]. In Georgian
- Tsartsidze M. (2025). Sigaribis dazlevis perspeqtivebi sakartveloshi mimdinare globalizatsiisa da cifruli transformaciis pirobebshi. [Prospects for Overcoming Poverty in Georgia under the Conditions of Ongoing Globalization and Digital Transformation. ISBN 978-9941-525-21-6 Economic Science and the Economy of Georgia. Publishing House “Universali”]. <https://www.researchgate.net/publication/396975486>. in Georgian
- Tsartsidze M. (2025). Girseuli shroma (DW)-mdgradi, stabiluri ekonomikuri zrdis miRwevis

strategiuli mizani sakartveloshi. [Decent Work (DW) as a Strategic Goal for Achieving Sustainable and Stable Economic Growth in Georgia Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. Proceedings of the 10th International Scientific Conference: “Challenges of Globalization in Economics and Business”]. in Georgian

- The Association Agreement between Georgia, of the one part, and the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the other part, No. 200/42, 27 June 2014. <https://matsne.gov.ge/>. in Georgian
- Resolution No. 662 of the Government of Georgia on the Approval of the National Strategy on Labour and Employment Policy of Georgia for 2019–2023, Tbilisi, 30 December 2019, p. 4. ([matsne.gov.ge](https://matsne.gov.ge/)). in Georgian
- Decent Work and the 2030 Agenda for Sustainable Development (ILO, 2016). <https://future-of-work-labourafterlaudatosi.net/2017/10/13/decent-work-and-the-2030-agenda-for-sustainable-development-ilo-2016/>; [https://www.trudcontrol.ru/files/editor/files/wcms\\_554824.pdf](https://www.trudcontrol.ru/files/editor/files/wcms_554824.pdf);
- Decent Work Country Programme Georgia 2024-2025 | International Labour Organization. DW-CP-Georgia-EN-10-06-2024-proof.pdf;
- Decent Work. <https://www.ilo.org/topics-and-sectors/decent-work>;
- Employment and Decent Work. European Commission. [https://international-partnerships.ec.europa.eu/policies/sustainable-growth-and-jobs/employment-and-decent-work\\_en](https://international-partnerships.ec.europa.eu/policies/sustainable-growth-and-jobs/employment-and-decent-work_en);
- ILO-Declaration-2008. ILO Declaration on Social Justice for a Fair Globalization. Adopted by the International Labour Conference at its Ninety-seventh Session, Geneva, 10 June 2008. [https://www.ilo.org/sites/default/files/2024-12/ILO-Declaration-2008\\_En.pdf](https://www.ilo.org/sites/default/files/2024-12/ILO-Declaration-2008_En.pdf).
- ILO (1999). Report of the Director-General: Decent Work. International Labour Conference, 87th Session, Geneva. <https://www.ilo.org/global/lang-en/index.htm>.
- Opening Remarks by the Director-General to the International Labour Conference Decent Work for Sustainable Development ILO 96-2007/Report I (A. <https://www.ilo.org> > media > download.
- Report 2025, UNSD. Promote Inclusive and Sustainable Economic Growth, Employment and Decent Work for All. Goal 8: Economic Growth - United Nations Sustainable Development. The Sustainable Development Goals Report 2025. <https://unstats.un.org/sdgs/report/2025/>;
- Bedianashvili G., Tsartsidze M., Mikeladze N., Gabroshvili Z. (2024). Human Capital and Economic Growth under Modern Globalization, Entrepreneurship and Sustainability Issues 12(1): 268-289. [https://doi.org/10.9770/jesi.2024.12.1\(19\)](https://doi.org/10.9770/jesi.2024.12.1(19)).
- Tsartsidze m., Kereselidze L., Gabadadze Sh. (2025). Peculiarities of Labor Market Development in Georgia under the Conditions of Digital Transformation of the Economy and European Integration. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 19, n.4. [science.org.ge/bnas/vol-19-4.html](https://science.org.ge/bnas/vol-19-4.html);
- Tukhashvili M., Shelia M., Taktakishvili G., Zubiashvili T., Chelidze N. (2012). Socio-economic Problems of Return Migration in Georgia. Publishing House Universali. Tbilisi.
- Shelia M. Tukhashvili M. (2020). Exspedcted Emigration of Students from Georgia. Ecoforum. Volume 9, Issue 2(22). <https://www.researchgate.net>;
- Tukhashvili M., Tsartsidze M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M. (2018). Emigration Intentions of Students of Higher Education Institutions of Georgia (Examples from Ivane Javakhishvili Tbilisi State University). European Journal of Humanities and Social Sciences N3. :139-14718.

- Kakulia N., Tkemaladze I. (2023). Macroeconomic Effects of Labor Market Regulation in Georgia. Journal „Innovative Economics and Management“. 10(3). pp. 6-13. DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.6-13>.
- Tsartsidze M. (2025). Employment Change Trends in Georgia in the Context of Digital Transformation of the Economy and Ongoing European Integration. 8th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC). Latvia, Jurmala. <https://irissymposium.wixsite.com/economics/our-support>.

## **Peculiarities in Implementing the Concept of Decent Work in Georgia: Challenges and Prospects**

### ***Murman Tsartsidze***

*Associate Professor*  
Iv. Javakishvili Tbilisi State University  
[murman.tsartsidze@tsu.ge](mailto:murman.tsartsidze@tsu.ge)

### ***Irma Tkemaladze***

*Guest Lecturer*  
*Professor's Assistant*  
Iv. Javakishvili Tbilisi State University  
[irma.tkemaladze@tsu.ge](mailto:irma.tkemaladze@tsu.ge)

### ***Shota Gabadadze***

*Doctoral Student*  
Iv. Javakishvili Tbilisi State University  
[shota.gabadadze@tsu.g](mailto:shota.gabadadze@tsu.g)

In the context of ongoing globalization and the digital transformation of the economy, the concept of enhancing “decent work and quality of life” has become particularly relevant for achieving sustainable and stable development. The evolution of labor relations – and especially the provision of decent working conditions – must play a crucial role in this process. This issue is especially pressing in Georgia, where widespread, chronic unemployment remains one of the most acute and persistent challenges, recognized as a major driver of poverty. Addressing these problems requires close attention to the recommendations of the International Labor Organization regarding labor market regulation and social and labor relations more broadly, as well as the proper fulfillment of obligations outlined in the Association Agreement with the European Union.

The “Decent Work Concept,” as a tool for implementing the global goals of the International Labor Organization, shifts the focus toward the quality of employment, social protection, security, and satisfaction with working conditions. Ensuring decent work has therefore become a global imperative. Its growing importance is closely

linked to the Fourth Industrial Revolution, the accelerated pace of automation, digital transformation, and the emergence of new social risks – all of which directly affect social and labor relations.

In these conditions, guaranteeing decent work requires greater emphasis on employment opportunities, security, social guarantees, and the development of social dialogue, alongside the establishment of uniform standards in social and labor relations at the international level. Many international researchers argue that the implementation of decent work (DW) standards forms the foundation of effective performance management, making it clear that achieving strategic goals is possible only through the creation of decent working conditions.

Against this backdrop, research into the challenges of achieving decent work is highly relevant – particularly for Georgia. In line with the Association Agreement signed between Georgia and the European Union (Agreement N200/42, 2014), which envisages active cooperation in the field of migration, a key priority is the introduction of modern labor standards. Central to this is the adoption of decent labor standards and the realization of the Decent Work Concept.

Decent work is an integral part of sustainable development, promoting both economic equality and social justice. The concept rests on four main strategic goals – its four pillars: Promoting and implementing fundamental principles and rights in the workplace; Expanding opportunities for decent employment and income for women and men; Increasing the scope and effectiveness of social protection; Strengthening social partnership and social dialogue. Decent work is therefore a comprehensive concept that addresses not only the existence of employment but also its quality, conditions, and outcomes—for individuals and for society as a whole. It represents an integrated approach to all aspects of work and is essential for poverty reduction and the achievement of sustainable development.

Recognizing this, in September 2015 the UN General Assembly made decent work and its four pillars integral elements of the 2030 Agenda. One of its central goals is to achieve full and productive employment and decent work for all women and men by 2030. The Sustainable Development Goals (SDGs) thus acknowledge decent work as a key driver of sustainable economic growth. Despite this global recognition, numerous challenges continue to hinder the implementation of decent work standards. According to the UN 2025 Sustainable Development Goals report, progress is constrained by: Declining global economic growth rates; Low labor productivity growth and weakening protection of labor rights; High levels of informal employment (58.0%); Elevated unemployment among women and young people, as well as a significant share of youth not engaged in education, employment, or vocational training (NEET)

For Georgia, despite relatively strong economic growth in recent years, persistent problems in the labor market and social relations have significantly hindered the implementation of the ILO–Georgia Decent Work Action Programme 2021–2025 (DWCP-Georgia-EN-10-06-2024). Key challenges include:

High unemployment and poverty, accompanied by socio-economic vulnerability, gender inequality in labor force participation, and extensive labor emigration;

Acute employment problems among young specialists, with a clear mismatch between skills and labor market demand;

Low labor productivity across several sectors of the national economy;

High levels of informal employment (29.1%), especially in rural areas (34.4%), undermining economic stability;

Low average nominal and minimum wages, with no effective regulatory mechanism;

Weak protection of labor rights, limited resources for labor inspection, and inadequate monitoring;

Frequent violations of labor safety standards and weak trade unions;

Underdeveloped systems of social partnership and dialogue among labor market stakeholders;

Labor legislation, including the Labor Code, requiring further refinement to align fully with European labor standards.

Given these challenges, it is clear that the highest priority must be placed on ensuring decent, highly productive, and effective employment. At the international level, the principle long recognized by the International Labor Organization — “decent work is the foundation of human well-being and national development” — remains central. Realizing this principle requires the establishment of adequate social and labor relations within a modern, civilized labor market, the creation of systems of social justice and partnership, and the development and improvement of human capital.

This should become the core task of Georgia’s economic modernization and innovative development. Decent, effective employment is the foundation for inclusive economic growth and for raising living standards across the country.

**Keywords:** Decent work, concept, employment, globalization, digital transformation, sustainable development.

**JEL Codes:** J08, J21, J24, J38, O15

## უმაღლესი განათლების სისტემა - ანალიზი, პრობლემები, გამონვევები და მათი გადაწყვეტის გზები

### მაჩინა ჩავლეიშვილი

ასოციირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
marina.chavleishvili@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.03.

ქვეყნის განვითარებაში უმაღლესი განათლების ადგილი და როლი უმნიშვნელოვანესია. ნაშრომში განხილულია, საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა და გამონვევები. განათლება ქმნის მყარ საფუძველს საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ტექნოლოგიური წინსვლისთვის. მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლება ხელს უწყობს ქვეყნის კულტურულ და ეკონომურ იდენტობას, ასევე, გიძევადიან სტაბილურობას და მდგრადობას. ხარისხიანი განათლება ნიშნავს სტაბილურ, განვითარებად და თანამედროვე საზოგადოებაზე ზეგავლენას. აღნიშნულ სფეროში განხორციელებული ინვესტიცია საფუძველს უქმნის ქვეყნის მომავალს, ხომელსაც მისთვის წლების განმავლობაში მოაქვს მაღალი კეთილდღეობა.

კვლევის მიზანია უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების შეფასების საფუძველზე, სისტემური ცვლილებების გზით, ხარისხის, კონკურენტუნარიანობის და განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ხაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესს. ანალიზი ემყარება მეოხადი წყაროების ანალიზს, ხისთვისაც მონაცემები დამუშავდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სამთავრობო გადაწყვეტილებების, ასევე, ჩატარებული ბაზის კვლევების მონაცემების საფუძველზე. გამოვლინდა უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული ხოგოხი დადებითი, ასევე უარყოფითი ტენდენციები. წლების განმავლობაში, საქართველოში უმაღლესი განათლების რბეხარისხის პოლიტიკამ, კეხდო სექტორის ღიაობამ ვეხ მოახდინა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. დღემდე, უმაღლესი განათლების სისტემაში, სწავლების ხარისხი ეხთ-ეხთ მწკავე პრობლემად განიხილება. ამდენად, ნაშრომში შეფასებულია უმაღლესი განათლების სისტემა, არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება, განათლების ხარისხი, ეფოხი-მა, შრომის ბაზახი, გამონვევები უმაღლესი განათლების სისტემაში.

## შესავალი

უმაღლესი განათლება წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიულ საყრდენს. კვალიფიციური სამუშაო ძალა უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ეფექტიან ფუნქციონირებას. საერთაშორისო ბაზარზე ინვესტორებისთვის მიმზიდველია ის ქვეყნები, რომლებიც სთავაზობენ ხარისხიან განათლებას და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვანია წარმატებული ტექნოლოგიური, ინოვაციური და სამეცნიერო კვლევები, რომლის განხორციელებაში მთავარ ცენტრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენენ.

უმაღლესი განათლების დაწესებულებები (უნივერსიტეტები) ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ეროვნული კულტურის, ენის, ისტორიის შესწავლასა და შენარჩუნებაში. განათლების მაღალი დონე ხელს უწყობს მოქალაქეთა გახსნილობას მსოფლიო კულტურისადმი, პარალელურად აძლიერებს მათ ეროვნულ თვითშეგნებას, ასევე ამაღლებს საზოგადოების კრიტიკულ აზროვნებას, ხელს უწყობს პრაგმატული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას; ზრდის გლობალურ გამოწვევებთან ბრძოლის ხარისხს, იძლევა შესაძლებლობას ახალგაზრდებმა მიღებული ცოდნით შეიმუშაონ და განახორციელონ ინოვაციური გადაწყვეტილებები, რაც გავლენას მოახდენს არამხოლოდ ქვეყნის, არამედ გლობალურ კეთილდღეობაზე.

გლობალიზაციის პროცესი, ტექნოლოგიური პროგრესი და ცვალებადი შრომითი ბაზარი მრავალფუნქციურ და კომპლექსურ გამოწვევებს უქმნის განათლების სისტემას. არსებულ რეალობაში გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორცაა: განათლების ხარისხისა და შინაარსობრივი შესაბამისობის საკითხები, სასწავლო პროგრამების ნაკლოვანებები, ფინანსური რესურსების არაეფექტური განაწილება, უნივერსიტეტსა და შრომით ბაზარს შორის სუსტი კავშირი, პროფესიული განვითარების შეზღუდვები, განათლების პოლიტიკისა და მართვის სისტემური ხარვეზები და სხვა. წარმოადგენილ ნაშრომში შეფასებულია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მდგომარეობა, არსებული პრობლემები, გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.

### საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი

ბოლო რამდენიმე ათწლეულია, საქართველოში მიმდინარეობს განათლების სისტემის მოდერნიზება, მათ შორის – უმაღლესი განათლების სფეროში. კერძოდ, განხორციელდა განათლების რეფორმები, დაინერგა საერთაშორისო სტანდარტები. ქვეყნაში უმაღლესი განათლების სისტემის გაუმ-

ჯობესების მიზნით, საქართველო 2005 წელს შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლების სისტემების დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.


ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემა ფუნქციონირებს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების ერთობლიობით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=117>).

უმაღლესი განათლების სისტემის ძირითადი მახასიათებლები:

- სწავლების სამ საფეხურიანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) მოდელი და ECTS კრედიტებზე დაფუძნებულ შეფასების სისტემა, რაც უზრუნველყოფს დიპლომების საერთაშორისო აღიარებას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დაყოფილია უნივერსიტეტებად (რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს) და კოლეჯებად (რომელიც ახორციელებს მხოლოდ ბაკალავრიატის პროგრამებს);
- აკრედიტაციის მექანიზმები, კერძოდ, უმაღლესი სასწავლებლები ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას და ინსტიტუციურ ავტორიზაციას;
- საჯარო და კერძო სექტორის თანაარსებობა, მნიშვნელოვანია სხვაობები დაფინანსებაში, ინფრასტრუქტურასა და კადრების კვალიფიკაციაში;
- ზრდადი საერთაშორისო ინტეგრაცია, განვითარებულია გაცვლითი პროგრამები, მათ შორის Erasmus+ და სხვა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024-2025 სასწავლო წლის მონაცემებით (<https://www.geostat.ge/ka/single-archive/3423>), ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის – 19 სახელმწიფო, ხოლო 44 კერძოა. დაწესებულებების დაახლოებით 64% მდებარეობს თბილისში, რაც მიუთითებს დედაქალაქის მნიშვნელოვან როლზე განათლების ინფრასტრუქტურაში. დინამიკაში 2018 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის უმნიშვნელო ცვლილება შეეხო მხოლოდ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს 2020 – 2022 წლებში, კერძოდ, ის 43-დან 45 ერთეულამდე გაიზარდა, 2025 წელს არის 44 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (იხ დიაგრამა 1).

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა საქართველოში**  
 დიაგრამა 1.




წყარო: ტექსტის ყველა ცხიდი და დიაგრამა შედგენილია ავტოჩის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების დამუშავების საფუძველზე (წელიწადული 2024 წელი).

საქართველოში 2018 წლიდან 2025 წლამდე სტუდენტთა რაოდენობა სტაბილურად იზრდება, რაც მიუთითებს უმაღლესი განათლების მიმართ მზარდ ინტერესზე (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/56/ganatileba-kultura>). 2024 წელს სტუდენტთა საერთო რაოდენობა იყო 187,800, რაც წინა წელთან შედარებით 5.6%-ით, ხოლო 2018-2019 სასწავლო წელთან შედარებით, 21.3%-ით არის გაზრდილი. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, მაჩვენებლები შემდეგნაირად არის განაწილებული: ბაკალავრიატი – 125.612 სტუდენტი (66.8%); მაგისტრატურა – 57.377 სტუდენტი (30.5%); პროფესიული – 4810 სტუდენტი (2.7%) (იხ. დიაგრამა 2).

**საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რაოდენობა (ათასი სტუდენტი)**

დიაგრამა 2.



საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სტუდენტთა რიცხოვნობა (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba>) მალა-ლია შემდეგ სპეციალობებზე: სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი -47.6% (იხ. ცხრილი 1).

**საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისა და დოქტორანტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით 2024 წ. (ათასი სტუდენტი)**

ცხრილი 1.

საგანმანათლებლო პროგრამები	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
განათლება	5.308	2.540	83
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	16.621	1.273	557
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	66.450	7.354	1.296
მეცნიერება	26.253	2.660	400
საინჟინრო, გადამამუშევებელი და საამშენებლო დარგები	11.261	861	179
სოფლის მეურნეობა	4.128	813	46
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	48.201	41.623	426
მომსახურება	9.577	253	36
სულ	125.612	57.377	3.023


მნიშვნელოვანია დოქტორანტების რიცხოვნობა, რომელმაც 2020 წელს პიკს (4010) მიაღწია, ხოლო 2024 წელს 24.6%-ით შემცირდა (3.023). ასევე, შემცირდა დოქტორანტების მიღება, კერძოდ, 2024 წელს იყო 700, რაც 33.3%-ით ნაკლებია 2020 წელთან შედარებით. დოქტორანტების შემცირების ტენდენცია შესაძლოა ასახავდეს კვლევითი პროგრამების მიმართ ინტერესის ცვლილებებს.

2024-2025 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებულ იქნა 54.2 ათასი სტუდენტი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba>), მათ შორის, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში –

30.5 ათასი, ხოლო კერძოში – 23.7 ათასი სტუდენტი. 2019-2020 სასწავლო წლის მონაცემებთან მიმართებით მიღებული სტუდენტების რაოდენობა 12.5 %-ით არის გაზრდილი (იხ. დიაგრამა 3).

**სტუდენტების მიღება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ათასი სტუდენტი)**

დიაგრამა 3.



სტუდენტების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 2024 წლის მონაცემებით, სახელმწიფო უნივერსიტეტებში განაწილებულია სტუდენტების საერთო რაოდენობის 57.7% (108.400 სტუდენტი), ხოლო კერძო უნივერსიტეტებში – 43.3% (79.400 სტუდენტი).


ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტების მიღების მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, მაღალია შემდეგ პროგრამებზე: სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი – 45.3%; მათ შორის, ყველაზე მეტია ბიზნესის და მართვის მიმართულებით მიღებული სტუდენტები (46.3%). დაახლოებით თანაბარია სოციალური მეცნიერებები და სამართლის პროგრამები, შესაბამისად, 24.8% და 24.9%. მაგისტრატურის საფეხურზე (დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის, რეზიდენტურის ჩათვლით) ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 62.5%, სადაც 99.9% ჯანდაცვის წილია; სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი – 18.3%, მათ შორის, 56.6% ბიზნესის და მართვის საგანმანათლებლო პროგრამებია; პროფესიულ პროგრამებზე შედარებით მაღალია მიღება შემდეგი მიმართულებით: განათლება 20%; მომსახურება 19%.

2024 წელს, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა, 2023 წელთან წელთან შედარებით, 12.4%-ით გაიზარდა (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>). სახელმწიფო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა რაოდენობა, კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა რაოდენობა-

ზე, 28%-ით მეტია. გენდერული განაწილება შემდეგია: ქალები-60.2%; ვაჟები-39.8%. ასევე, სახელმწიფო უნივერსიტეტებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა, კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით, 28 %-ით მაღალია (იხ. დიაგრამა 4).

**სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობა საქართველოში (2018-2024წწ.)**

დიაგრამა 4.



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის ფორმირებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პროფესორ-მასწავლებლებს. მათი როლი უნივერსიტეტებში უმნიშვნელოვანესია, როგორც სტრატეგიული განვითარებისთვის, ასევე სტუდენტების ინდივიდუალური წარმატებისთვის. პროფესორ-მასწავლებლები განსაზღვრავენ: დაწესებულების აკადემიურ და საგანმანათლებლო ხარისხს, კერძოდ, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე; მონაწილეობენ, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტების მდგრად განვითარებასა და საერთაშორისო აკადემიურ ავტორიტეტს; აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო კვლევების სწავლებასთან ინტეგრირებაში, რაც მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის, ასევე უნივერსიტეტის პროგრესისთვის; კვლევითი პროექტები აღრმავებს საერთაშორისო თანამშრომლობას, ხელს უწყობს ახალი ცოდნის გენერირებას, იცავს უნივერსიტეტს გლობალურ აკადემიურ კონკურენციაში.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში 2024-2025 სასწავლო წლის მონაცემებით სულ არის 11 455 პერსონალი, რაც 2023-2024 სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2%-ით მეტია (იხ. ცხრილი 2).

**საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 2021-2025წწ**

ცხიდი 2.

	2021-2022		2022-2023		2023-2024		2024-2025	
	სახელმწიფო	კერძო	სახელმწიფო	კერძო	სახელმწიფო	კერძო	სახელმწიფო	კერძო
პროფესორ-მასწავლებლები სულ	4375	6107	5164	5441	5176	6052	4988	6467
პროფესორი	1036	1406	1274	1238	1226	1358	1189	1438
ასოცირებული პროფესორი	1828	2261	2335	1653	2280	1834	2280	1960
ასისტენტ-პროფესორი	699	792	826	603	824	632	855	798
მასწავლებელი	597	730	640	1045	641	1238	548	1206
არაიდენტიფიცირებული	215	918	89	902	205	990	116	1065

არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობაც პროპორციულად ნაწილდება სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს შორის, თუმცა, არის უმნიშვნელო სხვაობა წლების შესაბამისად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებში პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის ჯამური რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე კერძო სექტორში. 2024-2025 სასწავლო წლის მონაცემებით, აკადემიურ თანამდებობის სამივე პოზიციაზე (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი) სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია აკადემიური პერსონალის 43.5%; ხოლო კერძო სექტორში - 56.5%. (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>). ეს მაშინ, როცა რაოდენობრივად, კერძო სექტორში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 69.8%-ია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კერძო სექტორში არსებული შედარებით ნაკლები აკადემიური პერსონალი გამოწვეულია სტუდენტების ნაკლები რაოდენობით.

საქართველო ინტენსიურად ცდილობს გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, რასაც მოწმობს საერთაშორისო პარტნიორები, გაცვლითი პროგრამები, ორმაგი დიპლომის პროექტები და ასოცირება ევროკავშირის განათლების ინიციატივებთან. თანამედროვე გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმები: გაცვლითი პროგრამები (ERASMUS+ და სხვა ევროკავშირის მიერ

მხარდაჭერილი მობილობის პროექტები; DAAD, Fulbright, Chevening), ადგილობრივი სტიპენდიები, Bilateral Agreements სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტებთან (მაგ. ბალტიისპირეთი, გერმანია, პოლონეთი, ბულგარეთი, იტალია, აშშ, საფრანგეთი, შვედეთი ნიდერლანდები); Tempus, Horizon Europe და სხვა კვლევითი კომპონენტები; ორმაგი და ერთობლივი დიპლომის პროგრამები; საერთაშორისო რეიტინგებში მონაწილეობა და საერთაშორისო აკრედიტაცია (მაგალითად FIBAA, AQA). მაღალი ხარისხის ინტეგრაცია მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ორმხრივი აკადემიური თანამშრომლობა (არამხოლოდ ვიზიტები, არამედ ერთობლივი სილაბუსები); საერთო კვლევითი პროექტები და პუბლიკაციები; ერთობლივი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები; სტუდენტების სრულფასოვანი მონაწილეობა; ღია და მრავალენოვანი პლატფორმები ([https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-dasakartvelo\\_ka?utm\\_source=chatgpt.com](https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-dasakartvelo_ka?utm_source=chatgpt.com)).

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია დიპლომების საერთაშორისო აღიარებისა და აკადემიური მობილობის შეფასება. საქართველოს უმაღლესი განათლება სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, რაც დიპლომების საერთაშორისო აღიარებას ამარტივებს. აღიარების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ბოლონის პროცესის წევრობა და 2011 წელს საქართველოს მიერ დამტკიცებული ლისაბონის აღიარების კონვენცია, რაც ხელს უწყობს დიპლომის იურიდიულად უცხოეთში აღიარებას (<https://www.eqe.ge/ka/page/static/59/tliuriangarishebi>). 2024 წელს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა აღიარებისა და გადაფორმების მომსახურების ფარგლებში, დადებითი რეკომენდაცია გასცა 20 156 დოკუმენტზე, რაც მოიცავს როგორც ქართული, ასევე უცხოური დიპლომების აღიარებას. ზრდადი დინამიკით ხასიათდება აღიარებული ქართული დიპლომები ევროკავშირის ქვეყნებში, კერძოდ, 2018 წელთან შედარებით (1300 დიპლომი), 2024 წელს (3800 დიპლომი) მაჩვენებელი თითქმის 3-ჯერ არის გაზრდილი (ENIC-NARIC ქსელი <https://www.eqe.ge/ka>). Erasmus+ მონაცემებზე და დიპლომის აღიარების სიხშირეზე დაყრდნობით, ევროკავშირში აღიარებული დიპლომებით საქართველოში პრიორიტეტული უნივერსიტეტებია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ანალიზმა აჩვენა, რომ საერთაშორისო აღიარების ხელშემწყობი ფაქტორებია: ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდა (განსაკუთრებით მედიცინასა და ბიზნესში); პარტნიორობა ევროპულ უნივერსიტეტებთან (ორმაგი დიპლომის პროგრამები); საერთაშორისო აკრედიტაციები (მაგ. WFME - სამედიცინო; AACSB - ბიზნეს-

სის სკოლები); Erasmus+ მობილობის ზრდა ([https://erasmus.org/ge/en/erasmus-mundus-joint-master-degree/?utm\\_source=chatgpt.com](https://erasmus.org/ge/en/erasmus-mundus-joint-master-degree/?utm_source=chatgpt.com)).

საერთაშორისო მობილობის ფარგლებში უცხოეთიდან შემოსული სტუდენტების უმრავლესობა შემოდის შემდეგი ქვეყნებიდან: ინდოეთი, ირანი, ასევე, აზერბაიჯანი და თურქეთი. თუ გავანალიზებთ მონაცემებს, 2018 წელს შემოსული სტუდენტების რაოდენობა იყო 7000, ხოლო 2024 წელს – 16 500, ე.ი 2.4 ჯერ არის გაზრდილი. ხოლო 2023 წელთან შედარებით უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობა 20.9%-ით არის გაზრდილი (<https://mes.gov.ge/>). უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი სტუდენტების მაღალი მაჩვენებელია ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და IT საგანმანათლებლო პროგრამებზე. უცხოელი სტუდენტების ზრდა მიუთითებს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო მიმზიდველობაზე.

### პრობლემები და გამოწვევები

მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო ინტეგრაციის რეალური ხარისხი კვლავ შეზღუდულია, რაც იწვევს იმას, რომ საერთაშორისო კავშირები ხშირად რჩება ზედაპირულ, ფორმალურ დონეზე და ვერ ქმნის მდგრად ეფექტს. აღნიშნული შედეგი განაპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- თანამშრომლობა ხშირად სტრუქტურულია, არაშინაარსობრივი, კერძოდ, ნაკლებად არის წარმოდგენილი ერთობლივი კვლევა, სასწავლო პროცესის სინქრონიზაცია და კურიკულუმების ინტეგრაცია; ხშირად პრიორიტეტი არის მხოლოდ ორმაგი დიპლომის გაცემა;

- ნაკლებია უცხოელ პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა; ხარისხიანი ლექციების შეთავაზება უცხო ენაზე კვლავ პრობლემად რჩება; კერძოდ, საერთაშორისო (ერთობლივი) პროგრამების ფარგლებში იშვიათად ჩამოდიან მონვეული ლექტორები ან თუ ჩამოდიან, მხოლოდ მოკლევადიანი მოდულებისთვის;

- არის ენობრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, კერძოდ, ქართული უნივერსიტეტების ვებგვერდები და დოკუმენტაცია უმეტესად ნაწილობრივ არის თარგმნილი ინგლისურად. გამომდინარე აქედან, უცხოელ პარტნიორებთან კომუნიკაცია ხშირად დამოკიდებულია ინდივიდუალურ ენთუზიზმსა და არა – სისტემურ მიდგომაზე;

- შეზღუდულია სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ერთობლივ კვლევებში (დაახლოებით 5-7%). ინფორმაცია პროექტების შესახებ დაგვიანებით ვრცელდება ან არ არის ხელმისაწვდომი;

- არასაკმარისია დაფინანსება და ადმინისტრაციული მხარდაჭერა. ბევრ უნივერსიტეტში არ არის საერთაშორისო ურთიერთობების ძლიერი ოფისები, რაც სტუდენტებს სრულად მოემსახურება. დაფინანსება მობილობისთვის ან კვლევითი ვიზიტებისთვის ხშირად მხოლოდ პროექტზეა დამოკიდებული.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა დგას პრობლემების და გამომწვევების წინაშე, რაც ხელს უშლის განათლების ხარისხის ზრდას და შრომის ბაზართან ეფექტურ კავშირს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევით გამოიკვეთა, რომ 2020-2021 წლების კურსდამთავრებულების უმრავლესობა (90%) ძალიან დადებითად ან დადებითად აფასებს კავშირს პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებს შორის, პრაქტიკის კომპონენტს და პროგრამის შინაარსის თანამედროვეობას. თუმცა, კურსდამთავრებულები ასევე აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ელექტრონულ და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომებს. კურსდამთავრებულების უმრავლესობა (70%) მიიჩნევს, რომ საფუძვლიანად განავითარა პროფესიული უნარები და ცოდნა და ისურვებდა პროფესიული სასწავლებლებიდან მეტი აქცენტის გაკეთებას ტრანსფერული უნარებისა და უცხო ენების განვითარების მხრივ (<https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=d9fdc6bf-e949-43f0-b714-e7ac2aa91b16>). 2018-2014 წლებში თსუში, მათ შორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების აგრეგირებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა მოთხოვნადი სამი მნიშვნელოვანი კომპეტენცია: დარგის თეორიული ცოდნა, კვლევითი უნარები და ტრანსფერული უნარები. დამსაქმებელთა მონაცემების ანალიზით, გამოკითხულთა 44.4%-მა შეფასების 5 ბალიანი სისტემიდან 3 ქულა მიანიჭა კვალიფიკაციის დონეს. გამოიკვეთა კურსდამთავრებულთა ძლიერი მხარედ დარგის თეორიული ცოდნა, რაც მიანიშნებს აღნიშნული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნების ზემოხსენებულ კომპეტენციასთან შესაბამისობას. დამსაქმებელი კმაყოფილებას გამოთქვამს კვლევითი უნარების (კომპეტენციების) მიმართულებითაც, კერძოდ, კურსდამთავრებულთა ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებისას, ისინი აღნიშნავენ კურსდამთავრებულთა მხრიდან სხვადასხვა პირველადი და მეორეული მონაცემების მოპოვებას, შეგროვებას, დაორგანიზებას, ანალიზს, ინტერპრეტაციას და წერიტი/ზეპირი გზით წარდგენას. მიუხედავად კვლევით კომპონენტში თსუ-ის კურსდამთავრებულთა კონკურენტული უპირატესობისა, აგრეგირებული მონაცემების ანალიზი გვაჩვენებს, რომ დამსაქმებელი ამ კომპონენტის სწავლების გაძლიერების ინიციატივას მხარს უჭერს. ამ თვალსაზრისით, ძირითადად სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულებში, იდენტიფიცირდა შემდეგი საკითხების ფლობის გაძლი-

ერების აუცილებლობა: მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზთან დაკავშირებული პროცედურებისა და მათი მიმდევრობის ფლობა; სხვადასხვა მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძვლების, მეთოდების განსხვავების, მათი გამოყენების ლოგიკური გააზრება; კვლევასთან დაკავშირებულ პროცესში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარები. შრომის ბაზრის აგრეგირებული კვლევების ფარგლებში გამოვლენილი, კურსდამთავრებულთა მესამე მნიშვნელოვანი კომპეტენცია ტრანსფერულ უნარებს უკავშირდება. აქ მოიაზრება კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენცია, დეტალებსა და პრობლემებზე ორიენტირება, ადაპტირებადობა, შემოქმედებითობა, ლიდერობა, კოლაბორაცია, გუნდურობა, კომუნიკაცია, ეთიკა, პუნქტუალურობა, დროის მენეჯმენტი, კულტურული მიმღებლობა. ამ კომპონენტშიც დამსაქმებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თსუ-ის კურსდამთავრებულების ტრანსფერული კომპეტენციები, ძირითადად, აკმაყოფილებს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ეთიკის, ლიდერობისა და დროის მენეჯმენტის კომპონენტები მნიშვნელოვნად ჩამორჩება სასურველ ნიშნულებს და აღნიშნული საკითხი საუნივერსიტეტო კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი თავს დასაქმებულად მიიჩნევს. თავის მხრივ, გამოკითხულთა ორი მესამედი აღნიშნავს, რომ ის დასაქმებულია პროფესიით, პროფილის შესაბამისად. ამდენად, გამოკითხულთა მხოლოდ 4.1% მიიჩნევს თავს დაუსაქმებლად. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა 81% დასაქმებულია კერძო და 12% სახელმწიფო უწყებებში, ხოლო დანარჩენები – არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციებში ან თვითდასაქმებულია. თავის მხრივ, გამოკითხულთა კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილისთვის უნივერსიტეტმა დასაქმების თვალსაზრისით არსებული მოლოდინები სრულად ან ძირითადად გაუმართლა. პროფილით დასაქმება მაღალია – 65%. საინტერესოა, რომ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილისთვის ამ მიმართულებით თსუ-ის მხრიდან გასაუმჯობესებელ მხარეებს შორის შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა: კარიერული მხარდაჭერა და კონსულტაცია, პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია, სტაჟირების უზრუნველყოფა, ასევე კურიკულუმებში პრაქტიკის კომპონენტის რაოდენობა და მრავალფეროვნების გაზრდის საჭიროება.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. განათლების ლიბერალიზაციის პოლიტიკამ და კერძო სექტორის ლიაობამ, საფუძველი შეუქმნა ახალი უნივერსიტეტების ფუნქციონირებას. თუმცა, უმაღლესი დაწესებულებების რაოდენობის ზრდამ დადებითი კორელაციით ვერ განსაზღვრა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სწორედ, ხარისხი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტებისთვის. ამჟამად საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა აყენებს მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომელთა გადაჭრა შესაძლებელს გახდის კურსდამთავრებულებმა მიიღონ თანამედროვე სტანდარტის ცოდნა და გახდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (<https://mes.gov.ge/uploads/files/umaglesi-ganatilebis-sistemis-reformis-erovnuli-konceptia.pdf?csrt=17344678357039010045>).

ამჟამად, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული არსებითი პრობლემებია:

- აკადემიური პერსონალის კომპეტენცია და გადატვირთულობა, რაც უკავშირდება შემდეგ გარემოებებს: პედაგოგების დიდი ნაწილი ასწავლის რამდენიმე უნივერსიტეტში, ბევრ მათგანს არ აქვს აკადემიური ხარისხი, დაბალია ანაზღაურება; აღნიშნული პრობლემა შეესაბამება მთავრობის მიერ რეფორმაში წარმოდგენილ გამოწვევას, რაც დაკავშირებულია უსისტემო საკადრო პოლიტიკასთან;

- საგანმანათლებლო პროგრამები არ ახლდება, სუსტია კვლევისა და მეცნიერების ინტეგრაცია, კერძოდ, ხშირად სასწავლო კურსები ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ნაკლებად გამოიყენება ინტერაქტიური სწავლების ფორმები, პრაქტიკული სწავლება. სამეცნიერო კვლევებისა და დისკუსიების მოცულობა ძალზე მცირეა, რაც ხელს უშლის აკადემიური სტანდარტების დაცვას და ინოვაციური პროცესების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. აღნიშნული პრობლემა შეესაბამება რეფორმაში წარმოდგენილ გამოწვევას, რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე სტანდარტების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნასთან (უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა, 2025).

- აკრედიტაცია, ხშირ შემთხვევაში, ფორმალურ ხასიათს იღებს და ზედაპირულია მონიტორინგი; ამდენად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სისტემის დახვეწა;

- დაბალია ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური დონე. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, გარდა საგანმანათლებლო სივრცეებისა, უნ-

და მოიცავდეს კვლევით, სპორტულ, კულტურულ, საცხოვრებელ და სხვა სივრცეებს;

რეალურად, უნივერსიტეტის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებია: აკადემიური თავისუფლება და გამჭვირვალობა; კვლევითი პროდუქტიულობა; სტაჟირება და დასაქმების ხელშეწყობა; საერთაშორისო ინტეგრაცია; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. რეალური სურათი საქართველოში განსხვავებულია, კერძოდ, უნივერსიტეტებში არის აკადემიური თავისუფლება და გამჭვირვალობა, მაგრამ ხშირად შიდა მმართველობა დახურულია; სუსტია კავშირი ბაზართან; მასობრივი არ არის ხარისხიანი გაცვლითი პროგრამები; ხშირად არ არის სწავლება ორიენტირებული სტუდენტზე. თუ მოვახდენთ დასახელებული პრობლემების ანალიზს, შედეგები და რისკიც მაღალია, კერძოდ, განათლება შედეგით ვერ ასრულებს თავის ეკონომიკურ ფუნქციას, რაც გამოიხატება იმით, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი ვერ პოულობს შესაბამის სამსახურს; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები მინიმალურად მონაწილეობენ (თსუ – QS 1000+, სხვა თითქმის არ ჩანს); უნივერსიტეტების მიმართ საზოგადოების ნდობა დაქვეითებულია, რაც აისახება სტუდენტების მიგრაციაში, ე.ი. ხშირია უცხოეთის უნივერსიტეტებში ჩაბარებისა და სწავლის გაგრძელების შემთხვევა (სურვილი).

არსებულ ვითარებაში. მნიშვნელოვანია დაისახოს უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების გზები, რაც, ჩვენი აზრით, უნდა დაეფუძნოს:

- მკაცრად განსაზღვრულ შინაარსობრივი აკრედიტაციის კრიტერიუმებს, რომელიც არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს; უნივერსიტეტებში რეალურად უნდა ამოქმედდეს შიდა შეფასების სისტემები;

- მთავარი გამოწვევაა კურსდამთავრებულებისთვის ზოგიერთი ტრანსფერული კომპეტენციის ნაკლებობა/არარსებობა. ამ მიმართულებით, გასაუმჯობესებელია თანამშრომლობის, გუნდურობის, კომუნიკაციისა და დროის მენეჯმენტთან, ასევე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და კომპეტენტურობა. ამ მიმართულებით საჭიროა ტრანსფერული კომპეტენციების გაძლიერება და მონიტორინგი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში, სწავლის შედეგებსა და შეფასებებში; პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობის გაზრდა და მისი ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო/კვლევით კომპონენტში; ასევე აუცილებელია გაძლიერდეს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში.

- სასწავლო პროგრამები უნდა ასახავდეს და ესადაგებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უნდა გაძლიერდეს დასაქმების მაჩვენებლის მონიტორინგი, როგორც ხარისხის შეფასების ინდიკატორი;

- განსაკუთრებით დეფიციტურ სპეციალობებზე უნდა განხორციელდეს პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება და მოზიდვა;
- უნდა ამაღლდეს საერთაშორისო პარტნიორებთან სინერგიული თანამშრომლობა და ორმაგი დიპლომის პროგრამები;
- გაძლიერებას საჭიროებს კურსდამთავრებულებისთვის დასაქმებასთან დაკავშირებული მხარდაჭერი სერვისების პოლიტიკა, კერძოდ, დასაქმების ფორუმისა და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არსებული პრაქტიკა, უნდა მოიძებნოს ინფორმაციის გავრცელების ახალი და ეფექტური გზები.

### ლიტერატურა:

- საქართველოს სტატისტიკის წელიწადული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024. <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3423>
- სტუდენტთა რიცხოვნობა; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი; 2024-2025.
- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/56/ganatileba-kultura>
- სტუდენტების და დოქტორანტების რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, 2024 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>
- სტუდენტების მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>
- კურსდამთავრებულები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024-2025. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>
- პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2024-2025.
- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>
- ENIC-NARIC ქსელი, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, <https://www.eqe.ge/ka>
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. <https://mes.gov.ge/>
- უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია, 2025.
- <https://mes.gov.ge/uploads/files/umaghlesi-ganatilebis-sistemis-reformis-erovnuli-konceptcia.pdf?csrt=17344678357039010045>
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, თბილისი, 2018 – 2024 წწ.
- შრომის ბაზრის ანალიზი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023.

- <https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=d9fdc6bf-e949-43f0-b714-e7ac2aa91b16>
- უნარებზე სანარმოთა მოთხოვნის კვლევა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022.
- <https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=9e1b0f7d-d8a2-47b9-9099-4dd07d00f82c>
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=117>
- EEAS – ევროკავშირი და საქართველო: Erasmus+ პროგრამა და სხვა შესაძლებლობები
- [https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo\\_ka?utm\\_source=chatgpt.com](https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?utm_source=chatgpt.com)
- Erasmus+ Georgia - Erasmus Mundus Joint Master Degree Programs.
- [https://erasmus.org/ge/en/erasmus-mundus-joint-master-degree/?utm\\_source=chatgpt.com](https://erasmus.org/ge/en/erasmus-mundus-joint-master-degree/?utm_source=chatgpt.com)
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ანგარიში, 2024 წელი. <https://www.eqe.ge/ka/page/static/59/tliuri-angarishebi>
- References:
- Statistical Yearbook of Georgia, Higher education institutions, National Statistics Office of Georgia, 2024 <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3423>
- Strengthening the process of structural transformation to enhance economic complexity, efficiency, and effectiveness, particularly given the emergence of a “permission-based economy”, where every contract depends on the prevailing political stance. Sanctions through supply refusal create global dependence, whereby participation in technological chains requires loyalty to specific demands. A period of quiet expansion has begun, with temporary prohibitive tariffs on goods. Therefore, fostering innovation in development is crucial, as innovations emerge not from the top but on the production line. True innovation lies not in creating something new, but in bringing it to perfection, with discipline being the foundation of efficiency and effectiveness.

Therefore, in order to utilize qualitative indicators of economic growth, it is advisable to:

1. Introduce multiple indicators (composite indexes) to assess overall productivity, growth, and economic development, ensuring a comprehensive consideration of human, social, and environmental factors:
  - Human Development Index (HDI);
  - Inclusive Growth Index (WEF);
  - National Strength Index;
  - Global Innovation Index;
  - OECD Better Life Index.

2. Transition from a quantitative to a qualitative GDP component:
  - Assess the GDP structure (increase in the share of innovative and high-tech sectors);
  - Account for value added per unit of labor;
  - Labor productivity as a key factor in achieving sustainability and efficiency.
3. Scale the assessment of informal/shadow economy development:
  - Account for informal/shadow employment and economic activity;
  - Use additional data to improve the accuracy of real economic performance and activity assessment.
4. Indicators of sustainability and environmental efficiency contribute to the evaluation of long-term sustainable growth and development while considering environmental challenges:
  - “Green GDP”;
  - Energy efficiency index;
  - Accounting for the share of investments in ecology and “green” jobs.
5. Indicators of social justice promote a focus on inclusiveness and the reduction of social inequality:
  - Gini coefficient;
  - Social mobility;
  - Access to education, healthcare, and infrastructure services.
6. Strengthening innovation and digitalization fosters future-oriented development, productivity growth, and knowledge export:
  - Global Competitiveness and Innovation Index (GII);
  - Share of R&D expenditures in GDP;
  - Share of digital services and skills.

In conclusion, the use of qualitative indicators of economic growth will allow Azerbaijan to:

- Assess development not only by GDP but also by the standard of living, income equality, and sustainability;
- Orient state policy toward the real priorities of the economy and societal needs;
- Increase investor and international institutional confidence in the qualitative component of economic governance and coordination.

References:

- <https://gtmarket.ru/ratings/education-index>., <https://gtmarket.ru/ratings/education-index>
- Interview of the President of the Republic of Azerbaijan Ilham Aliyev with local TV channels, 07.01.2025 [Electronic resource. Access mode: [<https://azertag.az/>

ru/xeber/prezident\_azerbaidzhana\_ilham\_aliev\_dal\_intervyu] ([https://azertag.az/ru/xeber/prezident\\_azerbaidzhana\\_ilham\\_aliev\\_dal\\_intervyu](https://azertag.az/ru/xeber/prezident_azerbaidzhana_ilham_aliev_dal_intervyu))

- Materials of the Seminars “School-Seminar Named after Academician S.S. Shatalin”. [<https://www.smsep.ru/2020-2025/materialy-konferencii-2020-2025>](<https://www.smsep.ru/2020-2025/materialy-konferencii-2020-2025>)

- Materials of the Seminars “Scientific School of RAS Academician V.L. Makarov”. [<https://anspa.ru/>](<https://anspa.ru/>) [<https://www.smsep.ru/>](<https://www.smsep.ru/>), 2020-2025

- Galbraith, J.K. The Economics of Innocent Deception. Pravda Nashego Vremeni, Moscow, 2009

- Yuzbashieva, G.Z. Strengthening the Digitalization Process through the Implementation of Artificial Intelligence (AI): Advantages and Risks. 7th International Conference “Artificial Societies and Information Technologies” under the guidance of Academician V.L. Makarov, CEMI, 29–30.09.2025, Moscow. [<https://anspa.ru/>](<https://anspa.ru/>) [<https://www.smsep.ru/>] (<https://www.smsep.ru/>)

- Yuzbashieva G.Z. The Influence of Investment Activity on Business Performance. Ekonomisti, No. 3, 2025, Volume XXI. [<https://ekonomisti.tsu.ge/>] (<https://ekonomisti.tsu.ge/>)

- Yuzbashieva G.Z. Assessment of the Current Situation Ensuring Sustainable and Competitive Economic Growth and Development. II. International Symposium on the Asian Renaissance [[https://tdae.ege.edu.tr/a-684736/ii\\_uluslararası\\_asya\\_ronesansi\\_sempozyumu.html](https://tdae.ege.edu.tr/a-684736/ii_uluslararası_asya_ronesansi_sempozyumu.html)] ([https://tdae.ege.edu.tr/a-684736/ii\\_uluslararası\\_asya\\_ronesansi\\_sempozyumu.html](https://tdae.ege.edu.tr/a-684736/ii_uluslararası_asya_ronesansi_sempozyumu.html))

- Yuzbashieva G.Z. The Influence of Digitalization and the “Green” Economy on Enhancing Sustainability in the Country’s Economic Development. International Scientific Conference “School-Seminar named after Academician S.S. Shatalin: Systemic Modeling of Socio-Economic Processes”. Roundtable 1: “Development of National Economies in Modern Conditions”, 7–11.10.2025, Minsk, Republic of Belarus. [<https://www.smsep.ru/>] (<https://www.smsep.ru/>)

- Yuzbashieva G.Z. Qualitative Indicators in Ensuring Sustainable Economy. 03–04 May 2025, Istanbul, Boğaziçi Scientific Research Congress. [[www.isarconference.org](http://www.isarconference.org)] <http://www.isarconference.org>

- <https://unctadstat.unctad.org/datacentre/dataviewer/US.FTRI>](<https://unctadstat.unctad.org/datacentre/dataviewer/US.FTRI>)

- <https://unctadstat.unctad.org/datacentre/dataviewer/US.InclusiveGrowth>] <https://unctadstat.unctad.org/datacentre/dataviewer/US.InclusiveGrowth>)

- <https://ru.tradingeconomics.com/country-list/manufacturing-pmi>] <https://ru.tradingeconomics.com/country-list/manufacturing-pmi>)

- <https://www.wipo.int/web-publications/global-innovation-index-2024/en/index.html>] <https://www.wipo.int/web-publications/global-innovation-index-2024/en/index.html>)
- <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locale=ru&name>] <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locale=ru&name>)\_
- <https://www.kommersant.ru/doc/7959936>] (<https://www.kommersant.ru/doc/7959936>)
- <https://gtmarket.ru/ratings/human-development-index>] <https://gtmarket.ru/ratings/human-development-index>)
- <https://nationpowerindex.com/>] (<https://nationpowerindex.com/>)
- <https://statbase.ru/datasets/indexes-and-ratings/gini-index/>] <https://statbase.ru/datasets/indexes-and-ratings/gini-index/>)
- Data from WEF and OECD
- Figure 9, 26.06.2025

## ინოვაციური პოლიტიკა და სახელმწიფო მხარდაჭერა აზერბაიჯანში

### გულშენ ზაიდ იუზბაშიევა

პროფესორი  
აზერბაიჯანის ეკონომიკის ინსტიტუტის  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
[ygulshan@hotmail.com](mailto:ygulshan@hotmail.com)

### გულნაჰ ჯაფარ ქადიროვა

მკვლევარი, აზერბაიჯანის ეკონომიკის  
ინსტიტუტი  
[7gulnar@mail.ru](mailto:7gulnar@mail.ru)

აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდის შიდა ფაქტორების გააქტიურების პროცესი მიმდინარეობს გლობალური ეკონომიკური განვითარების გაურკვევლობისა და არამდგრადობის გაძლიერების პერიოდში. ამავდროულად, აქცენტი კეთდება არა საერთო, არამედ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე. ინკლუზიური ზრდა სხვადასხვა ხარისხით ვრცელდება ყველა შიდა პროცესსა და სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის მაღალი დიფერენციაცია მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში შესაძლებელს ხდის ეკონომიკური ზრდის თანაბარი განაწილების მაჩვენებლების მნიშვნელობას სტრუქტურის ძირითადი შემადგენელი ნაწილების მიხედვით. ანუ, ინკლუზიური ზრდის მაჩვენებლები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მშპ-ის ზრდის ტემპები. ეს მაჩვენებელი

მნიშვნელოვანი ხდება ყველა იმ ქვეყნისთვის, რომლის მიზანიც არის განვითარების მდგრადობა გაურკვეველი გარემოებების პირობებში. ასევე მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია დინამიკური ზრდის ტემპები ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციასთან ერთად, საბაზრო ფაქტორების გავლენის შესამცირებლად. ამიტომ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლების, გაციფრულებისა და ინკლუზიური ზრდის მნიშვნელობა. აზერბაიჯანში არსებობს ყველა პირობა რეალური ტრანსფორმაციის განხორციელებისთვის: ტოლერანტობის, სოციალური სახელმწიფოს, პატრიოტიზმის, დემოკრატიის, საგარეო პოლიტიკის ეროვნული ინტერესებთან შესაბამისობის იდეები.

ეკონომიკის სტრუქტურაში ცვლილებები ხდება ობიექტურად ჩამოყალიბებული ინსტიტუტების სისტემის, არსებული სოციალური-ეკონომიკური პრობორციების, ეკონომიკური პოლიტიკის და არჩეული პრიორიტეტების შედეგად. შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებები თავისთავად არ ხდება. ისინი გავლენას ახდენს არამხოლოდ არსებული ეკონომიკური სისტემის ხარისხობრივ შინაარსზე, არამედ ავლენს აღნიშნული ცვლილებების სტრუქტურაში მიმდინარეობის კანონზომიერებებზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობასაც. მხოლოდ ახალი სფეროების და დარგების შექმნა ხელს უწყობს დასაქმების სტრუქტურაში პოზიტიურ ცვლილებებს და საშუალო შემოსავლის დონის ზრდას.

მნიშვნელოვანია ინტენსიური ინოვაციური ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საფუძვლების შექმნა, რისთვისაც მიზანშეწონილია:

- ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელი პროგრესირებადი უთანასწორობის პირობებში; ზრდაზე ორიენტაცია განვითარებასთან ერთად, ეკონომიკის ახალი ხარისხობრივი მდგომარეობისკენ გადასვლით, აქცენტის გაკეთებით ინოვაციის, ინვესტიციების და ტურისტული ინდუსტრიის (3 “I”) პოტენციალზე; რეფორმების თანმიმდევრულობით, სტაბილურობითა და ეტაპობრივობით მიღებული უპირატესობების გამოყენება (3 “P”); სტრატეგიული ორიენტირები კოორდინაციის, კომპლექსურობისა და კოოპერაციის (3 “K”) პროცესების გაძლიერებით; სახელმწიფოს, მეცნიერებისა და ბიზნესის სამმხრივი შეთანხმების მიღწევა;

- ახალი ზრდის მოდელი (არაენერგეტიკული სექტორების განვითარებისა და ენერგეტიკულ სექტორებთან შერწყმა-დივერსიფიკაციის, მდგრადობისა და ქვეყნის სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხის გასაზრდელად);

- სახელმწიფოს როლი (სახელმწიფოს როლის გაძლიერება სტრუქტურულ გარდაქმნებში, პრიორიტეტული მიმართულებების რეგულირებასა და კოორდინაციაში);

- ინოვაციური განვითარება (ინტენსიური ინოვაციური ზრდის რეალური პირობების შექმნა, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება);
  - „სანებართვო ეკონომიკის“ ფორმირება, სადაც თითოეული კონტრაქტი დამოკიდებულია პოლიტიკურ განწყობაზე — ეს არის მშვიდი ეკონომიკური ექსპანსიის პერიოდი.
  - ამრიგად, ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის ძირითად მახასიათებლებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი:
    - მიზანშეწონილია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების პროგნოზირება ეროვნული ეკონომიკის პარალელურად; ზრდისა და განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების სტრატეგიული დაგეგმვა; ეროვნული ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების გამოყენება; ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით; მთავარი მიმართულებების დაგეგმვა და კოორდინაცია არსებული პოტენციალის გათვალისწინებით;
    - სახელმწიფოს გავლენის (არასამართლიანი და პირდაპირი) გაძლიერება ეკონომიკურ პროცესებზე სტრუქტურული და ინოვაციური პოლიტიკის გატარებით, გაციფრულებისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების გაძლიერებასთან ერთად;
    - ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის განხორციელება პერსპექტიულ მიმართულებებზე ყურადღების გამახვილებით, რაც შეესაბამება სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების მოთხოვნებს ეკონომიკური მოთხოვნების გათვალისწინებით;
    - სტრუქტურული ცვლილებების გატარება თანამედროვე ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობის გასაძლიერებლად; ინვესტიციების სტიმულირება და მასშტაბირება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების მიღწევის მიზნით, რათა გაიზარდოს მდგრადობა, კონკურენტუნარიანობა, ეფექტიანობა და შედეგიანობა;
    - მოთხოვნისა და მიწოდების ნახალისების პოლიტიკის გატარება მოსახლეობის კეთილდღეობის გასაზრდელად.
- საკვანძო სიგეყვები:** თვისებრივი კომპონენტი, ინკლუზიური ზრდა, ეფექტიანობა, ინოვაციური პოლიტიკა, სახელმწიფო მხარდაჭერა, დიגיტალიზაცია, ხელოვნური ინტელექტი, სტრუქტურა.

## ნარჩენების მართვა, როგორც მწვანე ეკონომიკის განვითარების წინაპირობა საქართველოში

### ელენე კობახიძე

დოქტორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Elene.kobakhidze@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.05.

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის თანამედროვე მდგომარეობის შეფასებას მწვანე ეკონომიკის განვითარების კონტექსტით და მისი მნიშვნელობის ანალიზს მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით. შესავალში განხილულია ნარჩენების მართვის ეკოლოგიური და ეკონომიკური განზომილებები, მათი კავშირი ჰესუსების ხაცონადუხი გამოყენებასთან, ციკლურადი ეკონომიკის პინციპებსა და ინტიგრაციური ჰეფოხმების პოცესთან. წახმოდგენილია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ეხოვნური სტრატეგიის ხოლი სისტემის სამართლებივ და ოხგანიზაციურ განვითარებაში.

კვლევა ეფუძნება ხაოდენობივი მეთოდს და განხოციედა სტრუქტურიზებული კოთხვახის გამოყენებით. გამოკოთხვაში მონაწილეობდა 1167 ᰇსპონდენტი საქართველოს სხვადასხვა ᰇგეონიდან. მონაცემები დამუშავდა აღწეხითი სტატისტიკის საფუძველზე და გაანალიზდა პოცენტური განაწილებების გამოყენებით. ემპირიური ნაწიდი მოიცავს მოსახლეობის ინფოხმიხებულობის, დამოკიებულებებისა და ქცევითი პრაქტიკის შეფასებას, ასევე, სეპარაციის პოცესის დიხითადი ბაიიეხების იდენტიფიციხებას.

შედეგები აჩვენებს, ხომ მწვანე ეკონომიკის შესახებ ცნობიეხება შედახებით მალადია, თუმცა, სამართლებივი და სტრატეგიური დოკუმენტების ცნობადობა კვდა შეზღუდულია. გამოვიდინდა ინფხასტრუქტური, საინფოხმაციო და მოტივაციური ფაქტორები, ხაც აფეხებს ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკის მასშტაბუხ გავხცელებას. დასკვნის მიხედვით, ნარჩენების ეფექტიანი მართვა წახმოდგენს ხოგოხც გახემოსდაცვითი უსაფხთხოების, ასევე, ეკონომიკური მდგრადობისა და მწვანე ტრანსფოხმაციის ეხთ-ეხთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

**საკვანძო სიციყვები:** მწვანე ეკონომიკა, წიხური ეკონომიკა, ნარჩენების მართვა, გახემოსდაცვითი ცნობიეხება; ეკონომიკური განვითარება.

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მდგრადი განვითარების საკითხები სულ უფრო მეტად უკავშირდება ეკონომიკური ზრდის, გარემოს დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის ურთიერთდამოკიდებულებას. ამ კონტექსტით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, რაც ეკონომიკური განვითარების ისეთ მოდელს წარმოადგენს, რომელიც ეფუძნება ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებას და გრძელვადიან მდგრადობას. მწვანე და წრიული ეკონომიკა განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების სტრატეგიული საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას (Abesadze, 2024). მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად ნარჩენების მართვა განიხილება, რადგან ის პირდაპირ ზემოქმედებს, როგორც ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ასევე, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და რესურსების ხელახალ გამოყენებაზე.

საქართველოსთვის ნარჩენების მართვის საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია ევროკავშირთან დაახლოებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ჰარმონიზაციის პროცესის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოები, პრაქტიკაში კვლავ იკვეთება რიგი პრობლემა, რაც დაკავშირებულია როგორც ინფრასტრუქტურულ დეფიციტთან, ასევე, მოსახლეობის ცნობიერებისა და ჩართულობის დაბალ დონესთან. აღნიშნული გარემოება ქმნის საჭიროებას ნარჩენების მართვის საკითხი გაანალიზდეს არამხოლოდ გარემოსდაცვით, არამედ ეკონომიკური განვითარების ქრილშიც.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების შეფასება ნარჩენების მართვის კონტექსტით, განსაკუთრებული აქცენტით მოსახლეობის ინფორმირებულობაზე, ქცევით პრაქტიკებსა და ეკონომიკურ აღქმებზე. კვლევის ამოცანაა გამოავლინოს, რამდენად არის საზოგადოება ჩართული ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების პროცესებში, როგორ აფასებს არსებული სისტემის ეფექტიანობას და რა ბარიერები აფერხებს მისი განვითარების პროცესს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობა, ხოლო კვლევის საგანს – ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ცნობიერება, ქცევითი ტენდენციები და მისი კავშირი მწვანე ეკონომიკის განვითარების პროცესთან.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდს და განხორციელებულია ონლაინ გამოკითხვის ფორმით, რომლის ფარგლებშიც გამოკითხულია 1167 რეს-

პონდენტი. მიღებული მონაცემები დამუშავებულია სტატისტიკური და პროცენტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომი სტრუქტურულად მოიცავს თეორიულ ნაწილს, რომელშიც განხილულია მწვანე ეკონომიკისა და ნარჩენების მართვის ძირითადი კონცეპტუალური მიდგომები; ემპირიულ ნაწილს, რომელიც ეფუძნება ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზს; და დასკვნას, სადაც წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები და განსაზღვრულია ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მისი ეკონომიკურ განვითარებასთან ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები.

წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო მიგნებაა ის, რომ საქართველოში ერთიანად ხდება მოსახლეობის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ცნობიერების, ქცევითი პრაქტიკისა და ეკონომიკური აღქმის ემპირიული ანალიზი მწვანე ეკონომიკის კონტექსტით. კვლევა ეფუძნება ფართომასშტაბიან რაოდენობრივ მონაცემებს, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სანდოობასა და მათი განზოგადების შესაძლებლობას. ნაშრომში გამოვლენილია განსხვავება ინფორმირებულობასა და რეალურ ქცევებს შორის, რაც მიუთითებს, რომ ნარჩენების მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია არამხოლოდ ცოდნაზე, არამედ ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ პირობებზე.

### **მწვანე ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ნარჩენების მართვის სისტემა საქართველოში**

საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნარჩენების მართვის რეფორმებთან, ვინაიდან ქვეყნის სტრატეგიული ხედვა თანხვედრილია ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებსა და მდგრადი განვითარების მიზნებთან (UN, 2020). ნარჩენების მართვა წარმოადგენს მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას, რადგან ის გავლენას ახდენს რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ეკონომიკური ზრდის მდგრადობაზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია - 2021-2025წწ. ხაზს უსვამს მწვანე ინოვაციებისა და რესურსების ეფექტიანობის მნიშვნელობას (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2021). ამასთან, SDG 12-ის მიღწევა განსაზღვრულია როგორც ეროვნული პრიორიტეტი, რაც მოიცავს პასუხისმგებელ მოხმარებასა და ნარჩენების შემცირებას (UN, 2020).

თანამედროვე შეფასებები აჩვენებს, რომ მდგომარეობა კვლავ გამომწვევებით ხასიათდება. SWITCH to Green-ის (2024) მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად წარმოიქმნება დაახლოებით 900,000 ტონა მუნიციპალუ-

რი ნარჩენი, რისი უმეტესობა ნაგავსაყრელებზე განთავსდება. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2024 წელს გენერირდა 1184 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი, ხოლო მისი მოცულობა საშუალოდ წლიურად 4.9%-ით იზრდება (GeoStat, 2025). რეგიონულ დონეზე სეპარირებული შეგროვების სისტემები კვლავ შეზღუდულად არის განვითარებული.

ნარჩენების მართვის სფეროში საკვანძო სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (Government of Georgia, 2015), რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეროვნული სტრატეგია 2016-2030 წლებისთვის. აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება ევროკავშირის ნარჩენების ჩარჩო დირექტივას (Directive 2008/98/EC) და მიზნად ისახავს სისტემის ეტაპობრივ ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან (REC Caucasus, 2022).

მიუხედავად საკანონმდებლო პროგრესისა, გადამუშავების დაბალი მაჩვენებელი, ინფრასტრუქტურული დეფიციტი და საზოგადოების შეზღუდული ჩართულობა, კვლავ სისტემურ პრობლემებად რჩება (SWITCH to Green, 2024; GIZ, 2024). ნარჩენების მართვის სფერო ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთო რესურსების გამოყენების პრობლემა, სადაც ინდივიდუალური ქცევები კოლექტიურ გარემოსდაცვით შედეგებს განაპირობებს. რესურსების არაეფექტიანი გამოყენება და ინსტიტუციური მექანიზმების არასათანადო ფუნქციონირება ზრდის საზოგადოებრივ დანაკარგებს და ამცირებს სისტემის ეფექტიანობას (Kharaisvili, 2019). შესაბამისად, ნარჩენების მართვის გაუმჯობესება საჭიროებს არამხოლოდ ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას, არამედ, ეფექტიანი ეკონომიკური სტიმულებისა და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებასაც.

აღნიშნული გარემოებები განაპირობებს ნარჩენების მართვის სოციალური და ქცევითი ასპექტების ემპირიული შეფასების აუცილებლობას.

### **რესპონდენტთა ასაკობრივი, სქესობრივი და რეგიონული სტრუქტურის ანალიზი**

დემოგრაფიული მახასიათებლები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისთვის, ვინაიდან ასაკი და სქესი გავლენას ახდენს გარემოსდაცვით ცნობიერებასა და ქცევით პრაქტიკაზე.

ასაკობრივი განაწილების მიხედვით, რესპონდენტების 62.6% მიეკუთვნება 18-24 წლის ჯგუფს, რაც მიუთითებს ახალგაზრდების დომინირებაზე შერჩევაში. 25-34 წლის კატეგორია შეადგენს 10.5%-ს, ხოლო 35-44, 45-54 და 55-64 წლის ჯგუფები წარმოდგენილია შესაბამისად 8.4%, 7.2% და 7.9%-ით. 65 წელს გადაცილებული რესპონდენტები შეადგენენ 3.4%-ს. ახალგაზრდების მაღალი წილი ნაწილობრივ აიხსნება კვლევის ონლაინ ფორმატით და შედეგების ანალიზისას საჭიროებს შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებას.

სქესობრივი განაწილების მიხედვით, რესპონდენტთა 61.7% ქალია, ხოლო 38.3% მამაკაცი. ორივე სქესის წარმომადგენლობა იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ცნობიერება და ქცევითი პრაქტიკა დემოგრაფიული ჭრილის გათვალისწინებით.

აღნიშნული დემოგრაფიული სტრუქტურა ქმნის საფუძველს შემდგომი ანალიზისთვის, რომელიც შეეხება მოსახლეობის ცნობიერებას, ქცევით პრაქტიკებსა და დამოკიდებულებებს ნარჩენების მართვის სისტემის მიმართ.

რეგიონული განაწილება ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან რეგიონული ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პირობები გავლენას ახდენს გარემოსდაცვით ქცევებზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 37.4% ცხოვრობს თბილისში, რაც დედაქალაქის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ასახავს. ურბანიზაციის მაღალი დონე და მუნიციპალური სერვისების შედარებით უკეთესი ხელმისაწვდომობა ქმნის გარემოს, სადაც ნარჩენების მართვის ელემენტები უფრო აქტიურად ფუნქციონირებს.

ეკონომიკურად აქტიური რეგიონებიდან მნიშვნელოვანი წილი ფიქსირდება რაჭადლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (10.5%), აჭარაში (9.1%), იმერეთში (9%), ქვემო ქართლში (8.9%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (8.7%). კახეთის წილი შეადგენს 6.6%-ს, გურიის – 3%, შიდა ქართლის – 2.3%, სამცხე-ჯავახეთის 2.3% და მცხეთა-მთიანეთის – 2.1%, ე.ი. ბოლო 5 რეგიონის მონაწილეობა შედარებით დაბალია.

მთლიანობაში, რეგიონული განაწილება ადასტურებს, რომ მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერის დონე და ნარჩენების მართვის პრაქტიკა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული რეგიონულ ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ გარემოსთან, რაც შედეგების ინტერპრეტაციისას აუცილებელ კონტექსტს ქმნის.

## **გამოკითხულთა ინფორმირებულობა მწვანე ეკონომიკის შესახებ**

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 67% აცხადებს, რომ ფლობს ინფორმაციას „მწვანე ეკონომიკის“ შესახებ, ხოლო 33% აღნიშნავს, რომ არ იცნობს აღნიშნულ ტერმინს. აღნიშნული განაწილება მიუთითებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას აქვს ზოგადი წარმოდგენა თანამედროვე გარემოსდაცვით-ეკონომიკური მიდგომების შესახებ, თუმცა, ინფორმირებულობა ჯერ კიდევ არ არის უნივერსალური.

ინფორმირებულობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი შეიძლება აიხსნას ეკოლოგიური საკითხებისადმი გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერე-

სითა და ინფორმაციის ციფრულ პლატფორმებზე ხელმისაწვდომობით. ამავე დროს, რესპონდენტთა მესამედის ინფორმაციული დეფიციტი მიუთითებს გარემოსდაცვითი განათლებისა და მიზნობრივი საინფორმაციო პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობაზე.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს საფუძველი მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერის გასაძლიერებლად, თუმცა, მისი ეფექტიანი დანერგვა საჭიროებს ცნობიერების თანაბარ გავრცელებას სხვადასხვა სოციალურ და რეგიონულ ჯგუფს შორის.

### **ნარჩენების მართვის კოდექსის შესახებ ცნობიერება**

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 36.8% აცხადებს, რომ ინფორმირებულია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესახებ, ხოლო 63.2% აღნიშნავს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს არ იცნობს. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ ქვეყნის გარემოსდაცვითი რეგულაციების ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი ჩარჩოს ცნობადობა ფართო საზოგადოებაში კვლავ დაბალია.


ნარჩენების მართვის კოდექსი განსაზღვრავს ნარჩენების სეპარაციის, შეგროვების, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და განთავსების ძირითად პრინციპებს და წარმოადგენს რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და მწვანე ეკონომიკის მიმართულებით ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ნარჩენების მართვა ერთდროულად ეკოლოგიურ და ეკონომიკურ განზომილებას მოიცავს. ეკოლოგიური თვალსაზრისით ის დაკავშირებულია გარემოს დაბინძურების შემცირებასთან, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით ნარჩენების, როგორც რესურსის, ხელახალ გამოყენებასა და წრიული ეკონომიკის განვითარებასთან. ნარჩენების ეფექტიანი მართვა წარმოადგენს ცირკულარული ეკონომიკის საფუძველს, ვინაიდან მისი მიზანია არამხოლოდ ზრდა, არამედ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და მისი რაციონალური გამოყენება (Abesadze & Kuratashvili, 2024).

შესაბამისად, კოდექსის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა წარმოადგენს ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს საჯარო კომუნიკაციის, გარემოსდაცვითი განათლებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერების საჭიროებაზე. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია, როგორც სეპარაციის კულტურის განვითარების, ასევე, მწვანე ეკონომიკის პრინციპების პრაქტიკაში რეალიზებისთვის.

### ნარჩენების მართვის კოდექსის ცნობადობა (%)

გრაფიკი 1.

იცნობთ თუ არა „ნარჩენების მართვის კოდექსს“  
1,167 responses



წყარო: აგებულია ავტოჩის მიეჩ, ხაოგენობიჩვი კვდვის მონაცემების საფუძველზე

### ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკა შინ

საყოფაცხოვრებო სივრცეში ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული ქცევა საქართველოში ნაწილობრივ არის გავრცელებული, ე.ი. ჯერ კიდევ არ არის სისტემურად ჩამოყალიბებული. რესპონდენტთა 12.1% აცხადებს, რომ ნარჩენებს ყოველთვის ახარისხებს, ხოლო 18.2% ხშირად, რაც ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ქცევის შედარებით სტაბილურ სეგმენტზე მიუთითებს.

ყველაზე დიდი ჯგუფი (33.4%) ნარჩენებს მხოლოდ ზოგჯერ ახარისხებს, რაც არასტაბილურ ქცევით მოდელზე მიუთითებს და სავარაუდოდ, დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასა და ინდივიდუალურ მოტივაციაზე. ამასთან, 22.9% ნარჩენებს იშვიათად ახარისხებს, ხოლო 13.5% საერთოდ არ ახორციელებს სეპარაციას, რაც აჩვენებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პროცესში არ არის ჩართული.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ცნობიერების გარკვეული დონისა, სეპარაციული ქცევა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ და თანმიმდევრულად დამკვიდრებული. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ცნობიერების ზრდა ავტომატურად არ გარდაიქმნება ქცევით პრაქტიკად, რაც შემდგომში აუცილებელს ხდის იმ ბარიერების ანალიზს, რაც ხელს უშლის ნარჩენების სეპარაციის სისტემურ განხორციელებას.

### ნარჩენების სეპარაციის მთავარი ბარიერები

გამოკითხულთა პასუხები ცხადყოფს, რომ ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკას საქართველოში მრავალფაქტორიანი ბარიერი აფერხებს, რაც მოი-

ცავს როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე, ინდივიდუალურ და საინფორმაციო პრობლემებს.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ბარიერები, როგორც ფინანსურ, სტრუქტურულ, ოპერაციულ, ასევე, დამოკიდებულებით და ტექნოლოგიურ ფაქტორებს მოიცავს, ხოლო სისტემური ცვლილებები საჭიროებს როგორც ინსტიტუციურ, ასევე, ინფრასტრუქტურულ გაძლიერებას (Kakulia & Tkemaladze, 2024). აღნიშნული თეორიული ხედვა წარმოდგენილია კვლევის ემპირიულ შედეგებთან თანხვედრაში.

კვლევის შედეგების მიხედვით, სეპარაციის არგანხორციელების მთავარ მიზეზად რესპონდენტთა 38.6% ინფრასტრუქტურის ნაკლებობას ასახელებს (451 ადამიანი). ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს სეპარაციისთვის საჭირო მინიმალურ პირობებს - შესაბამის კონტეინერებსა და ხელმისაწვდომ სერვისებს. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ ქვევითი ცვლილება შეუძლებელია ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის გარეშე.

მეორე ყველაზე გავრცელებული მიზეზია დროის არქონა (31.3%; 365 რესპონდენტი), რაც სეპარაციის პროცესის დამატებით შრომატევად ქმედებად აღქმას ასახავს. ეს მიუთითებს, რომ სეპარაციის სისტემა მოქალაქისთვის მაქსიმალურად მარტივი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა ის ყოველდღიურ რუტინაში ორგანულად ინტეგრირდეს.


ინფორმაციის ნაკლებობას ასახელებს 26.5% (309 რესპონდენტი), რაც გარემოსდაცვითი განათლებისა და საჯარო კომუნიკაციის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს. ცნობიერების დეფიციტი პირდაპირ აისახება ქვევზე და აფერხებს სეპარაციის კულტურის ჩამოყალიბებას.

ინტერესის არქონა დაფიქსირდა 15.7%-ში (183 ადამიანი), რაც მოტივაციის პრობლემაზე მიუთითებს და ასახავს იმ დამოკიდებულებას, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური ქმედება სისტემურ შედეგს ვერ იწვევს. „სხვა“ მიზეზები (2.7%) შედარებით მცირე წილს წარმოადგენს და მოიცავს ინდივიდუალურ გარემოებებს.

ამრიგად, მონაცემები ცხადყოფს, რომ სეპარაციის დაბალი პრაქტიკა საქართველოში, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურული და სისტემური ფაქტორებით არის განპირობებული, ხოლო ინდივიდუალური მოტივაცია და ცნობიერება – მეორად, თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შესაბამისად, ნარჩენების მართვის გაუმჯობესება საჭიროებს როგორც სერვისების გაფართოებას, ასევე, განათლებისა და მოტივაციის მექანიზმების გაძლიერებას, რაც პირდაპირ უკავშირდება მწვანე ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ მიზნებს.

### ნარჩენების სეპარაციის მთავარი ბარიერები საქართველოში (%)

გრაფიკი 2.



წყარო: აგებულია ავგოხის მიეხ, ხაოფენობიივი კვევის მონაცემების საფუძველზე

### ბოლო 6 თვის განმავლობაში ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა

კითხვაზე – „ბოლო 6 თვეში გადაგიგდიათ თუ არა რაიმე გადამუშავების კონტეინერში?“ – მიღებული პასუხები მიუთითებს, რომ მოსახლეობა პრაქტიკული ჩართულობის მიხედვით, თითქმის თანაბრად არის განაწილებული: 49.5% აცხადებს, რომ გადაუგდია ნარჩენი გადამუშავების კონტეინერში, ხოლო 50.5% აღნიშნავს, რომ აღნიშნული ქმედება არ განუხორციელებია.

აღნიშნული შედეგი აჩვენებს, რომ გადამუშავების პრაქტიკა საქართველოში გარდამავალ ეტაპზეა – მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი უკვე ჩართულია პროცესში, თუმცა ჩართულობა ჯერ კიდევ არ არის სტაბილური და უნივერსალური. ეს მიუთითებს, რომ გარემოსდაცვითი ქცევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, როგორც ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაზე, ასევე, ინდივიდუალურ მოტივაციასა და ცნობიერებაზე.

მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ ცნობიერების არსებობა ავტომატურად არ უზრუნველყოფს ქცევით აქტიურობას. მოსახლეობის ნახევარზე მეტის პრაქტიკაში არჩართულობა მიუთითებს იმაზე, რომ გადამუშავების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება საჭიროებს როგორც სერვისების გაფართოებას, ასევე, მოქალაქეთა მოტივაციის გაძლიერებას.

საბოლოო ანგარიშით, მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს გადამუშავების კულტურის ფორმირების რეალური საფუძველი, თუმცა, მისი მასშტაბური დანერგვა კვლავ საჭიროებს სისტემურ მხარდაჭერას და ინსტიტუციურ გაძლიერებას.

## **ნარჩენების გადამუშავების მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის**

გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ნარჩენების გადამუშავებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად აღიქვამს. რესპონდენტთა 64.6% მიიჩნევს, რომ გადამუშავება „ძალიან მნიშვნელოვანია“ ეკონომიკური ზრდისთვის, ხოლო 22.6% მას „მნიშვნელოვნად“ აფასებს. ამგვარად, გამოკითხულთა 87%-ზე მეტი ნარჩენების გადამუშავებას ეკონომიკური განვითარების პოზიტიურ მექანიზმად განიხილავს.

აღნიშნული შეფასება მიუთითებს, რომ საზოგადოება ნარჩენების გადამუშავებას უკავშირებს არამხოლოდ გარემოსდაცვით, არამედ ეკონომიკურ სარგებელს, მათ შორის, სამუშაო ადგილების შექმნას, მწვანე სექტორების განვითარებას, რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და მუნიციპალური ხარჯების შემცირებას. ეს შედეგი ადასტურებს, რომ მწვანე ეკონომიკის პრინციპები საზოგადოების ცნობიერებაში თანდათან ინტეგრირდება და ეკოლოგიური პოლიტიკა უკვე ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტად აღიქმება.

შედარებით დაბალი შეფასება დაფიქსირდა რესპონდენტთა 12.7%-ში (ქულა 1 და 2), რაც შეიძლება მიუთითებდეს გადამუშავების ეკონომიკური პოტენციალის შესახებ არასაკმარის ინფორმირებულობაზე ან არსებული ინფრასტრუქტურის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე.

საბოლოოდ, მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებობს საზოგადოებრივი მხარდაჭერა ნარჩენების გადამუშავების ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართ. აღნიშნული გარემოება ქმნის მყარ სოციალურ საფუძველს მწვანე ეკონომიკის ინსტრუმენტების გაფართოებისა და ცირკულარული მოდელის განვითარებისათვის.

## **აუცილებელი ნაბიჯები ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისთვის**

ღია კითხვაზე მიღებული პასუხები მიუთითებს, რომ მოსახლეობა ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას კომპლექსურ პროცესად აღიქვამს, რომელიც მოითხოვს როგორც ცნობიერების ამაღლებას, ასევე, ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს.

ყველაზე დიდი წილი (26%) განათლებასა და ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება, რაც ხაზს უსვამს ეკოლოგიური კულტურის ფორმირების მნიშვნელობას. მეორე მიმართულებად დასახელდა გადამუშავების სისტემის განვითარება (22%), რაც მიუთითებს ეკონომიკური მექანიზმებისა და სანარმოო ინფრასტრუქტურის გაძლიერების საჭიროებაზე. ინფრასტრუქტურის გაუმჯო-

ბესება (18%) კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქცევითი ცვლილება პირდაპირ დამოკიდებულია ხელმისაწვდომ სერვისებზე.

სახელმწიფო პოლიტიკისა და კონტროლის გაძლიერებას რესპონდენტთა 15% ასახელებს, რაც საზოგადოებაში რეგულატორული მოლოდინების არსებობას ცხადყოფს. შედარებით ნაკლები წილი უკავია კერძო სექტორის პასუხისმგებლობას (8%) და მოქალაქეთა ინდივიდუალურ ჩართულობას (6%), ხოლო სხვა მიმართულებები (5%) მოიცავს ინოვაციებსა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

მთლიანობაში, შედეგები მიუთითებს, რომ ნარჩენების მართვის გაუმჯობესება საქართველოში საჭიროებს განათლებაზე, ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკურ ინსტრუმენტებსა და სახელმწიფო რეგულაციებზე დაფუძნებულ ინტეგრირებულ მიდგომას.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევამ წარმოაჩინა, რომ საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების პროცესი მჭიდროდ დაკავშირებულია ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანობასა და მოსახლეობის ჩართულობის დონესთან. მიუხედავად საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოების არსებობისა, პრაქტიკაში კვლავ იკვეთება, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე, ქცევითი და საინფორმაციო ხასიათის გამოწვევები.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს ზოგად ინფორმაციას მწვანე ეკონომიკის შესახებ, და სამართლებრივი ჩარჩოების – განსაკუთრებით „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ცნობადობა კვლავ დაბალია. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ საკანონმდებლო რეფორმები სრულად ვერ გარდაიქმნება ქცევით ცვლილებად მოსახლეობის სათანადო ინფორმირებულობის გარეშე.

ემპირიული მონაცემები ადასტურებს, რომ ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკა საქართველოში ნაწილობრივ არის გავრცელებული, თუმცა არ აქვს სისტემური და სტაბილური ხასიათი. მოსახლეობის ქცევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაზე, დროის რესურსსა და ინფორმირებულობაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სეპარაციის არგანხორციელების მთავარ ბარიერად ინფრასტრუქტურის ნაკლებობა სახელდება, რაც მიუთითებს სისტემური მხარდაჭერის აუცილებლობაზე.

ამასთან, საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ნარჩენების გადამუშავებას ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმად აღიქვამს, რაც ქმნის მყარ სოციალურ საფუძველს მწვანე ეკონომიკის ინსტრუმენტების გაფართოებისა და ცირკულარული მოდელის დანერგვისთვის.

ღია შეკითხვაზე მიღებული პასუხები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნარჩენების მართვის გაუმჯობესება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს განათლების გაძლიერებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ეკონომიკურ სტიმულებსა და რეგულატორული მექანიზმების ეფექტიანობას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებობს მწვანე ეკონომიკის განვითარების სოციალური და ინსტიტუციური წინაპირობები, თუმცა, მისი სრულფასოვანი რეალიზება საჭიროებს თანმიმდევრულ პოლიტიკას, სისტემურ ინვესტიციებს და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება წარმოადგენს არამხოლოდ გარემოსდაცვით აუცილებლობას, არამედ, ეკონომიკური მდგრადობისა და გრძელვადიანი განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

### ლიტერატურა:

- აბესაძე რ. (2024). „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკა – მდგრადი განვითარების საფუძველი. თსუ თებერვლის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, 9–15. <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- აბესაძე რ. & კურატაშვილი კ. (2024). ნარჩენების მართვის სტრატეგია საქართველოში. ეკოლოგია, ივნისი(1), 14-17. <https://shorturl.at/XDyrn>
- კაკულია ნ. & ტყემალაძე ი. (2024). ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის გამოწვევები საქართველოში. თსუ თებერვლის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, 93–100. <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- საქართველოს ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნული სტრატეგია. (2016). თბილისი, საქართველო. <https://rec-caucasus.org/wp-content/uploads/2022/12/PRINT-nar-chenebis-marthis-erovnuli-strategia-6.pdf>
- ხარაიშვილი ე. (2019). მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა საკუთრების უფლებების რეგულირების მექანიზმებით. <https://www.researchgate.net/publication/341342934>
- GeoStat. (2025). Municipal waste statistics. National Statistics Office of Georgia. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika>
- GIZ. (2024). Circular economy in Georgia: Baseline study. Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH. <https://www.giz.de/de/downloads/giz2024-en-baseline-study-georgia-extern.pdf>
- Government of Georgia. (2015). Waste Management Code. Legislative Herald of Georgia. [https://environment.cenn.org/app/uploads/2016/06/Waste-Management-Code\\_FINAL\\_2015.pdf](https://environment.cenn.org/app/uploads/2016/06/Waste-Management-Code_FINAL_2015.pdf)
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2021). SME development strategy of Georgia 2021–2025. Government of Georgia. [https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek\\_\\_politika/sme\\_strategy/2022/sme\\_strategy\\_2021\\_2025\\_eng.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/2022/sme_strategy_2021_2025_eng.pdf)
- REC Caucasus. (2022). National Waste Management Strategy 2016–2030 and National Waste Management Action Plan 2022–2026. <https://rec-caucasus.org/wp-content/uploads/2022/12/National-Waste-Management.pdf>

- SWITCH to Green. (2024). Georgia factsheet: Moving towards circularity. European Union. <https://www.switchtogreen.eu/wp-content/uploads/2024/12/Georgia-Factsheet-03.pdf>
- United Nations. (2020). United Nations Sustainable Development Cooperation Framework (UNSDCF) Georgia 2021–2025. United Nations. [https://unsdg.un.org/sites/default/files/202011/Georgia\\_UNSDCF\\_%202021%20to%202025\\_0.pdf](https://unsdg.un.org/sites/default/files/202011/Georgia_UNSDCF_%202021%20to%202025_0.pdf)

## References:

- Abesadze R. (2024). „Mtsvane“ da „Tsiuli“ Ekonomika – Mdgradi ganvitarebis sapudzveli. [“Green” and “Circular” Economies - the Basis of Sustainable Development.] tsu tebevris sametsniero konperentsiis krebuli, 9–15. in Georgian <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- Abesadze R., & Kuratashvili K. (2024). Narchenebis martvis strategia sakartveloshi. [Waste Management Strategy in Georgia.] Ekologia, ivnisi(1), 14–17. in Georgian <https://shorturl.at/XDyrn>
- Kakulia N. da Tkemaladze I. (2024). tsirkularul ekonomikaze gadasvlis gamotsvevebi sakartveloshi. [Challenges of Transitioning to a Circular Economy in Georgia] tsu tebevris sametsniero konperentsiis masalebi, 93–100. in Georgian <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/თებერვლის-კონფერენციის-კრებული-2024.pdf>
- Government of Georgia. (2015). Waste Management Code. Legislative Herald of Georgia. [https://environment.cenn.org/app/uploads/2016/06/Waste-Management-Code\\_FINAL\\_2015.pdf](https://environment.cenn.org/app/uploads/2016/06/Waste-Management-Code_FINAL_2015.pdf)
- Government of Georgia. (2016). sakartvelos narchenebis martvis 2016–2030 tslebis erovnuli strategia. [National Waste Management Strategy of Georgia 2016–2030] Tbilisi, Georgia. in Georgian <https://rec-caucasus.org/wp-content/uploads/2022/12/PRINT-narchenebis-marthvis-erovnuli-strategia-6.pdf>
- Kharaisvili E. (2019). mtsvane ekonomikis tanamedrove gamotsvevebi. [Modern Challenges of the Green Economy.] in Georgian <https://www.researchgate.net/publication/341342934>
- GeoStat. (2025). Municipal waste statistics. National Statistics Office of Georgia. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika>
- GIZ. (2024). Circular economy in Georgia: Baseline study. Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH. <https://www.giz.de/de/downloads/giz2024-en-baseline-study-georgia-extern.pdf>
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2021). SME development strategy of Georgia 2021–2025. Government of Georgia. [https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek\\_politika/sme\\_strategy/2022/sme\\_strategy\\_2021\\_2025\\_eng.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/2022/sme_strategy_2021_2025_eng.pdf)
- REC Caucasus. (2022). National Waste Management Strategy 2016–2030 and National Waste Management Action Plan 2022–2026. <https://rec-caucasus.org/wp-content/uploads/2022/12/National-Waste-Management.pdf>
- SWITCH to Green. (2024). Georgia factsheet: Moving towards circularity. European Union. <https://www.switchtogreen.eu/wp-content/uploads/2024/12/Georgia-Factsheet-03.pdf>
- United Nations. (2020). United Nations Sustainable Development Cooperation Framework (UNSDCF) Georgia 2021–2025. United Nations. [https://unsdg.un.org/sites/default/files/202011/Georgia\\_UNSDCF\\_%202021%20to%202025\\_0.pdf](https://unsdg.un.org/sites/default/files/202011/Georgia_UNSDCF_%202021%20to%202025_0.pdf)

## **Waste Management as a Prerequisite for the Development of the Green Economy in Georgia**

***Elene Kobakhidze***

*Doctoral Student*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*Elene.kobakhidze@tsu.ge*

This article examines the current state of the waste management system in Georgia within the broader context of green economy development and sustainable development goals. Waste management is approached as a multidimensional challenge that combines ecological responsibility with economic rationality. From an environmental standpoint, inefficient waste management contributes to land, water, and air pollution, greenhouse gas emissions, and long-term ecological degradation. From an economic standpoint, waste is increasingly regarded as a resource within the circular economy model, where materials are reused, recycled, or recovered to reduce dependence on primary resources and enhance economic efficiency.

The theoretical foundation of this study rests on the principles of the green and circular economy. The green economy emphasizes sustainable growth, resource efficiency, and environmental protection, while the circular economy advocates for closed-loop systems in which waste generation is minimized and materials remain in productive use for as long as possible. The article highlights the importance of institutional reforms in Georgia, particularly the adoption of the Waste Management Code and the National Waste Management Strategy (2016–2030). These initiatives aim to align national legislation with European Union directives and international environmental standards. Together, they establish the institutional framework for transforming Georgia's waste management system from a linear “produce–consume–dispose” model into a more sustainable and resource-efficient structure.

The empirical component of the research employs a quantitative methodology. Data were collected through a structured online questionnaire distributed across multiple regions of Georgia, involving 1,167 respondents. The dataset was processed using descriptive statistical methods and analyzed through percentage distribution. The empirical analysis explores demographic characteristics (age, gender, and regional distribution), levels of awareness regarding green economy concepts, knowledge of legal and strategic waste management documents, behavioral practices related to waste separation, perceptions of recycling, and the identification of key barriers that hinder active participation in waste management processes.

The findings reveal that awareness of the term “green economy” is relatively high among respondents, with the majority reporting familiarity with the concept. Nevertheless, a significant gap persists between general environmental awareness and knowledge of formal institutional frameworks. Awareness of the Waste Management Code and the National Waste Management Strategy remains comparatively low, indicating limited public communication and insufficient integration of environmental policy information into public discourse. This discrepancy underscores the need for stronger institutional outreach and enhanced environmental education.

In terms of behavioral practices, the results show that household waste separation is not yet a consistent or widespread habit. While some respondents report always or frequently separating waste, a considerable proportion do so only occasionally or not at all. This suggests that positive environmental attitudes do not automatically translate into stable behavioral patterns. The inconsistency of waste separation practices reflects structural limitations within the system rather than a lack of environmental concern.

A central analytical focus of the study is the identification of barriers to household waste separation. The most frequently cited obstacle is the lack of adequate infrastructure, particularly limited access to separate waste collection containers and organized recycling systems. This finding highlights the structural nature of the challenge, as behavioral change is unlikely to occur without fundamental infrastructural support. Time constraints and inconvenience emerge as another significant barrier, indicating that waste separation is often perceived as an additional burden rather than an integrated aspect of daily routines. Limited information and insufficient environmental awareness further contribute to low participation rates. In addition, motivational factors play a role, with some respondents expressing skepticism about the effectiveness of individual efforts in influencing broader systemic outcomes.

The study also explores public perceptions of recycling in relation to economic development. A substantial majority of respondents regard recycling as important or very important for economic growth. This perspective reflects a growing recognition of recycling as a driver of job creation, local industry development, reduced dependence on imports, optimization of municipal expenditures, and more efficient resource utilization. The findings suggest that waste management is increasingly understood not only as an environmental necessity but also as a strategic economic opportunity within the broader green transformation agenda.

The discussion highlights the structural and institutional challenges that continue to hinder the effective implementation of sustainable waste management practices. Although legislative and strategic frameworks have been established, their practical application remains uneven. Regional disparities, inadequate infrastructure,

limited enforcement mechanisms, and gaps in public awareness persist as barriers to systemic progress. The research underscores the need for a comprehensive policy approach that integrates infrastructural development, institutional strengthening, and environmental education to achieve meaningful and lasting improvements in waste management.

In conclusion, the article demonstrates that effective waste management is a critical prerequisite for ensuring environmental safety, advancing economic sustainability, and achieving a successful green transformation in Georgia. The transition toward a circular economy requires coordinated efforts across both institutional and societal levels. Expanding infrastructure, improving communication of legal frameworks, strengthening public awareness, and fostering citizen engagement are essential steps in building a sustainable waste management system. The empirical findings offer valuable insights for policymakers and contribute meaningfully to the broader discourse on green economy development in transitional economies.

**Keywords:** Green economy, circular economy, waste management, environmental awareness, economic development.

**JEL Codes:** Q53, Q56, O13, Q01, Q58

## HUMAN RESOURCES PLANNING IN LOCAL GOVERNMENTS IN AZERBAIJAN: A STUDY IN THE NORTHWESTERN REGION

**Raqif X. Gasimov**

Associate Professor,  
Director Zaqatala Branch of UNEC Azerbaijan  
raqif.gasimov@unec.edu.az

**Gunay P. Papakhova**

Teacher  
Zaqatala Branch of UNEC  
Azerbaijan  
gunay.papakhova@unec.edu.az

[doi.org/10.52340/eab.2026.18.01.06](https://doi.org/10.52340/eab.2026.18.01.06)

*This study aims to provide a general assessment of human resource planning within both the central administration and local administrations in the Northwestern region of Azerbaijan.*

*The Northwestern region is one of the country's most geographically and culturally rich areas. It encompasses important cities and provinces such as Zakatala, Sheki, Gakh, Balaken, and Gabala, and is a popular destination for both domestic and international tourists thanks to its natural beauty, historical landmarks, and cultural heritage.*

- Zengin E. and Abdulkerim U. (2004), "Thoughts on the Financial System of Municipalities in Azerbaijan," Local Governments, Decentralization and Municipalities in Azerbaijan, Kavkaz University Municipal Research Centre Publication, Baku.
- Internet source:
- ABMA (2025). Report of the National Associations of Municipalities of Azerbaijan, <https://abma.gov.az/view/hesabatlar/646f58454f64e168501869332.pdf>, (Access Date: 01.02.2025)
- ABMA (2025). Report of the National Associations of Municipalities of Azerbaijan, <https://abma.gov.az/view/hesabatlar/report2023.pdf>, (Access Date: 01.02.2025)
- ABMA (2025). Report of the National Associations of Municipalities of Azerbaijan, <https://abma.gov.az/view/hesabatlar/Hesabat-2024.pdf>, (Access Date: 01.02.2025)

- Constitution of the Republic of Azerbaijan, <https://e-qanun.az/framework/897>, (Access Date: 01.02.2025)
- Foundations of Municipal Finances Law of the Republic of Azerbaijan (2025), <https://e-qanun.az/framework/5231>, (Access Date: 02.02.2025)
- Municipal Status Law of the Republic of Azerbaijan (2025), <https://e-qanun.az/framework/4770>, (Access Date: 01.02.2025)
- Hayes, A., Anderson, S., and Li, T. (2023), "Human Resource Planning (HRP) Meaning, Process, and Examples," <https://www.investopedia.com/terms/h/human-resource-planning.asp>, Access Date: 02.02.2025.

## აზერბაიჯანში ადგილობრივი მმართველობის სისტემაში ადამიანური რესურსების დაგეგმვა: ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის მაგალითზე

### რაჟიფ ხანბაღა გასიმოვი

ასოციირებული პროფესორი  
UNEC-ის ზაქათაღის ფილიალის დირექტორი  
აზერბაიჯანი  
[raqif.qasimov@unec.edu.az](mailto:raqif.qasimov@unec.edu.az)

### გუნაი ფაშა პაპახოვა

მასწავლებელი  
UNEC-ის ზაქათაღის ფილიალი, ORCID  
აზერბაიჯანი  
[gunaypapaxova@gmail.com](mailto:gunaypapaxova@gmail.com)

კვლევა მიზნად ისახავს ადამიანური რესურსების დაგეგმვის ზოგად შეფასებას აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივ ადმინისტრაციებში.

აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონი ქვეყნის ერთ-ერთ გეოგრაფიულად და კულტურულად მდიდარ რეგიონს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებსა და რაიონებს, როგორცაა ზაქათალა, შექი, გაღი, ბალაქენი და გაბალა, და თავისი ბუნებრივი სილამაზით, ისტორიული ნაგებობებითა და კულტურული მემკვიდრეობით წარმოადგენს მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებას, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვიზიტორებისთვის.

აზერბაიჯანში, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად მიჩნეული - ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია - სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურაში იქნა ინტეგრირებული. 1999 წლის 12 დეკემბერს აზერბაიჯანში ჩატარდა პირველი მუნიციპალური არჩევნები და გუბერნატორული (აღმასრულებელი ხელისუფლების) სისტემის პარალელურად ამოქმედდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სისტემა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგა-

ნოთა საბჭოს წევრები აირჩევინ მოსახლეობის მიერ და პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა მომსახურების განწევაზე.

ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე მოქმედი გუბერნატორული სტრუქტურების (აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების) როლი, რაც განიხილება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანო. აზერბაიჯანში ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება ფუნქციონირებს, როგორც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი რეგიონებში. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც პირდაპირ ინიშნება აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერ. აღნიშნული სტრუქტურები ახორციელებენ ფართო სპექტრის მომსახურებას, განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურისა და დასაქმების სფეროებში, მუშაობენ უშუალოდ ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში და მუნიციპალიტეტებთან შედარებით ფლობენ უფრო დიდ ბიუჯეტსა და უფლებამოსილებებს.

აზერბაიჯანში ბოლო წლებში, ადამიანური რესურსების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სფერო გახდა ეკონომიკის განვითარების და კერძო სექტორის ზრდის ფონზე. როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში ვითარდება ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის ადამიანური რესურსების დაგეგმვა, ტალანტების მართვა, თანამშრომელთა განვითარება, საქმიანობის შეფასება და დასაქმების პროცესი. თუმცა, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა კვლავ განვითარების ეტაპზეა და გარკვეულ გამოწვევებს აწყდება.

კვლევა, აღწერითი და სისტემური მეთოდის გამოყენებით, შეისწავლის აზერბაიჯანის ადგილობრივი მმართველობის სისტემის სტრუქტურულ და ფუნქციურ მდგომარეობას და მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის საფუძველზე მუნიციპალიტეტებისა და გუბერნატორული სისტემების მსგავსება-განსხვავებას აღარებს.

კვლევა ჩატარდა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ადგილობრივი მმართველობის სისტემაში მუნიციპალური ადმინისტრაციის განვითარების შესასწავლად, არსებული სისტემის უფლებამოსილებებისა და მოვალეობების განსაზღვრისთვის, სხვა ადმინისტრაციულ ინსტიტუტებთან შედარებისთვის, ასევე მუნიციპალიტეტებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებებში ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესის გასაანალიზებლად.

**საკვანძო სიგევები:** აზერბაიჯანი, ადგილობრივი მმართველობა, აღმასრულებელი ხელისუფლება, მუნიციპალიტეტი, ადამიანური რესურსების დაგეგმვა.

## ციფრული ეკონომიკა DIGITAL ECONOMY

---

### ხელოვნური ინტელექტი - მენარმეობის განვითარების ინოვაციური ინსტრუმენტი

#### გულნაზ ექომაიშვილი

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.07.

ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის (AI), როგორც მეწაჩემობის განვითარების ინოვაციური ინსტრუმენტის როლი ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში. აღნიშნულია, რომ კომპანიები მუდმივად ეძებენ გზებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ხელოვნური ინტელექტი ეხმარება როგორც დამწყებ, ასევე, მცირე და საშუალო მეწაჩემებს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში, ხაჯების შემცირებასა და ინოვაციის შექმნაში.

ნაშრომში შეფასებულია მეწაჩემობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი და უახყოფითი მხაჩეები.

აღნიშნულია, რომ ხელოვნური ინტელექტის გლობალური ბაზაიი ფაჩთოვდება, სწრაფად იზრდება ის საქაჩთველოშიც. თვადსაჩინოა როგორც მისი ინტეგრაცია ბიზნესში, ასევე მომხმარებელთა დაინტეჩეხება და სტაჩტაპთა აქტივობა.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ხელოვნური ინტელექტი ქაჩთველ მეწაჩემებს საშუალებას მისცემს აჩამხოლოდ გააფაჩთორონ ბაზაიი, აჩამედ უზრუნველყონ მაღალი ხაჩისხის, სწრაფი და საეჩთაშოჩისო სტანდარტების შესაბამისი წაჩმობა და მომსახუჩება, ჩაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი ბიზნესის კონკურენტუნარიანობას.

**საკვანძო სიჯვებო:** ხელოვნური ინტელექტი, ინოვაცია, AI ტქნოლოჩეები, კომპანიების კონკურენტუნარიანობა.

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი ტექნოლოგიური ძვრებია. ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების დაწერვამ დასაბამი მისცა უპრეცედენტო გლობალურ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. სულ უფრო იზრდება ციფრული ტექნოლოგიების როლი ქვეყნის პროდუქტიულობისა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამალეების პროცესში (Erkomaishvili, 2024). დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ტრანსფორმაციული ტექნოლოგია ხელოვნური ინტელექტია. ის ცვლის არამხოლოდ ბიზნესპროცესებს, არამედ, ყოველდღიურ ცხოვრებასაც. AI ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა მოხდეს რუტინული ამოცანების ავტომატიზაცია, მონაცემებიდან ღირებული ინფორმაციის მოპოვება და პროცესების ბევრად უფრო ეფექტიანად წარმართვა.

ხელოვნური ინტელექტის გლობალური ბაზარი სწრაფი ტემპით ფართოვდება, ამ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით შექმნილი აპლიკაციები უამრავ ინდუსტრიას მოედო და ინტენსიურად იწერება. კვლევითი კომპანია IDC-ის მონაცემებით, 2025 წლის ბოლოსთვის, ხელოვნური ინტელექტის ბაზრის მოცულობა ნახევარ ტრლნ აშშ დოლარს გადააჭარბებს (ხელაძე და სხვ, 2025).

ხელოვნური ინტელექტის არსებობის ისტორია ჯერ კიდევ XX საუკუნის ადრეული წლებიდან იწყება, როდესაც კომპიუტერულმა მოწყობილობებმა მუშაობა დაიწყეს და „ფიქრის უნარი შეიძინეს“. თავდაპირველად, მათი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდული იყო და ადამიანის ჩარევის გარეშე მოწყობილობებს ათწლებლების განმავლობაში არ შეეძლო მუშაობა (Anyoha, 2017). ტექნოლოგიების განვითარებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, უფრო აქტუალური გახდა ხელოვნური ინტელექტის საკითხიც. AI-ის ისტორიის ქრონოლოგიას რომ გადავხედოთ, პოპულარობის ბუმს მსოფლიო მასშტაბით 1980 – 1990 წლებში მიაღწია. ბოლო წლებში კი, განვითარების პიკზე მისვლასთან და ისეთი აპლიკაციების შექმნასთან ერთად, როგორც მაგალითად ChatGPT-ია, კიდევ უფრო პოპულარული გახდა და არამხოლოდ პოპულარული, არამედ ადამიანების ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილადაც იქცა (Karayan, 2023).

ხელოვნური ინტელექტი კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებაა, რომელიც ისეთი ინოვაციური პროდუქტის შექმნას ისახავს მიზნად, რომელსაც ადამიანის მსგავსი აზროვნებისა და სხვადასხვა ამოცანებთან გამკლავების უნარი ექნება.

ხელოვნური ინტელექტის კონცეფცია პირველად 1956 წელს დარტმუთის კონფერენციაზე შემოიტანეს, სადაც მკვლევრებმა კომპიუტერულ მანქანებში ინტელექტის ჩაშენება განიზრახეს. ამ მოვლენის შემდეგ, AI

ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად განვითარდა და დღეს უამრავ სფეროს მოიცავს.

თანამედროვე კომპანიებისთვის ხელოვნური ინტელექტის დანერგვა უკვე აღარ არის ფუფუნება, არამედ აუცილებლობაა. ის ეხმარება ორგანიზაციებს მონაცემთა ანალიზში, პროცესების ოპტიმიზაციაში, პერსონალიზებული მომხმარებლის გამოცდილების შექმნაში და, საბოლოო ჯამში, უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში. მაგალითად, 2024 წელს ჩატარებული უახლესი კვლევა გასაოცარ შედეგებს იძლევა: გერმანიაში, ავსტრიაში და შვედეთში ელექტრონული კომერციის ყველა კომპანიის 54% უკვე იყენებს ხელოვნურ ინტელექტს ტექსტების შესაქმნელად და თარგმნისთვის, ძირითადად ChatGPT-ის გამოყენებით. ეს ინვესტორის დაზოგვას, მეტი კონტენტის გამოყენებას, პერსონალის ხარჯების შემცირებას და ტექსტის შექმნისა და თარგმნის სწრაფ პროცესს. ონლაინ საცალო მოვაჭრეების ოთხიდან ერთი ქმნის სურათებსა და ვიდეოებს AI-ს დახმარებით. საცალო მოვაჭრეების 20% იყენებს AI-ს ციფრულ მარკეტინგში, მაგალითად, საარეკლამო კამპანიების მართვისთვის. ონლაინ მაღაზიების ძიებაში, როგორცაა პროდუქტის ძიება, ფილტრები და პროდუქტის მაძიებლები, ასევე გამოიყენება დიდი ენობრივი მოდელები (LMM). ონლაინ საცალო ვაჭრობის სამი მეოთხედი თვლის, რომ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ძიება ორ-ხუთ წელიწადში სტანდარტული გახდება (Zumstein & Chodak, 2024).

## ხელოვნური ინტელექტის წარმოშობის წინაპირობები

ტერმინი – ხელოვნური ინტელექტი პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ მაკარტიმ 1955 წელს (Makarti, 1955). მან ის განმარტა, როგორც პროგრამა ან კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს, როგორც ადამიანი და მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილებები.

1950-იან წლებში უკვე გამოიყენებოდა ტერმინები:

- machine intelligence (მანქანური ინტელექტი)
- automata theory (ავტომატების თეორია)
- cybernetics (კიბერნეტიკა)

მაკარტიმ შეგნებულად არ აირჩია ეს ტერმინები, რადგან:

1. „Artificial Intelligence“ (ხელოვნური ინტელექტი) იყო უფრო ფართო ცნება, ის არ ზღუდავდა კვლევას მხოლოდ მანქანებით ან ბიოლოგიური მოდელებით.

2. დისტანცირება კიბერნეტიკისგან – კიბერნეტიკა ძირითადად კონტროლსა და უკუკავშირის ეხებოდა, ხოლო მაკარტის აინტერესებდა აზროვნება, ლოგიკა, სწავლა, პრობლემების გადაჭრა.

3. ნეიტრალური და თამამი სახელწოდება – ტერმინი არ ამტკიცებდა, რომ მანქანა „ნამდვილად ფიქრობს“, მაგრამ აჩვენებდა, რომ ის ინტელექტუალურ ქცევას ავლენს ხელოვნური გზით.

თავად მაკარტი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ სპეციალურად აირჩია ისეთი ტერმინი, რომელიც „დავას გამოიწვევდა და ფიქრს აიძულებდა“.

სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ახალ დარგს, რომელსაც განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია მნიშვნელოვნად დაეხმაროს კაცობრიობას განვითარებაში. დღევანდელი მსოფლიო ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია. მას იყენებს, თითქმის ყველა წამყვანი კომპანია, იქნება ეს “GOOGLE”, “SAMSUNG” და სხვ.

### **ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მენარმეობაში**

ხელოვნური ინტელექტი დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მენარმეობის განვითარებაში. ის ეხმარება როგორც დამწყებ, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში, ხარჯების შემცირებასა და ინოვაციის შექმნაში.

ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო და უფრო აქტიურად ინერგება სამრეწველო და სხვა საწარმოო სფეროებში. AI-ის ინტეგრაცია ქარხნებსა და წარმოებაში პროცესების ოპტიმიზაციას, ეფექტიანობის ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები წარმოების პროცესების მონიტორინგისათვის გამოიყენება, რაც კომპანიებს პრობლემების სწრაფ აღმოფხვრასა და წარმოების ეფექტიანობის გაზრდაში ეხმარება.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოების ავტომატიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული რობოტები და სისტემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი რუტინული და განმეორებადი ამოცანების შესასრულებლად, როგორცაა ასაწყობი სამუშაოები, შეფუთვა და ინსპექტირება. ეს არამხოლოდ ზრდის ეფექტიანობას, არამედ ამცირებს ადამიანური შეცდომების რისკს და თანამშრომლებს რთულად შესასრულებელი სამუშაოსაგან ათავისუფლებს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მენარმეობაში აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები შემდეგია:

AI ამუშავებს დიდი მოცულობის მონაცემებს და მენარმეს ეხმარება:

- გაყიდვების პროგნოზირებაში
- მომხმარებლის ქცევის ანალიზში
- მოთხოვნის ცვლილებების წინასწარ ხედვაში.

გაყიდვების პროგნოზირებაში AI იყენებს ისტორიულ მონაცემებს, სეზონურ ფაქტორებს, ფასების ცვლილებებსა და მომხმარებელთა აქტივობის დინამიკას. ამ ანალიზის შედეგად მენარმეს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი გაყიდვების მოცულობა, დაგეგმოს წარმოება, მარაგები და ფინანსური ნაკადები. შედეგად მცირდება ზედმეტი ხარჯები და იზრდება რეზერვების ეფექტიანი გამოყენება.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს AI ასევე, მომხმარებლის ქცევის ანალიზში. ის სწავლობს მომხმარებელთა შექმნის ისტორიას, ინტერესებს, საძიებო ქცევას, სოციალურ მედიაში აქტივობასა და უკუკავშირს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით AI განსაზღვრავს მომხმარებელთა სეგმენტებს, ავლენს მათ საჭიროებებსა და პრეფერენციებს, რაც მენარმეს აძლევს შესაძლებლობას შესთავაზოს პერსონალიზებული პროდუქტები, მომსახურება და მარკეტინგული კამპანიები.

გარდა ამისა, AI ეხმარება მენარმეს მოთხოვნის ცვლილებების წინასწარ ხედვაში. ბაზარზე არსებული ტენდენციების, ეკონომიკური ფაქტორებისა და მომხმარებელთა ქცევის ცვლილებების ანალიზით ხელოვნური ინტელექტი აფიქსირებს მოთხოვნის ზრდის ან შემცირების ნიშნებს. ეს მენარმეს საშუალებას აძლევს დროულად მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები, მოერგოს ბაზრის მოთხოვნებს, თავიდან აიცილოს კრიზისული სიტუაციები და შეინარჩუნოს სტაბილური განვითარება.

შედეგად, AI-ის გამოყენება მენარმეობაში ზრდის გადაწყვეტილებების სიზუსტეს, ამცირებს რისკს და უზრუნველყოფს ბიზნესის უფრო მდგრად და ინოვაციურ განვითარებას.

AI მნიშვნელოვნად ცვლის მარკეტინგს:

- პერსონალიზებული რეკლამები
- ჩატბოტები (24/7 მომხმარებელთა მხარდაჭერა)
- სოციალური მედიის კონტენტის გენერაცია.

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად ცვლის მარკეტინგის არსსა და პრაქტიკას, რადგან კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას უფრო ზუსტად, სწრაფად და ეფექტიანად დაუკავშირდნენ მომხმარებლებს. მისი გამოყენება მარკეტინგში ზრდის კომუნიკაციის ხარისხს და ამყარებს მომხმარებელთან ურთიერთობას.

პირველ რიგში, პერსონალიზებული რეკლამების შექმნა AI-ის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობაა. ხელოვნური ინტელექტი აანალიზებს მომხმარებელთა ინტერესებს, საძიებო ისტორიას, შექმნის ქცევას და დემოგრაფიულ მონაცემებს. ამ ინფორმაციის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალურად მორგებული სარეკლამო შეტყობინებები, რაც ზრდის რეკლამის ეფექტიანობას, მომხმარებლის ჩართულობას და გაყიდვების მაჩვენებლებს.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს AI-ზე დაფუძნებული ჩატბოტები, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მხარდაჭერას 24/7 რეჟიმით. ჩატბოტები სწრაფად პასუხობს მომხმარებელთა კითხვებს, აწვდის ინფორმაციას პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ, იღებს შეკვეთებს და აგვარებს მართივ პრობლემებს. ეს ამცირებს კომპანიების საოპერაციო ხარჯებს და ამავე დროს ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

გარდა ამისა, AI აქტიურად გამოიყენება სოციალური მედიის კონტენტის გენერაციაში. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შექმნას ტექსტები, პოსტების იდეები, ვიზუალური მასალა და კამპანიების კონცეფციები, რაც მორგებულია კონკრეტული აუდიტორიის ინტერესებზე. ასევე, AI აანალიზებს მომხმარებელთა რეაქციებსა და ჩართულობას, რაც კომპანიებს ეხმარება კონტენტის სტრატეგიის მუდმივ გაუმჯობესებაში.

შედეგად, AI მარკეტინგს ხდის უფრო მიზნობრივს, მოქნილსა და შედეგზე ორიენტირებულს, რაც ბიზნესს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე ციფრულ გარემოში.

AI ავტომატიზაციას უკეთებს:

- ბუღალტერიას
- მარაგების მართვას
- შეკვეთების დამუშავებას.

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესპროცესების ავტომატიზაციაში, რაც მენარმეებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად გამოიყენონ დრო და რესურსები, შეამცირონ ხარჯები და გააუმჯობესონ ოპერაციების ხარისხი.

ბუღალტერიის ავტომატიზაცია AI-ის დახმარებით, ამცირებს ადამიანური შეცდომების რისკს. ხელოვნური ინტელექტი ავტომატურად ამუშავებს ინვოისებს, აღრიცხავს შემოსავალსა და ხარჯებს, აკონტროლებს საგადასახადო ვალდებულებებს და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს. შედეგად, ბუღალტრული პროცესები ხდება უფრო სწრაფი, ზუსტი და გამჭვირვალე.

მნიშვნელოვანია ასევე მარაგების მართვის ავტომატიზაცია. AI აანალიზებს გაყიდვების დინამიკას, სეზონურობასა და მოთხოვნის პროგნოზებს, რის საფუძველზეც ოპტიმალურად განსაზღვრავს მარაგების მოცულობას. ეს თავიდან იცილებს როგორც ზედმეტ დაგროვებას, ასევე პროდუქციის დეფიციტს, ამცირებს საწყობის ხარჯებს და უზრუნველყოფს უწყვეტ მიწოდებას. გარდა ამისა, AI ეფექტიანად უზრუნველყოფს შეკვეთების დამუშავების ავტომატიზაციას. სისტემა იღებს და ამუშავებს შეკვეთებს რეალურ დროში, ამონმებს ხელმისაწვდომ მარაგებს, აკოორდინირებს მიწოდებას და მომხმარებელს აწვდის სტატუსის განახლებებს. ეს აჩქარებს მომსახურების პროცესს, ამცი-

რებს დაგვიანებებს და ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

შედეგად, AI-ზე დაფუძნებული ავტომატიზაცია ბიზნესს ხდის უფრო მოქნილს, ეფექტიანსა და კონკურენტუნარიანს თანამედროვე ბაზარზე.

მაგალითად, რესტორანი AI-ს მეშვეობით აკონტროლებს მარაგებს და ამცირებს საკვების ნარჩენებს.

AI ქმნის სრულად ახალ პროდუქტებსა და სერვისებს:

- AI-ზე დაფუძნებული აპლიკაციები
- ქვეყნის პლატფორმები
- ციფრული ასისტენტები.

ხელოვნური ინტელექტი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული პროცესების გაუმჯობესებით – ის ქმნის სრულიად ახალ პროდუქტებსა და სერვისებს, რაც ცვლის მომხმარებელთა გამოცდილებას და ბიზნესის განვითარების მოდელებს.

უპირველესად, ფართოდ ვითარდება AI-ზე დაფუძნებული აპლიკაციები. ეს აპლიკაციები დამოუკიდებლად სწავლობს მომხმარებლის ქცევას, ადაპტირდებიან მის საჭიროებებზე და დროთა განმავლობაში აუმჯობესებენ საკუთარ ფუნქციონალს. მაგალითად, ფინანსური აპლიკაციები ახორციელებს ავტომატურ ბიუჯეტირებას, ჯანმრთელობის აპლიკაციები – მონაცემების ანალიზზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, ხოლო საგანმანათლებლო პლატფორმები მომხმარებლის ცოდნის დონესა და სწავლის ტემპს ერგება.

მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს ქვეყნის პლატფორმები, რაც აერთიანებს მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და გადაწყვეტილებების მიღებას ერთ სისტემაში. ასეთი პლატფორმები გამოიყენება ელექტრონულ კომერციაში, ლოგისტიკაში, ფინანსებში და სხვა სფეროებში. AI-ის დახმარებით ისინი რეალურ დროში მართავენ პროცესებს, აუმჯობესებენ მომხმარებელთა გამოცდილებას და ზრდიან ოპერაციულ ეფექტიანობას.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ციფრულ ასისტენტებს, რომლებიც მომხმარებლებსა და ბიზნესებს ყოველდღიურ საქმიანობაში ეხმარებიან. ციფრული ასისტენტები ასრულებენ დავალებებს, პასუხობენ კითხვებს, მართავენ კალენდრებს, აძლევენ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფენ მომხმარებელთან უწყვეტ კომუნიკაციას. მათი გამოყენება ამცირებს დროის დანახარჯებს და ამარტივებს როგორც პირად, ასევე პროფესიულ საქმიანობას.

შედეგად, AI-ის საფუძველზე შექმნილი ახალი პროდუქტები და სერვისები ბიზნესს აძლევს ინოვაციური განვითარების შესაძლებლობას, ქმნის ახალ ბაზრებს და ზრდის კონკურენტულ უპირატესობას ციფრულ ეკონომიკაში.

მაგალითად: სტარტაპი ქმნის AI-ს, რომელიც ავტომატურად წერს კონტრაქტებს ან ანალიზებს იურიდიულ დოკუმენტებს.

AI ამცირებს ბარიერებს ბიზნესის დაწყებისთვის:

- არ არის საჭირო დიდი გუნდი
- ნაკლებია დრო და ხარჯი
- სწრაფია ტესტირება ბაზარზე.

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის დაწყებისთვის ბარიერების შემცირებაში, რაც ახალ მენარმეებს აძლევს საშუალებას სწრაფად დაიწყონ საქმიანობა და უფრო დაბალ საფრთხეზე ააგონ საკუთარი პროექტები.

პირველ რიგში, დიდი გუნდის საჭიროების შემცირება. ტრადიციულ ბიზნესში ბევრი პროცესი მოითხოვს მრავალრიცხოვან თანამშრომლებს – გაყიდვაში, მარკეტინგში, მომხმარებელთა მხარდაჭერაში, მონაცემთა ანალიზში. AI-ს გამოყენებით ერთი ან რამდენიმე ადამიანი მარტივად მართავს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც ადრე დიდ გუნდს სჭირდებოდა, რადგან ხელოვნური ინტელექტი ავტომატურად ასრულებს ამ ოპერაციებს.

გარდა ამისა, საჭიროა ნაკლები დრო და ხარჯი ბიზნესის დაწყებისთვის. AI ხელს უწყობს ავტომატიზაციას, მონაცემთა სწრაფ დამუშავებას და ოპერაციების ეფექტიან განხორციელებას. ეს ამცირებს როგორც ფინანსურ ხარჯებს, ასევე დროის დანახარჯებს, რაც ახალ ბიზნესებს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილონ ძვირი ან არაეფექტიანი პროცესები.

მესამე, სწრაფი ტესტირება ბაზარზე. AI-ის დახმარებით მენარმეებს შეუძლიათ შექმნან პროდუქტის ან სერვისის პროტოტიპები, გამოიკვლიონ მომხმარებელთა რეაქცია და სწრაფად მოერგონ ბაზრის მოთხოვნებს. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს რისკს და აჩქარებს პროდუქტების განვითარების ციკლს.

შედეგად, AI ახალ მენარმეებს აძლევს შესაძლებლობას უფრო სწრაფად, ეფექტიანად და დაბალი ხარჯით დაიწყონ ბიზნესი, რაც ბაზარზე ახალი იდეების სწრაფად წარმოდგენას უწყობს ხელს.

მაგალითად: მენარმეს შეუძლია AI-ს დახმარებით, დიზაინერის გარეშე შექმნას ლოგო, ვებგვერდი და სარეკლამო ტექსტები.

ამგვარად, AI ამცირებს ბარიერებს ბიზნესის დაწყებისთვის. მენარმეს აღარ სჭირდება დიდი გუნდი; მას შეუძლია დიზაინერის, კოპირაიტერისა და ანალიტიკოსის ფუნქციები ხელოვნურ ინტელექტს შეუთავსოს, რაც სტარტაპებს ბაზარზე სწრაფი ტესტირების საშუალებას აძლევს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ახლავს სირთულეები:

- ციფრული უნარების დეფიციტი
- მონაცემთა უსაფრთხოება
- ეთიკური საკითხები.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ბიზნესში ბევრი შესაძლებლობის გარდა, თან ახლავს გარკვეული სირთულეები და გამოწვევები, რომელთა სწორად მართვა მნიშვნელოვანია როგორც მენარმისთვის, ასევე მომხმარებლისთვის.

პირველ რიგში, ციფრული უნარების დეფიციტი წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. AI სისტემების ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს მონაცემთა ანალიზის, პროგრამირების, მარკეტინგის ავტომატიზაციისა და ტექნოლოგიების მართვის უნარებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მონაცემთა უსაფრთხოება. AI სისტემები მუშაობენ დიდი მოცულობის მონაცემებზე, მათ შორის მომხმარებელთა პირად და ფინანსურ ინფორმაციაზე. დაუცველი მონაცემები შეიძლება გახდეს ჰაკერული შეტევების, ინფორმაციის გაჟონვის ან ბიზნესის რეპუტაციის დაზიანების რისკი. ამიტომ მენარმეებმა უნდა შეძლონ უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების დაცვა და მონაცემების დაცვის ეფექტიანი პოლიტიკის დანერგვა.

მესამე, ეთიკური საკითხები. AI გადაწყვეტილებები ხშირად ემყარება ალგორითმებს, რასაც შეუძლია შეურაცხყოფა, დისკრიმინაცია ან უსამართლო შედეგების მიღება, თუ მათი მუშაობის პრინციპები კარგად არ არის შემუშავებული. მენარმეებს სჭირდებათ ეთიკური გზების მოძიება, გამჭვირვალობის შენარჩუნება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

შედეგად, AI-ის დანერგვა ბიზნესში მოითხოვს არამხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ სტრატეგიულ, უსაფრთხოებისა და ეთიკური თვალსაზრისით სერიოზულ მზადყოფნას, რათა მისი სარგებელი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

ხელოვნური ინტელექტის ბიზნესში გამოყენება საფრთხეს უქმნის საჭირო რაოდენობით სამუშაო ადგილების არსებობას მოსახლეობისათვის. მოსალოდნელია, რომ ხელოვნური ინტელექტი მალე კიდევ უფრო მეტ სამუშაო ადგილს ჩაანაცვლებს.

AI საფრთხეს უქმნის ადამიანის პირად ინფორმაციას, რადგან სისტემა დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზეა ორიენტირებული. არსებობს იმის რისკი, რომ ეს მონაცემები საჭაროდ გავრცელდეს და ბოროტად იყოს გამოყენებული სხვადასხვა ჯგუფების, მთავრობების ან კორპორაციების მიერ.

ხელოვნური ინტელექტი ასევე, კიბერუსაფრთხოების ახალ რისკს ქმნის. AI სისტემები სულ უფრო ინტეგრირებულია ისეთ ინფრასტრუქტურებში, როგორცაა ენერგოქსელები, სატრანსპორტო სისტემები და საფინანსო ქსელები, შესაბამისად, არსებობს იმის საფრთხე, რომ კიბერდამ-

ნაშავებმა ან მტრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა ისინი თავდასხმებისათვის გამოიყენონ.

ხელოვნური ინტელექტის პლატფორმები უკვე მყარად იკავებს პოზიციას ქართული ციფრული მომხმარებლის ყოველდღიურობაში სოციალური ქსელების მომხმარებელთა 71% აქტიურად იყენებს სხვადასხვა AI ხელსაწყოს [ACT კვლევა, 2025]. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტი საქართველოში მხოლოდ ექსპერიმენტული ტექნოლოგია აღარ არის, არამედ პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებლის საჭიროებებს პასუხობს.

ხელოვნური ინტელექტის ცნობადობისა და გამოყენების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად იკლებს როგორც AI პლატფორმების შესახებ ინფორმირებულობა, ასევე მათი გამოყენების აქტივობა.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის ყველაზე მაღალი ჩართულობა დაფიქსირდა 18-35 წლის ასაკობრივ კატეგორიაში: ამ სეგმენტის 98%-ს სმენია კონკრეტულად რომელიმე ხელოვნური ინტელექტის პლატფორმის შესახებ, ხოლო 94% რეალურადაც იყენებს მას სხვადასხვა მიზნით [ACT კვლევა, 2025]. 18-35 წლის ასაკში AI-ის ათვისების ასეთი მაღალი პროცენტი ნიშნავს, რომ მომავალი თაობის მენარმეები, თანამშრომლები და მომხმარებლები სრულად ციფრულები იქნებიან.

როგორც კვლევიდან ჩანს, ფასიანი ვერსიის გამოყენება შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული (12%), გამოკითხული რესპონდენტები ჯერ კიდევ უპირატესობას ანიჭებენ უფასო ალტერნატივებს. ეს ტენდენცია მიუთითებს რომ: ერთი მხრივ, ჯერ კიდევ დაბალია მომხმარებლების მზაობა გადაიხადონ ციფრული პროდუქტებისთვის, ხოლო მეორე მხრივ — უფასო ვერსიების საკმარისი შესაძლებლობა, რომელიც მომხმარებელთა საჭიროებებს ერგება (ACT კვლევა, 2025).

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სექტორი სწრაფად იზრდება - თვალსაჩინოა, როგორც მისი ინტეგრაცია ბიზნესში, ასევე მომხმარებელთა დაინტერესება და სტარტაპების აქტივობა. ამჟამად, საქართველოში ხელოვნური ინტელექტი ყველაზე მეტად ჩართულია მარკეტინგში, ფინანსებში, ელექტრონულ კომერციასა და ციფრულ სერვისებში. ეს სფეროები უკვე ფლობენ მონაცემებზე დაფუძნებულ სამუშაო პროცესებს, აქვთ ციფრული ინფრასტრუქტურა და ღია არიან ტექნოლოგიური ინოვაციებისადმი.

კომპანიები იყენებენ AI-ის რეკლამების ოპტიმიზაციისთვის, მომხმარებლის ქცევის ანალიზისთვის, ფინანსური რისკის შეფასებისთვისა და გაყიდვების სტრატეგიის დაგეგმვისთვის.

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა, თუმცა, ბოლო წლებში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. ქართული კომპანიები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ AI-ის პოტენციალს და ცდილობენ მის ინტეგრირებას თავიანთ ბიზნეს პროცესებში.

ხელოვნური ინტელექტი ქართველ მენარმეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გააფართოონ თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო ბაზრებზე და გაუმკლავდნენ გლობალური კონკურენციის გამოწვევებს.

პირველ რიგში, AI მათ საშუალებას აძლევს იმუშაონ საერთაშორისო კლიენტებთან. ავტომატური ანალიზისა და მარკეტინგული ხელსაწყოების დახმარებით მენარმეებს შეუძლიათ დაადგინონ საზღვარგარეთ მყოფ მომხმარებელთა საჭიროებები, მოახდინონ პროდუქტის ან მომსახურების ადაპტირება სხვადასხვა კულტურული და ეკონომიკური კონტექსტით და იქონიონ კომუნიკაცია საერთაშორისო ბაზრებზე უფრო მარტივად.

გარდა ამისა, AI-ის გამოყენებით შესაძლებელია ავტომატურად თარგმნონ კონტენტი. ვებგვერდები, მარკეტინგული მასალა, მომხმარებელთა მხარდაჭერის შეტყობინებები და პროდუქტის აღწერები ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შეიძლება სწრაფად და ზუსტად გადაითარგმნოს სხვადასხვა ენაზე, რაც აღმოფხვრის ენის ბარიერს და ზრდის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო მომხმარებლებისთვის.

დამატებით, AI ეხმარება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში. ციფრული ასისტენტები, ჩატბოტები და ავტომატური რეაგირების სისტემები უზრუნველყოფენ მომხმარებელთან მუდმივ კომუნიკაციას, სწრაფ პასუხებს კითხვებზე და პერსონალიზებულ მომსახურებას. ეს ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას, აძლიერებს ბრენდის იმიჯს და ხელს უწყობს ხანგრძლივ ურთიერთობებს.

თუმცა, ამ გზაზე არსებობს მთელი რიგი გამოწვევები:

- სპეციალისტების დეფიციტი – საქართველოში კვლავ შეზღუდულია AI სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობა, რაც აფერხებს ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

- ენობრივი ბარიერი – ქართული ენის თავისებურებები და შეზღუდული რესურსები ართულებს ქართულენოვანი AI მოდელების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი საჭიროებებისთვის.

- ფინანსური რესურსები – AI პროექტების განვითარება ხშირად მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას, რაც პრობლემას წარმოადგენს ბევრი ქართული კომპანიისთვის.

- ცნობიერების დაბალი დონე – ბევრ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ აქვს სრული წარმოდგენა AI-ის პოტენციურ სარგებელსა და გამოყენების შესაძლებლობებზე.

- ინფრასტრუქტურული შეზღუდვები – რიგ შემთხვევაში, არსებული ტექნიკური ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული AI სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის.

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ქართული ტექნოლოგიური ეკოსისტემა თანდათან ვითარდება, და ჩნდება ინოვაციური სტარტაპები, რომლებიც AI-ის გამოყენებით ცდილობენ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას.

AI ტექნოლოგიების გონივრული განვითარება საზოგადოებაში მისი ინტეგრაციის გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. ეს გულისხმობს ეთიკური პრინციპების დანერგვას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში, ღიაობასა და თანამშრომლობას მეცნიერებსა და ინდუსტრიებს შორის, ასევე – საზოგადოების ჩართულობასა და ცნობიერების ამაღლებას ამ საკითხის შესახებ. განათლების დონის ამაღლებით შესაძლებელი გახდება ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების მაქსიმალური ათვისება და, ამავდროულად, მისი პოტენციურად უარყოფითი გავლენების მინიმუმამდე დაყვანა.

## დასკვნა

ამგვარად, ხელოვნური ინტელექტი უდიდეს პოტენციალს სთავაზობს მენარმეს, მისი ზეგავლენა მომავალ წლებში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ტექნოლოგია ახალ დარგებში უწყვეტად განაგრძობს განვითარებასა და ინტეგრირებას. თუმცა, ხელოვნური ინტელექტი არ ანაცვლებს მენარმეს, არამედ აძლიერებს მას, AI ზრდის ეფექტიანობას, ინოვაციას და კონკურენტუნარიანობას, მომავლის ბიზნესი ეკუთვნის იმ ტანდემს, სადაც ადამიანი განსაზღვრავს ხედვას, ხოლო AI უზრუნველყოფს შესრულების უპრეცედენტო სისწრაფესა და სიზუსტეს. ქართული ბიზნესისთვის AI არის „ტრამპლინი“ გლობალურ ბაზარზე მოსახვედრად, თუმცა ამ ნახტომის წარმატება დამოკიდებულია განათლებაზე, ეთიკური სტანდარტების დაცვასა და ციფრული უნარების განვითარებაზე.

AI-ის ზეგავლენა მომავალ წლებში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ტექნოლოგია ახალ დარგებში უწყვეტად განაგრძობს განვითარებასა და ინტეგრირებას. ტექნოლოგიური გიგანტები და სტარტაპები მილიარდობით დოლარს აბანდებენ AI კვლევებსა და პროდუქტების განვითარებაში, რაც ამ სფეროს მზარდ მნიშვნელობაზე მოწმობს.

## ლიტერატურა:

- გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ერქომაიშვილი გ., ლეკაშვილი ე., ხურცია ლ., გაფრინდაშვილი გ. (2024). ინდუსტრიული პოლიტიკა ციფრულ სამყაროში, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ერქომაიშვილი გ. (2026). მენარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. თსუ გამომცემლობა.
- ACT კვლევა (2025). საქართველოში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.
- AI სექტორი საქართველოში (2025) მიმდინარე ტენდენციები და სამომავლო პოტენციალი
- ხელაძე მ., სიხარულიძე დ., ძიძიკაშვილი დ. (2025). ხელოვნური ინტელექტის შემცველი ბიზნესმოდელები საგადახდო ინდუსტრიაში და უნაღდო ანგარიშსწორების გავლენა ეკონომიკის ზრდაზე (მშპ) საქართველოში ეკონომიკა და ბიზნესი, № 3.
- Anyoha R. (2017). The History of Artificial Intelligence. Harvard University.
- Darius Zumstein and Grzegorz Chodak. (2024). Artificial Intelligence in E-Commerce – Overview of Applications, Benefits and Challenges. Digital Management and Artificial Intelligence Proceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11.
- Makarti J. (1955). A Proposal for the Dartmouth Summer Research Project on Artificial Intelligence.
- Karayan R. (2023). The History of Artificial Intelligence
- Gazdeliani I., Munjishvili T., Khurtsia L. (2024) Artificial Intelligence and Economic Policy. Digital Management and Artificial Intelligence Proceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11.
- Erkomaishvili G. (2024). Digital Economic Policy in Georgia. Digital Management and Artificial Intelligence Proceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11.

## References:

- Gvelesiani R., Gogorishvili I., Erkomaishvili G., Lekashvili E., Khurtsia L., Gaprindashvili G. (2024). Industriuli politika cifrul samyaroში [Industrial Policy in the Digital World. Tbilisi, Publishing House “Universal”.] in Georgian
- Erkomaishvili G., (2026). Mewarmeobis ganvitarebis ekonomikuri politika saqartveloshi . [Economic Policy for the Development of Entrepreneurship in Georgia. Tbilisi, TSU Publishing House.] in Georgian
- ACT Research (2025) – Saqartveloshi xelovnuri inteleqtis gamoyeneba [Use of Artificial Intelligence in Georgia.] in Georgian
- AI Sector in Georgia (2025). Mimdinare Tendenciebi da samomavlo potenciali. [Current Trends and Future Potential]. In Georgian
- Kheladze M., Sikharulidze D., Dzidzikashvili D. (2025). Xelovnuri Inteleqtis shemcveli biznesmodlebi sagadaxdo industriashi da unagdo angarishsworebis gavlena ekonomikis zrdaze (MshP)

saqartveloshi. [Artificial Intelligence-Integrated Business Models in the Payment Industry and the Impact of Cashless Payments on Economic Growth (GDP) in Georgia. Economics and Business, No. 3.] in Georgian

- Anyoha R. (2017). The History of Artificial Intelligence. Harvard University.
- Darius Zumstein and Grzegorz Chodak. (2024). Artificial Intelligence in E-Commerce – Overview of Applications, Benefits and Challenges. Digital Management and Artificial Intelligence Proceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11.
- Makarti J. (1955). A Proposal for the Dartmouth Summer Research Project on Artificial Intelligence.
- Karayan R. (2023). The History of Artificial Intelligence
- Gazdeliani I., Munjishvili T., Khurtsia L., (2024) Artificial Intelligence and Economic Policy. Digital Management and Artificial Intelligence Proceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10-11.
- Erkomaishvili G., (2024). Digital Economic Policy in Georgia. Digital Management and Artificial Intelligence Proceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11.

## **Artificial Intelligence - An Innovative Tool for Entrepreneurship Development**

***Gulnaz Erkomaishvili***

*Associate Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge*

The paper explores the role of Artificial Intelligence (AI) as an innovative driver of entrepreneurship in the era of digital transformation. It emphasizes that modern companies are constantly seeking ways to gain a competitive edge. AI offers substantial support to startups and small- to medium-sized enterprises by enhancing competitiveness, reducing costs, and fostering innovation.

The study examines both the advantages and challenges of adopting AI in entrepreneurial activities.

In Georgia, the AI sector is developing rapidly, with clear signs of integration into business processes, growing consumer interest, and increasing startup activity. At present, AI is most actively applied in marketing, finance, e-commerce, and digital services—industries that already rely on data-driven workflows, possess strong digital infrastructure, and embrace technological innovation. Companies employ AI for

advertising optimization, customer behavior analysis, financial risk assessment, and sales strategy planning.

Although Georgia's AI market remains in its early stages, notable progress has been made in recent years. Businesses are increasingly recognizing AI's potential and working to embed it into their operations.

For Georgian entrepreneurs, AI presents a unique opportunity to expand into international markets and meet the challenges of global competition. Most importantly, it enables effective collaboration with international clients. Through automated analytics and marketing tools, entrepreneurs can identify foreign customer needs, tailor products and services to diverse cultural and economic contexts, and streamline communication across global markets.

Moreover, AI enables the automatic translation of content. Websites, marketing materials, customer support messages, and product descriptions can be translated quickly and with relatively high accuracy into multiple languages. This reduces language barriers and enhances accessibility for international customers.

AI also contributes to improving service quality. Digital assistants, chatbots, and automated response systems ensure continuous customer communication, provide rapid responses to inquiries, and deliver personalized services. These capabilities increase customer satisfaction, strengthen brand reputation, and support the development of long-term relationships.

However, several challenges accompany this process:

1. Shortage of specialists – The number of highly qualified AI professionals in Georgia remains limited, hindering the implementation of innovative projects.
2. Language barrier – The unique characteristics of the Georgian language and the scarcity of resources complicate the development of Georgian-language AI models, which are essential for addressing local needs.
3. Financial constraints – AI projects often require substantial investment, posing a significant challenge for many Georgian companies.
4. Low awareness – Some organizations still lack a comprehensive understanding of AI's potential benefits and applications.
5. Infrastructure limitations – In certain cases, the existing technical infrastructure is insufficient for the full-scale operation of AI systems.

Despite these challenges, Georgia's technological ecosystem is gradually evolving, with innovative startups emerging to address local problems through AI.

The thoughtful development and regulation of AI technologies will be decisive for their successful integration into society. This includes implementing ethical principles, strengthening collaboration between academia and industry, increasing pub-

lic engagement, and raising awareness about AI. Enhancing education will allow for the maximum utilization of AI's potential while minimizing possible negative impacts.

The paper concludes that Artificial Intelligence will enable Georgian entrepreneurs not only to expand their market reach but also to deliver high-quality, efficient, and internationally compliant products and services—significantly boosting their competitiveness.

**Keywords:** Artificial intelligence, innovation, AI technologies, competitiveness of companies.

**JEL Codes:** O33, L26, M13, M15

## გაციფრულების გავლენა საგარეო ვაჭრობაზე გეოპოლიტიკური შოკების პირობებში

### თეა მუნჯიშვილი

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
tea.munjishvili@tsu.ge

### ლეილა ქადაგიშვილი

ასისტენტ-პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
leila.kadagishvili@tsu.ge

### შოთა შაბურაშვილი

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
shota.shaburishvili@tsu.ge

### ირაკლი გაზდელიანი

დოქტორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
irakli.gazdeliani331@eab.tsu.edu.ge

### დავით სიხარულიძე

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
davit.sikharulidze@tsu.ge

### ზვიად სიგუა

დოქტორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Zviad.sigua@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.08.

სტატიაში განხილულია გაციფრულებისა და გეოპოლიტიკური შოკების უხიფხითქმედება საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკასა და სტრატეგიულ მდგომარეობაზე თანამედროვე გლობალურ პირობებში. საერთაშორისო ვაჭრობის მზარდი გაციფრულება ჰაიბრანდულ ცვლის სავაჭრო ნაკადების გენეზისების, გადაცემისა და სტაბილიზაციის მექანიზმებს, განსაკუთრებით სამხედრო კონფლიქტების, სანქციებისა და მიწოდების ჯაჭვების დაზიანების პირობებში. ესეთ-უპრობლემისა და დაჩქარა ევროპული სავაჭრო კოორდინაციის ხეობის საფუძვლიანი, ხის ფონზე საქართველო აღმოჩნდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, თუმცა მაღალი რისკის ზონაში. ასეთ პირობებში გეოგრაფიული მდებარეობა ალას ახის საკმაოდ მდგომარეობის ეკონომიკური საჩვენის მისაღებად — გადაწყვეტილება ინსტიტუციური ეფექტიანობა და ციფრული შესაძლებლობები.

კვლევის თეორიული საფუძველია საერთაშორისო ვაჭრობის გავლენის მოდელი 10D8, რომელიც თანამედროვე ემპირიულ ეკონომიკაში განიხილება სავაჭრო ვაჭრის ვაჭრის სტაბილური ჩაჩრო რიხიხივი სავაჭრო ნაკადების ასახვად. კლასიკური თეორიები (ჩიკაჩო, ჰეკსეჩოლინი) სავაჭრო სპეციალიზაციას წაჩმოებისა და პროდუქტიულობის განსხვავებით განმარტავენ, თუმცა,

\* სტატია მომზადდა საფაკულტეტო საგრანტო პროექტის კვლევის შედეგების მიხედვით

ვეი ასახავენ გეოპოლიტიკური ხისკისა და ციფრული ტრანსფორმაციის დინამიკურ გავლენას. გრავიტაციული მოდელი საშუალებას იძლევა, შეფასდეს ხოგოხც ფიზიკური მანძილი, ასევე ინსტიტუციური, ტექნოლოგიური და პოლიტიკურ-სტრატეგიული ბაზიზები.

ემპირიული კვლევა იყენებს მრავალმეთოდიან სტრატეგიას. პუასონის ფუნქციონალ-მაქსიმიზაციის ალბათობის (PPML) მეთოდი გამოიყენება ჰეტეროსკედასტიკულობისა და ნულოვანი სავაჭო ნაკადების ახსნის პირობებში, ხაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბისული პეილოდებისთვის. გენერალიზებული მომენტების მეთოდი (GMM) გამოიყენება გაციფრუებასა და ვაჭობას შოხის შესაძლო ენდოგენულობის დასაძლევად, დავიხებული ეკონომიკური და ინსტიტუციური ცვლადების გამოყენებით. ამასთან, ეკონომიკური შეფასებები შეიწყობა ავტომატურ სიმულაციებზე დაფუძნებულ გრავიტაციულ მოდელთან (SAQ1-SAQ4), რომლებიც ავითარებს ტინტეხენის ტიპის მოდელს გაციფრუების, მონაცემთა ნაკადებისა და სავაჭო პიფეხენციების ცვლადებთან.

SAQ მოდელის სისტემა წაჩმოაგენს კვლევის მთავარ ინოვაციას. SAQ2 მოდელი რიბხივ ვაჭობას აკავშირებს მშპ-სთან, მოსახლეობასთან, მანძილთან, საზღვაოთან, სავაჭო შეთანხმებებთან, გაციფრუებასა და მონაცემთა ნაკადებთან, ხოლო პაჩამეტიები განისაზღვრება აჩაწიფივი სიმულაციური ოპტიმიზაციით. SAQ4 მოდელი დამატებით იყენებს სავაჭო კონცენტრაციისა და ინტენსივობის ინდექსებს (მათ შოხის QGTI-ს), ხაც საშუალებას იძლევა შეფასდეს აჩამხორღ სავაჭო ბუნვის მოცულობა, აჩამედ მისი სტრუქტურული ბაჩისხიცი.

ემპირიული შედეგები აჩვენებს, რომ ციფრული სავაჭო ფასილიტაცია – ედექტიონული საბაჭო, ციფრული დოგისტიკა და მონაცემთა ინტენსიური გამოყენება – მნიშვნელოვნად ამციხებს გეოპოლიტიკური შოკების ნეგატიური გავლენას სავაჭო ნაკადებზე. მაღალი ციფრული ინტეგრაციის მქონე პაჩინიოხებთან ვაჭობა ნაკლებად მციხდება კონფლიქტებისა და სანქციების პირობებში, ხაც გაციფრუებას სტაბილიზაციის მექანიზმად აქცევს. ამასთან, ინსტიტუციური დისტანცია და ხეგუდაციური ფაგმენტაცია მნიშვნელოვნად ზლეავეს საქაჩთვეროს სატრანზიტო პოტენციადის სხუდ ხეადიზებას.

DCFTA ევროკავშირთან ქმნის სტრუქტურულ ჩაჩროს ხეგუდაციური დაახლოებისთვის, თუმცა მოკლედადიან პეილოდში მისი სავაჭო ეფექტი შეზღუდულია ადაპტაციის ბაჩებებისა და ინსტიტუციური ასიმეტიების გამო. მოდელის მიხედვით, ციფრული მმაჩთვერობის გაჩეშე დიბეადიზაცია ვეი უბუნვედეყოფს მდგხად სავაჭო გაფაჩთობას გეოპოლიტიკური ხისკის პირობებში.

დასკვნის საბით, კვლევა აჩვენებს, რომ საქაჩთვეროს საგაჩეო ვაჭობისა და ტრანზიტის მდგხადობა სუდ უფრო მეტად დამოკიდებულია ციფრულ შესაძლებლობებსა და ინსტიტუციური კონვეგენციებზე და გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ციფრული ინფრასტრუქტურის, ხეგუდაციური პაჩმონიზაციისა და ხისკის მაჩთვის ინტეგრირებული პოლიტიკა წაჩმოაგენს საქაჩთვეროს, ხოგოხც ევროპიული სავაჭო ჰაბის, გჩედვადიანი კონკურენციონაჩიანობის კიტიკულ დაფუძველს.

**საკვანძო სიგყვები:** ციფრული ვაჭობა; გეოპოლიტიკური ხისკი; გრავიტაციული მოდელი; PPML; GMM.

## შესავალი

საერთაშორისო ვაჭრობის მზარდი გაციფრულება თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში გარდაქმნის სავაჭრო ურთიერთობების ფუნქციონირების მექანიზმებს, განსაკუთრებით – გეოპოლიტიკური არასტაბილურობის, სამხედრო კონფლიქტებისა და ეკონომიკური სანქციების პირობებში. გლობალიზაციის კლასიკური ლოგიკა, რომელიც ეფუძნებოდა საბაზრო ინტეგრაციასა და ლოგისტიკური ხარჯების თანდათან შემცირებას, მნიშვნელოვნად შეიცვალა გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციისა და სტრატეგიული ეკონომიკური ბლოკების გაძლიერების ფონზე.

რუსეთ-უკრაინის ომმა მკვეთრად დაარღვია გლობალური მიწოდების ჯაჭვები, ენერგეტიკული ბაზრები და სატრანზიტო ლოგისტიკა, რამაც გამოიწვია საერთაშორისო სავაჭრო მარშრუტების გადაფასება და ალტერნატიული კორიდორების აქტივიზაცია. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მცირე ღია ეკონომიკების ადაპტაციურმა შესაძლებლობებმა, რომელთა ეკონომიკური მდგრადობა დამოკიდებულია, როგორც საგარეო ვაჭრობაზე, ასევე, ტრანზიტულ ფუნქციებზე.

საქართველო ამ კონტექსტით გამოიკვეთა როგორც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ჰაბი, განსაკუთრებით, „შუა დერეფნის“ ფარგლებში. თუმცა, გეოგრაფიული უპირატესობა თავისთავად საკმარისი არ არის გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. აუცილებელია ინსტიტუციური ეფექტიანობა, ტექნოლოგიური ადაპტაცია და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უზრუნველყოფს სავაჭრო პროცესების უწყვეტობას გეოპოლიტიკური შოკების პირობებში.

თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობა ფუნქციონირებს მზარდი გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის, სამხედრო კონფლიქტებისა და ეკონომიკური სანქციების პირობებში, რაც მნიშვნელოვნად ცვლის სავაჭრო ნაკადების გენერირების ლოგიკას. რუსეთ-უკრაინის ომმა მკვეთრად დაარღვია შავი ზღვის რეგიონში სატრანზიტო და ლოგისტიკური არქიტექტურა, გაზარდა ტრანსპორტირების რისკი და დააჩქარა ალტერნატიული სავაჭრო კორიდორების აქტივიზაცია. აღნიშნული კონტექსტით მცირე ღია ეკონომიკების, მათ შორის, საქართველოს, სავაჭრო მდგრადობა სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება არამხოლოდ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, არამედ ინსტიტუციურ ეფექტიანობასა და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიები (რიკარდო; ჰეკშერ-ოლინი) სავაჭრო სპეციალიზაციას განმარტავენ წარმოების ფაქტორების სიჭარბისა და პროდუქტიულობის განსხვავებების საფუძველზე. თუმცა, მათი სტატიკური ხასიათი ვერ ასახავს გეოპოლიტიკური შოკებით გამოწვეულ არას-

ტაბილურობასა და ციფრული ტრანსფორმაციის დინამიკურ გავლენას. თანამედროვე მიდგომები – ახალი სავაჭრო თეორია და ჰეტეროგენული ფირმების მოდელები ყურადღებას ამახვილებს ბაზარზე შესვლის ხარჯებზე, ინსტიტუციურ გარემოსა და პოლიტიკურ რისკზე, თუმცა გეოპოლიტიკური შოკები კვლავ არასრულად არის ინტეგრირებული ამ ჩარჩოებში.

ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი, რომელიც ემპირიული ანალიზის ძირითად ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. ანდერსონისა და ვან ვინკუპის მრავალმხრივი წინააღმდეგობის კონცეფციამ გააძლიერა გრავიტაციული განტოლების თეორიული საფუძველი და აჩვენა, რომ ორმხრივი ვაჭრობა დამოკიდებულია არამხოლოდ ქვეყნებს შორის მანძილზე, არამედ მათ ურთიერთობაზე გლობალურ სავაჭრო სისტემასთან. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით შესაბამისია გეოპოლიტიკური შოკების პირობებში, როდესაც სავაჭრო წინააღმდეგობები ერთდროულად იზრდება როგორც ორმხრივ, ასევე სისტემურ დონეზე.

საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიები სავაჭრო სპეციფიკაციას განმარტავენ წარმოების ფაქტორების განაწილებისა და პროდუქტიულობის განსხვავებების საფუძველზე, თუმცა, ისინი ვერ ასახავენ გეოპოლიტიკური შოკებისა და გაციფრულების ერთობლივ გავლენას. ამ ხარვეზის შესავსებად, კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციულ მოდელს, რომელიც ემპირიულად ყველაზე სტაბილურ ჩარჩოდ ითვლება ორმხრივი სავაჭრო ნაკადების ანალიზში.

გრავიტაციული მოდელის ზოგადი ფორმა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$\ln T = \ln A + k \cdot \ln Q_{ij} - m \cdot \ln D_{ij} + b_1 X_1 + b_2 X_2 + b_3 X_3 + b_4 X_4 + \varepsilon \quad (1)$$

სადაც  $T$  აღნიშნავს საგარეო ვაჭრობის ბრუნვას,  $Q_{ij}$  – პარტნიორი ქვეყნის მშპ-ს,  $D_{ij}$  – ქვეყნებს შორის მანძილს, ხოლო  $X_1$ – $X_4$  ასახავს სავაჭრო პრეფერენციებს, გაციფრულების დონეს, მონაცემთა ნაკადების მოცულობასა და ციფრული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული სპეციფიკაცია საშუალებას იძლევა, კლასიკურ ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად შევასაღეს ციფრული ტრანსფორმაციის როლი.

ბოლო წლებში გრავიტაციული მოდელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა ახალი ფაქტორების ინტეგრაციით, მათ შორის, სამხედრო კონფლიქტებისა და სანქციების ცვლადებით. გაციფრულების პირობებში სავაჭრო ურთიერთობები აღარ განისაზღვრება მხოლოდ ფიზიკური მანძილით; ციფრული პლატფორმები და მონაცემთა ნაკადები ამცირებს სივრცით ბარიერებს, თუმცა კონფლიქტები და სანქციები ამ ეფექტს ასუსტებს.

ამ მიზნით გამოყენებულია გაფართოებული ეკონომეტრიკული სპეციფიკაცია:

$$\text{Trade Growth}_{it} = \beta_0 + \beta_1 X_{1it} + \beta_2 X_{2it} + \beta_3 X_{3it} + \beta_4 X_{4it} + \varepsilon_{it} \quad (2)$$

სადაც  $X_{1it}$  ასახავს გეოპოლიტიკურ რისკს, როგორც ბინარული ცვლადით, ასევე საერთაშორისო ინდექსების (მაგ., კონფლიქტის ინტენსივობა) მეშვეობით.  $\beta_1 > 0$  მიუთითებს, რომ ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება ზრდის სავაჭრო ბრუნვის მოცულობას, ხოლო  $\beta_3 < 0$  – კონფლიქტების ნეგატიურ ზეგავლენაზე.

ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ახალი თაობის ფორმას, რომელიც სცდება ტარიფული ლიბერალიზაციის ფარგლებს და მოიცავს ინსტიტუციურ ჰარმონიზაციას, რეგულაციურ დაახლოებასა და ადმინისტრაციული პროცედურების რეფორმას. საქართველოს შემთხვევაში DCFTA ქმნის სტრუქტურულ ჩარჩოს ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაციისთვის, თუმცა მისი ეფექტი სავაჭრო ნაკადებზე არაერთგვაროვანია.

ემპირიული კვლევები მიუთითებს, რომ DCFTA-ის გავლენა მოკლევადიან პერიოდში შეიძლება იყოს სუსტი ან თუნდაც - უარყოფითი, რაც აიხსნება ადაპტაციის ხარჯებით, არასრული ინსტიტუციური კონვერგენციითა და კონკურენტუნარიანობის შეზღუდვებით. ამასთან, ინსტიტუციური დისტანცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ვაჭრობაში. სამართლებრივი სისტემების, რეგულაციური ხარისხისა და მმართველობის განსხვავებები ზრდის გარიგების ხარჯებს და ამცირებს სავაჭრო პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას.

გაციფრულება ამ პროცესებში იქცევა კრიტიკულ საშუაშაგლო მექანიზმად. ელექტრონული საბაჟო სისტემები, ციფრული ლოგისტიკური პლატფორმები და მონაცემებზე დაფუძნებული ვაჭრობის ადმინისტრირება ამცირებს ადმინისტრაციულ შეფერხებებს, ზრდის პროგნოზირებადობას და ამსუბუქებს გეოპოლიტიკური შოკების ნეგატიურ გავლენას. თუმცა, ციფრული ტრანსფორმაცია თავისთავად არ უზრუნველყოფს ვაჭრობის გაფართოებას, თუ იგი არ არის მხარდაჭერილი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმებით.

### კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია გეოპოლიტიკური შოკებისა და გაციფრულების გავლენის ემპირიული შეფასება საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკასა და სატრანზიტო პოტენციალზე. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციულ თეორიას (Anderson, 1979) და მის თანამედროვე გაფართოებულ ვერსიებს.

წინამდებარე კვლევის ემპირიული სტრატეგია ეფუძნება საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციულ თეორიას და აერთიანებს ეკონომეტრიკულ შეფასებასა და სიმულაციაზე დაფუძნებულ მოდელირებას. ტრადიციული გრავიტაციული სპეციფიკაცია გაფართოებულია გეოპოლიტიკური შოკების, გაციფრულებისა და ინსტიტუციური დისტანციის ცვლადებით, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს არამხოლოდ სავაჭრო გაფართოება, არამედ - სავაჭრო მდგრადობა.

პუასონის ფსევდო-მაქსიმალური ალბათობის (PPML) მეთოდი გამოყენებულია ჰეტეროსკედასტიკურობისა და ნულოვანი სავაჭრო ნაკადების არსებობის პირობებში, ხოლო გენერალიზებული მომენტების მეთოდი (GMM) უზრუნველყოფს შესაძლო ენდოგენურობის გათვალისწინებას. ინსტრუმენტებად გამოყენებულია ეკონომიკური და ინსტიტუციური ინდიკატორების ლაგირებული მნიშვნელობები, რაც იძლევა პარამეტრების თანმიმდევრული შეფასების საშუალებას.

ეკონომეტრიკული შეფასებები შერწყმულია ავტორთა სიმულაციაზე დაფუძნებულ გრავიტაციულ მოდელებთან, რომლებიც ადაპტირებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურასთან. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით ეფექტიანია გეოპოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში, როდესაც სავაჭრო რეაქციები არანრფივი და ასიმეტრიული ხასიათისაა.

### SAQ მოდელების სისტემა და სიმულაციური მიდგომა

კვლევის ავტორთა წვლილი გამოიხატება SAQ1–SAQ4 მოდელების სისტემით, რომელიც აერთიანებს ტინბერგენის, ლიმერმანისა და აშშ-ის იმპორტის მოდელების ელემენტებს. SAQ2 მოდელის ერთ-ერთი ფორმა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} \ln(Q) = & \ln b + X_5 \cdot \ln(X_1) + X_6 \cdot \ln(X_2) + X_{30} \ln(X_3) + X_8 \cdot \ln(X_4) + \\ & + b_{0a} X_{ea} + b_3 \cdot X_{12} + b_4 \cdot X_{13} + b_5 \cdot X_{14} + b_6 \cdot X_{15} + b_{30} X_{e6} + \varepsilon \end{aligned} \quad (3),$$

სადაც ცვლადები მოიცავს მშპ-ს, მოსახლეობას, მანძილს, საზღვრის არსებობას, სავაჭრო პრეფერენციებს, გაციფრულების დონესა და მონაცემთა ნაკადების მოცულობას. კოეფიციენტების ოპტიმალური მნიშვნელობები განისაზღვრება სიმულაციის რეჟიმში არანრფივი ოპტიმიზაციის მეთოდით.

SAQ4 მოდელი აერთიანებს სავაჭრო ინტენსივობისა და კონცენტრაციის ინდექსებს, მათ შორის გ. ლაღანიძისა და ავტორთა კოლექტივის მიერ გადამუშავებულ ინდექსს (QGTI), რაც იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს არამხოლოდ ვაჭრობის მოცულობა, არამედ მისი სტრუქტურული ხარისხიც.

$$Q_t = \ln(b_1) + X_{5,t} * \ln(X_{3,t}) - (X_{5,t} * \ln(X_{4,t}) + X_{7,t} * \ln(1+X_{6,t})) + \ln(X_{2,t}) * (1 + X_{8,t}) + b_2 * X_{9,t} + b_3 * X_{10,t} + b_4 * X_{11,t} + b_5 * X_{12,t} + b_6 * X_{13,t} + b_7 * X_{14,t} + b_8 * X_{15,t} * b_9 + \ln(X_{11,t} * X_{12,t}) + b_{10} + \ln(X_{13,t} * (1 + X_{6,t})) + b_{11} * \ln(X_{15,t} * X_{14,t}) + e_t(4)$$

სადაც:

$Q_{it}$ : i-ური დასახელების საქონლის შინაგანი ბაზრის ტევადობა t-დროში (დამოკიდებული ცვლადი). ეს არის ბაზრის მოცულობა, რომელიც დამოკიდებულია ყველა სხვა დამოუკიდებელ ცვლადსა და დროზე.

$X_{2,t}$ : საიმპორტო ფასი i-ურ საქონელზე t-დროში. ეს ცვლადი ასახავს ფასს, რომელიც გავლენას ახდენს იმპორტსა და ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციაზე.

$X_{3,t}$ : ქვეყნის შიგნით მოხმარების ფასი i-ურ საქონელზე t-დროში. ასახავს ადგილობრივ პროდუქტსა და იმპორტს შორის ფასობრივ კონკურენციას.

$X_{4,t}$ : i-ური საქონლის საიმპორტო ბაჟი t-დროში. განსაზღვრავს, რამდენად დიდია ბაჟის გავლენა იმპორტის ფასზე და ადგილობრივი პროდუქტის სიძლიერეზე.

$X_{5,t}$ : i-ურ საქონელზე ფასების ელასტიკურობის კოეფიციენტი t-დროში. ეს კოეფიციენტი აჩვენებს, როგორ რეაგირებს მოთხოვნა ადგილობრივი ფასების ცვლილებებზე.

$X_{6,t}$ : i-ურ საქონელზე საიმპორტო ბაჟის ელასტიკურობის კოეფიციენტი t-დროში. ბაჟის ცვლილებაზე რეაქციის შეფასება, რაც დიდ გავლენას ახდენს იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკაზე.

$X_{7,t}$ : i-ურ საქონელზე შინაგანი ბაზრის ელასტიკურობის კოეფიციენტი t-დროში. განსაზღვრავს ბაზრის რეაქციას მოთხოვნაზე ფასების ცვლილებების მიმართ.

$X_{8,t}$ : საერთო საზღვრის არსებობა. მისი მნიშვნელობებია 1 ან 0. თუ ორ ქვეყანას აქვს საერთო საზღვარი, ტრანსპორტირების ხარჯები და სავაჭრო ბარიერები მნიშვნელოვნად მცირდება.

$X_{9,t}$ : პარტნიორის ზღვაზე გასასვლელი. მისი მნიშვნელობებია 1 ან 0. ეს ცვლადი ასახავს ქვეყნებს შორის სავაჭრო სტრატეგიულ შესაძლებლობებს.

$X_{10,t}$ : სავაჭრო პრეფერენციები. მისი მნიშვნელობებია 1 ან 0. სავაჭრო შეთანხმებების არსებობა, რაც იმპორტისა და ექსპორტის ხარჯებს ამცირებს.

$X_{11,t}$ : გაციფრების დონე, რომლის მნიშვნელობები მერყეობს 0-დან 1-მდე. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სიძლიერე, რაც ადგილობრივი ბაზრის კონკურენტუნარიანობას ზრდის.

$X_{12,t}$ : მონაცემთა ნაკადების მოცულობა, რომლის მნიშვნელობები მერყეობს 0-დან 1-მდე. ციფრული ინფორმაციის ინტენსივობა სავაჭრო პროცესებში, რაც ამცირებს ხარჯებს და ზრდის ეფექტიანობას.

$X_{13,t}$ : ციფრული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, რომლის მნიშვნელობები მერყეობს 0-დან 1-მდე. უკეთესი ინფრასტრუქტურა ამცირებს სავაჭრო დაბრკოლებებს.

$X_{14,t}$ : კონფლიქტების შეფასება, რომლის მნიშვნელობები მერყეობს 0-დან 1-მდე. ეს ცვლადი ასახავს გეოპოლიტიკურ და რეგიონულ რისკებს, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ვაჭრობაზე.

$X_{15,t}$ : ადგილობრივი საწარმოო შესაძლებლობები  $t$ -დროში. წარმოების მოცულობა ან პროდუქტიულობა, რაც განსაზღვრავს, რამდენად შესაძლებელია იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივ ბაზარზე.

$b_1, b_2, b_3, \dots, b_{11}$ : პროპორციულობის კოეფიციენტები. ემპირიულად განსაზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც გვაჩვენებს თითოეული ცვლადის გავლენის სიძლიერეს  $Q_t$ -ზე.

$\epsilon_t$ : პროგნოზის ცდომილება  $t$ -დროში.

ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი (TII) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$TII_{ij} = (X_{ij} / X_i) / (M_j / M_w)$ , სადაც  $X_{ij}$  წარმოადგენს ქვეყნის  $i$  ექსპორტს  $j$ -ში, ხოლო  $M_w$  – გლობალური ვაჭრობის მოცულობას.  $TII > 1$  მიუთითებს მაღალ სავაჭრო ინტენსივობაზე.

გაციფრულების ეფექტიანობა შეფასებულია Digitalization Efficiency Index-ის მეშვეობით, რომელიც აერთიანებს ინტერნეტის შეღწევადაობას, ციფრული კომერციის წილსა და ციფრული სერვისების ხელმისაწვდომობას 0-1 სკალაზე.

მოდელის შეფასებისთვის გამოყენებულია:

- პუასონის ფსევდო-მაქსიმალური ალბათობის მეთოდი (PPML);
- გენერალიზებული მომენტების მეთოდი (GMM);
- საავტორო სიმულაციაზე დაფუძნებული გრავიტაციული მოდელები (SAQ);
- გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA).

გაციფრულების ფაქტორი წარმოდგენილია ელექტრონული საბაჟო სისტემების, ციფრული ლოგისტიკური პლატფორმებისა და სავაჭრო ადმინისტრირების ხარისხის ინდიკატორებით, ხოლო გეოპოლიტიკური შოკები – სამხედრო კონფლიქტების, სანქციებისა და რეგიონული არასტაბილურობის ცვლადებით.

სავაჭრო მდგრადობის ანალიზი ინტეგრირებულია გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) ინდექსთან, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს, ემყარება თუ არა სავაჭრო სტაბილურობა რეალურ სტრუქტურულ კონკურენტუნარიანობას. შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ კონცენტრირებულია დაბალი და საშუალო დამატებული ღირებულების პროდუქტებზე, ხოლო დამამუშავებელი სექტორის სიმრავლისას RCA მნიშვნელობები ერთზე ნაკლებია. ეს გარემოება მიუთითებს, რომ გეოპოლიტი-

კური შოკების პერიოდში დაფიქსირებული სავაჭრო სტაბილურობა მეტწილად განპირობებულია სატრანზიტო გადამისამართებით და არა შიდა წარმოებითი პოტენციალის გაძლიერებით. შესაბამისად, გაციფრულება და ინსტიტუციური ჩარჩოები უზრუნველყოფს მოკლევადიან მდგრადობას, თუმცა გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია მიზნობრივი ინდუსტრიული და ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება.

### **ემპირიული შედარებითი ანალიზი და შედეგები (აშშ-ის, თურქეთისა და რუსეთის როლის ანალიზი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში)**

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში აშშ, თურქეთი და რუსეთი წარმოადგენენ განსხვავებული ეკონომიკური, ინსტიტუციური და გეოპოლიტიკური მახასიათებლების მქონე პარტნიორებს, რაც ქმნის შესაბამის ანალიტიკურ ბაზას გაციფრულებისა და გეოპოლიტიკური შოკების გავლენის შედარებითი შეფასებისთვის. აღნიშნული ქვეყნების შემთხვევაში სავაჭრო დინამიკა განსხვავდება როგორც მოცულობით, ასევე ხარისხობრივი პარამეტრებით, მათ შორის, სავაჭრო ბალანსით, რისკის ექსპოზიციითა და ციფრული სავაჭრო ფასილიტაციის ეფექტიანობით.

თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, სავაჭრო ბრუნვით დაახლოებით 3.2 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით, რაც საერთო სავაჭრო ბრუნვის თითქმის მეხუთედს შეადგენს. მიუხედავად მაღალი ინტენსივობისა, საქართველოს სავაჭრო ბალანსი თურქეთთან მკვეთრად უარყოფითია (დაახლოებით 2.3 მლრდ აშშ დოლარია), რაც მიუთითებს იმპორტზე ძლიერ დამოკიდებულებაზე. გრავიტაციული მოდელის შეფასებებში (PPML და GMM) თურქეთთან ვაჭრობა განსაკუთრებით მგრძობიარეა გეოპოლიტიკური შოკების მიმართ, ვინაიდან მინოდების ჭაჭვების შეფერხება და სატრანზიტო რისკი სწრაფად აისახება იმპორტის ფასებსა და მოცულობებზე. გაციფრულების ინტერაქციული კოეფიციენტი ( $GEO \times DIG$ ) დადებითია, რაც მიუთითებს, რომ ელექტრონული საბაჟო სისტემები და ციფრული ლოგისტიკა ნაწილობრივ ამცირებს შოკების ნეგატიურ ეფექტს, თუმცა ვერ ანეიტრალებს სტრუქტურულ სავაჭრო დისბალანსს.

რუსეთთან ვაჭრობა ხასიათდება მაღალი გეოპოლიტიკური რისკითა და სანქციური გარემოს ძლიერი გავლენით. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ბრუნვა დაახლოებით 2.5 მლრდ აშშ დოლარს აღწევს, საქართველოს სავაჭრო ბალანსი რუსეთთანაც უარყოფითია (დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარია). ემპირიული შეფასებები აჩვენებს, რომ გეოპოლიტიკური შოკების ცვლადი რუსეთთან ვაჭრობის შემთხვევაში ყველაზე მაღალი უარყოფითი კოეფიცი-

ენტით გამოირჩევა, რაც ასახავს სანქციების, ფინანსური შეზღუდვებისა და რეგულაციური გაურკვევლობის გავლენას. გაციფრულების შემამსუბუქებელი ეფექტი აქ შედარებით სუსტია, რაც მიუთითებს, რომ მაღალი პოლიტიკური რისკის პირობებში ციფრული ფაცილიტაცია ვერ ახერხებს სრულფასოვან კომპენსაციას და სავაჭრო მდგრადობა რჩება მყიდვე.

აშშ განსხვავებულ პროფილს წარმოაჩენს. სავაჭრო ბრუნვა დაახლოებით 2.2 მლრდ აშშ დოლარია, თუმცა, ვაჭრობა ხასიათდება უფრო დაბალი გეოპოლიტიკური რისკით და შედარებით სტაბილური ინსტიტუციური გარემოთი. გრავიტაციული და სიმულაციური მოდელების შედეგები მიუთითებს, რომ აშშ-სთან ვაჭრობის შემთხვევაში გაციფრულების ეფექტი უფრო მეტად უკავშირდება სავაჭრო პროცესების პროგნოზირებადობასა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას, ვიდრე - უშუალო მოცულობის ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო სტრუქტურა სრულად დაბალანსებული არ არის, გეოპოლიტიკური შოკების გავლენა შედარებით სუსტია, რაც ადასტურებს, რომ ინსტიტუციური სტაბილურობა და დივერსიფიცირებული მიწოდების არხები ზრდის სავაჭრო მდგრადობას.

### სავაჭრო ბრუნვა

ცხილი 1.

ქვეყანა	ექსპორტი (მლნ.დოლ.)	იმპორტი (მლნ.დოლ.)	სავაჭრო ბრუნვა (მლნ. დოლ.)	ექსპორტის წილი (%)	იმპორტის წილი (%)
თურქეთი	-	2 575	-2 770	-	16.49%
აშშ	-	2 059	-2 059	-	13.19%
რუსეთი	657	1 744	2 500	10.80%	11.17%

წყარო: ცხილი შედგენილია ავტომატურად მიუხედავად მონაცემების მიხედვით

2024 წელს საქართველოდან ექსპორტმა შეადგინა 6.56 მლრდ დოლარი, იმპორტმა კი - 16.87 მლრდ დოლარი, რაც ასახავს მნიშვნელოვან უარყოფით სავაჭრო ბალანსს და დოლარიზებული იმპორტის დომინირებას.

იმპორტი 2024 წელს: თურქეთში - 2.77 მლრდ დოლარი იყო, აშშ -2.04 მლრდ დოლარი, ხოლო რუსეთში - 1.84 მლრდ დოლარი.

2025 წლის Q1 მონაცემები აჩვენებს:


- აშშ-თან ვაჭრობა არის ძლიერი იმპორტით და ძალიან დაბალი - ექსპორტით, რაც წინა წელთან შეესაბამება იმპორტში აშშ-ს მნიშვნელოვან წილს (Geostat).

- თურქეთთან საქართველოს ვაჭრობა ახლოს დგას იმპორტის მოცულობით აშშ-სთან, რაც მიუთითებს ორივე ქვეყნის მთავარი იმპორტიორის როლზე საქართველოსთვის (Geostat).

- რუსეთთან კომერციული ბრუნვა შედარებით დაბალია, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია არაფორმალური და სერვისული ნაკადებითაც, ხოლო ექსპორტის წილი ზრდის გარკვეულ დინამიკას აჩვენებს.

**ცვლილება 2024-2025 სავაჭრო ბრუნვაში (მლნ. დოლარი)**

დიაგრამა 1.



შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ გაციფრულების როლი არ არის ერთგვაროვანი: თურქეთის შემთხვევაში ის ამცირებს ოპერაციულ შეფერხებებს, რუსეთის შემთხვევაში – მხოლოდ ნაწილობრივ ამსუბუქებს მაღალი რისკის ზემოქმედებას, ხოლო აშშ-თან ვაჭრობაში ქმნის სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის ინსტიტუციურ საფუძველს.

**გრავიტაციული მოდელის შეფასების შედეგები (PPML)**

ცხილი 2.

ln(GDP	ექსპორტიორი)	-	0.87	(0.09)	***
ln(GDP	იმპორტიორი)	-	0.92	(0.08)	***
ln(Distance)	-	-1.14		(0.17)	***
გაციფრულების ინდექსი - 0.31 (0.05) **					

წყარო: ავტორთა გამოთვლები

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ გაციფრულება პოზიტიურად და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავაჭრო ნაკადებზე, განსაკუთრებით, გეოპოლიტიკური შოკების პირობებში.

**გრავიტაციული მოდელის შეფასების შედეგები (GMM)**

ცხილი 2.

ln(GDP	ექსპორტიორი)	-	0.81	(0.11)	***
ln(GDP	იმპორტიორი)	-	0.89	(0.10)	***
გაციფრულება * გეოპოლიტიკური შოკი - 0.27 (0.07) **					

წყახო: ავტოხთა გამოთვლები

GMM შეფასებები ადასტურებს, რომ გაციფრულება ასრულებს ბუფერულ ფუნქციას და ამცირებს გეოპოლიტიკური შოკების ნეგატიურ ეფექტს.

**გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA)**

ცხილი 3.

ტრანსპორტი	-	1.42
ლოგისტიკური	მომსახურება-1.18	
მაღალტექნოლოგიური ექსპორტი - 0.63		

წყახო: ავტოხთა გამოთვლები

RCA ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს კონკურენტული უპირატესობები ძირითადად ტრანზიტულ და მომსახურების სექტორებში კონცენტრირდება, ხოლო მაღალტექნოლოგიური ექსპორტი ჯერ კიდევ სუსტია.

2024-2025 წლების (2025 Q1-ის ჩათვლით) მონაცემებზე დაფუძნებული ემპირიული ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება პარტნიორი ქვეყნებისაგან, რაც ეკონომეტრიკულად აისახება როგორც პუასონის ფსევდო-მაქსიმალური ალბათობის (PPML), ასევე გენერალიზებული მომენტების მეთოდის (GMM) შეფასებებში. აღნიშნული მეთოდოლოგიური კომბინაცია საშუალებას იძლევა, ერთდროულად გათვალისწინებულ იქნეს სავაჭრო ნაკადების არაწრფივი ბუნება, ჰეტეროსკედასტიკურობა და პოტენციური ენდოგენურობა.

PPML შეფასებების შედეგები მიუთითებს, რომ სავაჭრო ბრუნვის დამოკიდებულება პარტნიორი ქვეყნის ინსტიტუციურ სტაბილურობასა და ციფრული ინფრასტრუქტურის ხარისხზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. კერძოდ, აშშ-თან ვაჭრობის შემთხვევაში, სადაც 2025წელს ფიქსირდება მაღალი იმპორტი და შედარებით დაბალი ექსპორტი, გაციფრულების ცვლადის კოეფიციენტი დადებითია და მნიშვნელოვნად ამცირებს სავაჭრო პროცესების ვოლატილურობას. ეს შედეგი ადასტურებს, რომ მაღალი ინსტიტუციური ხარისხის მქონე პარტნიორებთან ციფრული ფაცილიტაცია ზრდის სავაჭრო პროგნოზირებადობას, თუმცა მოკლევადიან პერიოდში არ უზრუნველყოფს ექსპორტის პროპორციულ ზრდას.

თურქეთთან ვაჭრობის PPML შეფასებები აჩვენებს შედარებით მაღალ ელასტიკურობას სავაჭრო ბრუნვის მიმართ, რაც ასახავს ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობებსა და გეოგრაფიული სიახლოვის ეფექტს. თუმცა, იმპორტის დომინანტური წილი და უარყოფითი სავაჭრო ბალანსი იწვევს იმას, რომ გეოპოლიტიკური შოკების ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ინარჩუნებს მაშინაც კი, როდესაც გაციფრულების ფაქტორი მოდელშია ინტეგრირებული. ეს მიუთითებს, რომ ციფრული ინფრასტრუქტურა ამცირებს ოპერაციულ შეფერხებებს, მაგრამ ვერ აუქმებს სტრუქტურულ დისბალანსს.

რუსეთთან ვაჭრობის შემთხვევაში PPML შეფასებები ყველაზე მაღალი მგრძობელობით გამოირჩევა გეოპოლიტიკური რისკის მიმართ. 2025 წელს მონაცემები აჩვენებს შედარებით სტაბილურ ბრუნვას, თუმცა გეოპოლიტიკური შოკის კოეფიციენტი მკვეთრად უარყოფითია, ხოლო გაციფრულების ინტერაქციული ეფექტი სუსტია. ეს შედეგი მიუთითებს, რომ მაღალი პოლიტიკური და სანქციური რისკის პირობებში ციფრული ფაცილიტაცია ვერ ასრულებს სრულფასოვან ბუფერულ ფუნქციას და სავაჭრო მდგრადობა რჩება მყიფე.

GMM შეფასებები დამატებით ადასტურებს აღნიშნულ დასკვნებს და ამცირებს ენდოგენურობის რისკს, რომელიც შესაძლოა, წარმოიშვას გაციფრულებასა და სავაჭრო მოცულობას შორის ორმხრივი კავშირის შედეგად. ლაგირებული ინსტრუმენტების გამოყენებით მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითად მოქმედებს სავაჭრო ბრუნვაზე, თუმცა მისი ეფექტი მნიშვნელოვნად განსხვავდება პარტნიორი ქვეყნის ინსტიტუციური ხარისხისა და გეოპოლიტიკური რისკის დონის მიხედვით. კერძოდ, GMM მოდელში გაციფრულებისა და გეოპოლიტიკური შოკი (გაციფრულება × გეოპოლიტიკური რისკი) სტატისტიკურად მნიშვნელოვანია აშშ-სა და თურქეთის შემთხვევაში, რაც მიუთითებს ნაწილობრივ შემამსუბუქებელ ეფექტზე, მაშინ, როდესაც რუსეთის შემთხვევაში აღნიშნული ინტერაქცია მნიშვნელობას კარგავს. ეს შედეგი მიუთითებს, რომ გაციფრულების ეფექტიანობა არ არის უნივერსალური და დამოკიდებულია პარტნიორის ინსტიტუციურ და პოლიტიკურ კონტექსტზე.

მთლიანობაში, PPML და GMM შეფასებები ერთობლივად აჩვენებს, რომ 2024–2025 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგრადობა უფრო მეტად განისაზღვრება ციფრული მმართველობისა და ინსტიტუციური გარემოს ხარისხით, ვიდრე მხოლოდ სავაჭრო მოცულობით. მიღებული ეკონომეტრიკული შედეგები ადასტურებს, რომ გაციფრულება ფუნქციონირებს როგორც ასიმეტრიული ბუფერული მექანიზმი: იგი ეფექტიანია დაბალი პოლიტიკური რისკის მქონე პარტნიორებთან (აშშ), ნაწილობრივ შედეგიანია საშუალო რისკის პირობებში (თურქეთი) და სუსტია მაღალი გეოპოლიტიკური არასტაბილურობის გარემოში (რუსეთი).

გაციფრულების სტაბილიზაციის ინდექსის (0-1). მნიშვნელობების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ციფრული ტექნოლოგიების უნარი შეამციროს გეოპოლიტიკური შოკების ნეგატიური გავლენა, მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს სავაჭრო პარტნიორების მიხედვით. აშშ-ის მაღალი მაჩვენებელი (0.75) მიუთითებს, რომ განვითარებული ციფრული ინფრასტრუქტურა, ინსტიტუციური სტაბილურობა და მაღალი რეგულაციური პროგნოზირებადობა უზრუნველყოფს გაციფრულების ეფექტიან გამოყენებას, როგორც სავაჭრო პროცესების სტაბილიზაციის მექანიზმს. აღნიშნულ შემთხვევაში გაციფრულება ამცირებს ოპერაციულ გაურკვევლობას და ზრდის საგარეო ვაჭრობის მდგრადობას.

თურქეთის საშუალო მაჩვენებელი (0.55) ასახავს გაციფრულების ნაწილობრივ სტაბილიზაციის ფუნქციას. მიუხედავად ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობებისა და განვითარებული ლოგისტიკური კავშირებისა, ციფრული მექანიზმების ეფექტი შეზღუდულია სტრუქტურული სავაჭრო დისბალანსისა და რეგიონული რისკის გავლენით, რაც გაციფრულებას აქცევს მხოლოდ შემამსუბუქებელ და არა სრულფასოვან სტაბილიზაციის ინსტრუმენტად.

რუსეთის დაბალი მაჩვენებელი (0.30) მიუთითებს, რომ მაღალი გეოპოლიტიკური არასტაბილურობის, სანქციური გარემოსა და ინსტიტუციური გაურკვევლობის პირობებში გაციფრულება ვერ ახერხებს სტაბილიზაციის ფუნქციის ეფექტიან შესრულებას. ასეთ გარემოში ციფრული ტექნოლოგიების პოტენციური მნიშვნელოვნად ნეიტრალდება პოლიტიკური რისკით, რის შედეგადაც საგარეო ვაჭრობის მდგრადობა რჩება მყიფე.

მთლიანობაში, მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ გაციფრულების სტაბილიზაციის ეფექტი არ არის უნივერსალური და მისი რეალიზება დამოკიდებულია პარტნიორი ქვეყნის ინსტიტუციურ ხარისხზე, გეოპოლიტიკური რისკის დონესა და ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურაზე. აღნიშნული დასკვნა ხაზს უსვამს დიფერენცირებული სავაჭრო და ციფრული პოლიტიკის აუცილებლობას საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების პროცესში.

### **საგარეო ვაჭრობის ანალიზის შეფასებისა და პროგნოზირების პროგრამული უზრუნველყოფა**

პროგრამული პაკეტი მოიცავს ფორმულებს, ამოხსნას, წესებს, შედეგს, ინდექსებს. პროგრამა-ფორმულების დანიშნულებაა სიმულაციის ფანჯარაში ფორმულის გამოტანა კოეფიციენტების მნიშვნელობების ჩვენებით; პროგრამა ამოხსნით წარმოებს გრავიტაციულ მოდელში შემავალი კოეფიციენტების ოპტიმალური მნიშვნელობების მოძებნა.

Forsim - პროგრამით „მოდელირება“ ახდენს:

- სხვადასხვა მრავალი ვარიანტის ფორმირებას;
- ვარიანტების შეფასებას;
- შედეგების ვიზუალიზაციას ცხრილებით;
- კოეფიციენტთა მნიშვნელობების შერჩეული ვარიანტის მიხედვით,

გრაფიტაციულ მოდელში შემავალი არგუმენტების ფაქტობრივი მნიშვნელობებით, ექსპორტის ცვლილებით მშპ-ის ცვლილების დინამიკის ფორმირებას, შედეგების ვიზუალიზაციას ცხრილებითა და გრაფიკებით.

პროგრამა „ვარიანტი“ ანხორციელებს კონკრეტულ ქვეყანასთან საგარეო ვაჭრობის მოცულობის მნიშვნელობების მრავალი ვარიანტის ფორმირებას და იძლევა გადაწყვეტილების მიღების არჩევანის საშუალებას.

### სურათი 1.

The screenshot shows the GeoTradeSim interface. At the top, it says 'GeoTradeSim | საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი და პროგნოზი'. Below that, the main title is 'ვარიანტი' (Variant) with a subtitle 'კონკრეტულ ქვეყანასთან ვაჭრობის მოცულობების მრავალი ვარიანტის ფორმირება' (Formation of multiple variants of trade volumes with a specific country). The interface includes a sidebar with navigation options like 'Dashboard', 'ფორმულები', 'ამოხსნა', 'მოდელირება', 'ვარიანტი', 'წესები (Q)', 'ვიზუალი', 'გრაფიკი', 'ინდექსები', and 'შედეგი'. The main area shows filters for 'ქვეყანა: Germany', 'წელი: 2024', 'საქონელი: HS2: 30', and 'სცენარი: Base'. Below the filters is a table titled 'ვაჭრობის მოცულობების ვარიანტები (Import/Export)'. The table has columns for 'ვარ.' (Variant), 'ქვეყანა' (Country), 'HS კოდი' (HS Code), 'ექსპორტი %' (Export %), 'იმპორტი %' (Import %), and 'შენიშვნა' (Notes). The table contains five rows of data for Germany with HS code 30.

ვარ.	ქვეყანა	HS კოდი	ექსპორტი %	იმპორტი %	შენიშვნა
V1	Germany	30	-5%	+0%	სცენარი S2
V2	Germany	30	-10%	+2%	კატორ-შოკი
V3	Germany	30	+3%	-1%	ალტ. კორიდორი
V4	Germany	30	+8%	+4%	სანქციის შერბილება
V5	Germany	30	-2%	-6%	ლოჯისტიკა -

At the bottom of the table area, there are buttons for 'ვარიანტის გენერაცია' (Generate Variant) and 'Excel-ში ექსპორტი' (Export to Excel).

წყარო: <http://kiber3.tsu.ge/>

პროგრამით – „წესები“, მრავალვარიანტულ გეგმაში გამოიტანება მოძებნილი Q-ს მნიშვნელობის შეფასება.

პროგრამა – „შედეგი“, უზრუნველყოფს მოდელირების შედეგების საერთო უწყისის ფორმირებას. უწყისში ასახულია მოდელირების შედეგები კოეფიციენტებისა და ფაქტობრივი მნიშვნელობების მიხედვით.

თვა მუნჯიშვიდი, შოთა შაბუხიშვიდი, დავით სიხახუდიძე, დეიდა ქადაგიშვიდი, იხაკვი გაზდელიანი, ზვიად სიგუა

პროგრამით – „ვიზუალი“, ხორციელდება მოდელირების შედეგების გამოტანა ცხრილის სახით.  
სუხათი 2.

GeoTradeSim | საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი და პროგნოზი

ვიზუალი  
მოდელირების შედეგების ცხრილებად გამოტანა (Excel-ready)

ქვეყანა: Germany წელი: 2024 საქონელი: HS2: 30 სცენარი: Base

შედეგების ცხრილი: ექსპორტის ცვლილება -> მშპ

წელი	ექსპორტი	იმპორტი	Δ ექსპორტი	Δ GDP (მოდელი)	სცენარი
2020	—	—	-10%	-0.6%	S2
2021	—	—	-10%	-0.6%	S2
2022	—	—	-10%	-0.6%	S2
2023	—	—	-10%	-0.6%	S2
2024	—	—	-10%	-0.6%	S2
2025	—	—	-10%	-0.6%	S2
2026	—	—	-10%	-0.6%	S2

წყაიხ: <http://kiber3.tsu.ge/>

პროგრამა – „გრაფიკი“, უზრუნველყოფს მოდელირების შედეგების გრაფიკული სახით წარმოდგენას.

სუხათი 3.

GeoTradeSim | საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი და პროგნოზი

შედეგი  
მოდელირების შედეგების საერთო უწყისი: კოეფიციენტები + ფაქტობრივი მნიშვნელობები + რეკომენდირებული ვარიანტი

ქვეყანა: Germany წელი: 2024 საქონელი: HS2: 30 სცენარი: Base

საერთო უწყისი (Summary Report)

არჩეული სცენარი		ობიექტური ვარიანტი	მოსალოდნელი GDP ეფექტი		
α	β	γ	Δ_sanctions	Δ_cyber	Δ_digital
0.83	0.92	1.08	-0.35	-0.22	0.31

ანგარიშის ექსპორტი (PDF) Excel უწყისი / CSV

წყაიხ: <http://kiber3.tsu.ge/>

GeoTradeSim პლატფორმის მიერ გენერირებული Summary Report ასახავს გრავიტაციული გაფართოებული ციფრულ-გეოპოლიტიკური მოდელის შეფასების შედეგებს კონკრეტული სავაჭრო წყვილისა და პერიოდისთვის. წარმოდგენილი პარამეტრები ( $\alpha$ ,  $\beta$ ,  $\gamma$ , sanctions, cyber, digital) ასახავს როგორც კლასიკურ ეკონომიკურ ფაქტორებს, ასევე თანამედროვე რისკებსა და გაციფრულების ეფექტს საგარეო ვაჭრობაზე.

მიღებული შედეგების მიხედვით,  $\alpha = 0.83$  და  $\beta = 0.92$  მიუთითებს, რომ ეკონომიკური მასის (მშპ-ის) ფაქტორები სტატისტიკურად მნიშვნელოვან და პოზიტიურ გავლენას ახდენს სავაჭრო ბრუნვაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია გრავიტაციული მოდელის თეორიულ მოლოდინებთან. აღნიშნული მნიშვნელობები ადასტურებს, რომ ბაზრის ზომა კვლავ რჩება ვაჭრობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად.

პარამეტრი  $\gamma = 1.08$  ასახავს სტრუქტურული ან სექტორული ფაქტორების გამაძლიერებელ ეფექტს, რაც მიუთითებს, რომ კონკრეტულ პროდუქციულ ჯგუფში (HS2:30) სავაჭრო ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ მაკროეკონომიკური მასით და მოიცავს დამატებით კონკურენტულ ან ინსტიტუციურ უპირატესობებს.

გეოპოლიტიკური რისკის ბლოკში მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ  $\text{sanctions} = -0.35$  მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს სავაჭრო ნაკადებზე. ეს კოეფიციენტი ადასტურებს, რომ სანქციები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დამაზიანებელ ფაქტორს საერთაშორისო ვაჭრობისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი დაკავშირებულია ფინანსურ და ლოგისტიკურ შეზღუდვებთან.

კიბერუსაფრთხოების ფაქტორი ( $\text{cyber} = -0.22$ ) ასევე უარყოფით ნიშნულზეა, რაც მიუთითებს, რომ კიბერრისკი და ციფრული ინფრასტრუქტურის დაუცველობა ამცირებს სავაჭრო პროცესების ეფექტიანობას და ზრდის ოპერაციულ გაურკვევლობას. თუმცა, მისი ზეგავლენა შედარებით სუსტია სანქციებთან შედარებით, რაც აჩვენებს, რომ კიბერრისკი მოქმედებს როგორც მეორეული, მაგრამ მნიშვნელოვანი შემზღუდველი ფაქტორი.

ამავე დროს,  $\text{digital} = 0.31$  წარმოადგენს პოზიტიურ და ეკონომიკურად მნიშვნელოვან კოეფიციენტს, რაც ადასტურებს გაციფრულების შემამსუბუქებელ და სტაბილიზაციის ფუნქციას. მიღებული მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ციფრული სავაჭრო ფაცილიტაცია, ელექტრონული ადმინისტრირება და მონაცემებზე დაფუძნებული პროცესები ნაწილობრივ ანეიტრალებს გეოპოლიტიკური და კიბერუსაფრთხოების რისკის უარყოფით გავლენას.

საბოლოო ანგარიშით, GeoTradeSim-ის შედეგები აჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ფუნქციონირებს მრავალფაქტორიან გარემოში, სადაც მაკროეკონომიკური მასა განსაზღვრავს ბაზრის პოტენციალს, გეოპოლიტიკური

შოკები ამცირებს რეალიზაციის შესაძლებლობას, ხოლო გაციფრულება ასრულებს სტაბილიზაციისა და ბუფერული მექანიზმის როლს, თუმცა ვერ ახერხებს რისკის სრულ კომპენსაციას.

## დასკვნა

აშშ-ის, თურქეთისა და რუსეთის შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგრადობა გეოპოლიტიკური შოკების პირობებში განისაზღვრება არამხოლოდ სავაჭრო ბრუნვის მოცულობით, არამედ პარტნიორი ქვეყნის ინსტიტუციური ხარისხითა და პოლიტიკური რისკის დონით. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ გაციფრულება ფუნქციონირებს როგორც შემამსუბუქებელი მექანიზმი, თუმცა მისი ეფექტიანობა მკვეთრად განსხვავდება პარტნიორების მიხედვით.

თურქეთთან ვაჭრობაში ციფრული ფაცილიტაცია ამცირებს მოკლევადიან რყევებს, მაგრამ ვერ ცვლის სტრუქტურულ უარყოფით ბალანსს. რუსეთთან ურთიერთობაში მაღალი გეოპოლიტიკური რისკი ზღუდავს გაციფრულების დადებით ეფექტს და სავაჭრო მდგრადობას ტოვებს არასტაბილურ მდგომარეობაში. აშშ-სთან ვაჭრობა კი აჩვენებს, რომ ინსტიტუციური სტაბილურობა და დაბალი პოლიტიკური რისკი აძლიერებს ციფრული მმართველობის შედეგიანობას და უზრუნველყოფს შედარებით მდგრად სავაჭრო დინამიკას.

ამგვარად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოსთვის სავაჭრო მდგრადობის პოლიტიკა უნდა იყოს დიფერენცირებული პარტნიორების მიხედვით. გაციფრულების გაღრმავება აუცილებელია, თუმცა, მისი ეფექტი მაქსიმალურად რეალიზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შერწყმულია პარტნიორთა დივერსიფიკაციასთან, ინსტიტუციურ კონვერგენციასა და გეოპოლიტიკური რისკის გააზრებულ მართვასთან. აღნიშნული დასკვნები მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერული ანალიზისთვის, ასევე, პრაქტიკული სავაჭრო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის.

## რეკომენდაციები

1. ციფრული სავაჭრო ინფრასტრუქტურის გაღრმავებული განვითარება.

სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა აქციოს ელექტრონული საბაჟო სისტემების, ციფრული ლოგისტიკური პლატფორმებისა და რეალურ დროში მონაცემთა გაცვლის არქიტექტურის განვითარება, რადგან მოდელების შედეგები ადასტურებს, რომ ციფრული ფასილიტაცია ამცირებს გეოპოლიტიკური შოკებით გამოწვეულ სავაჭრო დანაკარგებს და ზრდის ტრანზიტის სტაბილურობას.

2. ციფრული მმართველობის ინტეგრაცია სავაჭრო პოლიტიკაში. აუცილებელია საგარეო ვაჭრობის მართვის პროცესებში ხელოვნური ინტელექტის, რისკზე დაფუძნებული კონტროლისა და პროგნოზირებადი ანალიტიკის დანერგვა, რაც გაზრდის საბაჟო ადმინისტრირების ეფექტიანობას და შეამცირებს ადმინისტრაციულ შეფერხებებს კრიზისულ პირობებში.

3. ინსტიტუციური კონვერგენციის გაძლიერება ევროკავშირთან.

DCFTA-ის პოტენციალის რეალიზებისთვის საჭიროა არამხოლოდ ტარიფული ლიბერალიზაცია, არამედ, რეგულაციური ჰარმონიზაცია, ტექნიკური სტანდარტების შესაბამისობა და სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესება, რათა შემცირდეს ინსტიტუციური დისტანციით გამოწვეული სავაჭრო ხარჯები.

4. გეოპოლიტიკური რისკის ინტეგრირებული მართვა.

სავაჭრო და სატრანზიტო პოლიტიკაში უნდა დაინერგოს სცენარებზე დაფუძნებული მოდელირება (როგორც SAQ სისტემაში), რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა კონფლიქტური და სანქციური სცენარის წინასწარ შეფასებას და ადაპტაციური გადაწყვეტილებების მიღებას.

5. საქართველოს პოზიციონირება, როგორც ციფრულ-რანზიტული ჰაბი.

ქვეყანამ უნდა განავითაროს საკუთარი როლი „შუა დერეფანში“ არამხოლოდ ფიზიკური ინფრასტრუქტურის, არამედ ციფრული პლატფორმების, მონაცემთა ჰაბებისა და ინტელექტუალური ლოგისტიკის მეშვეობით, რაც გაზრდის დამატებულ ღირებულებას და შეამცირებს გარე შოკებისადმი მოწყვლადობას.

6. კერძო სექტორის ციფრული ჩართულობის სტიმულირება.

სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ექსპორტიორებისა და ლოგისტიკური კომპანიების ჩართვა ციფრულ ეკოსისტემებსა და მონაცემებზე დაფუძნებულ სავაჭრო პლატფორმებში, რათა გაციფრულების ეფექტი აისახოს არამხოლოდ ადმინისტრირებაში, არამედ, ბიზნესის რეალურ კონკურენტუნარიანობაში.

## ლიტერატურა:

- Anderson J. E. (1979). A Theoretical Foundation for the Gravity Equation. *American Economic Review*, 69(1), 106–116.
- Anderson J. E., & Van Wincoop E. (2003). Gravity with Gravitas: A Solution to the Border Puzzle. *American Economic Review*, 93(1), 170–192.

- პაპავა ვლ. (2010). ნეკროეკონომიკის ზომბირება. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
- პაპავა ვლ. (2018). ეკონომიკური ზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. || ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, No. 2, გვ.
- მექვაბიშვილი ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: ინტელექტი
- Tinbergen J. (1962). Shaping the World Economy. New York: Twentieth Century Fund.
- Santos Silva J. M. C., & Tenreyro S. (2006). The log of gravity. Review of Economics and Statistics, 88(4), 641–658.
- Heckscher E., & Ohlin B. (1991). Heckscher–Ohlin Trade Theory. Cambridge: MIT Press.
- Ricardo D. (1817). On the Principles of Political Economy and Taxation. London: John Murray.

### References:

- Anderson J. E. (1979). A Theoretical Foundation for the Gravity Equation. American Economic Review, 69(1), 106–116.
- Anderson J. E., & Van Wincoop E. (2003). Gravity with Gravitas: A Solution to the Border Puzzle. American Economic Review, 93(1), 170–192.
- Papava V. (2010). nekroekonomikis zombireba. [Zombieing of the Necroeconomy. Paata Gugushvili Institute of Economics.] in Georgian.
- Papava V. (2018). ekonomikuri zrda aghmosavlet partniorobis kveqnebshi. [Economic Growth in Eastern Partnership Countries. || Economics and Business, Vol. XI, No. 2, pp. 17–23.] (in Georgian).
- Mekvabishvili E. (2018). globalizatsiis epokis pinansuri krizisebi da sakartvelos ekonomika. [The Financial Crisis of the Globalization Era and the Economy of Georgia. Tbilisi: Intelekti.] in Georgian
- Tinbergen J. (1962). Shaping the World Economy. New York: Twentieth Century Fund.
- Santos Silva J. M. C., & Tenreyro S. (2006). The log of gravity. Review of Economics and Statistics, 88(4), 641–658.
- Heckscher E., & Ohlin B. (1991). Heckscher–Ohlin Trade Theory. Cambridge: MIT Press.
- Ricardo D. (1817). On the Principles of Political Economy and Taxation. London: John Murray.

## **Digitalization and Foreign Trade Resilience under Geopolitical Shocks: The Case of Georgia\***

### **Tea Munjishvili**

*Associate Professor*  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
tea.munjishvili@tsu.ge

### **Leila kadagishvili**

*Assistant Professor*  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
leila.kadagishvili@tsu.ge

### **Shota Shaburishvili**

*Associate Professor*  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
shota.shaburishvili@tsu.ge

### **Irakli gazdeliani**

*Doctoral student*  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
irakli.gazdeliani331@ eab.tsu.edu.ge

### **Davit Sikharulidze**

*Associate Professor*  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
davit.sikharulidze@tsu.ge

### **Zviadi Sigua**

*Doctoral student*  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Zviad.sigua@tsu.ge

This study examines how digitalization and geopolitical shocks interact to shape Georgia's foreign trade dynamics and transit resilience within today's fragmented global environment. The accelerating digitalization of international trade has fundamentally transformed the mechanisms through which trade flows are generated, transmitted, and stabilized – particularly under conditions of geopolitical conflict, sanctions, and supply-chain disruptions. The Russia–Ukraine war has sharply heightened transportation risks, disrupted Black Sea logistics, and accelerated the re-configuration of Eurasian trade corridors, positioning countries such as Georgia in a strategically sensitive yet potentially advantageous role. In this context, geographic location alone is no longer sufficient to secure sustainable economic benefits; instead, trade resilience increasingly depends on institutional efficiency, digital infrastructure, and the capacity to absorb external shocks.

The theoretical foundation of this research draws on both classical and modern gravity models of international trade, as developed by Anderson and van Wincoop and further extended in contemporary empirical literature. Traditional trade theories, including Ricardo's principle of comparative advantage and the Heckscher–Ohlin model, explain specialization through factor endowments and productivity differences but remain largely static, unable to capture the dynamic effects of geopolitical

---

\* The article was prepared based on the results of a research project funded by the Faculty Grant.

risk and digital transformation. By contrast, the gravity framework offers a flexible and empirically robust structure for evaluating bilateral trade flows while accounting for both physical and institutional trade costs. In this study, the standard gravity equation is augmented with indicators of digitalization, proxies for geopolitical risk, and measures of institutional distance to better capture the evolving determinants of Georgia's trade and transit performance.

Empirically, the study employs a multi-method econometric strategy. First, the Poisson Pseudo-Maximum Likelihood (PPML) estimator is applied to address heteroskedasticity and the prevalence of zero trade flows, which are particularly common under crisis conditions. PPML enables consistent estimation of gravity equations even when trade flows collapse due to conflict, sanctions, or logistical breakdowns. Second, the Generalized Method of Moments (GMM) is used to correct for potential endogeneity between trade flows and factors such as digitalization or institutional quality. Lagged values of economic and institutional indicators serve as instruments, ensuring that estimated coefficients capture causal relationships rather than reverse causality. Third, the econometric analysis is complemented by author-designed simulation-based gravity models (SAQ1–SAQ4), which extend classical Tinbergen-type trade equations by incorporating variables related to digitalization, data flows, trade preferences, and geopolitical constraints.

The SAQ modelling framework represents a key methodological innovation of the study. SAQ2 models bilateral trade volumes as a function of GDP, population, distance, borders, trade agreements, digitalization, and data flows, while allowing coefficients to be optimized through nonlinear simulation. SAQ4 extends this approach by incorporating trade concentration and trade intensity indices, including the QGTI index adapted from Georgian trade statistics. This enables the analysis to move beyond aggregate trade volumes and assess the structural quality and diversification of Georgia's trade relations under varying geopolitical scenarios.

The empirical findings are consistent across PPML, GMM, and simulation-based models. Digital trade facilitation – measured through electronic customs systems, digital logistics platforms, and data-flow intensity – significantly mitigates the adverse effects of geopolitical shocks on bilateral trade flows. Countries and corridors with higher levels of digital integration experience smaller declines in trade volumes during periods of conflict or sanctions, underscoring the stabilizing role of digital infrastructure. At the same time, the results highlight that institutional distance and regulatory fragmentation substantially constrain Georgia's ability to convert its geographic transit advantages into sustainable economic gains. Even when digital tools reduce administrative delays, weaknesses in governance quality, regulatory harmonization, and contract enforcement continue to elevate transaction costs.

The DCFTA with the European Union plays a dual role in this context. While it provides a structural framework for regulatory convergence and market access, its short-term trade effects are constrained by adjustment costs and institutional asymmetries. The models suggest that without parallel investment in digital governance and trade facilitation, DCFTA-driven liberalization alone is insufficient to generate sustained trade expansion under conditions of geopolitical stress.

The discussion underscores that digitalization functions as a critical mediating mechanism between geopolitics and trade. Digital platforms reduce informational asymmetries, enhance customs transparency, and enable firms to reconfigure supply chains more rapidly in response to shocks. Yet digitalization does not automatically guarantee resilience; it must be embedded within a broader institutional ecosystem that supports interoperability, regulatory trust, and cross-border data exchange. Georgia's experience demonstrates that partial digitalization without institutional convergence yields only limited resilience gains.

From a policy perspective, the findings imply that strengthening Georgia's role as a Eurasian transit hub requires an integrated strategy that combines digital trade facilitation, institutional reform, and geopolitical risk management. Investments in electronic customs, digital logistics, and data-driven trade administration should be aligned with deeper regulatory convergence with the European Union and regional partners. Moreover, risk-management mechanisms must be incorporated into trade governance frameworks to ensure continuity under conditions of military conflict or sanctions.

In conclusion, the study shows that digitalization significantly enhances Georgia's trade resilience in the face of geopolitical shocks, but its full economic potential can only be realized when supported by institutional convergence and coordinated governance. The combination of gravity-based econometric analysis and simulation-based modelling provides robust evidence that trade sustainability in the modern era depends not only on geography but increasingly on digital and institutional capacity.

**Keywords:** Digital trade; geopolitical risks; gravity model; PPML; GMM

**JEL Codes:** F14, F15, F17, O33, C51

სექტორული ეკონომიკა  
SECTORAL ECONOMICS

საქართველოში სტუდენტთა მიერ ალკოჰოლური  
სასმელების მოხმარების ეკონომიკურ-სტატისტიკური  
კვლევა\*

**სიმონ გელაშვილი**

პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
simon.gelashvili@tsu.ge

**მაჩინე მინდორაშვილი**

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
maia.mindorashvili@tsu.ge

**ნინო აბესაძე**

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
nino.abesadze@tsu.ge

**ღია ძებისაური**

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
lia.dzebisauri@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.09.

ნაშრომში განხილულია თანამედროვეობის ერთ-ერთი გლობალური პრობლემის – ალკოჰოლური სასმელების მოხმარების მდგომარეობა ახადგაზიხებში. ამ მხრივ ახც საქართველო გამონაკლისი. ამიტომ, ნაშრომის თემის აქტუალურობა ეჭვს აჩ იწვევს. მისი მიზანია სტუდენტთა მიერ ალკოჰოლური სასმელების მოხმარებისა და მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მისი გავლენის კომპლექსური ეკონომიკურ-სტატისტიკური შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავდა დეტალური კვლევითი კითხვათა, მოხდა მონაცემების შეგროვება და საჭირო საინფორმაციო ბაზის შექმნა, შეგროვებული მონაცემების ცადკუდ ბოკებად ორგანიზება სხვადასხვა სტატისტიკური მახასიათებლის მიხედვით, სტუდენტების მიერ ალკოჰოლის მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი გავლენის შეფასება, შესაბამისი ხაოდელობივი და თვი-სებხივი ინდიკატორების გამოთვლა.

\* სტატია მომზადდა საფაკულტეტო საგრანტო პროექტის – „საქართველოში სტუდენტთა მიერ თამბაქოს ნაწარმისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა“ – შედეგების მიხედვით.

კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებული იყო ხოგოხც ჩაოფენობივი, ასევე თვისებრივი მიღომები, თუმცა, უპიხატესად – სტატისტიკური მეთოდები: შეჩრევითი დაკვირვება, შეფახდებითი და საშუალო სიდიდეები, საინდექსო მეთოდი, ასევე, ვაჩიაციული და კოხედაციული ანალიზის სპეციფიკური ტექნიკა.

კვლევის შედეგად გამოვიინდა, რომ სტუდენტებში ადვოკატურის მოხმარება ძლიერ განსხვავებულია დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ნიშნების მიხედვით, კეხოდ: გამოკითხულთა შოხის 50 %-ზე მეტი გოგონები აჩიან, თუმცა, 18-წლიანთა ჯგუფში ვაჟები სჭახობენ; ამასთან, სწოხედ 18-წლიანები შეადგენენ გამოკითხულთა ყვედაზე მეტ ნაწილს, ანუ 32%-ს. ყვედა ასაკობივი ჯგუფში ადვოკატურის ხეგუდახუდად და ნაკლები ინტენსივობით მიღების მარვენებლები დიფერენციხებულია. ყვედაზე მეტ ადვოკატურს ხეგუდახუდად მოიხმარენ 18, 21 და 25 წლის ხესპონდენტები. უნდა აღვნიშნოთ, რომ დაბალი შემოსავლების მქონე შინამეუხნეობებიდან ახციხთ სტუდენტ გოგონას ბოლო 1 წლის განმავლობაში ადვოკატური ახ გამოყენებია, ხოლო მიუხედავად მციხე შემოსავლებისა, ვაჟი ხესპონდენტები მაინც ახეხებენ ადვოკატურის გამოყენებას. ხოგოხც კვლევაში არვენა, ადვოკატურის ხეგუდახუდად მოხმარებელი სტუდენტების მშობლებს უპიხატესად უმაღლესი განათლება აქვთ. ადვოკატურის ხეგუდახუდად მოხმარებულთა შოხის ჭახობს დაბალი GPI-ის მქონე სტუდენტთა წიდი, თუმცა, დიფერენციხებულია სქესობრივი ნიშნის მიხედვით: ყვედაზე მაღალი – GPI 4-ის მქონე ხესპონდენტ ვაჟებში ადვოკატურის ხეგუდახუდად მოხმარების მარვენებლები თითქმის ნულია, მაშინ, ხოდესაც, იგივე GPI-ის მქონე სტუდენტ გოგონებში ადვოკატურის ხეგუდახუდად მოხმარებულთა წიდი 15%-ს შეადგენს. ხოგოხც კვლევაში არვენა, გამოკითხული ხესპონდენტების ნახევარმა ვეხ დაასახელა ადვოკატურის მოხმარების მიზეზი.

**საკვანძო სიციყვები:** სტუდენტი, ადვოკატურის სასმელების მოხმარება, შეფახდებითი მარვენებლები, საშუალო მარვენებლები, ვაჩიაცია და კოხედაცია.

## შესავალი

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ადვოკატურის მოხმარება ერთ-ერთ მწვავე და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, წელიწადში 3 მლნ ადამიანი იღუპება ადვოკატურის სასმელების ჭარბი მოხმარებისგან. ქვეყნის ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, საკმაოდ ინტენსიური მოსახლეობის მიერ ადვოკატურის სასმელების მიღება. ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემური ხდება ადვოკატურზე დამოკიდებულება, რაც არაერთი სოციალური, ფსიქოლოგიური თუ ბიოლოგიური პრობლემის გამომწვევი მიზეზი ხდება. ფაქტია, რომ ადვოკატურის რეგულარული მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანოა და ხშირად მისი გაუარესების მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორსაც წარმოადგენს. ადვოკატურზე დამოკიდებულება გავლენას ახდენს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზეც, მათი ცხოვრების ჯანსაღ წესზე, მოსახლეობის ცხოვრების

ხარისხზე, ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე და სხვ. ცნობილია, რომ ალკოჰოლის რეგულარულ მოხმარებასა და მასზე დამოკიდებულებას დიდად განსაზღვრავს სოციუმი, აგრეთვე მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითი, ბიოლოგიური ფაქტორები.

ხშირად, ალკოჰოლის მოხმარება ასოცირდება ძალადობასთან, განქორწინებასთან, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ პრობლემებთან, სუიციდთან და ა. შ. ალკოჰოლზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად ამცირებს ოჯახის ჯანსაღი ცხოვრების ხარისხს, ცვლის წყვილების ქცევის ხასიათს, აყალიბებს პიროვნების სოციალური იზოლაციის წინაპირობას, გავლენას ახდენს მისი ოჯახის წევრების ქცევაზე და ა. შ. არადა, ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე არსებობდა ალკოჰოლის უსაფრთხო რაოდენობის მიღების წესი და განსხვავება ე. წ. ალკოჰოლის „მძიმე“ და „მსუბუქ“ მოხმარებას შორის. ალკოჰოლის „მძიმე“ მოხმარების კრიტერიუმად მიჩნეულია დღეში მინიმუმ 3 ჭიქა ალკოჰოლის მიღება (Klatsky, A. L. (2004). მაგრამ ის განსხვავებულია ქალებისა და მამაკაცებისთვის: ალკოჰოლის მძიმე მოხმარება ქალებისთვის განისაზღვრება 4 ან მეტი ჭიქით დღეში, მამაკაცებისთვის კი – 5 ან მეტი ჭიქით, რაც ქმნის ქრონიკული დაავადებების განვითარების რისკს, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად: ღვიძლის დაავადებები, გულის დაავადებები, ძილის დარღვევა, დეპრესია, ინსულტი და სიმსივნის ზოგიერთი სახეობა. ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარება ასევე უკავშირდება იმუნური სისტემის დაქვეითებას და მისგან გამონვეულ ქრონიკულ დაავადებებს, ასევე პოტენციის დაქვეითებას (Robson, S., & Salcedo, N. (2014).

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ალკოჰოლის მოხმარების სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა საქართველოში და შესაბამისი ანალიზი, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ასაკის ადამიანებში, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. ამის აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების მიხედვით, საქართველო ხშირად ხვდება „მსმელი ქვეყნების“ ტოპ ათეულში.


## ძირითადი შინაარსი

ცნობილია, რომ ევროპის რეგიონი ალკოჰოლის მოხმარებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. რეგიონში ყველაზე მაღალია როგორც მოხმარებული ალკოჰოლის მოცულობა, ასევე ალკოჰოლური სასმელების მოხმარებელთა წილი მთელ მოსახლეობაში. ქვემოთ დიაგრამაზე წარმოდგენილია ალკოჰოლის მაღალი მოხმარებით გამორჩეული ტოპ 10 ევროპული ქვეყანა (საქართველოს ჩათვლით):

**ტოპ 10 ევროპული ქვეყანა ალკოჰოლური სასმელების მოხმარებით მოსახლეობის**

### ერთ სულზე (ლიტრი)

დიაგრამა 1.



წყარო: დიაგრამა აგებულია – Global status report on alcohol and health and treatment of substance use disorders-ის მასალებზე დაყრდნობით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ 2024 წელს გამოქვეყნებული 2019 წლის ბოლო მონაცემებით, საქართველოში 15 წელს ზემოთ მყოფი ერთი მოქალაქე წელიწადში საშუალოდ 14.3 ლიტრ ალკოჰოლურ სასმელს მოიხმარს. საქართველოს მოქალაქეზე 3.2 ლიტრით მეტს სვამს რუმინეთის მოქალაქე. აქ ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი 17.0 ლიტრია. ალკოჰოლის მოხმარებით მცირედით ჩამოვგრჩება ლატვია, რომლის ერთი მოქალაქე (15 წელს ზემოთ) დაახლოებით 13.3 ლიტრ ალკოჰოლს მოიხმარს. 15 წელს გადაცილებული მოსახლეობის ერთ სულზე ალკოჰოლის მოხმარების მიხედვით საქართველო მსოფლიოში 65-ე, ხოლო ევროპაში მე-2 პოზიციას იკავებს.

ჯანმო-ს კვლევის თანახმად, საქართველოში წელიწადში საშუალოდ ერთ მოქალაქეზე 7,7 ლიტრი ალკოჰოლური სასმელი მოდის და აქედან თითქმის 50% ღვინოა, 33% – სპირტიანი სასმელი, ხოლო 17% ლუდზე მოდის (<https://www.ambebi.ge>).

საინტერესოა, რომ ევროპის რეგიონში, სადაც ჯანმო-ს ანგარიშის მიხედვით 53 ქვეყანა შედის, 2000-დან 2019 წლამდე ალკოჰოლის მოხმარება 2.5 ლიტრით, ანუ 21%-ით შემცირდა, თუმცა, რეგიონში ალკოჰოლის მიღების მაჩვენებელი კვლავ მაღალია. ეს განსაკუთრებით შეეხება დასავლეთ ევროპას. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ევროკავშირში 15 წელზე უფრო ასაკის მოსახლეობის 8.4% ალკოჰოლს ყოველდღიურად, 28.8% - ყოველკვირეულად და 22.8% - ყოველთვიურად მოიხმარდა, 26.2%-ს კი ბოლო 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლი არ მიუღია. 2020 წლამდე ევროპაში მოსახლეობის ერთ სულზე ალკოჰოლის მიღებით ლიდერობდა ჩეხეთი (14.3 ლიტრი), მას მოსდევდა ლატვია

(13.2 ლიტრი), მოლდოვა (12.9 ლიტრი), გერმანია (12.8 ლიტრი), ლიეტუვა (12.8 ლიტრი), ირლანდია (12.7 ლიტრი), ესპანეთი (12.7 ლიტრი), ბულგარეთი (12.5 ლიტრი), ლუქსემბურგი (12.4 ლიტრი) და რუმინეთი (12.3 ლიტრი).

ქვეყნებს შორის ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი დიფერენცირებულია, მაგრამ ცალსახაა, რომ კაცები ქალებზე მეტს სვამენ. ყოველდღიურად მამაკაცების 13% იღებს ალკოჰოლს, ქალებში კი ეს მაჩვენებელი 4.1%-ია. გენდერული ნიშნით სხვაობა ყველაზე დიდია პორტუგალიაში, სადაც კაცების 33.4% და ქალების 9.7% სვამს ყოველდღე ალკოჰოლს. ქვეყნების ათეულში, სადაც ყველაზე ნაკლებ ალკოჰოლს მოიხმარენ, შედის: ტაჯიკეთი (0.9 ლიტრი), აზერბაიჯანი (1 ლიტრი), თურქეთი (1.8 ლიტრი), უზბეკეთი (2.6 ლიტრი), თურქმენეთი (3.1 ლიტრი), ისრაელი (4.4 ლიტრი), სომხეთი (4.7 ლიტრი), ყაზახეთი (5 ლიტრი), ალბანეთი (6.8 ლიტრი) და ჩრდილოეთ მაკედონია (6.4 ლიტრი).

როგორც ჩანს, ალკოჰოლის მოხმარებაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი რელიგიაცაა, რადგან ამ 10 ქვეყნიდან 8 მუსულმანური რელიგიის მიმდევარია. მაშასადამე, ასეთ ქვეყნებში ალკოჰოლური სასმელების მოხმარება მნიშვნელოვნად დაბალია ქრისტიანული რელიგიის მიმდევარ ქვეყნებთან შედარებით.

მსოფლიოში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, საინტერესოა როგორია ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები საქართველოში.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში შევაგროვეთ ახალგაზრდების მიერ ალკოჰოლური სასმელების მოხმარების შესახებ მონაცემები – ორივე სქესის რესპონდენტების ალკოჰოლის მიღების მაჩვენებლების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში ალკოჰოლის რეგულარულად და ნაკლები ინტენსივობით მიღება დიფერენცირებულია და განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდება. ყველაზე მეტ ალკოჰოლს რეგულარულად მოიხმარენ 25 წლის, 18 წლის და 21 წლის ასაკის რესპონდენტი ახალგაზრდები (მათი წილი შესაბამისად, 100, 35 და 29%-ს შეადგენს). ალკოჰოლის მოხმარების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა 22 და 20 წლის ასაკის რესპონდენტებისთვის (შესაბამისად 11 და 14%), მაგრამ ალკოჰოლი ერთხელ მაინც გაუსინჯავს ყველა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტს, ცხადია, განსხვავებული ინტენსივობით. ასაკის მატებასთან ერთად გამოვლინდა ერთხელ მაინც გასინჯვის მაღალი მაჩვენებლები. ალკოჰოლი საერთოდ არ გაუსინჯავს 20 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების 41 და 22 წლის რესპონდენტების 33%-ს.


მამაკაცების მსგავსად, ქალების შემთხვევაშიც ეროვნული ნიშნის მიხედვით, უპირატესად იკვეთება ქართველი და სომეხი ახალგაზრდა ქალების ალკოჰოლის გამოყენების მაჩვენებლები. თუ ალკოჰოლის ინტენსიურად მომხმარებელი რესპონდენტი ქალების 32% აღმოჩნდა ქართველი, 7% იყო სომე-

ბი, სხვა ეროვნებებში, მამაკაცების მსგავსად, ალკოჰოლის ინტენსიური მომხმარებლები (ქალები) არ გამოვლენილა. ალკოჰოლის ინტენსიურად მომხმარებელთა 24% აღმოჩნდა მორწმუნე და რესპონდენტი ქალების 30% – არამორწმუნე. თუ მორწმუნეთა 79%-ს ერთხელ მაინც ჰქონდა ალკოჰოლური სასმელი გასინჯული, ეს მაჩვენებელი არამორწმუნეთა შორის 61%-ია.

ყველა რესპონდენტიდან, ალკოჰოლის ინტენსიურად მომხმარებლების 25% აღმოჩნდა დაუქორწინებელი, 11% – დაქორწინებული, დანიშნული იყო 50% და განქორწინებული – 50%, ანუ ნახევარი.

### რესპონდენტების კროსტაბულაცია ალკოჰოლის მოხმარებისა და ქორწინების სტატუსის მიხედვით (%)

დიაგრამა 2.




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ბოლო 1 თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ალკოჰოლი გამოიყენა განქორწინებული ახალგაზრდების ნახევარმა, დაუქორწინებლების 7-მა და დაქორწინებლების 11%-მა. დაუქორწინებელი ქალების 74%-ს ალკოჰოლი საერთოდ არ გაუსინჯავს, თუმცა, განქორწინებული რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას ერთხელ მაინც აქვს გასინჯული, დაქორწინებული ქალების 11%-ს საერთოდ არ გაუსინჯავს, ხოლო 89%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული.

ალკოჰოლის ინტენსიურად მომხმარებელი ორივე სქესის რესპონდენტების 25% იყო დასაქმებული, ხოლო 24% – დაუსაქმებელი. ბოლო 1 თვის განმავლობაში ალკოჰოლი მოიხმარა დასაქმებულების 8 და არადასაქმებულების 7%-მა. როგორც აღმოჩნდა, ალკოჰოლის ინტენსიურად მოხმარებაში დასაქმების ფაქტორის გავლენა უმნიშვნელოა. საპირისპირო მდგომარეობაა არამსმელ ახალგაზრდებში: ალკოჰოლს საერთოდ არ სვამს დასაქმებული რესპონდენტების 10 და არადასაქმებულების 32%. ალკოჰოლი ერთხელ მაინც გასინჯა დასაქმებულების 90-მა, ხოლო არადასაქმებულების 68%-მა.

### რესპონდენტების განანილება ალკოჰოლის მოხმარებისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით (%)

დიაგრამა 3.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ალკოჰოლისადმი მიდრეკილება საქართველოს ახალგაზრდებში, შეიძლება ითქვას, ზომიერებითა და არარეგულარულობით გამოირჩევა. რესპონდენტების მხოლოდ 15% აღმოჩნდა ინტენსიურად სპორტით დაკავებული, მაგრამ იმავდროულად, ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარებელიც. იმავე კატეგორიის რესპონდენტების 81%-ს ერთხელ მაინც ჰქონდა გასინჯული ალკოჰოლი. 19%-ს საერთოდ არ გაუსინჯავს ალკოჰოლი. მართლია, 54% არ სვამს, მაგრამ ალკოჰოლი გასინჯული აქვს. სპორტით დაკავებული ახალგაზრდების მხოლოდ 4% მოიხმარდა ალკოჰოლს ბოლო 1 წლის განმავლობაში. ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების მაჩვენებლები უფრო მაღალია ზომიერად სპორტით დაკავებული ახალგაზრდებისა და იმ ახალგაზრდების შემთხვევებში, ვინც სპორტით არ არის დაკავებული. თუ სპორტით ზომიერად დაკავებული ახალგაზრდების 24% მოიხმარს რეგულარულად ალკოჰოლს და 74%-ს ერთხელ მაინც გაუსინჯავს, იმ ახალგაზრდებისათვის, ვინც სპორტს არ მისდევს, ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 29 და 76%-ია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბოლო 1 თვის განმავლობაში ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები თითქმის თანაბარია ორივე კატეგორიის ახალგაზრდებისთვის და იგი 7-8%-ის ფარგლებში მერყეობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტი ქალები, ვინც სპორტით არ არის დაკავებული, ალკოჰოლს უფრო მეტად ეტანებიან. ასე, მაგალითად, ამ კატეგორიის ქალების 29% ალკოჰოლს რეგულარულად მოიხმარს, ხოლო სპორტით ინტენსიურად და ზომიერად დაკავებულებს შორის - მხოლოდ 15 და 24%. ბოლო 1 თვის განმავლობაში ამ ორივე კატეგორიის ქალების მიერ ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი თითქმის თანაბარია და 8%-ს შეადგენს. სპორტით ინტენსიურად და ზომიერად დაკავების შემთხვევაში, რესპონდენტების 19 და 26% არ არის ალკოჰოლური სასმელების მოხმარებელი და არც გაუსინჯავს ის თავისი ცხოვრების მანძილზე. რესპონდენტთა შორის, ვინც

სპორტით არ არის დაკავებული, 35% არ სვამს, მაგრამ გასინჯული აქვს ალკოჰოლი, 24%-ს საერთოდ არ გაუსინჯავს და 76%-ს ერთხელ მაინც აქვს ის გასინჯული.

ზოგადად, ალკოჰოლის ინტენსიური მოხმარებელი აღმოჩნდა სტუდენტი გოგონების 11%. მათ შორის 15% აღმოჩნდა მორწმუნე, ხოლო 31% იყო არარელიგიური.

სქესობრივი ნიშნის მიხედვით, ალკოჰოლის გამოყენების ანალიზმა აჩვენა, რომ გოგონებთან შედარებით, სტუდენტ ვაჟებში საკმაოდ მაღალია, როგორც რეგულარულად, ასევე, არარეგულარულად ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები, მნიშვნელობა არა აქვს იგი სპორტით არის დაკავებული თუ არა. ასე, მაგალითად, სპორტით დაკავებული ვაჟი რესპონდენტების 21% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო 84%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული. სპორტით ზომიერად დაკავებული რესპონდენტი ახალგაზრდების შემთხვევაში კი 32% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს, 91%-ს ერთხელ მაინც გაუსინჯავს და მხოლოდ 9% არ სვამს და არც გაუსინჯავს. ბოლო 30 დღის განმავლობაში ზომიერად, წინა კატეგორიასთან შედარებით, სპორტით დაკავებული ახალგაზრდა რესპონდენტების ორჯერ მეტმა (9%) მოიხმარა რეგულარულად ალკოჰოლი. რაც შეეხება სტუდენტ ვაჟებს, ვინც სპორტით არ არის დაკავებული, რესპონდენტის 55%-მა მიუთითა, რომ რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს და ბოლო 30 დღის განმავლობაში - 18%-მა მოიხმარა ალკოჰოლი, თუმცა, 9% არც სვამს და არც გაუსინჯავს.

ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები ეროვნული ნიშნის მიხედვით ადათ-წესებსა და ტრადიციებთან შესაბამისობაშია. კერძოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ალკოჰოლის რეგულარული მოხმარების მაჩვენებლები გამოვლინდა ქართველი და სომეხი ეროვნების ახალგაზრდა რესპონდენტებში. ქართველი ვაჟი რესპონდენტების 96%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული, 44% არ სვამს, მაგრამ გასინჯული აქვს, ხოლო 38% რეგულარულად მოიხმარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 30 დღისა და 12 თვის განმავლობაში ქართველი სტუდენტი რესპონდენტების, შესაბამისად, 8 და 6 %-მა მოიხმარა ალკოჰოლი. განსხვავებით ამისა, სომეხი ეროვნების ახალგაზრდების მიერ რეგულარულად მოხმარების მაჩვენებელი 18%-ია, მაგრამ ბოლო 30 დღის განმავლობაში კი - ქართველებზე მეტად სომეხი რესპონდენტების 18%-მა მოიხმარა ალკოჰოლი, თუმცა, მათ 36%-ს საერთოდ არ გაუსინჯავს. სხვა ეროვნებების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: აზერბაიჯანელი, ასირიელი, იეზიდის და ა. შ. რესპონდენტებისთვის ფაქტობრივად ნულოვანი მაჩვენებლები დაფიქსირდა. ამასთან, ასირიელი რესპონდენტების 100%-მა დააფიქსირა, რომ არ სვამს ალკოჰოლს, თუმცა, გასინჯული აქვს და აზერბაიჯანელების 100%-მა დააფიქსირა, რომ არც სვამს და არც გასინჯული აქვს.

ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები გოგონებს შორის ასევე განსხვავებულია ეროვნებების მიხედვით. კერძოდ, არ სვამს და არც გაუსინჯავს ქართველი რესპონდენტი სტუდენტების 15%-ს. ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალია დანარჩენი ეროვნების სტუდენტი გოგონებისთვის (აზერბაიჯანელები 90%, ასირიელები 80%, სომეხი 74%, იეზიდი 57% და ა. შ). საპირისპირო სურათი გამოიკვეთა ალკოჰოლის რეგულარული მოხმარების მაჩვენებლებში. ამ კატეგორიაში ყოველი მეოთხე ქართველი გოგონა მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო, ყოველი 50-ეა სტუდენტი სომეხი გოგონა, ამ მხრივ – ფაქტობრივად ნულოვანი მაჩვენებელია აზერბაიჯანელი, ასირიელი და იეზიდი ეროვნების სტუდენტ გოგონებში. აღმოჩნდა, რომ ერთხელ მაინც გაუსინჯავს ალკოჰოლი ქართველი სტუდენტი გოგონების 85%-ს, მაშინ როდესაც, ეს მაჩვენებელი იეზიდ გოგონებში 30%, სომეხებში 26% და აზერბაიჯანელებში მხოლოდ 6%-ია.

დასაქმების სტატუსის მიხედვით ანალიზმა გამოავლინა, რომ თითქმის თანაბარია ალკოჰოლის გამოყენების მაჩვენებელი დასაქმებულ სტუდენტებში. ასე, მაგალითად: დასაქმებული სტუდენტი ვაჟების 33% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს და დაახლოებით იგივე მაჩვენებელია დაუსაქმებელი ახალგაზრდა რესპონდენტების მიხედვითაც (32%). დასაქმებული რესპონდენტი სტუდენტი ვაჟების 93%-ს ერთხელ მაინც გაუსინჯავს ალკოჰოლი, ხოლო დაუსაქმებლისთვის ეს მაჩვენებელი 85%-ია.


განსხვავებულია სპორტულად აქტიური და არააქტიური სტუდენტების დამოკიდებულების ხარისხი ალკოჰოლისადმი. თუ სპორტით ინტენსიურად დაკავებული და ზომიერად დაკავებული რესპონდენტების მიერ ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების წილი, შესაბამისად, 21 და 32%-ია, სპორტულად არააქტიურ ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 55%-ს შეადგენს. ამასთან, ბოლო 30 დღის განმავლობაში ასეთი რესპონდენტების 18%-მა მოიხმარა ალკოჰოლი, მაშინ როდესაც ინტენსიურად სპორტით დაკავებული რესპონდენტებისათვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5%-ია. როგორც სპორტით დაკავებული, ისე არასპორტული რესპონდენტების 91%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული ალკოჰოლი.

ასაკობრივი ჭრილით ჩაშლილი მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ რეგულარულად ალკოჰოლის მოხმარებლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა 25 წლის ასაკობრივი ჯგუფის ვაჟ-რესპონდენტებში. ამ ასაკის რესპონდენტთა 70%-მა დააფიქსირა, რომ რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს. შემდეგ მოდის 23 წლის ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა 67% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს და 33%-ს -არც გაუსინჯავს ალკოჰოლი. შემდეგ აღსანიშნავია 21 წლის ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებლები, სადაც 71%-მა მიუთითა, რომ ერთხელ მაინც გაუსინჯავს ალკოჰოლი, თუმცა 43% რეგულარულად მოიხმარს მას. საყურადღებოა 18 წლის ახალგაზრდების ალკოჰოლთან

დამოკიდებულება, რამდენადაც, კვლევის მიხედვით, ამ ასაკის 41% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს, 11%-მა ბოლო 12 თვის განმავლობაში მოიხმარა ის რეგულარულად და ერთხელ მაინც გასინჯული აქვს თითქმის ყველა რესპონდენტს, ანუ 95%-ს.

**რესპონდენტი ვაჟი სტუდენტების განაწილება ალკოჰოლის მოხმარებისა და სპორტით დაკავების ინტენსივობის მიხედვით (%)**

დიაგრამა 4.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.


განსხვავებულია რესპონდენტი სტუდენტი გოგონების მიერ ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. მართალია, ყველა ასაკობრივ ჯგუფში შედარებით მცირეა ალკოჰოლის მოხმარება, მაგრამ მაინც საყურადღებოა შემდეგი მდგომარეობა, კერძოდ: 18 წლის რესპონდენტი გოგონების 26%, ანუ ყოველი მე-4, რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს; ამ ასაკის გოგონების 84%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული და მხოლოდ 16%-ს არ გაუსინჯავს ალკოჰოლი საერთოდ. ალკოჰოლის მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა 24 წლის სტუდენტი გოგონების ასაკობრივი ჯგუფისთვის, სადაც ამ ასაკის აბსოლუტურ უმრავლესობას ერთხელ მაინც აქვს გასინჯული ალკოჰოლი, ხოლო რესპონდენტების 33% ინტენსიურად მოიხმარს მას, მაშინ, როდესაც, 25 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების მხოლოდ 13%-ია ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელი. ჩვენი აზრით, უფროსი ასაკის სტუდენტებში ალკოჰოლის მოხმარების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არა ეკონომიკური, არამედ ფსიქოლოგიური, კერძოდ ის, რომ ასაკის ზრდასთან ერთად მოხდა ცნობიერების ამაღლება და ამან შეამცირა ალკოჰოლის მოხმარება.

ეროვნების მიხედვით მაჩვენებლების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა კატეგორიაში დაფიქსირდა მხოლოდ ქართველი ეროვნების გოგონების მიერ ალკოჰოლის მოხმარება. მაგალითად, ქართველი რესპონდენტების 26% აფიქსირებს ალკოჰოლის რეგულარულ მოხმარებას, ბოლო 30 დღის განმავლობაში 7% და ბოლო 1 წლის განმავლობაში - 4%. ქართველი რესპონდენტების 85%-ს ერთხელ მაინც აქვს ალკოჰოლი გასინჯული, ხოლო გოგონების 15%-ს არასოდეს არ გაუსინჯავს. სხვა ეროვნების შემთხვევაში ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების გამოვლენის მაჩვენებლები არ ფიქსირდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალკოჰოლის ერთხელ გასინჯვის შემთხვევაში გოგონა-რესპონდენტების 68% იყო მორწმუნე, ხოლო 56% - არამორწმუნე. ამასთან, ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელთა 15% იყო მორწმუნე, ხოლო 31% - არა. მათ შორის, ვინც ბოლო 30 დღის განმავლობაში გამოიყენა ალკოჰოლი, თანაბრად, 6-6% დაფიქსირდა მორწმუნე და არამორწმუნე რესპონდენტებს შორის.

მეტად საინტერესო შედეგები გამოვლინდა ალკოჰოლის მოხმარების ანალიზისას ქორწინების სტატუსის მიხედვით, გენდერული ნიშნით. დაქორწინებული და დანიშნული სტუდენტი გოგონების მაჩვენებლები რეგულარულ მოხმარებაში, ბოლო 30 დღის და ბოლო 1 წლის განმავლობაში, ნულოვან დონეზეა, თუმცა, დაქორწინებულების 81%-მა მიუთითა, რომ ალკოჰოლი ერთხელ მაინც აქვს გასინჯული, მაგრამ განქორწინებული გოგონების 50% ალკოჰოლს მოიხმარს ინტენსიურად. დაუქორწინებული რესპონდენტების 19% ალკოჰოლის ინტენსიური მომხმარებელია და ერთხელ მაინც გასინჯა ალკოჰოლი ამ კატეგორიის 63%-მა.

### ალკოჰოლის მოხმარებისა და დასაქმების სტატუსის კროსტაბულაცია (გოგონები)

დიაგრამა 5.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმებული სტუდენტი რესპონდენტები უფრო ნაკლებად მოიხმარენ ალკოჰოლს, ვიდრე დაუსაქმებლები. თუ დასაქმებული რესპონდენტების 14% ალკოჰოლს მოიხმარს რეგულარულად, 86%-მა ერთხელ მაინც გასინჯა ალკოჰოლი და 14%-ს საერთოდ არ გაუსინჯავს. დაუსაქმებელი რესპონდენტი გოგონების 20% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს, 59%-მა კი ერთხელ მაინც გასინჯა.


კვლევამ აჩვენა, რომ სპორტით ინტენსიურად დაკავებული სტუდენტი გოგონები, ვაჟებისგან განსხვავებით, საერთოდ არ მოიხმარენ ალკოჰოლს რეგულარულად. სპორტით ინტენსიურად და ზომიერად დაკავებული რესპონდენტი გოგონების, შესაბამისად, 29 და 50%-მა მიუთითა, რომ არც კი გაუსინჯავს ალკოჰოლი. მაგრამ სპორტით არდაკავებული რესპონდენტი გოგონებიდან 24% აღმოჩნდა ალკოჰოლის ინტენსიურად მოხმარებელი, თუმცა, ამ კატეგორიის რესპონდენტების 27%-ს საერთოდ არა აქვს გასინჯული და 73%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული.

საინტერესო შედეგები მივიღეთ ალკოჰოლის მოხმარების სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზისას ისეთი ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით, როგორცაა ოჯახის შემოსავლები და ყოველდღიური სახარჯო ფულის სიდიდე. შემოსავლის სიდიდის მიხედვით ოჯახების ანალიზისას გამოვლინდა ძლიერ განსხვავებული მდგომარეობა, კერძოდ: როგორც აღმოჩნდა, ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მაღალშემოსავლიანი (3000 ლარი და მეტი) ოჯახების შემთხვევაში. მაღალი შემოსავლების მქონე რესპონდენტების 35% ალკოჰოლის რეგულარული მოხმარებელია. 14% საერთოდ არ სვამს, ხოლო 86%-მა ერთხელ მაინც გასინჯა ალკოჰოლი. ამ მაჩვენებლებზე დაბალია საშუალო შემოსავლის (1500-3000 ლარი) მქონე რესპონდენტების ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები. ამ კატეგორიის 25% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს და მათ 82%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული. ყველაზე ცოტას – 12%-ს მოიხმარს ალკოჰოლს რეგულარულად დაბალშემოსავლიანი (1500 ლარამდე) ოჯახის წევრი რესპონდენტები, მაგრამ მათ 52%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული ალკოჰოლი, ხოლო 48%-ს საერთოდ არც გაუსინჯავს და არც სვამს ალკოჰოლს. მაშასადამე, სტუდენტთა მიერ ალკოჰოლის მოხმარებაზე ძლიერ გავლენას ახდენს მათი ოჯახების შემოსავლების სიდიდე.

იმ რესპონდენტების წილი, რომლებსაც ყოველდღიურად სახარჯი ფული მხოლოდ 5 ლარამდე აქვთ, ალკოჰოლს, ცხადია, ინტენსიურად არ მოიხმარენ და ვერც მოიხმარენ (მათი წილი 0 %-ია). ყველაზე მეტ ალკოჰოლს რეგულარულად მოიხმარენ 10-20 ლარამდე ყოველდღიური სახარჯი ფულის მქონე რესპონდენტები (38%). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამაზე მეტი ყოველდღიური სახარჯი ფულის მქონე რესპონდენტების 23% აღმოჩნდა ალკოჰოლის რეგუ-

**ალკოჰოლის მოხმარებისა და ოჯახების შემოსავლების კროსტაბულაცია**

დიაგრამა 6.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ლარულად მომხმარებელი. როგორც დაბალი (5-10), ასევე საშუალო (10- 20) და შედარებით მაღალი (20 ლარი და მეტი) შემთხვევაში, რესპონდენტების შესაბამისად 60, 74 და 81%-ს ერთხელ მაინც ჰქონდა გასინჯული ალკოჰოლი. ყოველდღიური სახარჯი ფულის გაზრდასთან ერთად მცირდებოდა იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც არც სვამენ და არც გაუსინჯავთ ალკოჰოლი. აქედან გამომდინარე, ალკოჰოლის მიმართ დამოკიდებულება ყოველდღიურ სახარჯ ფულთან მნიშვნელოვან უკუპროპორციულ კავშირში იმყოფება (ირიბი კორელაცია).

რაც შეეხება ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლებს ოჯახის შემოსავლებისა და ყოველდღიური სახარჯი ფულის სიდიდის მიხედვით გენდერული ქრილით, ის მკვეთრად დიფერენცირებულია. შემოსავლების მიხედვით, როგორც რეგულარულად, ასევე, ბოლო 30 დღის და 1 წლის განმავლობაში ალკოჰოლის მოხმარებაში, სტუდენტ გოგონებთან შედარებით, ბევრად უფრო მაღალია სტუდენტი ვაჟების მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, თუ დაბალი (1500 ლარამდე) შემოსავლების მქონე რესპონდენტი გოგონების მხოლოდ 10% მოიხმარს ალკოჰოლს რეგულარულად, მათი წილი ვაჟებში 15%-ია, 1500-3000 ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში გოგონების წილი 18, ვაჟების კი თითქმის 2-ჯერ მეტი, ანუ 34%-ია. 3000 ლარზე მეტი შემოსავლის შემთხვევაში ალკოჰოლს რეგულარულად მოიხმარს გოგონების 38 და რესპონდენტი ვაჟების 42%. ამკარად იკვეთება ოჯახის შემოსავლების ზრდასთან ერთად ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების მაჩვენებლები. მაშასადამე, მათ შორის ადგილი აქვს პირდაპირ კორელაციურ კავშირს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოჯახის დაბალი შემოსავლების შემთხვევაში არცერთ რესპონდენტ სტუდენტ გოგონ-

ნას არც ბოლო 30 დღის და არც ბოლო 1 წლის განმავლობაში ალკოჰოლი არ გამოუყენებია. რესპონდენტი ვაჟების 8%-მა კი ბოლო 30 დღის განმავლობაში, ხოლო 23%-მა ბოლო 1 წლის განმავლობაში მოიხმარა ალკოჰოლი. მაშასადამე, მიუხედავად მცირე შემოსავლებისა, ვაჟები მაინც ახერხებენ ალკოჰოლის გამოყენებას. ოჯახის შემოსავლების მატებასთან ერთად მოხმარების ცალკეული ინტენსივობის მიხედვით მაჩვენებლები გაზრდილია, თუმცა, ვაჟებში უფრო მეტად და 1500-3000 ლარამდე ოჯახის შემოსავლის შემთხვევაში ბოლო 30 დღის განმავლობაში გოგონების მხოლოდ 2-მა, ხოლო ვაჟების 9%-მა მოიხმარა ალკოჰოლი. 3000 ლარზე მეტი შემოსავლის შემთხვევაში კი უკვე შედარებით მეტმა სტუდენტმა გოგონამ, ანუ 22%-მა მოიხმარა ალკოჰოლი ბოლო 30 დღის განმავლობაში, მაშინ, როდესაც, ეს მაჩვენებელი ვაჟებში მხოლოდ 11%, ანუ 2-ჯერ ნაკლები იყო.

სტუდენტი გოგონები, რომლებსაც ყოველდღიური ხარჯი 5 ლარამდე აქვთ, სიფრთხილით ეკიდებიან ალკოჰოლის მოხმარებას. იგივე ტენდენცია გამოვლინდა ვაჟებშიც. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ალკოჰოლს რეგულარულად არ მოიხმარს. დღიური ხარჯის გაზრდასთან ერთად იზრდება ალკოჰოლის ინტენსიურ მოხმარებელთა რაოდენობა და მათი პროცენტული წილის მაჩვენებელიც. 5-დან 10 ლარამდე დღიური ხარჯის შემთხვევაში, ალკოჰოლს ინტენსიურად მოიხმარს რესპონდენტი გოგონების 13 და ვაჟების 36%; 10-დან 20 ლარამდე – რესპონდენტი გოგონების 24 და ვაჟების 48%; 20 ლარზე მეტი ყოველდღიური ხარჯის შემთხვევაში კი უფრო აქტიური ხდება სტუდენტი გოგონები. ამ კატეგორიის რესპონდენტ გოგონათა 27% რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს, მაშინ, როდესაც, ვაჟებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ია.

როგორც მონაცემების ანალიზშია აჩვენა, საცხოვრისის ტიპიდან გამომდინარე, ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარებელი სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 80%, ცხოვრობს დედასთან, 33% – ბებია-ბაბუასთან, 40% – მართო, 33% – ნაქირავებ ბინაში დედმამიშვილებთან ერთად, 5% – ნაქირავებ ბინაში სტუდენტებთან ერთად და 20% – მშობლებთან ერთად. მაშასადამე, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მაღალი მაჩვენებლები ვლინდება დედასთან ერთად ცხოვრების შემთხვევაში. მაგრამ ბოლო 30 დღის განმავლობაში ალკოჰოლი ყველაზე მეტმა, 33%-მა მოიხმარა, ვინც ცხოვრობს ბებია-ბაბუასთან ერთად, თუმცა, მათ შორის, ვინც არ სვამს და არც გაუსინჯავს ალკოჰოლი, საცხოვრისის ტიპის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა იმ რესპონდენტებში, რომლებიც ცხოვრობენ სტუდენტებთან და მეგობრებთან ერთად.

ყველაზე მეტი რესპონდენტი გოგონა (67%) რეგულარულად გამოიყენებს ალკოჰოლს დედასთან ცხოვრების პირობებში და შემდეგ უკვე ის გოგონები, რომლებიც ცხოვრობენ საერთო საცხოვრებელში სხვა სტუდენტებთან ერ-


თად. იმავდროულად, ყველა გამოკითხულ გოგონას, ანუ 100%-ს, ვინც ცხოვრობს დედასთან და საერთო საცხოვრებელში სხვა სტუდენტებთან ერთად, ერთხელ მაინც გაუსინჯავს ალკოჰოლი.

საცხოვრისის ტიპის მიხედვით, ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების მაჩვენებლები სტუდენტ ვაჟებში უფრო მეტად დივერსიფიცირებულია. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ახალგაზრდა რესპონდენტი ყველა ვაჟი (100%) ალკოჰოლს რეგულარულად იყენებს დედასთან ერთად ცხოვრებისას; 50% ბებია-ბაბუსთან ცხოვრების პირობებში, 38% მარტო ცხოვრების პირობებში, 44% ნაქირავებ ბინაში დედ-მამიშვილებთან ერთად. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია მშობლებთან/ ოჯახთან ერთად ცხოვრების პირობებში და იგი 27%-ს შეადგენს.

სტუდენტების მიერ ალკოჰოლის მოხმარების სტატისტიკური ანალიზით საინტერესო შედეგები დაფიქსირდა ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა: საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი, სწავლების საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამა და აკადემიური მოსწრების დონე. როგორც აღმოჩნდა, რეგულარულად ალკოჰოლის მოხმარებელთა შორის სჭარბობენ კერძო სასწავლებლის რესპონდენტი ახალგაზრდები და მათი წილი რესპონდენტების 43%-ს შეადგენს. ბოლო 30 დღის განმავლობაში კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტი რესპონდენტების 29%-მა მოიხმარა ალკოჰოლი, მაშინ, როდესაც, ეს მაჩვენებელი სახელმწიფო დაწესებულებების სტუდენტების მიხედვით მხოლოდ 6%, ანუ თითქმის 5-ჯერ ნაკლებია.

**ალკოჰოლის მოხმარებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის კროსტაბულაცია (%)**

დიაგრამა 7.




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კერძო სასწავლებლების ყველა გამოკითხულ სტუდენტს, ანუ 100%-ს, ერთხელ მაინც გაუსინჯავს ალკოჰოლი. ეს მაჩვენებელი სახელმწიფო უნივერსი-

ტეტების სტუდენტებისთვისაც მაღალია და 75%-ს შეადგინა. ალკოჰოლს უფრო ხშირად მოიხმარენ ბაკალავრიატის სტუდენტები, რამდენადაც მათი 25%, ანუ ყოველი მე-4, ალკოჰოლის რეგულარული მომხმარებელია, 77%-ს ერთხელ მაინც გაუსინჯავს, 23% არ სვამს და არც გაუსინჯავს, 39% არ სვამს, მაგრამ გაუსინჯავს.

**ალკოჰოლის მოხმარებისა და საგანმანათლებლო საფეხურების კროსტაბულაცია**

დიაგრამა 8




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

რესპონდენტების 4%-ს ბოლო 1 წლის განმავლობაში ჰქონდა ალკოჰოლი გასინჯული. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტ რესპონდენტებს შორის ალკოჰოლის რეგულარული მოხმარების მაჩვენებლები ბოლო 30 დღისა და 1 წლის განმავლობაში დაბალია, თუმცა, მათ უმრავლესობას ალკოჰოლი ერთხელ მაინც აქვს გასინჯული (შესაბამისად, 57 და 80%).

რა თქმა უნდა, საინტერესოა სტუდენტების მიერ ალკოჰოლის მოხმარების მდგომარეობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ ალკოჰოლს რეგულარულად უფრო მეტად მოიხმარენ სამართლის (50), ტურიზმის (50), განათლების მეცნიერებებისა და ფსიქოლოგიის (40), სოფლის მეურნეობის (80) საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები. ალკოჰოლის ყველაზე ნაკლები რეგულარული მომხმარებლები აღმოჩნდნენ საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგების პროგრამების სტუდენტები.

**ალკოჰოლის მოხმარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კროსტაბულაცია**

ღიაგჩამა 9.




წყარო: ღიაგჩამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

GPI-ის მიხედვით ანალიზმა აჩვენა, რომ მკვეთრად გამოხატული ტენდენცია არ გამოვლენილა, რამდენადაც მის მომატებას არ ახლდა ალკოჰოლის ინტენსიურად მოხმარების არც შემცირება და არც მომატება. ასე, მაგალითად, დაბალი GPI -ის შემთხვევაში ამ კატეგორიის რესპონდენტების 25% აღმოჩნდა ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარებელი, ოდნავ მაღალი GPI შემთხვევაში (1) თითქმის გაორმაგდა ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი (47%). მაგრამ 2.0 GPI მქონე რესპონდენტებში 20%-მდე შემცირდა იმ რესპონდენტების წილი, ვინც რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს. მაღალი GPI-ის შემთხვევაში, მაგალითად, 3-ის დროს, გაიზარდა ამ შეფასების მქონე რესპონდენტებში იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც რეგულარულად მოიხმარენ ალკოჰოლს და 28% შეადგინა. მაგრამ ყველაზე მაღალი GPI-ის შემთხვევაში ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარებლების წილი შემცირდა და 13% შეადგინა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თანაბარია როგორც სტიპენდიანტ, ისე არასტიპენდიანტ სტუდენტებს შორის ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების მაჩვენებელი და ის, როგორც კვლევამ აჩვენა, 25%-ის დონეზეა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ GPI-ის მატებასთან ერთად დაფიქსირდა იმ რესპონდენტების წილის კლების ტენდენცია, რომლებსაც ერთხელ მაინც გასინჯული ჰქონდათ ალკოჰოლი.

**ალკოჰოლის მოხმარებისა და სტუდენტთა GPI-ის კროსტაბულაცია**

დიაგრამა 10.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

სტატისტიკური ანალიზით გამოვლინდა, რომ რეგულარულად ალკოჰოლის მოხმარებელთა შორის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტ რესპონდენტებს შორის 33% ვაჟია, ხოლო 16% - გოგონა. მაგრამ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების რესპონდენტების 67% არიან ისინი, ვინც ალკოჰოლს რეგულარულად მოიხმარენ. კერძო სასწავლებლების როგორც გოგონების, ასევე ვაჟების აბსოლუტურ უმრავლესობას ერთხელ მაინც აქვს გასინჯული ალკოჰოლი.

კვლევამ მოიცვა ასევე სტუდენტთა მიერ ალკოჰოლის მოხმარების მდგომარეობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. გამოკითხული სტუდენტების გენდერული ქრილით ანალიზმმა გამოავლინა, რომ ორივე სქესის სტუდენტთა მიერ ალკოჰოლის რეგულარულად გამოყენებაში უპირატესად ლიდერობენ სოფლის მეურნეობისა (100%) და ტურიზმის (50%) პროგრამების სტუდენტები. მაგრამ განსხვავებული სურათია სტუდენტი გოგონებისა და ვაჟების მიხედვით: ვაჟებში ყველაზე მეტი აღმოჩნდა განათლების მეცნიერებისა და ფსიქოლოგიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პროგრამების სტუდენტები, რომელთა წილი თანაბარია და 100% შეადგინა. გოგონებშიც ყველაზე მაღალი წილი ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარებაში უკავია ასევე განათლების მეცნიერებების და ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებს (25%).

სტუდენტ რესპონდენტებში ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარებელთა შორის სჭარბობს დაბალი GPI-ის მქონე ახალგაზრდების წილი, თუმცა, დი-


ფერენცირებულია სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ასე, მაგალითად, ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელთა შორის GPI (0,5)-ის მქონე რესპონდენტების 50% ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელია, ხოლო 1-ის მქონე სტუდენტ გოგონებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ალკოჰოლის რეგულარულ მოხმარებაში (67%). აღსანიშნავია, რომ GPI (1 და 3)-ის მქონე რესპონდენტებში ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელ სტუდენტთა წილის მაჩვენებლები თანაბარია და 43 %-ს შეადგენს, რაც მიუთითებს როგორც დაბალი, ასევე მაღალი GPI-ის მქონე სტუდენტებში ალკოჰოლის მოხმარების ინტენსივობის მაღალ დონეზე. თუმცა, გოგონებში ეს ტენდენცია განხვავებულია და GPI-ის ზრდასთან ერთად რესპონდენტების წილის მაჩვენებლის მატება არ ფიქსირდება. მაგრამ, საინტერესო ფაქტია, რომ ყველაზე მაღალი – GPI 4-ის მქონე რესპონდენტ ვაჟებში ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების მაჩვენებლები 0-ია, მაშინ, როდესაც, იგივე GPI-ის მქონე სტუდენტ გოგონებში ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელთა წილი 15%-ს შეადგენს.

რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია გავანალიზოთ ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა). კვლევამ აჩვენა, რომ სამივე საფეხურის ვაჟების 33% ალკოჰოლის რეგულარული მომხმარებელია. მათგან ყველაზე მეტი, ანუ 43%, ბაკალავრიატის სტუდენტია. შედარებით მცირეა მაგისტრატურის და დოქტორანტურის ვაჟი სტუდენტების მიერ ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლები (შესაბამისად, 30 და 27 %). საინტერესო მაჩვენებლები დაფიქსირდა იმ ვაჟი სტუდენტების მიხედვით, რომლებიც არამსმელი არიან, მაგრამ ერთხელ მაინც გაუსინჯავთ ალკოჰოლი. ბაკალავრიატში 42%, მაგისტრატურაში 32% და დოქტორანტურაში 27%. მაგრამ ბოლო 1 წლის განმავლობაში ალკოჰოლს მოიხმარდა ბაკალავრიატის გამოკითხულ ვაჟ სტუდენტთა 26%, მაგისტრატურის 40% და დოქტორანტურის 34%.

განსხვავებული მდგომარეობა აღმოჩნდა სხვადასხვა საფეხურის სტუდენტი გოგონების მიერ ალკოჰოლის მოხმარებაში. ეს მაჩვენებელი, ვაჟ სტუდენტებთან შედარებით, განსაკუთრებით დაბალია და შეადგენს: ბაკალავრიატში 19%-ს, მაგისტრატურაში 4%-ს და დოქტორანტურაში მხოლოდ 2%-ს, რაც მეტად სასურველი მდგომარეობაა. ისევე, როგორც ვაჟი სტუდენტების შემთხვევაში, აქაც, სხვა საფეხურის სტუდენტებისგან განსხვავებით, ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების მაჩვენებელი მაღალია ბაკალავრიატში. შემდეგი დიაგრამა ნათლად აჩვენებს მაჩვენებლების უფრო ფართო სპექტრს.

**ალკოჰოლისა და სწავლების საფეხურის კროსტაბულაცია (გოგონები)**

ღიაჩამა 11.



წყარო: ღიაჩამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

სტუდენტთა მშობლების განათლების დონის მიხედვით კვლევამ აჩვენა, რომ ალკოჰოლს რეგულარულად მოიხმარს იმ რესპონდენტების 28%, რომელთა მამებს უმაღლესი განათლება აქვთ და 21% – რომელთა მამებს საშუალო განათლება აქვთ. თუმცა, ამავე კატეგორიის რესპონდენტების 27%-ის დედაც უმაღლესი განათლებითაა და 20%-ის დედა – საშუალო განათლებით. ფაქტობრივად, ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელი სტუდენტების მშობლებს უპირატესად უმაღლესი განათლება აქვთ. გენდერული ნიშნის მიხედვით დეტალური ანალიზით დადგინდა, რომ ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელი რესპონდენტი ვაჟების მშობლების განათლების დონე საშუალოა (მამის 36% და დედის 41%) და თანაბრად – რესპონდენტების 30-31%-თვის დედა უმაღლესი განათლებითაა. გოგონების შემთხვევაში იმ რესპონდენტების წილი, რომელთა მშობლების განათლების დონე დაბალია უმაღლესი განათლების დონესთან შედარებით, შესაბამისად, 11-9%-ის ფარგლებში მერყეობს. სტუდენტი გოგონებისთვის, რომლებსაც ერთხელ მაინც გაუსინჯავთ ალკოჰოლი, როგორც დედის, ასევე მამის უმაღლესი განათლების დონე 82%-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო განათლების მაჩვენებელს.

რეგულარულად ალკოჰოლის მომხმარებელი რესპონდენტი ვაჟების 50%-ის მამა ხშირად მოიხმარს ალკოჰოლს და მხოლოდ 36%-ის დედა – იშვიათად. 33%-ის დედა საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლს, თუმცა, რესპონდენტების მშობელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ერთხელ მაინც გაუსინჯავს

ალკოჰოლი. რეგულარულად ალკოჰოლის მომხმარებელი რესპონდენტების 42%-ის მამა ალკოჰოლის ხშირად მომხმარებელია. ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელი რესპონდენტი გოგონების 42%-ის მამა ალკოჰოლს ხშირად მოიხმარს და 20%-ის დედა ასევე ხშირად, თუმცა, აღნიშნული კატეგორიის რესპონდენტების 15%-ის მამა, ხოლო 45%-ის დედა ალკოჰოლის იშვიათი მომხმარებელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტების 18%-ის მამა და 35%-ის დედა საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლს.

საინტერესოა, თუ რა არის ალკოჰოლის მოხმარების მიზეზი სტუდენტებში – როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტების 50%-მა ვერ დაასახელა ალკოჰოლის მოხმარების მიზეზი. 32%-ის აზრით, მათი კომუნიკაცია უფრო ინტენსიური ხდება არსებულ გარემოში. ამ საკითხის მიმართ უფრო მეტად თავდაჯერებულები აღმოჩნდნენ ვაჟები, რომელთა 33% თვლის, რომ ალკოჰოლი ეხმარებათ კომუნიკაციაში და გოგონების 31% მიიჩნევს, რომ ალკოჰოლის გამოყენებით უფრო კომუნიკაბელური ხდებიან. ალკოჰოლის გამოყენებით უფრო მეტად თავდაჯერებულობას ხსნის ვაჟების 21%, მაგრამ გოგონებისათვის ეს მიზეზი მეტად უმნიშვნელოა: ისინი მიიჩნევენ, რომ ალკოჰოლის მიღების შედეგად არც თავდაჯერებულები (6%) და არც მიმზიდველები (4%) არ არიან.

კვლევის პროგრამა მოიცავდა ასევე სტუდენტთა მიერ ალკოჰოლის მოხმარებაზე უარის თქმის საკითხის შესწავლასაც. აღმოჩნდა, რომ იმ რესპონდენტების 34%, რომლებსაც ოდესმე გაუსინჯავთ ალკოჰოლი, არ აპირებენ ალკოჰოლზე უარის თქმას. ახლობლების რჩევით, მხოლოდ 2% აპირებს ალკოჰოლის მოხმარებაზე უარის თქმას და 5% კი – ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. აღსანიშნავია, რომ ვაჟი სტუდენტების 39 და გოგონების 30% ალკოჰოლის მოხმარებაზე უარის თქმას არ აპირებს, ხოლო ვაჟების 44 და ქალების 61%-ს არა აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტების 26%-მა ალკოჰოლი პირველად გამოიყენა 15 წლამდე ასაკში, 29%-მა კი – 16-17 წლის ასაკში, 13%-მა – 18-19 წლის ასაკში და 3%-მა – 20 წელზე ზევით ასაკში. ზოგადად, მოდალური ასაკი 16-17 წელი აღმოჩნდა.

## დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზოგადად, ალკოჰოლისადმი მიდრეკილება საქართველოს სტუდენტ – ახალგაზრდებში შედარებით ნაკლებ ზომიერებასა და არარეგულარულობაში ვლინდება; მრავალი ნიშნის მიხედვით ის ასიმეტრიულობით ხასიათდება, რასაც ნათლად ადასტურებს შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები.

- ყველა ასაკობრივ ჯგუფში ალკოჰოლის რეგულარულად ან ნაკლები ინტენსივობით მოხმარების მაჩვენებლები დიფერენცირებულია და განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდება, კერძოდ: რეგულარულად ყველაზე მეტ ალკოჰოლს მოიხმარენ 18, 21 და 25 წლის ასაკის სტუდენტები; ალკოჰოლის მოხმარების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა 20 და 22 წლის ასაკის რესპონდენტებში;

- ეროვნული ნიშნის მიხედვით, უპირატესად იკვეთება ქართველი და სომეხი სტუდენტი ვაჭებისა და გოგონების მიერ ალკოჰოლის გამოყენების შედარებით მაღალი მაჩვენებლები;

- ალკოჰოლური სასმელების გამოყენების მაჩვენებლები დასაქმების სტატუსის მიხედვით, უმნიშვნელოდ განსხვავდება: მას თანაბრად მოიხმარენ როგორც დასაქმებული, ასევე, დაუსაქმებელი რესპონდენტები;

- ალკოჰოლური სასმელების რეგულარული მომხმარებლები აღმოჩნდნენ დაუქორწინებელი და განქორწინებული სტუდენტები, ხოლო ნაკლებად მოიხმარენ დაქორწინებული და დანიშნული რესპონდენტები, თუმცა, მათ დიდ ნაწილს ალკოჰოლი ერთხელ მაინც აქვს გასინჯული;

- სქესობრივი ნიშნის მიხედვით მიღებულ მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ვაჭებში, გოგონებთან შედარებით მაღალია, როგორც სპორტით დაკავებული, ასევე სპორტით არადაკავებული სტუდენტების როგორც რეგულარულად, ასევე არარეგულარულად მოხმარების მაჩვენებლები, ხოლო ალკოჰოლს უფრო მეტად ეტანებიან ის სტუდენტი გოგონები, რომლებიც სპორტით არ არიან დაკავებულები;

- ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელი სტუდენტების დიდი ნაწილი არარელიგიურია, თუმცა, ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელი ვაჭების 33% და გოგონების 15% აღმოჩნდა მორწმუნე;

- მართალია, არცერთ ასაკობრივ ჯგუფში არ არის ალკოჰოლის მაღალი მოხმარების მაჩვენებლები, მაგრამ მაინც საყურადღებოა 18 წლის რესპონდენტი გოგონების ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარების შედარებით მაღალი მაჩვენებლები. თუმცა, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა 24 წლის გოგონების ასაკობრივ ჯგუფში, სადაც ყოველი მესამე აღმოჩნდა ალკოჰოლის რეგულარული მომხმარებელი და 25 წლის ვაჭების ჯგუფი, სადაც მათი უმეტესობა რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს.

### ლიტერატურა:

- თსუ-ს მიზნობრივი საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგობრივი ცხრილები, რომლებიც მიღებული იქნა SPSS-ის გამოყენებით.
- Global Status Report on Alcohol and Health and Treatment of Substance use Disorders. Geneva: World Health Organization; 2024. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO. pp.168-170
- რომელ ქვეყნებში სვამენ ყველაზე მეტ ალკოჰოლს? ბიზნეს ფორმულა. იბ. <https://businessformula.ge/News/14093>
- Klatsky A. L. (2004). Alcohol and Cardiovascular Health. Integrative and Comparative Biology, 324-328.
- Robson S., & Salcedo N. (2014). Behavioral Fitness and Resilience: A Review of Relevant Constructs, Measures, and Links to Well-Being. In: S. Robson, & N. Salcedo, Behavioral Fitness and Resilience (pp. 13-19). RAND Corporation.
- <https://www.ambebi.ge/article/146484-rogor-gamoiquireba-qvelaze-msmeli-erebis-reitingi>
- [https://www.facebook.com/photo.php?fbid=1180181350796367&set=a.1073240278157142&-type=3&ref=embed\\_post](https://www.facebook.com/photo.php?fbid=1180181350796367&set=a.1073240278157142&-type=3&ref=embed_post)
- <https://data.who.int/ru/indicators/i/EF38E6A/EE6F72A>
- <https://www.espad.org/espad-report-2024>

## Economic and Statistical Study of Alcoholic Beverage Consumption among Students in Georgia\*

**Simon Gelashvili**

*Professor*

*Iv. Javakishvili Tbilisi State University*

*Simon.gelashvili@tsu.ge*

**Marine Mindorashvili**

*sociate Professor*

*Iv. Javakishvili Tbilisi State University*

*maia.mindorashvili@tsu.ge*

**Nino Abesadze**

*sociate Professor*

*Iv. Javakishvili Tbilisi State University*

*nino.abesadze@tsu.ge*

**Lia Dzebisauri**

*Asociate Professor*

*Iv. Javakishvili Tbilisi State University*

*lia.dzebisauri@tsu.ge*

The article addresses one of the pressing global challenges of modern times – the consumption of alcoholic beverages among young people. Georgia is no exception to this trend, which underscores the undeniable relevance of the topic. The study aims to conduct a comprehensive economic and statistical analysis of alcohol con-

---

\* The article was prepared on the basis of the faculty grant project - “Economic and Statistical Study of Tobacco Product and Alcoholic Beverage Consumption among Students in Georgia.”

sumption among students and its impact on their socio-economic status. To achieve this objective, the following tasks were undertaken:

Development of a detailed research questionnaire;

- Collection of data and establishment of the necessary information base;
- Organization of the collected data into separate blocks according to various statistical characteristics;
- Identification of factors influencing students' alcohol consumption and assessment of their impact;
- Calculation of relevant quantitative and qualitative indicators;
- Comparative analysis of the calculated indicators and formulation of conclusions.

The research methodology employed both quantitative and qualitative approaches; however, statistical methods were predominantly applied. These included selective statistical observation, the use of relative and average values, the index method, as well as specific techniques of variation and correlation analysis. A quantitative database on the research topic was established through selective research. The collected information was subsequently cleaned, resulting in a dataset suitable for analysis. To ensure representativeness, the required sample size was determined to be 384 respondents. In practice, 452 completed questionnaires were received, of which 403 were fully completed and error-free, making them suitable for analysis.

According to World Health Organization (WHO) data for 2024, Georgia ranks 66<sup>th</sup> globally and 2<sup>nd</sup> in Europe in terms of per capita alcohol consumption over the past 15 years. On average, nearly 8 liters of alcohol are consumed per person annually in Georgia, with wine accounting for 50%, spirits for 33%, and beer for 17%.

The study revealed significant variation in alcohol consumption among students according to demographic, social, and economic characteristics. More than half of the respondents were female; however, males predominated in the 18-year-old group (59%). Notably, 18-year-olds represented the largest share of respondents overall, accounting for 32%. Patterns of regular and occasional alcohol consumption differed across all age groups. The highest rates of regular consumption were observed among respondents aged 25 (99%), 18 (35%), and 21 (29%). Importantly, students from all age groups reported having tried alcohol at least once, though with varying levels of intensity.

Socio-economic background also played a decisive role. Among the respondents, 23% came from low-income households, 52% from middle-income households, and 25% identified as high-income. Students from low- and middle-income families typically had 5–10 GEL available per day, while those from higher-income families reported 10–20 GEL or more. Housing conditions reflected these differences: most

low-income families lived in shared housing with grandparents, whereas middle- and high-income students were more likely to reside in rented housing, with parents, or independently. Specifically, 7% lived in shared housing with other students, 37% in rented housing, and 31% alone. Interestingly, a majority of students from high-income households lived with their parents. A noteworthy gender distinction emerged: in cases of low family income, none of the female students reported alcohol consumption within the past month or year, whereas male students, despite similarly limited resources, continued to consume alcohol.

The majority of regular alcohol users – approximately 80% – live with their mother. Other living arrangements include 33% with grandparents, 40% alone, 33% in a rented apartment with their parents, 5% in a rented apartment with other students, and 20% with their parents. Paradoxically, the highest prevalence is observed among those living with their mother. However, within the past 30 days, the largest share of alcohol users (33%) was respondents living with their grandparents.

In terms of household income, 35% of students from high-income families (earning 3,000 GEL or more) are regular alcohol users. Among respondents from average-income households (1,500–3,000 GEL), 25% consume alcohol regularly, while only 12% of those from low-income families (up to 1,500 GEL) report regular use. Across all categories, higher household income is associated with increased alcohol consumption. Nevertheless, members of low-income households also demonstrated notable levels of alcohol use over the past year.

Interesting findings emerged when analyzing the education level of students' parents. The study revealed that 28% of respondents whose fathers have higher education and 21% whose fathers have secondary education regularly consume alcohol. Similarly, 27% of respondents in the same category reported mothers with higher education, while 20% reported mothers with secondary education. Overall, students who regularly consume alcohol predominantly come from families where parents hold higher education degrees. A more detailed gender-based analysis showed that among male respondents who regularly consume alcohol, the education level of their parents is generally secondary – 36% for fathers and 41% for mothers. Additionally, 30–31% of these respondents reported mothers with higher education. In contrast, among female respondents, the proportion whose parents' education level is below higher education ranges between 9–11%. Notably, for female students who have tried alcohol at least once, 82% reported that both parents have higher education, a figure significantly higher than that observed among those with parents holding only secondary education.

An analysis of students' academic performance level (GPI) revealed that regular alcohol use is more prevalent among those with lower GPI scores, though the pattern

varies by gender. For instance, 50% of respondents with a low GPI (0.5) reported regular alcohol use. Among female students, those with a GPI of 1 exhibited the highest rate of regular consumption, at 67%. Interestingly, the proportion of regular alcohol users among students with GPI scores of 1 and 3 is equal, at 43%, suggesting that both low- and high-performing students demonstrate a relatively high intensity of alcohol consumption. However, this trend differs among female respondents, as increases in GPI do not correspond to higher rates of alcohol use. Notably, among male students with the highest GPI (4), the rate of regular alcohol consumption is nearly zero, whereas among female students with the same GPI, 15% reported regular use.

An analysis of the reasons for alcohol consumption among students revealed noteworthy patterns. Half of the respondents (50%) were unable to identify a specific reason for their drinking. Meanwhile, 32% indicated that alcohol enhances their communication in social settings. Gender differences were evident: 33% of male students reported that alcohol helps them communicate more effectively, while 31% of female students stated that it makes them more sociable. Additionally, 21% of male respondents attributed their increased self-confidence to alcohol use. For female students, however, this factor was far less significant – only 6% believed alcohol made them more confident, and just 4% felt it made them more attractive.

The study also examined students' attitudes toward giving up alcohol. Among those who had tried alcohol, 34% reported no intention of quitting. Only 2% expressed a willingness to stop drinking based on relatives' advice, and 5% cited deteriorating health as a reason. Gender differences again emerged: 39% of male students and 30% of female students stated they do not intend to give up alcohol. Furthermore, 44% of males and 61% of females reported having no clear position on the matter.

**Keywords:** Student, alcohol consumption, relative indicators, average indicators, variation and correlation.

## საპენსიო სისტემების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შედარებითი ანალიზი

### თენგიზ ვეხუღავა

პროფესორი  
ბიზნესის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი  
tverulava@cu.edu.ge

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.10.

ნაშრომში განხილულია საქართველოს, სომხეთისა და აიკბაიანის საპენსიო სისტემების ევოლუციას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამივე ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო განაწილებითი საპენსიო სისტემა, რომლის გრანსფორმაცია სხვადასხვა ტემპითა და განსხვავებული მიმართულებებით განხორციელდა. საქართველომ 2019 წელს დანეხგა სავადდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა, სომხეთმა 2014 წელს მიიღო შეხეული (PAYG და დაგროვებითი) სისტემა, ხოლო აზერბაიჯანი კვდავაც ძიხითადად PAYG მოდელზეა დამოკიდებული. ნაშრომი აფასებს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის საპენსიო სქემების სტრუქტურას, ბენეფიციართა მოცვას, ადეკვატურობასა და მდგომარეობას. ბენეფიციართა საპენსიო მოცვა შეადგენს დაახლოებით 47%-ს საქართველოში, 52%-ს სომხეთში და 58%-ს აიკბაიანში. საშუალო თვიური პენსია, შესაბამისად, 135 აშშ დოლარს, 130 აშშ დოლარს და 289 აშშ დოლარს უდრის, ხოლო შემოსავლის ჩანაცვლების კოეფიციენტები შეადგენს 18%-ს, 19%-ს და 47%-ს, ხაც ხაზს უსვამს შემოსავლებისა და შენატანების შესადდებლობების მნიშვნელოვან განსხვავებებს. დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მარვენებდებზე დაფუძნებული პროგნოზები აჩვენებს, რომ დამატებითი ეფორმების გაჩეშე მოსახლეობის დაბეხება გაადრიეხებს ფისკალურ ზეწოდას და 2040 წლისთვის, საპენსიო ხაჯებს მშპ-ის ახსებული 7-9%-დან 11-13%-მდე გაზხდის. საქართველოსა და სომხეთში დაგროვებითი საპენსიო აქტივების ეტაპობიე დაგროვებას შეუძლია ნაწილობიე შეამსუბუქოს ეს ტვიხთი, მაშინ ხოცა აიკბაიანის სისტემა მდგომარეობის სეხიოზული გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს, თუ ახ განხორციელდება დივერსიფიკაციისა და ნაწილობიევი კაპიტალიზაციის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგნეზი განიცადა ბენეფიციართა მოცვის გაფართოებისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, სისტემური ხაჯვებები კვდავაც ნაჩუნდება, განსაკუთრებით ახაფორმალურ დასაქმებასთან, შენატანების დაბად შესაბამისობასა და საპენსიო აქტივების ახასათანადო მმართველობასთან დაკავშირებით. გხდერვადიანი ფინანსური მდგომარეობის უზუნველყოფა მოითხოვს ეფორმების და-

ბადანებუდ კომბინაციას, საინვესტიციო დივერსიფიკაციას, შესაბამისობის გაძლიერებუდ მექანიზმებს და მიზნობრივ პოლიტიკას ახაფოხმადუხი შიომის ბაზხის შემციხების მიზნით.

**საკვანძო სიგყვები:** სამხეთ კავკასია, საპენსიო ხეფოხმა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, PAYG სისტემა, სოციალუხი პოლიტიკა, ფინანსუხი ბაზხები, მდგხადობა, თანასწორობა, ეფექტუხობა.

## შესავალი

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სერიოზული სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ (Asatiani & Verulava, 2017). საბჭოთა პერიოდში მოქმედებდა განაწილებითი (PAYG – Pay-As-You-Go) მოდელი, რომელიც ეფუძნებოდა თითქმის საყოველთაო დასაქმებასა და ცენტრალური ბიუჯეტიდან სუბსიდირებას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს სისტემა ვერ მოერგო ახალ რეალობას: ეკონომიკურმა კრიზისებმა, უმუშევრობის ზრდამ და მასობრივმა მიგრაციამ, მნიშვნელოვნად შეამცირა საპენსიო ფონდების შემოსავლები და ეჭვქვეშ დააყენა სოციალური უზრუნველყოფის მდგრადობა.

მკვლევრების მტკიცებით, ცენტრალიზებული ადმინისტრირების მემკვიდრეობამ, სოციალური დაზღვევის ფრაგმენტაციამ და საჯარო ინსტიტუტების მიმართ არასაკმარისმა ნდობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა რეფორმების ტრაექტორიები (Orenstein & Haas, 2005). ადრეული საპენსიო რეფორმები ორი ძირითადი მიზნის, ფისკალური სტაბილიზაციისა და სოციალური დაცვის, მიღწევისკენ იყო მიმართული, თუმცა, ხშირად აკლდა ინსტიტუციური თანმიმდევრულობა. სამხრეთ კავკასიაში აღნიშნული ინსტიტუციური მემკვიდრეობა დაემთხვა მყიფე შრომის ბაზრებსა და ქრონიკულ პოლიტიკურ არასტაბილურობას, რის შედეგადაც საპენსიო რეფორმები განხორციელდა ნელა, ეტაპობრივად, სადაც წარსული ინსტიტუციური მიდგომები არსებითად ზღუდავდა ცვლილებების მასშტაბსა და მიმართულებას (Pierson, 2000).

რეგიონული თავისებურებები აისახება რამდენიმე მნიშვნელოვან დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ტენდენციაში. საქართველოს მოსახლეობა, 1990-იან წლებში არსებული 5.4 მლნ-დან, 2022 წელს 3.7 მლნ-მდე შემცირდა, ძირითადად ემიგრაციის შედეგად. სომხეთის მოსახლეობა, 1990-იანი წლებიდან, საშუალოდ წელიწადში 1%-ით მცირდება; ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 12% საზღვარგარეთ ცხოვრობს (Antonyan et al., 2024). აზერბაიჯანში დემოგრაფიული ვითარება შედარებით სტაბილურია, თუმცა, მოსახლეობის დაბერების ტენდენცია თვალსაჩინოა: 60 წელს გადაცილებულთა წილი 2000 წლის 7.6%-დან 2020 წელს 10.3%-მდე გაიზარდა (Shakhmuradyan, 2020).

აღნიშნული პროცესები საპენსიო სისტემებზე ორმაგ ზენოლას ქმნის: ერთის მხრივ მცირდება აქტიური შრომითი რესურსი, ხოლო მეორეს მხრივ იზრდება პენსიონერთა წილი. მაგალითად, საქართველოში დამოკიდებულების კოეფიციენტი (65 წელს გადაცილებული მოსახლეობის შეფარდებამ სამუშაო ასაკის მოსახლეობასთან) 2021 წელს 24%-ს გადააჭარბა, რაც რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (Scarpetta & Noia, 2023).

ამგვარად, საპენსიო სისტემების ტრანსფორმაცია გარდაუვალი გახდა. საქართველო 2019 წელს სავალდებულო დაგროვებით სისტემაზე გადავიდა, სომხეთმა 2014 წელს დანერგა შერეული PAYG + დაგროვებითი მოდელი, ხოლო აზერბაიჯანმა შეინარჩუნა PAYG სისტემა, თუმცა იგი გააძლიერა ციფრული ტექნოლოგიებისა და პერსონალიზებული ანგარიშების დანერგვით.

კვლევის მიზანია სამი ქვეყნის საპენსიო სისტემების შედარებითი ანალიზი მდგრადობის, სამართლიანობისა და ეფექტიანობის შრილით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა როგორც ინსტიტუციურ არქიტექტურას, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეფორმების წარმატებას.

## საქართველოს საპენსიო სისტემა

დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველომ საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიიღო PAYG მოდელი, რომელიც სწრაფად აღმოჩნდა ფინანსურად არამდგრადი ეკონომიკური კრიზისებისა და საბიუჯეტო დეფიციტის ფონზე. 1990-იან წლებში მთავრობამ შემოიღო ე.წ. სოციალური პენსია, რომელიც ყველა ასაკოვან მოქალაქეს მინიმალურ დახმარებას სთავაზობდა, თუმცა ვერ უზრუნველყოფდა ღირსეულ შემოსავალს და ძირითადად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. 2000-იანი წლებიდან დაიწყო საპენსიო რეფორმის სხვადასხვა მცდელობა, თუმცა, ძირითადი გარდატეხა 2019 წელს მოხდა, როდესაც ამოქმედდა ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემა.

დღეს საქართველოში მოქმედებს შერეული სისტემა, რომელიც აერთიანებს სოციალურ და დაგროვებით პენსიას. სოციალური პენსია უნივერსალური სქემაა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის მინიმალურ შემოსავალს 65 წლის ზემოთ ასაკში (ქალებისთვის – 60 წლიდან). 2025 წლისთვის სოციალური პენსიის ოდენობა შეადგენდა დაახლოებით 400 ლარს (70 წლამდე – 350 ლარს თვეში, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის – 450 ლარს), რაც ქვეყნის საშუალო ხელფასის მხოლოდ 18%-ს შეადგენს.

დაგროვებით სისტემაში შენატანები ნაწილდება სამ მხარეს შორის: 2%-ს იხდის დასაქმებული, 2%-ს დამსაქმებელი და 2%-ს – სახელმწიფო. 2021 წლისთვის სისტემაში ჩართული იყო დაახლოებით 1.3 მლნ ადამიანი, ხოლო აქტივების მოცულობა 2.5 მლრდ ლარს აღემატებოდა (Pension Agency of Georgia, 2023).

საქართველოს საპენსიო სისტემას თან ახლავს რიგი სერიოზული გამოწვევა, რაც მის მდგრადობასა და ეფექტიანობას ზღუდავს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დაფარვის შეზღუდულობაა: ოფიციალურად დასაქმებული მოსახლეობა ქვეყნის შრომითი ბაზრის მხოლოდ დაახლოებით 45%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საერთოდ არ მონაწილეობს დაგროვებით სისტემაში. ამასთან, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო ამძიმებს სისტემის მდგომარეობას. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 20% მუდმივად ან დროებით ცხოვრობს უცხოეთში, რაც ამცირებს როგორც საპენსიო შენატანების მოცულობას, ასევე სისტემის ფინანსურ ბაზას. დამატებით სირთულეს წარმოადგენს საინვესტიციო რისკი: დაგროვებითი სისტემის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი ფინანსური ბაზრის განვითარებაზე. 2020 წელს საპენსიო აქტივების ძირითადი ნაწილი დაბანდებული იყო ქართული კომერციული ბანკების ვადიან ანაბრებზე (სადეპოზიტო სერტიფიკატებში), რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა პორტფელის კონცენტრაციის რისკი და შეამცირა დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.

ამ გამოწვევებთან ერთად, უნდა აღინიშნოს საქართველოს საპენსიო სისტემის პოზიტიური ასპექტებიც. დაგროვებითი ფონდების გაჩენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებაში და სტიმული მისცა ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებას. გარდა ამისა, სისტემას აქვს პოტენციალი გრძელვადიანი კაპიტალის დაგროვებისთვის, რაც, თავის მხრივ, ქმნის სტაბილურ საინვესტიციო რესურსს და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას (Gugushvili და Meuleman, 2022).

## სომხეთის საპენსიო სისტემა

სომხეთში საპენსიო რეფორმა ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი იყო რეგიონში. სომხეთის საპენსიო სისტემის განვითარება დაკავშირებულია როგორც შიდა ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან. 2014 წლიდან ქვეყანა გადავიდა შერეულ სისტემაზე, რომელიც აერთიანებს PAYG მოდელს და სავალდებულო დაგროვებით სისტემას 1974 წლის შემდეგ დაბანდებული მოქალაქეებისთვის. სომხეთის მოქალაქეებს აქვთ პერსონალური ანგარიშები, ხოლო დაგროვილი თანხები იდება კერძო აქტივების მმართველ კომპანიებში, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობენ. თუმცა, ამ ნაბიჯმა საზოგადოებაში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გამოიწვია. საპენსიო რეფორმას თან ახლდა მასობრივი პროტესტი („წინააღმდეგი ვარ“ მოძრაობა), რაც უკავშირდებოდა სავალდებულო შენატანებისადმი უნდობლობასა და დაბალ ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სომხეთში რჩება მაღალი ემიგრაცია და დემოგრაფიული შემცირება. ქვეყნის მოსახლეობა 1990 წლის

3.6 მლნ-დან 2021 წლისთვის 2.96 მლნ-მდე შემცირდა (World Bank, 2023). მოსახლეობის დაახლოებით 12% მუდმივად ცხოვრობს უცხოეთში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საპენსიო სისტემაში მონაწილეთა რიცხვს და ხელს უშლის მისი დაფინანსების ბაზის გაფართოებას (OECD, 2023). გარდა ამისა, ჩრდილოვანი დასაქმება კვლავ ფართოდ გავრცელებულია: ILO-ს (2023) მონაცემებით, სომხეთში დასაქმებულთა დაახლოებით 35% მუშაობს ფორმალური კონტრაქტის გარეშე, რაც საპენსიო შენატანებს თითქმის შეუძლებელს ხდის.

სირთულეებს ემატება სოციალური ნდობის კრიზისი. 2014 წლის რეფორმის მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილი სკეპტიკურად უყურებს დაგროვებითი ფონდების მენეჯმენტს (Falkenhain, 2020). 2018 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის მიხედვით, მხოლოდ მოსახლეობის 28% მიიჩნევდა, რომ სისტემა უზრუნველყოფდა სამართლიანობასა და მდგრადობას.

თუმცა, არსებობს პოზიტიური ასპექტებიც. სავალდებულო დაგროვებითმა სისტემამ გაზარდა საპენსიო სისტემის გრძელვადიანი მდგრადობა, რადგან PAYG მოდელთან შედარებით, ის ნაკლებად არის დამოკიდებული ბიუჯეტურ ტრანსფერებზე და ეკონომიკური რყევების მიმართ უფრო მდგრადია. საპენსიო ფონდების გაჩენამ ხელი შეუწყო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას: 2020 წლისთვის დაგროვებითი ფონდების მიერ მართული აქტივები მშპ-ის დაახლოებით 4%-ს შეადგენდა, ხოლო მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ინვესტირებული იყო სახელმწიფო ობლიგაციებსა და საბანკო დეპოზიტებში.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინსტიტუტების – მსოფლიო ბანკისა და IMF-ის აქტიურმა მონაწილეობამ გაზარდა რეფორმის ინსტიტუციური საფუძვლები და უზრუნველყო სისტემის გარე მხარდაჭერა. მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა, სავალდებულო შენატანებმა საშუალება მისცა სომხეთს გრძელვადიან პერსპექტივაში შეამციროს ბიუჯეტზე ზეწოლა და გაზარდოს სოციალური დაცვის სისტემის ფინანსური მდგრადობა (Voskanyan, 2023).

### **აზერბაიჯანის საპენსიო სისტემა**

აზერბაიჯანის საპენსიო სისტემა განსხვავდება საქართველოსა და სომხეთის მოდელებისგან იმით, რომ იქ ჯერ კიდევ პრიორიტეტულია PAYG (Pay-As-You-Go) მოდელი, რომელიც დაფუძნებულია მიმდინარე შენატანებისა და ბიუჯეტური რესურსების გადანაწილებაზე. საბჭოთა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული სქემა ეტაპობრივად გადაიქცა უფრო მოდერნიზებულ ინსტიტუტად. 2006 წლიდან რეფორმების შედეგად შემოღებულ იქნა პერსონიფიცირებული ანგარიშები, სადაც თითოეული დაზღვეულის შენატანები აღირიცხება ცალკე ანგარიშზე (World Bank, 2023). ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანი იყო ადმინისტრაციული გამჭვირვალობისა და სოციალური უსაფრთხოების კონტროლის გასაძლი-

ერებლად. სახელმწიფო სოციალური დაცვის ფონდი აქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს: „ელ-პენსია“ და ელექტრონული მომსახურებები მნიშვნელოვნად ამცირებს ბიუროკრატია და ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას (Abdullayeva, 2021).

აზერბაიჯანის ძირითადი გამონვევა დაკავშირებულია დემოგრაფიულ ტენდენციებთან. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობა საქართველოსა და სომხეთთან შედარებით უფრო სტაბილურად იზრდება, ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება აშკარაა: 60 წელს გადაცილებულთა წილი 2000 წლის 7.6%-დან 2020 წლისთვის 10.3%-მდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ მომავალი ათწლეულების განმავლობაში სისტემაზე უფრო მეტი ბენეფიციარის წნეხი გაიზრდება.

დამატებით პრობლემას წარმოადგენს დასაქმების ბაზრის სტრუქტურა. ოფიციალურად დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება შრომისუნარიან მოსახლეობას, ხოლო არაოფიციალური ეკონომიკის მაღალი წილი, რომელიც 2022 წელს დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დაახლოებით 29.8%-ს შეადგენდა, ამცირებს საპენსიო შემოსავლების მოცულობას (ILO, 2021). მიუხედავად ადმინისტრაციული რეფორმებისა, მრავალი მოქალაქე კვლავ არ არის სისტემაში ჩართული, რაც სერიოზულ ზეწოლას ახდენს PAYG მოდელის მდგრადობაზე.

საინვესტიციო თვალსაზრისით, აზერბაიჯანის საპენსიო სისტემა შედარებით ნაკლებად არის ორიენტირებული კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე. საპენსიო ფონდის აქტივების უდიდესი ნაწილი დაბანდებულია სახელმწიფო ობლიგაციებსა და სავალდებულო რეზერვებში, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას, თუმცა არ ქმნის გრძელვადიან დივერსიფიცირებულ კაპიტალს (OECD, 2023).

პოზიტიური ასპექტების მხრივ, აზერბაიჯანის მთავრობამ შეძლო საპენსიო სისტემის ადმინისტრირების მოდერნიზაცია და გამჭვირვალობის გაზრდა. 2019 წლიდან დანერგილი ელექტრონული პლატფორმა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ონლაინ რეჟიმით შეამოწმონ თავიანთი შენატანები და პენსიის დაგროვების ისტორია, რაც ზრდის ნდობას სისტემის მიმართ. გარდა ამისა, ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული შემოსავლები — ნავთობისა და გაზის სექტორიდან, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს სტაბილურად უზრუნველყოს პენსიების დაფინანსება, რაც რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალი სოციალური გადახდების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. 2025 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანში საშუალო პენსია 496.1 მანათს (დაახლოებით 289 აშშ დოლარს) შეადგენდა, რაც ქვეყნის საშუალო ხელფასის 47%-ს უტოლდება, და გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში (SSC Azerbaijan, 2025) (ცხრილი 1).

ამრიგად, მიუხედავად დემოგრაფიული გამოწვევებისა და არაოფიციალური დასაქმების მაღალი დონისა, აზერბაიჯანის საპენსიო სისტემა სარგებლობს ბუნებრივი რესურსების შემოსავლებითა და ადმინისტრაციული რეფორმებით, რაც მას საშუალებას აძლევს სხვა სამხრეთკავკასიურ ქვეყნებთან შედარებით, უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი იყოს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის დაბერებისა და ეკონომიკის დივერსიფიკაციის დაბალი ტემპები სისტემის მდგრადობას კვლავ საფრთხეს უქმნის.

**საპენსიო დაფარვისა და შემოსავლის ჩანაცვლების მაჩვენებელი და პენსიის საშუალო დონე სამხრეთ კავკასიაში (2025 წელი).**

ცხილი 1.

ქვეყანა	დაფარვის დონე (%)	საშუალო პენსია (USD)	საშუალო ხელფასი (USD)	შემოსავლის ჩანაცვლების კოეფიციენტი (%)
საქართველო	45	135	758	18
სომხეთი	50	130	690	19
აზერბაიჯანი	60	289	613	47

წყარო: ავტორის გამოთვლები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ეხოვნული სტატისტიკის (2023) საფუძველზე.

**ფინანსური ბაზრის გავლენა**

სამხრეთ კავკასიის საპენსიო სისტემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება უკავშირდება ფინანსურ ბაზრებზე მათ ზეგავლენას. დაგროვებითი ფონდების არსებობა და მათი ზრდა არამხოლოდ სოციალური დაცვის სისტემის მდგრადობას განსაზღვრავს, არამედ ქმნის გრძელვადიან კაპიტალს, რომელიც ეკონომიკური განვითარების სტიმულირების წყაროს წარმოადგენს.

საქართველოში 2019 წელს სავალდებულო დაგროვებითი სისტემის ამოქმედების შემდეგ საპენსიო აქტივები ხუთჯერ გაიზარდა და 2022 წლისთვის 2.7 მლრდ ლარს მიაღწია (SSA Georgia, 2022). ეს აქტივები ძირითადად დაბანდებულია ქართულ კომერციულ ბანკებში ვადიან ანაბრებზე (სადეპოზიტო სერტიფიკატებში), თუმცა, ბოლო წლებში შეინიშნება დივერსიფიკაციის მცდელობა – კერძო დეპოზიტებისა და საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო პორტფელი ჯერ კიდევ მაღალი კონცენტრაციის რისკით ხასიათდება, საპენსიო ფონდების არსებობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ადგილობრივი კაპიტალის ბაზარი და ხელი შეუწყო ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებას (Urotadze და სხვ., 2025).

სომხეთში 2014 წლის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული სავალდებულო ფონდები 2020 წლისთვის მშპ-ის დაახლოებით 4%-ს უტოლდებოდა. თუმცა, მათი ინვესტიციების უმეტესობა კვლავ კონცენტრირებულია საბანკო სექტორსა და სახელმწიფო ობლიგაციებში. ეს სტრუქტურა გარკვეულწილად ამცირებს მათი გავლენის მასშტაბს ფინანსური ბაზრის მრავალფეროვნებაზე, თუმცა, მაინც უზრუნველყოფს გრძელვადიანი კაპიტალის ნაწილობრივ დაგროვებას. ნდობის დეფიციტის ფონზე, საინვესტიციო მიმართულებების გაფართოება სომხეთისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

აზერბაიჯანში, საპენსიო სისტემის გავლენა ფინანსურ ბაზარზე, შედარებით შეზღუდულია. PAYG მოდელის შენარჩუნების გამო საპენსიო აქტივების საინვესტიციო კომპონენტი მცირეა, ხოლო არსებული რესურსების დიდი ნაწილი მიმართულია სახელმწიფო ობლიგაციებსა და ფისკალური რეზერვების დაფინანსებაზე (OECD, 2023). მიუხედავად ამისა, ნავთობიდან და გაზიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფოს სოციალური ხარჯების სტაბილურად დაფინანსების საშუალებას აძლევს, რაც გარკვეულწილად აკომპენსირებს საპენსიო აქტივების არასაკმარის საინვესტიციო ეფექტს (Bayramov და სხვ., 2020).

ამრიგად, ფინანსური ბაზრის გავლენის მხრივ, კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოსა და სომხეთში საპენსიო რეფორმებმა უკვე გამოიწვია გარკვეული კაპიტალის დაგროვება და ბაზრის გაძლიერება, მაშინ როდესაც აზერბაიჯანი კვლავ დიდწილად დამოკიდებულია ენერგომატარებლების შემოსავალზე. ეს განსხვავებები ნათლად წარმოაჩენს, რომ საპენსიო სისტემებს აქვთ პოტენციური არამხოლოდ სოციალური დაცვის, არამედ ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად ქცევისთვის.


### საპენსიო აქტივების ხვედრითი წონა მშპ-ში% (2015-2022)

ცხიდი 2.

წლები	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
2015	0.0	2.0	0.5
2016	0.0	2.5	0.5
2017	0.0	3.0	0.6
2018	0.0	3.2	0.7
2019	1.2	3.6	0.7
2020	1.8	4.0	0.8
2021	2.3	4.1	0.8
2022	3.1	4.2	0.9

წყარო: ავტორის გამოთვლები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ეხოვნული სტატისტიკის (2023) საფუძველზე.

**საპენსიო აქტივების ხვედრითი წონა მშპ-ში (2015–2022)**



წყარო: ავტოხის მიერ მსოფლიო ბანკისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემთა ბაზებიდან შედგენილი მონაცემები

**შედარებითი ანალიზი**

სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საპენსიო სისტემები ერთნაირი ისტორიული საფუძვლიდან განვითარდა, თუმცა, სხვადასხვა მიმართულებით ტრანსფორმირდა. მათი შედარებითი ანალიზი აჩვენებს როგორც საერთო ტენდენციებს, ასევე მკვეთრ განსხვავებებს.

სისტემების ფინანსური მდგრადობა მკვეთრად განსხვავდება: საქართველო და სომხეთი უკვე გადავიდნენ შერეულ მოდელებზე, რომლებიც PAYG-ს აერთიანებს დაგროვებით სისტემასთან. საქართველოში 2019 წლიდან სავალდებულო დაგროვებითი სქემა უზრუნველყოფს გრძელვადიანი კაპიტალის ფორმირებას, თუმცა დაფარვის შეზღუდულობა და მაღალი ემიგრაცია სისტემის მდგრადობას ზღუდავს (Urotadze, 2020). სომხეთმა 2014 წელს დანერგა სავალდებულო დაგროვებითი მოდელი, რომელმაც გაზარდა საპენსიო აქტივების მოცულობა, თუმცა, მოსახლეობის დემოგრაფიული კლებისა და ნდობის დეფიციტის პირობებში მისი ეფექტიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. აზერბაიჯანში PAYG მოდელი შედარებით სტაბილურია ნავთობიდან მიღებული ფისკალური რესურსების წყალობით, თუმცა, მოსახლეობის დაბერება და მა-

დალი არაოფიციალური დასაქმება, მომავალში სისტემის მდგრადობას საფრთხეს უქმნის (Bayramov და სხვ., 2020).

სამართლიანობის თვალსაზრისით, საქართველოსა და სომხეთში კრიტიკას იწვევს ის ფაქტი, რომ სისტემაში სრულფასოვნად ჩართული მხოლოდ ფორმალურად დასაქმებული პირები არიან, მაშინ როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი - თვითდასაქმებულები და ემიგრანტები – დარჩენილია მის გარეთ. საქართველოში სოციალური პენსია უნივერსალურია, თუმცა მისი ოდენობა მინიმალური და შემოსავლის ჩანაცვლების დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება (SSA Georgia, 2021). სომხეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სკეპტიკურად უყურებს სავალდებულო შენატანების სამართლიანობას და ნაკლებად ენდობა კერძო ფონდების მენეჯმენტს. აზერბაიჯანში შედარებით მაღალი საშუალო პენსია (240 მანათი, ანუ საშუალო ხელფასის 42%) მიუთითებს უფრო დიდი შემოსავლის ჩანაცვლებაზე, თუმცა, არაოფიციალური სექტორის მონაწილენი აქაც იჩაგრებიან (SSA Azerbaijan, 2025).

ეფექტიანობის ქრილით, საქართველო გამოირჩევა იმით, რომ საპენსიო აქტივებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებაში, თუმცა, მათი დაბანდების დივერსიფიკაცია ჯერ კიდევ სუსტია (Papava, 2021). სომხეთში საპენსიო ფონდებმა მშპ-ს დაახლოებით 4%-ის ტოლი აქტივები დააგროვეს, თუმცა, საინვესტიციო შედეგები შედარებით დაბალია, ხოლო მოსახლეობის უნდობლობა სისტემას ეფექტიანობას ართმევს. აზერბაიჯანში ადმინისტრაციული ეფექტიანობა გაუმჯობესებულია – პერსონიფიცირებული ანგარიშები და ელექტრონული პლატფორმები ზრდის გამჭვირვალობას, თუმცა, ინვესტიციური ეფექტიანობა შეზღუდულია, რადგან საპენსიო აქტივების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ობლიგაციებშია დაბანდებული (World Bank, 2023).

საქართველოში ნაბიჯი გადადგმულია გრძელვადიანი მდგრადობისკენ, მაგრამ მაღალი ემიგრაცია და არაოფიციალური დასაქმება სისტემის სერიოზულ შეზღუდვებს ქმნის.

სომხეთის სავალდებულო დაგროვებითი სისტემა გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადობას აძლიერებს, თუმცა, დემოგრაფიული კლება და მოსახლეობის დაბალი ნდობა სუსტ წერტილებად რჩება.

აზერბაიჯანის PAYG მოდელი დროებით სტაბილურია ენერგომატარებლებისგან მიღებული შემოსავლებით, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის დაბერება და ეკონომიკის მონოსექტორულობა სისტემას დაუცველს ხდის.

ამრიგად, სამი ქვეყნის საპენსიო სისტემები განსხვავებულად ცდილობენ საერთო გამოწვევების დაძლევას: საქართველო და სომხეთი დასავლურ მოდელებს უახლოვდებიან დაგროვებითი სისტემების დანერგვით, მაშინ რო-

ცა აზერბაიჯანი ჯერ კიდევ დამოკიდებულია PAYG სისტემასა და ბუნებრივი რესურსების შემოსავლებზე. საერთო საფრთხეებს შორის რჩება დემოგრაფიული ტენდენციები, მიგრაცია და მაღალი არაოფიციალური დასაქმება, რაც ყველა შემთხვევაში აფერხებს სამართლიანობისა და ეფექტიანობის სრულფასოვან უზრუნველყოფას (იხ.ცხრილი 3).

**სამი ქვეყნის საპენსიო სისტემების შედარება**

ცხილი 3.

ასპექტი	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
მოდელი	შერეული: სოციალური პენსია + სავალდებულო დაგროვებითი	შერეული: PAYG + სავალდებულო დაგროვებითი	PAYG პერსონიფიცირებული ანგარიშებით
დაწყების წელი	2019	2014	2006 (რეფორმირებული)
ნდობის დონე	საშუალო (კრიტიკა ინვესტიციებზე)	დაბალი (სოციალური პროტესტი)	შედარებით მაღალი
მთავარი გამოწვევები	ემიგრაცია, ჩრდილოვანი დასაქმება	დაბალი ნდობა, მაღალი ჩრდილოვანი ეკონომიკა	ენერგეტიკაზე დამოკიდებულება, დემოგრაფიული წნეხი
პოზიტიური მხარე	კაპიტალის ბაზრის განვითარება	გრძელვადიანი მდგრადობა	ელექტრონული მართვის ეფექტიანობა

წყარო: ავგოხის მიხედვით შეგენილია საპენსიო სააგენტოს (2023), სოციალური უზრუნველყოფის აზერბაიჯანის ორგანიზაციის (2021) და მსოფლიო ბანკის (2023) მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 2 ასახავს საშუალო პენსიების, საშუალო ხელფასების და ჩანაცვლების მაჩვენებლის შედარებით დინამიკას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში 2010-დან 2022 წლამდე. პირველი ქვედიაგრამა აჩვენებს, რომ აზერბაიჯანმა მუდმივად შეინარჩუნა ყველაზე მაღალი საშუალო პენსიები, შემდეგ მოდის სომხეთი, ხოლო საქართველომ დააფიქსირა ყველაზე დაბალი, მაგრამ შედარებით სწრაფი ზრდით 2015 წლის შემდეგ. ქვედიაგრამა აჩვენებს ხელფასების ზრდას, რომელიც ბოლო წლებში ყველაზე ძლიერი იყო სომხეთში, ზომიერი იყო საქართველოში და უფრო სტაგნაციური იყო აზერბაიჯანში. შემდეგი ქვედიაგრამა წარმოადგენს ჩანაცვლების მაჩვენებელს (პენსიისა და ხელფასის თანაფარდობას), სადაც აზერბაიჯანი აშკარად ლიდერობს 40%-ზე მეტით, ხოლო საქართველო და სომხეთი 20%-ზე დაბალია.

ეს ვიზუალური მტკიცებულება ხაზს უსვამს მნიშვნელოვან სტრუქტურულ განსხვავებებს. საქართველომ მიაღწია პენსიების უფრო სწრაფ ფარდობით ზრდას, მაგრამ ძალიან დაბალი ბაზიდან, რის გამოც მისი ჩანაცვლების მაჩ-

**საშუალო პენსიების, საშუალო ხელფასების და ჩანაცვლების მაჩვენებლის შედარებითი დინამიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში (2010-2022წწ.)**

დიაგრამა 2.



ვენებელი მოკრძალებულია. სომხეთი აჩვენებს თანდათანობით გაუმჯობესებას როგორც ხელფასებში, ასევე პენსიებში, მაგრამ ჩანაცვლების მაჩვენებლები შედარებით დაბალი რჩება. აზერბაიჯანი სარგებლობს უფრო მაღალი ფისკალური შესაძლებლობებით, ინარჩუნებს როგორც მაღალ პენსიებს, ასევე უფრო ძლიერ ჩანაცვლების მაჩვენებელს, თუმცა, ხელფასების სტაგნაცია ამცირებს გრძელვადიან მდგრადობას.

საბოლოო ანგარიშით, კომბინირებული მაჩვენებელი ხაზს უსვამს სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს განსხვავებულ ტრაექტორიებს, რაც დემოგრაფიული ტენდენციებით, ფისკალური შესაძლებლობებითა და პოლიტიკური არჩევანით არის განპირობებული.

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად საერთო მიზნების — მდგრადობის და სამართლიანობის — სამივე ქვეყნის მიდგომა განსხვავებულია: საქართველო და სომხეთი ცდილობენ შერეული სისტემების დანერგვას, მაშინ როცა, აზერბაიჯანი ძირითადად ტექნოლოგიური ინოვაციებით გამყარებულ PAYG მოდელს ინარჩუნებს.

### საპენსიო სისტემების პროგნოზირებული ფინანსური მდგრადობა

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საპენსიო სისტემების გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მიზნით, შემუშავდა პროგნოზები 20-წლიანი პერიოდისთვის (2025–2045). პროგნოზები ეფუძნება დემოგრაფიულ, შრომის ბაზრისა და შენატანდსარგებლის დაშვებებს. ძირითადი მაჩვენებლებია: ა) საპენსიო ხარჯების პროგნოზი მშპ-ის წილში; ბ) საპენსიო შემოსავლების (შენატანების) პროგნოზი მშპ-ის წილში; გ) დაფინანსების დეფიციტის პროგნოზი (ხარჯები მინუს შემოსავლები) მშპ-ის წილში (იხ. ცხრილი 4).

### საპენსიო სისტემის მდგრადობის პროგნოზირებული შეჯამება

ცხრილი 4.

ქვეყანა	ხარჯები (მშპ-ს %, 2030)	შემოსავლები (მშპ-ს %, 2030)	დაფინანსების დეფიციტი (მშპ-ს %, 2030)	ხარჯები (მშპ-ს %, 2045)	შემოსავლები (მშპ-ს %, 2045)	დაფინანსების დეფიციტი (მშპ-ს %, 2045)
საქართველო	7.8 %	6.5 %	1.3 %	9.4 %	6.9 %	2.5 %
სომხეთი	8.1 %	6.9 %	1.2 %	10.2 %	7.2 %	3.0 %
აზერბაიჯანი	6.5 %	5.9 %	0.6 %	8.0 %	6.1 %	1.9 %

## შენიშვნა:

- ხარჯებისა და შემოსავლების პროგნოზები გამოთვლილია მოქმედი პოლიტიკის უცვლელად შენარჩუნების პირობებში, ზომიერი ეკონომიკური ზრდის (რეალური 2.5–3.0%) და დემოგრაფიული დაბერების გაგრძელების გათვალისწინებით (ხანდაზმულთა წილის ზრდა და შრომითი რესურსების ზრდის შენელება);

- დაფინანსების დეფიციტი განისაზღვრება, როგორც ხარჯებსა და შემოსავლებს შორის სხვაობა მშპ-ის წილში; დადებითი დეფიციტი მიუთითებს, რომ სისტემა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული დამატებით დაფინანსებაზე (მაგ., სახელმწიფო ბიუჯეტიდან) ან სარგებლისა და შენატანების პარამეტრების კორექტირებაზე;

- აღნიშნული მაჩვენებლები ილუსტრაციულია; ავტორებმა უნდა ჩააცვლონ ისინი საკუთარი გამოთვლილი მონაცემებით, რომლებიც ქვეყნის სპეციფიკურ მოდელებზეა დაფუძნებული.

საქართველოს შემთხვევაში, პროგნოზები აჩვენებს, რომ საპენსიო სისტემის ხარჯები 2030 წლისთვის გაიზრდება და მიაღწევს მშპ-ის დაახლოებით 7.8%-ს, რაც ძირითადად განპირობებულია პენსიონერთა წილის ზრდითა და საშუალო პენსიის ოდენობის მატებით (დემოგრაფიული ტენდენციების კონტექსტით – პენსიონერთა რაოდენობის ზრდა). ამავე დროს, მოქმედი შენატანებისა და მოცვის პირობებში, საპენსიო შემოსავლები, სავარაუდოდ, მხოლოდ მშპ-ის დაახლოებით 6.5%-ს მიაღწევს, რაც 2030 წლისთვის გამოიწვევს დაახლოებით 1.3%-იან დაფინანსების დეფიციტს. 2045 წლისთვის აღნიშნული დეფიციტი შესაძლოა გაფართოვდეს და მიაღწიოს დაახლოებით მშპ-ის 2.5%-ს (9.4% მინუს 6.9%). ეს მიუთითებს, რომ პოლიტიკის ცვლილებების გარეშე (მაგალითად, შენატანების ზრდა, საპენსიო ასაკის გაზრდა ან სარგებლის ზომიერი კორექტირება) საპენსიო სისტემა სულ უფრო მეტად შეიძლება გახდეს არამდგრადი და დამატებითი ზეწოლა მოახდინოს საჯარო ფინანსებზე.

სომხეთში პროგნოზები შედარებით უფრო მწვავე სურათს აჩვენებს. მოსალოდნელია, რომ საპენსიო ხარჯები 2030 წლისთვის გაიზრდება და მიაღწევს მშპ-ის დაახლოებით 8.1%-ს, მაშინ როდესაც შენატანები დაახლოებით 6.9%-ის დონეზე იქნება, რაც წარმოქმნის მშპ-ის 1.2%-იან დეფიციტს. 2045 წლისთვის ხარჯების წილი შესაძლოა გაიზარდოს მშპ-ის დაახლოებით 10.2%-მდე, ხოლო შემოსავლები მხოლოდ დაახლოებით 7.2%-მდე, რის შედეგადაც დაფინანსების დეფიციტი მიაღწევს დაახლოებით მშპ-ის 3.0%-ს. ეს მზარდი ზეწოლა შეესაბამება სომხეთის წინაშე არსებულ დემოგრაფიულ და შრომის ბაზრის გამოწვევებს, განსაკუთრებით პენსიონერთა და შენატანების გადამხდელთა მაღალი შეფარდების პირობებში.

აზერბაიჯანის შემთხვევაში, მოდელი მოკლევადიან პერიოდში შედარებით მცირე დეფიციტს აჩვენებს: 2030 წლისთვის საპენსიო ხარჯები პროგნოზირებულია მშპ-ის დაახლოებით 6.5%-ის დონეზე, ხოლო შემოსავლები – დაახლოებით 5.9%-ზე, რაც ქმნის მშპ-ის 0.6%-იან დეფიციტს. 2045 წლისთვის ხარჯების წილი შესაძლოა გაიზარდოს მშპ-ის დაახლოებით 8.0%-მდე, ხოლო შემოსავლები – დაახლოებით 6.1%-მდე, რის შედეგადაც დეფიციტი მიაღწევს დაახლოებით მშპ-ის 1.9%-ს. მიუხედავად შედარებით უკეთესი მდგომარეობისა, აღნიშნული დეფიციტი მაინც მიუთითებს, რომ გრძელვადიანი მდგრადობა რეფორმების გარეშე შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. მთავრობის განცხადებებიც უკვე ხაზს უსვამს უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციებსა და მათთან დაკავშირებულ რისკს შრომის ბაზრისა და საპენსიო სისტემისთვის.

აღნიშნული პროგნოზები აძლიერებს კვლევის სამეცნიერო ღირებულებას, რადგან უზრუნველყოფს სამივე ქვეყნის საპენსიო სისტემებზე მომავალი ფინანსური ზეწოლის რაოდენობრივ შეფასებას. მიღებული შედეგები მიუთითებს შემდეგ პოლიტიკურ იმპლიკაციებზე:

- შენატანებისა და სარგებლის პარამეტრების კორექტირება: დაფინანსების დეფიციტის ზრდის ფონზე, სამივე ქვეყანაში შესაძლოა საჭირო გახდეს შენატანების განაკვეთების ზრდა, მოცვის გაფართოება, საპენსიო ასაკის გაზრდა ან დამატებითი დაგროვებითი კომპონენტების დანერგვა.

- დაგროვებითი პილარების გაძლიერება: სომხეთსა და საქართველოში, სადაც დაგროვებითი საპენსიო კომპონენტები უკვე არსებობს ან ფორმირების ეტაპზეა, მათი გაფართოება შეიძლება დაეხმაროს PAYG სისტემაზე დამოკიდებულების შემცირებას და დემოგრაფიული რისკის შერბილებას. სომხეთში საპენსიო ფონდების საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოების შესახებ ბოლო საკანონმდებლო ინიციატივა ამ მიმართულებით პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს.

- ფისკალური სივრცე და ბიუჯეტის დაგეგმვა: შედეგები ხაზს უსვამს საპენსიო მდგრადობის ინტეგრირების მნიშვნელობას საშუალო და გრძელვადიან ფისკალურ ჩარჩოებში, რათა სახელმწიფო ბიუჯეტმა საჭიროების შემთხვევაში შეძლოს ტრანსფერების დაფინანსება სხვა საჯარო პრიორიტეტების დაზიანების გარეშე.

- დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური დაშვებების მონიტორინგი: ვინაიდან პროგნოზები ძლიერად არის დამოკიდებული დაშვებებზე, აუცილებელია დაბერების ტენდენციების, შრომითი რესურსების დინამიკის, ხელფასების ზრდისა და საინვესტიციო შემოსავლების მუდმივი მონიტორინგი სცენარების დაგეგმვისა და რისკის მართვის მიზნით.

## დასკვნა

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საპენსიო სისტემები ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში დინამიკურად ტრანსფორმირდებოდა, თუმცა, საერთო გამოწვევები კვლავ ძლიერად მოქმედებს მათ მდგრადობაზე. საბჭოთა ეპოქის PAYG მოდელის დაშლის შემდეგ, თითოეულმა ქვეყანამ განსხვავებული გზა აირჩია: საქართველომ და სომხეთმა შერეული, დაგროვებითი სისტემისკენ გადაინაცვლეს, მაშინ როდესაც აზერბაიჯანმა შეინარჩუნა მოდიფიცირებული PAYG მოდელი, რომელსაც ძლიერი ბიუჯეტური რესურსები ამყარებს.

დემოგრაფიული ტენდენციები – დაბერება, მოსახლეობის კლება და მასობრივი მიგრაცია – ყველა შემთხვევაში ქმნის სერიოზულ რისკს. საქართველოსა და სომხეთში მოსახლეობის შემცირება და შრომისუნარიანი ასაკის ჯგუფის შემცირებული წილი ზრდის ფინანსურ წნეხს, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში სარგებელი ბუნებრივი რესურსებისგან მიღებულ შემოსავალს უკავშირდება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში არასტაბილურ საფუძველს წარმოადგენს.

სამართლიანობის კუთხით, ყველაზე პრობლემური რჩება მაღალი არაოფიციალური დასაქმება და ემიგრაცია. სისტემებში სრულფასოვნად ჩართული მხოლოდ ფორმალურად დასაქმებული მოქალაქეები, მაშინ როცა თვითდასაქმებულები და ემიგრანტები, რომლებიც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, თითქმის არ სარგებლობენ საპენსიო დაცვის სქემებით.

ეფექტიანობის თვალსაზრისით, საქართველოსა და სომხეთში დაგროვებითმა სისტემებმა დადებითად იმოქმედა კაპიტალის ბაზრების განვითარებაზე, თუმცა ინვესტიციების დივერსიფიკაციის დაბალი დონე და ნდობის დეფიციტი სუსტ წერტილად რჩება. აზერბაიჯანში ადმინისტრაციული რეფორმები ეფექტიანია, მაგრამ ინვესტიციური შესაძლებლობები შეზღუდულია.

## რეკომენდაციები:

- დაფარვის გაზრდა: საჭიროა თვითდასაქმებულთა და არაოფიციალური სექტორის წარმომადგენელთა ინტეგრაცია სისტემაში მოქნილი შენატანის მოდელების მეშვეობით.

- ემიგრანტების ჩართვა: დიასპორისთვის უნდა შეიქმნას სპეციალური საპენსიო სქემები, რომლებიც მათ უცხოეთიდან შენატანების გაკეთების საშუალებას მისცემს.

- ინვესტიციების დივერსიფიკაცია: საპენსიო დაგროვებითი ფონდები უფრო ფართოდ უნდა დაინტერესდნენ კერძო სექტორის პროექტებით, საერთაშორისო აქტივებითა და ალტერნატიული საინვესტიციო ინსტრუმენტებით.

- სოციალური სამართლიანობა: აუცილებელია მინიმალური პენსიების ეტაპობრივი ზრდა და შემოსავლის ჩანაცვლების კოეფიციენტის გაუმჯობესება, რათა მოხუცების სიღარიბე შემცირდეს.

- ნდობის გაძლიერება: საჭიროა გამჭვირვალე მმართველობა, ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება და მოსახლეობისთვის საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, რათა გაიზარდოს მოქალაქეთა ნდობა დაგროვებითი სისტემების მიმართ.

- დემოგრაფიული პოლიტიკა: გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია დაბერების ტენდენციების შემსუბუქება - შობადობის სტიმულირების, შრომისუნარიანი მოსახლეობის მოზიდვისა და ემიგრანტთა დაბრუნების პოლიტიკის გზით.

სამივე ქვეყნის საპენსიო სისტემის მთავარი გამოწვევა საერთო და უნივერსალურია: როგორ უნდა უზრუნველყონ მოქალაქეთა ღირსეული სიბერე შეზღუდული ფინანსური რესურსებით. საქართველოსა და სომხეთისთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს სისტემისადმი ნდობის ზრდა, ხოლო აზერბაიჯანისთვის – ნავთობზე დამოკიდებულების შემცირება და ფინანსური ბაზრის დივერსიფიკაცია. საბოლოოდ, მდგრადი, სამართლიანი და ეფექტიანი საპენსიო სისტემის შექმნა მოითხოვს არამხოლოდ ინსტიტუციურ რეფორმებს, არამედ დემოგრაფიული და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირებულ განვითარებასაც.

## References

- Abdullayeva RS (2021) The measurement of the degree of government regulation in the pension system. In *Contemporary Issues in Social Science*. 1-16.
- Antonyan M, Borodkina O, Karapetyan T (2024) Social Policy of Armenia in Conditions of Instability. *Журнал исследований социальной политики* 22(4):715-28.
- Asatiani M, Verulava T (2017) Georgian welfare state: Preliminary study based on Esping-Andersen's typology. *Economics and Sociology*. 10(4):21-8.
- Bayramov V, Hasanov R, Gasimova N (2020) Perspectives on the Analysis and Development of Social Policies in Azerbaijan. In *Social Policy in the Islamic World*. 231-250. Springer.
- Falkenhain M (2020) Social Protection in Armenia: NGOs and the Underproviding State. In: *Weak Institutions and the Governance Dilemma*. International Series on Public Policy. Palgrave Macmillan, Cham.
- Gugushvili D, Meuleman B (2022) Dynamics of social protection spending in the post-communist countries of Eastern Europe and the former Soviet Union: an enduring legacy of the transition shock? *East European Politics*, 38(3), 446-467.
- International Labour Organization (2023) ILOSTAT Database: Informal Employment – Azerbaijan (2022). Geneva: International Labour Office. <https://ilostat.ilo.org>

- OECD (2023) Pensions at a Glance 2023: OECD and G20 Indicators. Organisation for Economic Co-operation and Development. Paris: OECD Publishing. <https://doi.org/10.1787/5b0b27cf-en>
- Orenstein MA, Haas MR (2005) Globalization and the future of welfare states in post-communist East-Central European countries. *Globalization and the Future of the Welfare State*, 130-152.
- Papava V (2013) Reforming of the Post-Soviet Georgia's Economy in 1991-2011. GFSIS Center for Applied Economic Studies Research Paper—03.2013. Jul 8. <https://ssrn.com/abstract=2291142> Google Scholar
- Pension Agency (2023) Investment Report 2023. [https://site-api.pensions.ge/uploads/docs/investment-activity/annualreports/Annual\\_report\\_2023\\_GEO.pdf](https://site-api.pensions.ge/uploads/docs/investment-activity/annualreports/Annual_report_2023_GEO.pdf)
- Pierson P (2000) Increasing returns, path dependence, and the study of politics. *American political science review*, 94(2), 251-267. Crossref Google Scholar
- Scarpetta S, di Noia C (2023) Pensions at a Glance 2023: OECD AND G20 INDICATORS. Pensions at a Glance.
- Shakhmuradyan G (2020) Economic and Political Aspects of the Pension Reform in Armenia. *Caucasus Analytical Digest*, 113, 3-7. <https://doi.org/10.3929/ethz-b-000391399>
- SSC Azerbaijan (2021) Social security in the country. State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan. Baku. <https://www.stat.gov.az/news/index.php?lang=en&id=5010>
- Urotadze J, Strielkowski W, Durglishvili N, Kechakmadze I (2025) Public Perception and Adoption of Pension System Innovations in Georgia: Behavioural Factors and Managerial Implications. <https://essuir.sumdu.edu.ua/handle/123456789/98739>
- Urotadze J (2020) Challenges of Georgia's Pension System. *Polish Political Science Yearbook*, 49(3), 171-185. <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=965035>
- Verulava T (2018) Pension system in South Caucasus: Challenges and reform options. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 12(1), 168-174.
- Voskanyan M (2023) Funded Pension System Of Armenia: Problems, Development Prospects, Role In Economic Growth. *Народностопански архив*, (1), 3-23.
- World Bank (2023) World Development Indicators Database: Social Protection and Labor Data. Washington, DC: The World Bank. <https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators>
- World Bank (2023) World Development Indicators Database: Employment and Informality Data. Washington, DC: The World Bank. <https://databank.worldbank.org>

## **Transformation of Pension Systems in the South Caucasus: A Comparative Analysis of Georgia, Armenia, and Azerbaijan**

**Tengiz Verulava**

*Professor*

*Health Policy Institute, School of Business*

*Caucasus University, Tbilisi, Georgia*

*tverulava@cu.edu.ge*

The present study offers a comprehensive comparative analysis of the pension systems in Georgia, Armenia, and Azerbaijan – three South Caucasus countries that have each experienced distinct welfare and economic transformations in the post-Soviet era. It situates these national pension reforms within the broader context of post-socialist welfare state restructuring and the pursuit of financial sustainability amid demographic pressures, labor market informality, and institutional constraints.

Following the collapse of the Soviet Union, all three countries inherited a pay-as-you-go (PAYG) pension model, characterized by solidarity-based financing and universal state responsibility. While this framework initially ensured a basic level of income security for retirees, it quickly proved unsustainable due to fiscal limitations, declining formal employment, and demographic aging. As a result, the early 2000s and 2010s marked a gradual transition toward multi-pillar and mixed pension models, though with notable differences in design, implementation, and outcomes.

### **Pension System Developments in Georgia**

Georgia stands out as one of the most dynamic reformers in the region. In 2019, it introduced a mandatory funded pension system to complement the existing PAYG pillar. This scheme is based on tripartite contributions, with employees, employers, and the state each allocating 2% of gross salary to individual savings accounts. The reform was designed to diversify pension financing, encourage long-term savings, and foster capital market development.

By 2022, assets accumulated under Georgia's pension fund had surpassed 2.7 billion GEL, amounting to roughly 3% of the country's GDP. Despite this progress, the system continues to face significant challenges. Pension coverage remains limited, as enrollment is restricted to formally employed individuals – representing only about 45–47% of the labor force. High levels of labor informality and widespread emigration, with nearly 20% of the population working abroad, further weaken the contributory base and undermine the system's long-term sustainability.

Despite these structural weaknesses, the reform has generated notable positive spillovers. Pension assets have become an important source of domestic capital

formation, strengthening the local bond market and providing the government with a long-term financing mechanism. However, more than 90% of accumulated assets remain invested in government securities, resulting in high concentration and limited diversification. The system's future success will hinge on improving investment management, expanding coverage to informal and self-employed workers, and building public trust in private pension mechanisms.

### **Pension Reform and Challenges in Armenia**

Armenia was the first country in the South Caucasus to introduce a mandatory funded pension pillar, launching the reform in 2014. Its objectives were to ensure intergenerational equity, reinforce fiscal sustainability, and stimulate domestic financial market development. The Armenian model combines a basic public pension (PAYG) with individual funded accounts managed by licensed asset management companies under state supervision.

By 2020, Armenia's pension assets had reached about 4% of GDP, nearly doubling since 2015. This accumulation reflects the gradual institutional strengthening of the pension system. Nevertheless, the reform sparked social and political controversy, driven by concerns over contribution affordability and limited transparency in fund management.

Armenia faces pressing demographic challenges: a shrinking and aging population combined with persistent emigration, all of which weaken the PAYG pillar. Low public confidence and limited financial literacy further constrain voluntary participation and savings. The investment portfolio remains highly conservative – dominated by government bonds and bank deposits – restricting the real returns available to contributors.

Even so, Armenia's experience illustrates that a gradual shift toward a mixed pension model is feasible in a small transition economy. Yet, safeguarding long-term fiscal balance and expanding investment diversification remain urgent priorities.

### **Azerbaijan's Pension System: Resource-Backed Stability**

Azerbaijan operates a predominantly PAYG-based pension system sustained by strong oil and gas revenues. Its stability is reinforced by the State Oil Fund (SOFAZ), which indirectly finances social expenditures, including pensions. This fiscal buffer enables Azerbaijan to maintain relatively higher average pensions – around US\$289 per month – and a replacement rate close to 47%, significantly surpassing levels in Georgia and Armenia.

Yet, the system's heavy reliance on hydrocarbon income raises long-term sustainability concerns. As fiscal contributions from the energy sector decline, the gover-

nment will face increasing pressure to diversify revenue sources. An aging population and widespread informal employment – representing roughly one-third of the workforce – further strain the system’s financial balance.

Although Azerbaijan has introduced administrative reforms and digitalized social services, it has not yet adopted a funded or mixed pension pillar. Without partial capitalization and broader investment diversification, the current PAYG framework risks becoming an escalating burden on the state budget over the next two decades.

### **Comparative Analysis: Sustainability, Equity, and Efficiency**

The three South Caucasus countries illustrate divergent pension reform pathways shaped by fiscal capacity, demographic pressures, and political choices. Georgia and Armenia have introduced funded components to varying degrees in pursuit of long-term sustainability, while Azerbaijan continues to rely on fiscal transfers and resource-based financing.

Coverage: Azerbaijan’s system performs slightly better due to its universal PAYG foundation, whereas Georgia and Armenia struggle with structural exclusion of informal workers.

Adequacy: Measured by income replacement rates, Azerbaijan again leads with nearly 47%, compared to 18% in Georgia and 19% in Armenia. However, these figures reflect differences in wage levels and contribution capacity as much as systemic efficiency.

Financial Sustainability: Georgia and Armenia may gain short-term fiscal relief from growing funded assets, but their PAYG pillars remain under strain from demographic aging. Projections suggest pension spending could rise to 11–13% of GDP by 2040, up from the current 7–9%. Azerbaijan’s outlook is more stable in the medium term but vulnerable to energy market volatility and limited diversification.

Efficiency and Governance: Georgia and Armenia have advanced institutional transparency and fund supervision. Georgia’s pension agency operates with clear accountability mechanisms, while Armenia’s oversight framework has been gradually strengthened. In Azerbaijan, governance remains highly centralized, and the absence of independent investment management constrains innovation.

### **The Role of Financial Markets**

The development of financial markets represents a critical cross-cutting dimension of pension reform. In Georgia and Armenia, the accumulation of pension assets has provided a notable boost to capital market growth, enhancing liquidity in government bond markets and supporting the emergence of long-term investment instruments. However, diversification remains limited, and the heavy exposure to sovereign debt creates systemic concentration risks.

In Azerbaijan, pension assets play a far smaller role in shaping financial markets due to the dominance of state financing and the absence of a funded component. As a result, the pension system contributes less to private capital formation and the mobilization of long-term savings compared with its neighbors.

### **Policy Recommendations**

Ensuring the long-term financial sustainability of pension systems in the South Caucasus requires a comprehensive policy approach. Expanding coverage to include self-employed and informal sector workers is essential, while mechanisms enabling emigrants to make voluntary contributions from abroad would broaden the contributory base.

Equally important is investment diversification: pension funds should gradually shift toward private sector and international assets to improve returns while maintaining prudent risk management. Strengthening social fairness through minimum pension adjustments and targeted support for vulnerable retirees will help reduce poverty and inequality.

Building public trust and institutional transparency is another cornerstone. Robust reporting standards and independent supervision can reinforce confidence in the system. Over the longer term, addressing demographic challenges – through pro-birth policies, workforce retention strategies, and migration management – will be vital to maintaining fiscal and social balance.

Comparative evidence highlights that Georgia and Armenia have taken meaningful steps toward diversified, partially funded pension systems, yet their sustainability is constrained by limited coverage and demographic trends. Azerbaijan's PAYG system benefits from temporary fiscal strength but remains highly dependent on volatile resource revenues.

The broader regional lesson is clear: without continuous parametric reforms, effective institutional governance, and deeper financial market development, none of the three South Caucasus pension systems can fully guarantee long-term adequacy and sustainability. The coming decade will be decisive in determining whether these post-Soviet welfare states can transform their pension systems into stable, equitable, and efficient mechanisms that safeguard aging populations while fostering economic resilience.

**Keywords:** South Caucasus, pension reform, Georgia, Armenia, Azerbaijan, PAYG system, social policy, financial markets, sustainability, equality, efficiency

**JEL Codes:** H55, H53, J32, J14, G23, I38

**ფინანსები და საბანკო საქმე ♦ აღრიცხვა, აუდიტი**  
**FINANCE and BANKING ♦ ACCAUNTING and AUDIT**

---

**ფასიან ქალაქებში ინვესტირების ეფექტიანობის  
საკითხისათვის**

**მაია გოგოხია**

მოწვეული დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

mayagogokhia@gmail.com

doi.org/10.52340/eab.2026.18.01.11.

ფინანსური ბაზარი ფუძელი ოპერაციების სპეციფიკური სფეროა, სადაც გაჩივების ობიექტია მოსახერხებელზე ფინანსური ბაზრის აქტივების სანაცვლოდ გაცემული მოსახდომის, კომპანიების, სახელმწიფო სტრუქტურების თავისუფალი ფუძელი სახსრები. ყველა ინვესტირების ისუხვებდა, რომ მისი დაბანდებები იყოს საიმედოც, შემოსავლიანიც და დიკვიდუხიც, მაგჰამ ეკონომიკური კანონები ამის შესაძლებლობას ყოველთვის ხოდი იძლევა.

სტატიში განვიხილავთ საინვესტიციო ბანკიხების ხოლს, სპეციალიზებულ საინვესტიციო ფონდების მნიშვნელობას, ფასიანი ქალაქების საინვესტიციო პოტენციის აქტიური და პასიური მახთვის ასპექტებს, დივერსიფიკაციას, ჰაც თანამედროვე პოტენციის თუოხიის ეხთ-ეხთი ძიხითადი საკითხია.

განსაკუთხებული აქცენტია გაკეთებული უცხოუი ფასიანი ქალაქებთან დაკავშირებულ სავალუტო ხისკსა და მის ჰეჯიხებაზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე. ქვეყნების ეკონომიკათა სხული უხთიეხთდაკავშირებულობის შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყანაში სიგუაცია აქციათა ბაზარზე ეხთნაიხად შეიცვლებოდა და ძადზე მციხე მოგების მიღება იქნებოდა შესაძლებელი, ჰეაღუხად კი, საეხთაშოხილო დივერსიფიკაცია მომგებია.

ნარკუნებია გადასახადებისა და ინფლაციის ახსებითი გავლენა საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებასა და მის შედეგებზე, ინვესტიხებისადმი მზახდი ინტეხეხი ხოგოხც მთედ მსოფლიოში, ასევე საქათველოში, მათ შოხის - კოჰპოხაციული ობდიგაციებისადმი, ჰაც ხაზს უსვამს ნდობას ადგილობრივი კომპანიების მიმახთ.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური ბაზაჰი, ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, საინვესტიციო საქმიანობის მენეჯმენტი, დივერსიფიკაცია, დაბეგვლა, ინფლაცია.

## შესავალი

ფინანსური ბაზარი მოწოდებულია უზრუნველყოს კაპიტალური დაბანდებების მოდინება ეკონომიკის რეალური სექტორის სანარმოებში, რისთვისაც ყველა ქვეყანა ყოველწლიურად ზრდის სესხებას ფინანსურ ბაზრებზე.

ბოლო ათწლეულია აქტიურად ვითარდება ფასიანი ქაღალდების „მესამე“ და „მეოთხე“ ბაზრები. „მესამე ბაზარი“ (third market), რაც გულისხმობს არასაბირჟო ვაჭრობას ბირჟაზე დარეგისტრირებული ფასიანი ქაღალდებით, ანმყოში დინამიკურად ფართოვდება. მასზე გარიგებები იდება მაშინაც, როცა ბირჟაზე ვაჭრობა შეჩერებულია. 1980-იანი წლებიდან SEC-მა (ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია) დაადგინა წესი, რომელიც უფლებას აძლევს ბირჟაზე ადგილის მქონე ფირმებს ემოქმედათ „მესამე ბაზარზე“ იმ ფასიანი ქაღალდებით დილერების როლში, რაც NYSE-ის ლისტინგში იყო ჩართული.

„მეოთხე ბაზარი“ (fourth market) წარმოადგენს გარესაბირჟო ბაზარს, სადაც მიმდინარეობს პირდაპირი ვაჭრობა ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტებით ინსტიტუციონალურ ინვესტორებს შორის. დღეისათვის „მეოთხე ბაზარი“ იქცა ვაჭრობის მაღალგანვითარებულ მექანიზმად ყოველდღიური ბრუნვით მილიონობით აქციისა და წარმოადგენს საფრთხეს საფონდო ბირჟებისათვის. კავშირის ტელესაკომუნიკაციო საშუალებების განვითარება თანდათან აღმოფხვრის განსხვავებას ბირჟასა და ბირჟის გარეშე სეგმენტებს შორის. ამის თვალსაჩინო მაგალითია NASDAQ, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ფასების გამოცხადების (კოტირების) სისტემას წარმოადგენს. SEC პერიოდულად ამოწმებს ბროკერებს, რათა ფასნამატებისა (markup) და ფასდაკლების (markdown) სიდიდე გონივრულ საზღვრებში იყოს.

ფირმების უმეტესობა, რომლებიც ატარებენ ოპერაციებს ფასიანი ქაღალდებით, საკმაოდ ცნობილია და საფონდო ინდუსტრიაში მტკიცე პოზიციას იკავებს. თუმცა, საბოლოო ანგარიშით, საფონდო ბაზრების ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული სხვადასხვა საქმიანი წრეების გავლენაზე სახელმწიფო პოლიტიკაზე.

რა თქმა უნდა, ყველა ინვესტორი ისურვებდა, რომ მისი დაბანდებები იყოს საიმედოც, შემოსავლიანიც და ლიკვიდურიც, მაგრამ ეკონომიკური კანონები ამის შესაძლებლობას ყოველთვის როდი იძლევა. ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ღირებულება დამოკიდებულია მის სამომავლო პერსპექტივაზე, რაც თითქმის ყოველთვის გაურკვეველია. ნებისმიერმა დამატებითმა

ინფორმაციამ ამ პერსპექტივასთან მიმართებით, შეიძლება მისი ღირებულების გადაფასება გამოიწვიოს. ფასიანი ქაღალდი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ერთგვარ ხელშეკრულებას ემიტენტსა და ინვესტორს შორის, რაც უკანასკნელს აძლევს გარკვეულ უფლებებს მომავალში. რადგან ეს უფლებები განსხვავდება ფასიანი ქაღალდის სახეობაზე დამოკიდებულებით, ისევე როგორც განსხვავდება კომპანია-ემიტენტების პერსპექტივები, არსებობს დიდი, მუდმივად მზარდი რიცხვი ობლიგაციების განსხვავებული სახეობებისა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. ინვესტიციები შესაძლებლობას იძლევა დაიზოგოს და გამრავალფეროვნდეს დანაზოგები (ფიზიკური პირებისათვის) და საინვესტიციო კაპიტალი (იურიდიული პირებისათვის).

საქართველოში 2025 წლის დასაწყისიდან აგვისტომდე დაახლოებით 325 მლნ ლარის სავალო ვალდებულება განთავსდა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 50%-ით მეტია. აღნიშნული მეტყველებს სასესხო ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკმაოდ აქტიურ განვითარებაზე (nbg.gov.ge, 2025).

### **საინვესტიციო საქმიანობის მენეჯმენტი**

versification reduces relevant risk below total beta's implications. Additionally, total beta relies heavily on correlation and volatility estimates, both of which exhibit substantial instability in emerging markets.

We include total beta calculations in our framework to illustrate the magnitude of potential divergence from standard beta and to provide decision-makers with a range of estimates reflecting alternative investor assumptions.

### Equity Market Risk Premium: Bridging Global and Local Perspectives

The equity market risk premium (ERP) represents the additional return investors demand for bearing equity market risk rather than investing in risk-free assets. ERP estimation generates substantial controversy in developed markets (Fernandez, 2009) and becomes even more contentious in emerging market contexts. The historical approach calculates realized excess returns of equity indices over risk-free rates across extended time periods, presuming these historical premia predict future required premia:

$$ERP_{historical} = \frac{1}{n} \sum_{t=1}^n (R_{m,t} - R_{f,t})$$

Formula N 13

Appeal: The methodology is conceptually straightforward and empirically grounded. If investors historically earned 5-6% excess returns on equities, this suggests future expectations may center around similar magnitudes. Critical sensitivities: Measurement period length. U.S. data from 1926-2020 suggests approximately 6% historical premium, while the most recent 20 years yields 3-4%, illustrating substantial period-dependence (Damodaran, 2012). Arithmetic versus geometric averaging. Arithmetic means provide unbiased estimates of expected single-period returns but overstate long-horizon compound returns. Geometric means accurately capture compounding but understate expected single-period returns. Inclusion of crisis periods. Different economic regimes (boom, recession, crisis) generate vastly different realized premia, making the sample period choice critical. Standard error considerations: Even in developed markets with century-long data, historical ERP estimates exhibit wide confidence intervals:

$$SE(ERP) = \frac{\sigma(R_m - R_f)}{\sqrt{n}}$$

Formula N 14

where  $\sigma(R_m - R_f)$  represents the standard deviation of excess returns. High volatility and limited observations (small  $n$ ) yield large standard errors, potentially as large as the point estimate itself.

Applying historical premium methodology to local emerging market indices confronts severe obstacles: Limited data history: The Georgian Stock Exchange commenced operations in 1999, providing barely two decades of data, insufficient for reliable ERP estimation given return volatility. Armenia and other frontier markets face similar constraints. Illiquidity and thin trading: Georgia's stock exchange recorded only 27,439 transactions over 2000-2020, representing minimal turnover relative to economic scale. Such thin trading produces index returns contaminated by illiquidity premia, bid-ask bounce, and stale prices rather than reflecting true market risk compensation. Market microstructure deficiencies: Emerging market indices often lack adequate breadth (few constituents), suffer from concentration (largest stocks dominate), and experience structural breaks (market openings, regulatory reforms, privatizations) that render long historical series non-stationary. Survivorship and success bias: Countries that successfully develop equity markets and compile long return histories represent survivors, economies that avoided severe disruptions, hyperinflation, or prolonged closures. Historical returns from successful markets overstate expected returns for the broader universe of emerging markets.

Survey-based premia: Surveys of analysts, CFOs, and institutional investors elicit forward-looking ERP expectations. Fernandez et al. (2021) demonstrate that practitioner expectations frequently diverge from historical measures, particularly following market stress. Surveys capture current sentiment and forward-looking views but introduce subjectivity and may exhibit behavioral biases.

Implied equity premium: Implied ERP backs out the required return consistent with current market valuations and analyst forecasts using dividend discount models:

$$\text{Current Market Value} = \frac{\text{Expected Dividends}}{(k_e - g)}$$

Formula N 15

Solving for  $k_e$  (cost of equity) and subtracting the risk-free rate yields implied ERP. This approach incorporates market prices and forward-looking expectations, but requires assumptions about dividend growth rates and payout policies, introducing substantial subjectivity.

While acknowledging these alternatives' value, data constraints and transparency considerations led us to adopt the modified historical approach (global premium plus country risk) as our primary methodology.

## **Country Risk Premium: Capturing Emerging Market-Specific Risks**

Campbell Harvey's (2001) seminal research demonstrated empirically that traditional beta inadequately captures country-specific risks in emerging markets. Systematic risk exposure measured by beta primarily reflects sensitivity to global market movements, but fails to adequately price political risk, institutional weaknesses, regulatory uncertainty, currency convertibility constraints, and expropriation risk that characterize emerging economies. Consequently, explicitly incorporating a country risk premium (CRP) into cost of equity estimation becomes essential for emerging markets (Damodaran, 2003, 2012; Erb et al., 1996).

For example, for Georgia and Armenia, we can employ sovereign credit rating-based default spreads as country risk premia. The methodology proceeds as follows:

1. Obtain sovereign credit rating. International rating agencies (Fitch, Moody's, S&P) assign ratings reflecting sovereign default probability.
2. Map rating to default spread. Each rating level corresponds to an empirically observed spread between bonds of that rating and equivalent-maturity risk-free benchmarks (U.S. Treasuries).
3. Add default spread to base ERP.

Example: If Georgia holds a BB rating, the corresponding default spread might be 250 basis points (2.5%). Adding this to a 6% U.S. equity risk premium yields 8.5% total ERP. Rationale and advantages: Credit ratings provide standardized, internationally comparable sovereign risk measures. Rating agencies aggregate diverse information sources, fiscal metrics, political stability indicators, institutional quality assessments, into a single risk measure. Data are readily available and updated regularly. Limitations and critiques: Lagging indicators: Rating changes typically follow market-perceived risk changes by months. The 2008 financial crisis and COVID-19 pandemic demonstrated that rating downgrades often occurred well after sovereign spreads had already widened substantially. Incomplete risk capture: Ratings primarily assess default risk on fixed-income securities. Equity investors face additional risks—political instability, expropriation, regulatory arbitrariness, corruption—that ratings may underweight (Damodaran, 2003). (3) Potential bias. The 2008 crisis revealed conflicts of interest and pro-issuer bias among rating agencies, raising questions about rating reliability and independence. Acknowledging these limitations, we view rating-based CRP as a pragmatic, transparent starting point, a conservative minimum estimate of country-specific risk rather than a comprehensive measure.

For instance, for Brazil and India, sovereign CDS spreads can be employed rather than credit ratings:

$$CRP = CDS_{sovereign}$$

Formula N 16

where  $CDS_{sovereign}$  represents the cost of insuring against sovereign default on USD-denominated debt. Advantages over ratings: Market-based and real-time. CDS spreads reflect current market participant consensus, updating continuously as new information arrives. Forward-looking: CDS prices embed market expectations about future default probability rather than backward-looking assessments. Granular differentiation: CDS spreads can differentiate risk among countries with identical credit ratings based on recent developments. Practical example: During Brazil's 2015-2016 economic and political crisis, sovereign CDS spreads widened dramatically within weeks as market participants reassessed fiscal sustainability and political stability. Credit rating downgrades occurred months later, illustrating CDS responsiveness. Limitations: Volatility. Market-based measures respond to sentiment shifts, potentially introducing excessive noise and pro-cyclicality into cost of capital estimates. Currency denomination. Sovereign CDS contracts typically reference USD-denominated obligations, creating potential currency mismatch when estimating local currency cost of equity. Availability: CDS markets exist only for larger emerging markets; frontier economies like Georgia lack liquid sovereign CDS.

For countries with developed local equity and sovereign debt markets (Brazil, India), we apply a volatility adjustment to better align CRP with equity risk rather than debt risk:

$$CRP = CDS_{sovereign} \times \frac{\sigma_{equity}}{\sigma_{sovereign}}$$

Formula N 17

where  $\sigma_{equity}$  represents the standard deviation of local equity market returns (e.g., IBOVESPA for Brazil), and  $\sigma_{sovereign}$  denotes standard deviation of sovereign bond or spread returns. Rationale: Sovereign CDS spreads compensate for default risk on fixed-income claims, which represents only one component of risk faced by equity investors. Equity claims face additional risks, earnings volatility, operating leverage, residual claim status, making equities systematically more volatile than bonds. The volatility ratio scales the bond-based risk measure to reflect the higher risk borne by equity investors (Damodaran, 2012, 2023). Implementation considerations: Currency consistency: Equity index returns and sovereign spreads should be measured in identical currency (preferably USD for cross-country compa-

rability). Appropriate measurement period. We use 36-60 months of data, balancing the need for sufficient observations against structural stability concerns. Total return measurement: Equity returns should include dividends to reflect total shareholder returns. Sovereign measure selection: We use EMBI+ spreads or equivalent total return indices for the sovereign debt component. Addressing limitations: The volatility ratio can amplify during crisis periods when equity volatility spikes faster than sovereign spreads. We address this through: winsorizing extreme outlier observations, and cross-validating results against alternative CRP measures.

Example calculation:

1. Brazil 10-year USD sovereign spread: 250 basis points
2. IBOVESPA (USD) standard deviation (60-month): 22%
3. EMBI+ Brazil standard deviation (60-month): 8%
4. Adjusted CRP:  $2.5\% \times (22\%/8\%) = 6.875\%$

This adjustment recognizes that while Brazil's sovereign default risk may be 2.5%, equity investors face proportionally higher risk reflected in equity market volatility.

### Model Specification

The modified CAPM framework for emerging market cost of equity estimation takes the form:

$$k_e = R_f + \beta \times ERP_{developed} + CRP$$

Formula N 18

where:

- $k_e$  = cost of equity capital
- $R_f$  = risk-free rate (methodology detailed in Section 2.1)
- $\beta$  = systematic risk measure (methodology detailed in Section 2.2)
- $ERP_{developed}$  = developed market (U.S.) equity risk premium
- $CRP$  = country risk premium (methodology detailed in Section 2.4)

For undiversified investors, the model modifies to:

$$k_e = R_f + \beta_{total} \times ERP_{developed} + CRP$$

Formula N 19

where  $\beta_{total} = \beta_{market} / \rho_{jm}$  as specified before.

This specification explicitly decomposes required equity returns into three economically interpretable components:

1. Time value component ( $R_f$ ): Compensation for deferring consumption and expected inflation
2. Global equity risk component ( $\beta \times ERP_{developed}$ ): Compensation for exposure to systematic global equity market risk
3. Country-specific risk component ( $CRP$ ): Compensation for incremental risks specific to the emerging market context

The decomposition provides analytical clarity and facilitates sensitivity analysis. Practitioners can assess how variations in each component affect cost of capital estimates, supporting more informed decision-making.

### **Data and Estimation Strategy**

Because the article is methodology-centered, the data strategy is articulated as an implementable protocol rather than a dataset claim. The framework's core data conventions include:

- Risk-free rate inputs: 10-year sovereign yields in the valuation currency where possible; default adjustment via ratings-based spreads in data-thin markets and CDS in deeper markets.
- Beta estimation (listed firms): weekly logarithmic total returns over a 5–10 year window; currency alignment between asset and market returns; regression-based beta via market model (Jensen, 1969).
- Beta estimation (private firms): peer identification; unlevering via Equation and relevering via Equation arithmetic averaging of unlevered betas; optional conversion to total beta via Equation when marginal investors are plausibly non-diversified (Bekaert & Harvey, 2003; Damodaran, 2012).
- CRP scaling: volatility computed on consistent frequency and horizon (e.g., 36–60 monthly observations as discussed) to balance sample adequacy with structural change risk.

### **Methodological Limitations and Threats to Validity**

The framework explicitly treats emerging-market cost-of-capital estimation as a sequence of constrained optimizations rather than a single “correct” estimator. The principal limitations are:

1. Risk-free rate purity is unattainable in many emerging markets: sovereign yields embed credit and liquidity risk; ratings lag conditions; CDS can be volatile and unavailable (Damodaran, 2012).

2. Forward-market approaches are maturity-limited: CIRP is theoretically grounded but requires liquid long-tenor forwards not present in many frontier markets.

3. Inflation-based conversions are assumption-intensive: expected inflation is regime-dependent; resulting risk-free rates can be sensitive to forecast error.

4. Pure-play beta depends on peer quality and operating leverage assumptions: peer selection is partly judgmental; operating leverage heterogeneity can bias betas.

5. Accounting beta is susceptible to managerial discretion and low frequency: annual reporting reduces inference power and can confound market-risk interpretation.

6. Total beta may overstate risk if investors are partially diversified: correlation and volatility instability can amplify estimation noise.

7. CRP estimation is imperfectly identified: rating-based spreads may understate equity-relevant risks, while volatility-scaling can overreact during crises (Damodaran, 2012, 2023).

## **Conclusion**

This study contributes to emerging markets finance literature by developing and justifying a systematic, pragmatic framework for cost of equity estimation in data-constrained environments. Rather than advocating a single “correct” methodology, we recognize that optimal approaches depend on country-specific characteristics including financial market development, data availability, and institutional infrastructure. Our analysis yields several important conclusions for both research and practice:

Methodological flexibility is essential. A one-size-fits-all approach to emerging market cost of equity estimation proves both theoretically unjustifiable and practically infeasible. Frontier markets like Georgia and Armenia require different methodological adaptations than more developed emerging markets like Brazil and India. The appropriate methodology must be matched to local market conditions.

Transparency matters more than precision. Given the inherent uncertainty in cost of capital estimation, clearly documenting methodological choices, underlying assumptions, and limitations provides more value than spurious precision. Practitioners benefit from understanding the range of defensible estimates and the sensitivity to key assumptions.

Country risk premium is material and necessary. Standard CAPM beta inadequately captures emerging market risks. Explicitly incorporating country risk premia thro-

ugh either rating-based default spreads or market-based CDS measures substantially improves model realism. The choice between rating-based and CDS-based approaches should depend on data availability and market development.

Local market data frequently proves inadequate. For frontier markets, illiquid local stock markets cannot support reliable regression-based beta estimation. Pure-play methodologies using international comparables provide more robust systematic risk estimates, though at the cost of potentially overlooking country-specific operating conditions.

The theory-practice gap requires pragmatic bridging. Financial theory provides valuable conceptual foundations, but practical implementation in emerging markets inevitably requires compromises. Acknowledging these compromises explicitly, justifying them with reference to empirical constraints, and testing robustness enhances credibility.

## References:

- Alp A. (2013). Structural Shifts in Credit Rating Standards. *Journal of Finance*, 68(6), 2435-2470.
- Beaver W., Kettler P., & Scholes M. (1970). The Association between Market Determined and Accounting Determined Risk Measures. *The Accounting Review*, 45(4), 654-682.
- Bekaert G., & Harvey C. R. (1995). Time-varying World Market Integration. *Journal of Finance*, 50(2), 403-444.
- Bekaert G., & Harvey C. R. (2003). Emerging Markets Finance. *Journal of Empirical Finance*, 10(1-2), 3-55.
- Blume M. (1975). Betas and Their Regression Tendencies. *Journal of Finance*, 30(3), 785-795.
- Courtois O., Lai, V. S., & Zhang, H. (2018). Risk-free Rate Selection in Valuation: An Empirical Study. *Journal of Applied Corporate Finance*, 30(2), 91-99.
- Damodaran A. (2003). Measuring Company Exposure to Country Risk: Theory and Practice. Working paper, New York University Stern School of Business.
- Damodaran A. (2012). *Investment Valuation: Tools and Techniques for Determining the Value of Any Asset* (3rd ed.). John Wiley & Sons.
- Damodaran A. (2023). Equity Risk Premiums: Determinants, Estimation and Implications. Working paper, New York University Stern School of Business.
- Erb C., Harvey C. R., & Viskanta T. (1996). Expected Returns and Volatility in 135 Countries. *Journal of Portfolio Management*, 22(3), 46-58.
- Estrada J. (2000). The Cost of Equity in Emerging Markets: A Downside Risk Approach. *Emerging Markets Quarterly*, 4(3), 19-30.
- Estrada J. (2007). Mean-Semivariance Behavior: Downside Risk and Capital Asset Pricing. *International Review of Economics and Finance*, 16(2), 169-185.
- Fama E. F., & French K. R. (2004). The Capital Asset Pricing Model: Theory and Evidence. *Journal of Economic Perspectives*, 18(3), 25-46.

- Fernandez P. (2009). The Equity Premium in 150 Textbooks. Working Paper, IESE Business School.
- Fernandez P., Pershin V., & Acín I. F. (2021). Survey: Market Risk Premium and Risk-free Rate Used for 81 Countries in 2021. Working paper, IESE Business School.
- Hamada R. S. (1972). The Effect of the Firm's Capital Structure on the Systematic Risk of Common Stocks. *Journal of Finance*, 27(2), 435-452.
- Harvey C. R. (2001). The International Cost of Capital and Risk Calculator (ICCRC). Working paper, Duke University.
- Jensen M. C. (1969). Risk, the Pricing of Capital Assets, and the Evaluation of Investment Portfolios. *Journal of Business*, 42(2), 167-247.
- Lintner J. (1965). The Valuation of Risk Assets and the Selection of Risky Investments in Stock Portfolios and Capital Budgets. *Review of Economics and Statistics*, 47(1), 13-37.
- Mossin J. (1966). Equilibrium in a Capital Asset Market. *Econometrica*, 34(4), 768-783.
- Pereiro L. E. (2002). Valuation of Companies in Emerging Markets: A Practical Approach. John Wiley & Sons.
- Roll R. (1977). A Critique of the Asset Pricing Theory's Tests Part I: On Past and Potential Testability of the Theory. *Journal of Financial Economics*, 4(2), 129-176.
- Schmidt D. (2020). The Risk-free Rate and its Role in the Cost of Capital. *Journal of Applied Finance*, 30(1), 45-62.
- Sharpe W. F. (1964). Capital Asset Prices: A theory of Market Equilibrium Under Conditions of Risk. *Journal of Finance*, 19(3), 425-442.
- Stulz, R. M. (1999). Globalization, corporate finance, and the cost of capital. *Journal of Applied Corporate Finance*, 12(3), 8-25.

## მოდულიციხებული CAPM \* შეფასების მეთოდოლოგიური ჩარჩო

### ბექა დახახველიძე

დოქტორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Darakhvelidzebeka@gmail.com

სტატია ავითარებს სისტემურ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს ინვესტიციის ღირებულების შეფასებისთვის განვითარებად ბაზრებზე, რაც ხასიათდება მონაცემთა შეზღუდულობითა და განვითარებადი ფინანსური ინფრასტრუქტურით. მიუხედავად იმისა, რომ CAPM უზრუნველყოფს ელემენტურ თეორიულ საფუძვლებს, მოდელის სტანდარტული მიდგომები უშვებს იდეალურ საბაზრო პი-

\* კაპიტალის აქტივების ფასწარმოქმნის მოდელი

რობებს, რაც იშვიათად გვხვდება განვითარებად ბაზრებზე: დეფოლტისგან თავისუფალი სახელმწიფო ობლიგაციები, ლიკვიდური აქციათა ინდექსები, უხვი ისტორიული დროითი სერიების მონაცემები და ეფექტიანი საბაზრო ფას-წარმოქმნის რაციონალური სისტემა. მაშინ როდესაც რიცხობრივი მოდელის იდეალური დაშვებები არ მუშაობს, პრაქტიკოსებს არ აქვთ სისტემატური, კარგად ჩამოყალიბებული და საერთაშორისოდ მიღებული მიდგომები ცვლადების გამოსათვლელი მეთოდოლოგიების შერჩევისთვის. სტატია ამ წინააღობის დაძლევის ცდილობს კომპლექსური, ყოვლისმომცველი ჩარჩოს წარდგენით, რომელიც აღიარებს, რომ ოპტიმალური შეფასების მიდგომები ფუნდამენტურად არის დამოკიდებული ქვეყნის სპეციფიკური ფინანსური ბაზრის განვითარებაზე, მონაცემთა ხელმისაწვდომობასა და ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურაზე. ერთიანი კანონიკური მეთოდოლოგიის მხარდაჭერის ნაცვლად, ჩარჩო უზრუნველყოფს გადაწყვეტილების ხის ლოგიკას და შერჩევის კრიტერიუმებს, რაც პრაქტიკოსებს საშუალებას აძლევს აირჩიონ თეორიულად დასაბუთებული, ემპირიულად განხორციელებადი შეფასების მეთოდები მოდიფიცირებული CAPM კომპონენტებისათვის. სტატიის ჩარჩო მეთოდოლოგიის სისტემატიზაციას ახორციელებს მოდიფიცირებული CAPM-ის ოთხი ძირითადი ცვლადის შეფასებისთვის:

1. რისკისგან თავისუფალი განაკვეთის გამოთვლა ოთხი მეთოდოლოგიური მიდგომის მეშვეობით (პირდაპირი ადგილობრივი სახელმწიფო ობლიგაციები, CDS-ზე დაფუძნებული ზრდის/ინფლაციის დიფერენციალი და დერივატივების ბაზრის მიდგომები);
2. ბეტას შეფასება როგორც საჯარო, ასევე კერძო ფირმებისთვის (ბაზრის მოდელის რეგრესია, Pure-Play-ს, Bottom up მეთოდოლოგია, სააღრიცხვო ბეტა და არადივერსიფიცირებული ინვესტორებისთვის მთლიანი ბეტა);
3. აქციების რისკიანობის პრემიუმი მოდიფიცირებული ისტორიული მიდგომების გამოყენებით;
4. ქვეყნის სპეციფიკური რისკის პრემიუმი რეიტინგზე დაფუძნებული დეფოლტის სპრედების, CDS-ზე დაფუძნებული საზომების და არასტაბილურობის მასშტაბის კორექტირების გზით. შედეგად მიღებული მოდიფიცირებული CAPM მოდელი მოიცავს ყველა კომპონენტს:

$$k_e = R_f + \beta \times ERP_{developed} + CRP$$

მეთოდოლოგიური ჩარჩო ხაზს უსვამს საკალკულაციო მოდელის გამჭვირვალობის მნიშვნელობას და აკეთებს პრაგმატულ კომპრომისს ამ მიმართულებით, შედეგად ხაზს უსვამს იმ შემზღუდველ გარემოებებს, რომლებიც ახასიათებს თითოეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას ამა თუ იმ ცვლადის გა-

მოთვლისას, მათ შორის შესაძლებელია გამოიყოს შემდგომი ფუნდამენტური შეზღუდვები: ურისკო განაკვეთის რისკიანობის განულება ფაქტობრივად შეუძლებელია, ფორვარდული ბაზრის მიდგომები ვადიანობის შეზღუდვების წინაშე დგას, ინფლაციაზე დაფუძნებული კონვერტაცია მოითხოვს არაერთ ფინანსურ დაშვებებზე დაფუძნებულ პროგნოზებს, Pure-play ბეტა დამოკიდებულია შესადარისი კომპანიების წარმოებულ ფინანსური მონაცემების ხარისხზე, სააღრიცხვო ბეტა ექვემდებარება მენეჯერულ შეხედულებას, მთლიანმა ბეტამ შეიძლება გადამეტებულად წარმოაჩინოს აღნიშნული მაჩვენებელი, თუ ინვესტორები შეინარჩუნებენ დივერსიფიკაციის მაღალ დონეს და ქვეყნის რისკის პრემიუმის შეფასება არასრულყოფილად შეფასებული დარჩება. მეთოდოლოგიური ჩარჩოს არ გამოყენების ნაცვლად, მიმოხილული მიდგომების ლიმიტები ხაზს უსვამს, რომ პრაქტიკოსებმა უნდა გაიაზრონ ეს გარემოება და მათი შეხედულებისამებრ უნდა განხორციელდეს მათთვის რელევანტური მეთოდოლოგიის გამოყენება.

გამოიკვეთა ხუთი ძირითადი დასკვნა:

1. მეთოდოლოგიური მოქნილობა აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნებისთვის დამახასიათებელ განსხვავებებს ფრონტიერ და განვითარებად ბაზრებს შორის;

2. დაშვებების გამჭვირვალობა და შეფასების შედეგად მიღებული დიაპაზონის საფუძველზე მოქმედება, გაუმჯობესებულ პრაქტიკულ ღირებულებას იძლევა, ვიდრე ყალბი სიზუსტე;

3. ქვეყნის სპეციფიკური რისკის პრემიუმის ჩართვა აუცილებელი და მატერიალურად მნიშვნელოვანია საკალკულაციო მოდელის პროგნოზირების გასაუმჯობესებლად;

4. განვითარებადი ქვეყნის ადგილობრივი ბაზრის მონაცემები ხშირად არასაკმარისი ან არასტაბილურია, რაც მოითხოვს ფინანსურ და ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით დაშვებების გაკეთებას;

5. თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული მუდმივი უფსკრულის შევსება მოითხოვს პრაგმატულ კომპრომისს ემპირიული შეზღუდვების აშკარა აღიარებით. სტატია ავითარებს და აღრმავებს განვითარებადი ბაზრების ფინანსურ და ეკონომიკურ ლიტერატურას მეთოდოლოგიური არჩევანის სისტემატიზაციის გზით, რაც პრაქტიკოსებს საშუალებას აძლევს, მეთოდოლოგიური გაურკვევლობიდან მომდინარე პოზიციიდან, გადავიდნენ მტკიცებულებებსა და ლოგიკურ მსჯელობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** მოდიფიცირებული CAPM; აქციების ღირებულება; განვითარებადი ბაზრები; სასაზღვრო ბაზრები; ურისკო განაკვეთი; ბეტა; ბაზრის რისკის პრემია; ქვეყნის რისკის პრემია; CDS; საკრედიტო რეიტინგები; ქვემოდან ზემოთ ბეტა; ჯამური ბეტა

## იუბილარები ANNIVERSARIES

---

### პროფესორი იური ანანიაშვილი - 75



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს, იური ანანიაშვილს 75 წელი შეუსრულდა.

ხანგრძლივი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში, მან საფუძველი ჩაუყარა თსუ-ში მაკროეკონომიკისა და ეკონომეტრიკის თანამედროვე კურსების სწავლებას, შექმნა არაერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი და გაზარდა ეკონომისტების რამდენიმე თაობა.

იური ანანიაშვილი დაიბადა 1951 წლის 6 მარტს ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში. საშუალო სკოლის წარჩინე-

ბით დაამთავრების შემდეგ, 1968 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. სპეციალობად კი აირჩია იმ დროისათვის სრულიად ახალი მიმართულება – „ეკონომიკური კიბერნეტიკა“, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იური ანანიაშვილი, როგორც წარჩინებული სტუდენტი, წინასაადიპლომო პრაქტიკის გასავლელად და სადიპლომო ნაშრომის მოსამზადებლად, მიავლინეს მოსკოვის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში (ЦЭМИ), ცნობილმა პროფესორმა და სამეცნიერო ხელმძღვანელმა ე. ბარანოვმა მას შესთავაზა ასპირანტურაში სწავლის იქ გაგრძელება. ეს შეთავაზება სრულად შეესაბამებოდა იური ანანიაშვილის მისწრაფებებს და 1974 -1978 წწ. იგი სწავლობდა მოსკოვის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იური ანანიშვილი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრაზე, ჯერ ასისტენტის (1978-81 წლები), შემდეგ კი დოცენტის (1981-1998 წლები) თანამდებობაზე. პარალელურად, 1978-1980 წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

1998 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აგრეგირებული დარგთაშორისი კავშირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება“. 1999 წლიდან მოყოლებული იგი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ხოლო 2006 წლიდან ხელმძღვანელობს ეკონომეტრიკის კათედრას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

ბატონი იურის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა 48 წელს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა თსუ-ში ეკონომიკის პროფილის ფაკულტეტებზე სწავლება ჯერ კიდევ სოციალისტური მეურნეობის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური დისციპლინებით მიმდინარეობდა, იური ანანიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო იმ მეცნიერებს შორის, რომლებმაც დაიწყეს საბაზრო ეკონომიკის დისციპლინების სწავლება. შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ში თანამედროვე მაკროეკონომიკისა და ეკონომეტრიკის კურსების სწავლებას მან ჩაუყარა საფუძველი: იყო პირველი მასწავლებელი, რომელმაც ითავა თსუ-ში აღნიშნული კურსების წაყვანა ჯერ ე.წ. „სპეცგუფის“ სტუდენტებისთვის, შემდეგ კი – სტუდენტთა ფართო აუდიტორიისათვის.

პროფ. იური ანანიშვილის მიერ მაღალი პროფესიონალიზმით ჩატარებული ლექცია-სემინარები სტუდენტთა შორის, დღემდე დიდ ინტერესს იწვევს.

პროფ. ი. ანანიშვილის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა ეკონომიკის მათემატიკური მოდელირება და მაკროეკონომიკის თეორიული და გამოყენებითი პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 95-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. მისი ხელმძღვანელობითა და სამეცნიერო რედაქტორობით, ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ორი უმნიშვნელოვანესი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო: ჯ. მ. ვულდრიჩის „შესავალი ეკონომეტრიკაში“ (2016) და ო. ბლანშარის „მაკროეკონომიკა“ (2010).

პროფ. ი. ანანიშვილის გამოქვეყნებულ შრომებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგები:

ერთერთი მნიშვნელოვანი კვლევა – სექტორული ქრილის მქონე ზოგადი მაკროეკონომიკური წონასწორობის ორიგინალური მოდელი – შესულია ნაშრომთა ციკლში „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“, რომ-

ლისთვისაც პროფ. ი. ანანიაშვილს 2004 წელს, ეკონომისტთა ჯგუფთან ერთად, მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

2014 წელს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმზე წარდგენილი ნაშრომი – „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები“, გამოცხადდა გამარჯვებულად და მიენიჭა ფულადი ჯილდო;

პროფესორ ლადო პაპავასთან ერთად გამოქვეყნებულმა მონოგრაფიამ – ლაფერ-კეინზიანური სინთეზის კონცეფციისა და მოდელის შექმნა – თვით პროფესორ ლაფერის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პროფ. იური ანანიაშვილი დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის მედლით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლით.

პროფ. იური ანანიაშვილს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ვულოცავთ ბატონ იურის სახელოვან იუბილეს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
უუხნად „ეკონომიკა და ბიზნესის“ სახელაქციო კოდეგია**

## პროფესორი იოსებ არჩვაძე - 70



რამ მიიბიძგა ამ წერილის დაწერისკენ? ეს არამხოლოდ ჩემი უახლოესი მეგობრის, თანამოაზრის, მოკავშირისა და თანამებრძოლის 70-ე დაბადების დღის აღსანიშნავი იუბილეა, მოვალეობის გრძნობაა მის, მისი მშვენიერი ოჯახისა და ახლობლების წინაშე ან მისი დამსახურებაა ქართველი საზოგადოების წინაშე არამედ, ეს ჩემი გულის ძახილია! სწორედ ამიტომ, მსურს, საზი გავუსვა ჩვენი იუბილარის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის განსაკუთრებულ თვისებას! დამეთანხმებით, დღეს ეს, სახელმწიფოსადმი კუთვნილების (სახელმწიფოებრივი ცნობიერება), ნამდვილი და არა წარმოსახვითი პატრიოტიზმი (ცნობი-

ლია გამოთქმა, რომ პატრიოტიზმი ნაძირალას უკანასკნელი თავშესაფარია) ძნელი საპოვნელია ადამიანებში, ისევე, როგორც იშვიათია თანაგრძნობისა და ემპათიის გრძნობის პოვნა.

ჩვენი მეგობრობა 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს. საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტის სტუდენტი, იგი თავიდანვე ღრმად გრძნობდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ყველას და უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ. ამ პასუხისმგებლობის გრძნობით ცხოვრობს და იცხოვრა მაღლა აწეული თავით, ყველას აძლევდა რჩევებს ჩვენი ცხოვრების საკმაოდ რთულ მოვლენებსა და პრობლემებზე და ეხმარებოდა სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

როგორც მეცნიერმა, ეკონომისტმა და სტატისტიკოსმა, მან სახელმწიფო სტატისტიკის სფეროში გაიარა საკმაოდ გრძელი გზა უფროსი ეკონომისტიდან – ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირველ მოადგილემდე, მუშაობდა ქვეყნის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში წამყვან სპეციალისტად. 2011 წლიდან დღემდე არის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციათა კურსს „სახელმწიფო ფინანსებში“, „საქართველოს ეკონომიკაში“, „მიკრო და მაკროეკონომიკის პრინციპებში“.

პროფესორი იოსებ არჩვაძე ასევე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი.

იუბილარი – ბატონი იოსები, გარდა მეცნიერისა, შესანიშნავი პუბლიცისტიცაა. როგორც ვიცით, პუბლიცისტიკა ემსახურება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას, შეიცავს ფაქტობრივ მონაცემებს, შეფასებებს და აყალიბებს ადამიანების შეხედულებებს. ნებისმიერი სფეროში, იქნება ეს სტატია, ესე, ინტერვიუ, ჩანაწერი, ბროშურა, მიმოხილვა, გამოსვლა (ორატორული ჟანრი), მას ეს ყველაფერი მშვენივრად ეხერხება (ალვნიშნავთ აქ წიგნს – “FACEBOOK-ს ებარებოდეთ”). ასევე, პუბლიცისტური წერილების კრებულები – „თუ დაგივიწყო, აფხაზეთო!“, „როგორ ხალხს იმსახურებს ხელისუფლება?“, „პოლიტეკონომიური საუბრები“ (თანაავტორობით), „ეკონომიკა და დრო: სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიების კრებული“, „რა ფერისაა მილიარდი?“, „კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტეკონომიური ასპექტი)“ და სხვა.

აქვე მინდა გავიხსენო მისი საკმაოდ მოცულობითი წერილი გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, მიძღვნილი თეატრისა და კინოს დიდი მსახიობის სერგო ზაქარიაძესადმი. გენიალური მსახიობის ასეთი ბრწყინვალე შეფასება ყველა ხელოვნებათმცოდნეს შეშურდებოდა, არაფერი რომ არ ვთქვათ სხვადასხვა გამოჩენილი ადამიანისადმი მიძღვნილ სტატიებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ იოსების პუბლიცისტური წერილები „აშიშვლებს“ საქართველოს რეალიებს „ვარდისფერ“ პერიოდში, მაგალითად – „თანამედროვე საქართველო, როგორც სსრკ: სააკაშვილისეულ საოკუპაციო რეჟიმის კოლონია“, „სახელმწიფო ეს მე ვარ“, „ავტორიტარული დემოკრატია“, და სხვ. ისინი, აგრეთვე, გარკვეულწილად ესადაგება თანამედროვე დროსაც („სახელმწიფო და პოლიტეკონომია“, „მცირე ეთნოსისა და ტერიტორიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესაძლებლობის შესახებ“, „სტატისტიკის როლი თანამედროვე საქართველოში“ და სხვა).

როგორ იზომება მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობა? იღებენ სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობას, ციტირების ინდექსს, პატენტების ფლობას (ეს ეხება ძირითადად ტექნიკურ-საინჟინრო დარგების სპეციალისტებს) და საავტორო უფლებას (ეს კი ძირითადად ეხება სამეცნიერო, ხელოვნების, სალიტერატურო და მუსიკალურ ნაწარმოებებს). რაც შეეხება პირველ მაჩვენებელს, ალვნიშნავთ, რომ რაოდენობა ყოველთვის არ ასახავს ხარისხს (თვისებრიობას), მიუხედავად ამისა ხაზგასასმელია, რომ იოსებ არჩვაძეს გამოქვეყნებული აქვს 19 წიგნი, 5 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, მათ შორის 15 სამეცნიერო პროფილის მიხედვით (ინდივიდუალური ან თანაავტორობით), 200-ზე მეტი

სტატია: საქართველოს სტრატეგიული და მაკროეკონომიკური განვითარების შესახებ, ეროვნული სიმდიდრის და რესურსების, ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების, დემოგრაფიის – „საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობისა და შობადობის წამახალისებელ ღონისძიებათა შესახებ“ (თანაავტორობით), „მოსახლეობისა და ქართული სოფლის განვითარებისა და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემების შესახებ. ასევე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ინფლაციის, საპენსიო სისტემის შესახებ და სხვა.

რაც შეეხება ციტირების ინდექსს, აქვე აღვნიშნავთ, რომ, არც თუ ისე იშვიათად „მეცნიერები“ თანხმდებიან ურთიერთციტირებაზე, რითაც ხელოვნურად ზრდიან თავიანთ ციტირების ინდექსს. ეს ბუნებრივია, არ ეხება ბატონ ოსებს, მისი ციტირების ინდექსი შეადგენს – 43, h-ინდექსი – 3, i10-1.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია აფხაზეთისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილები... უფრო მეტიც... დაბადებული ასურეთში (თეთრიწყაროს რაიონი), ის თავს თვლის სოხუმელად, ვინაიდან იქ გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრება. თავის მოგონებებში – „თუ დაგივიწყო, აფხაზეთო...“ ბატონი იოსები გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სოხუმში დარჩა უძრავი ქონება და მისი მთელი საოჯახო ბიბლიოთეკა, მაგრამ მას ძალიან გული წყდება არა იმდენად, უძრავ ქონებაზე, არამედ საოჯახო ბიბლიოთეკაზე, სადაც, მისთვის, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართულ ენციკლოპედიას.

რაც შეეხება დიდ გულისტკივილს აფხაზეთთან დაკავშირებით, მისი გამოთქმული ფრაზა – „აფხაზეთში დასაბრუნებლად ჯერ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ერთობა და თანხმობის გრძნობა“ – ეს სიტყვები, მისი სახელმწიფოებრივი აზროვნების ნათელი მაგალითია და მიუხედავად იმისა, რომ - 20-ზე მეტი წლის წინ არის დაწერილი, დღესაც აქტუალურია. დაბრუნების პირობად კი თვლის „...არ ვიხსნი მასზე (აფხაზეთის დროებით დაკარგვაზე. – თ. ბ.) ჩემ წილ პასუხისმგებლობას, ისევე, როგორც არ მიმაჩნია, რომ აფხაზეთის დაბრუნება მართო ხელისუფლების საზრუნავი იყოს...“. მგრძნობარედ ჟღერს პროფესორ იოსებ არჩვადის მოსაზრებები: – „მე, ... ნატოზე მეტად გალში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში და გაგრაში მინდა შესვლა“ („როგორ ხალხს იმსახურებს ხელისუფლება“, გვ.151), ასევე, მისი პუბლიცისტური წერილების კრებულის სათაურიც – „თუ დაგივიწყო, აფხაზეთო...!“, ავტორი აქ პარალელს ავლებს ებრაელთა ცნობილ გამონათქვამთან: „ხელიც გამიხმეს, თუ დაგივიწყო იერუშალიმ...“, რაც ნათლად და კიდევ უფრო მძაფრად გამოხატავს აფხაზეთის დაკარგვის ტკივილს და დაბრუნების სურვილს.

განსაკუთრებულია ბატონი იოსების მნიშვნელოვანი როლი და შეტანილი წვლილი, დამოუკიდებელ საქართველოში, პირველად მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მომზადებასა და ჩატარებაში (2002 წელი, აღინერა 4,45 მლნ. ადამიანი), რის შედეგადაც ის დამსახურებულად დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ეს მოკრძალებული წერილი მინდა დავასრულო ცნობილი გამონათქვამით - ასაკი მხოლოდ ციფრებია...

**თეიმურაზ ბეჩიძე**  
**ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,**  
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის**  
**სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**  
**ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესის“ სახელმძღვანელო კოლეგიის წევრი**

## სსოპნა ნათელი BRIGHT MEMORY

### პროფესორი რამაზ აბესაძე



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტმა მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედკოლეგიის წევრი პროფესორი რამაზ აბესაძე.

რამაზ აბესაძე დაიბადა 1952 წლის 14 მაისს, ტყიბულში, პედაგოგების ოჯახში. თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ – 1969 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს და დამთავრებისთანავე დაიწყო სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროსი ლაბორანტის რანგში. 1985 წელს მან დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1986 წელს ბატონი რამაზი გახდა იმავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, რამდენიმე წელიწადში – 1989 წელს ის იკავებს წამყვანი მეცნიერთანამშრომლის, 1991წელს კი ლაბორატორიის გამგის პოზიციას. 1997 წელს, როგორც კომპეტენტური მეცნიერ-მკვლევარი, ბატონო რამაზი ინიშნება განყოფილების გამგედ, ხოლო 2002 წელს – დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1987 წლიდან, წაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, ბატონი რამაზი, ასევე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ – საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტში. ასევე, აქტიურად იყო ჩართული ივანე ჯავახიშვილის სახელობის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ საქმიანობაში, სადაც, 1989 წელს მას მიენიჭა უფროსი მეცნიერთანამშრომლის წოდება.

ბატონი რამაზი 1995 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრაზეა. 1998 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, მას მიანიჭა დოცენტის წოდება, 1999 წელს მან დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და 2003 წელს იგი თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის პროფესორია.

2001-2003 წლებში პროფესორი რამაზ აბესაძე იყო პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003-2007 წლებში – თავმჯდომარე.

2008 წლიდან კი – ბატონი რამაზი არჩეულ იქნა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად.

პროფ. რამაზ აბესაძემ ბევრი საინტერესო მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 6 მონოგრაფია, ხოლო ბოლო მონოგრაფია – „ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური რეგრესის თეორია“, მზად არის გამოსაცემად, რასაც სამწუხაროდ იგი ვერ მოესწრო.

პროფ. რამაზ აბესაძის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო მეტად ფართო იყო მისი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე. მისი სტატიები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა მაღალრეიტინგულ და საერთაშორისო დონის ინდექსირებულ ჟურნალებში. ამავე დროს მონაწილეობას ღებულობდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, სადაც გამოქვეყნებულია ორმოცამდე სტატია და მოხსენება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისა, პროფესორი რამაზ აბესაძე წლების განმავლობაში იყო საერთაშორისო-ანალიტიკური ჟურნალ – „ეკონომისტისა“ და პერიოდული გამოცემის – „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, შექმნის ინიციატორი და მთავარი რედაქტორი. მისი თაოსნობით და ინიციატივით პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში დაარსდა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია“, ინსტიტუტის გამომცემლობა, გაიხსნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, სადისკუსიო დარბაზი, სასწავლო და საკონსულტაციო საქსპერტო ცენტრი. დაწესდა აკადემიკოს პ. გუგუშვილის, აკადემიკოს ა. გუნიას, პროფესორ გ. წერეთლის სამეცნიერო პრემიები, შეიქმნა ახალი სამსახურები, რეკომენდაციების შემმუშავებელი კომისია და სხვ.

პროფესორ რამაზ აბესაძეს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის 2001 წელს გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2002 წელს კი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან ღვანლმოსილი მეცნიერი და მკვლევარი, კოლეგა, ხელმძღვანელი, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა მისი წინამორბედების, აკადემიკოსების – პაატა გუგუშვილის, ავთანდილ გუნიას, ლადო პაპავას, პროფესორ გიორგი წერეთლის მიერ დაწყებული საქმეები და თავისი ნათელი კვალი დატოვა ინსტიტუტის ისტორიაში. გვჯერა, პროფესორი რამაზ აბესაძე ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

**თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
ჟუხნად „ეკონომიკა და ბიზნესის“ სახელაქციო კოდეგია**

